

K 182 183

3

Եպենց Հայոց



ՅԱԿԱՐԴԱՎՈՐ ՀԱՅՈՑ

საქართველოს სსრ მთაწილის მთაწილის აკადემია

ნო. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქიოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მიმღებ პარაკა

ვახტანგ გევარა



გამოცემლობა „მთაწილის“
თბილისი

1981

ცენტ-2000
ცენტრალური

9(C.922) 1645 - 1737



9 (C 41)

683 (2 Γ)

9 (17.922) (092 ვახტანგ მექესე)

3 142

1 ვახტანგ მექესე 1675 - 1737 ი. ც.

2) სახალინის ისტორია 3 - 17 - 18 საუკ.

გამოქვეყნებული წყაროების, ლიტერატურისა და
ავტორის შემცირებული ახალი ღოკუმენტური
მასალების საფუძველზე მონოგრაფიაში გაშეტებულია
გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, მე-
ცნიერისა და პოეტის ვახტანგ მექესის (1675—1737)
ცხოვრება და მოღვაწეობა.

მონოგრაფია განკუთვნილია სპეციალისტებისა და
მკითხველთა ფართო წრისათვის.

K 182 183

რედაქტორი: პროფ. რ. მიმინო შვილი

3 10604
M 607 (06) - 81 რენ.

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981

მ. სამიშვილი	ნახ. სახ.
ასა. საბამილების მიზანი	მ. სამიშვილი
მ. სამიშვილი	მ. სამიშვილი
მ. სამიშვილი	მ. სამიშვილი

180/12

9-15

მინასით ჰა

• გვიანთეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით გამოირჩევა ვახტანგ მეექვსის კოლორიტული ფიგურა.

სამშობლოს საექილდლეოდ მან ტიტანური შრომა გაწია. ვახტანგის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ქართლის ცხოვრების ყველა სფეროში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ორნისძიებები, რის შედეგადაც ქვეყანა საგრძნობლად დაწინაურდა, ხოლო ქართულ სინამდვილეში მოხდა ისეთი ძვრები, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შემდგომი ეტაპისათვის სათანადო ნიადაგს ამზადებდა. ამდენად ვახტანგის მოღვაწეობა საქართველოს პროგრესული განვითარების საქმეს ემსახურებოდა და ამიტომაც ქართველი ერის ისტორიაში მან ღირსეული ადგილი დაიკავა. ერთი სიტყვით, პროგრესული სახელმწიფო საქმიანობითა და ქვეყნის კულტურულ განვითარებაში უდიდესი წვლილის შეტანით ვახტანგმა კეშმარიტად გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის სახელი მოიპოვა და ქართველი ხალხის მარადიული პატივისცემა დაიმსახურა.

ვახტანგის მრავალმხრივი მოღვაწეობა გამოირჩევა იმითაც რომ იგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების არა მხოლოდ დიდი ორგანიზატორი, არამედ უშუალო პრაქტიკული მონაწილეც იყო. სახელმწიფოს მართვის სათავეში მდგომი ნიჭიერი მეცნ ამავე დროს იყო თავისი დროის გამოჩენილი შეცნიერიცა და პოეტიც.

სავსებით გასაგებია, რომ ვახტანგ მეექვსის ცხოვრება-პოლ-ვაწეობასთან დაკავშირებული პრობლემები და საკითხები ქარ-



თველოლოგის ყურადღების ცენტრში იმთავითვე დადგა. ეხებოდნენ ვახუშტი, დავითი, იოანე და თემიტრაზ ბაგრატიონები. თავის ნაშრომებში მათ შეეხო მარი ბროსეც. განსაკუთრებათ უნდა აღინიშნოს მ. ბროსეს ცნობილი პუბლიკაცია „Переписка грузинских царей с российскими государями“, გამოცემული პეტერბურგში 1861 წელს, რომელიც შეიცავს ვახტანგის მრავალ საინტერესო წერილს.

1872 წელს უურნაალ „მნათობის“ მექევსე და მეშვიდე ნომრებში დაიბეჭდა დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომი „საქართველოს მდგომარეობა შემდეგ დაყოფისა“. მუხრან-ბატონები ქართლის ტახტზე, ვახტანგ VI“, ხოლო 1887 წელს თბილისში გამოქვეყნდა მიხეილ ნასიძის ორმოცდათოთხმეტგვერდიანი ბროშურა „ვახტანგ მექევსე“.

ქართველოლოგის განვითარების შემდგომ ეტაპზე, რომელიც დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული, საქართველოს ისტორიის პრობლემების შესწავლის საქმე და მათ შორის ვახტანგ მექევსის მოღვაწეობის გაშუქება მნიშვნელოვნად წაიშია წინ. ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის და აკაკი შანიძის შრომებში მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტასთან ერთად დიდი მიღწევები იქნა მოპოვებული ვახტანგ მექევსის დროინდელი საქართველოს ისტორიისა და კულტურის განვითარების შესწავლაშიც.

საბჭოურ ხანაში, როდესაც ქართული მეცნიერების ყოველმხრივ განვითარებას ჰქონიათ სწორი მეთოდოლოგიური და მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეექმნა, ახალი მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული როგორც საერთოდ, ისე ქართველოლოგის განვითარებაშიც, მათ შორის ვახტანგ მექევსის დროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ისტორიის საკითხების გაშუქების საქმეშიც.

6. ბერძენიშვილის, ვ. დონდუას, დ. გვრიტიშვილის, კ. გრიგოლიას, ვ. გაბაშვილისა და სხვა მკვლევართა შრომებში ახალი თვალთახედვით ღრმად იქნა გაშუქებული ვახტანგ მექევსის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი საკითხები. შემდგომი ახალი მონაპოვარი ასახა საქართველოს ისტორიის ნარკვევების კოლექტიურ ნაშრომში.

ქართულ საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში დიდი შილწევები იქნა მოპოვებული როგორც საერთოდ ქართული ლიტერა-

ტურის ისტორიის შესწავლაში, ისე თვით ვახტანგ მეექვსის ლი-ტერატურული მემკვიდრეობის, მისი ბიოგრაფიის, პოეტური შე-მოქმედების, მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობის შესწავლა-გაშუქებაშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. კეპელიძის, ა. შანიძის, გ. ლეონიძის, ა. ბარამიძის, ე. მეტრეველის, ტ. რუხაძის, ლ. მენაბდის, ს. ცაიშვილის, მ. თოდუას, ა. გვახარიას, შ. ონიანისა და სხვა მკვლევართა შრომები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. შანიძის მიერ შესწავლილი, აღდგენილი და გამოქვეყნებული ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემა; ა. ბარამიძის მიერ ვახტანგ მეექვსის ლექსებისა და პოემების კრებულის გამოქვეყნება; ვახტანგის სამართლის წიგნის, დასტურლამალის, სხვა იურიდიული ძეგლების, მეცნიერული თუ ლიტერატურული შრომების პუბლიკაციები, რომელიც ი. დოლიძეს, ი. სურგულაძეს, თ. ენუქიძეს, მ. თოდუასა და სხვებს ეკუთვნით.

პირველი ქართული სტამბის ისტორია საფუძვლიანად შეისწავლა და მონოგრაფიულად გააშუქა ქ. შარაშიძემ.

ჩვენ შევისწავლეთ და გავაშუქეთ ვახტანგ მეექვსის დროინდელი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია.

ვახტანგ მეექვსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საერთო გაშუქებას 1966 წელს მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი მიუძღვნა ლ. მენაბდემ.

1975 წელს ჩვენმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ვახტანგ მეექვსის დაბადების 300 წლისთავი. იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ახალი ნაშრომებიც, ჩატარდა სამეცნიერო სესიები. გამოითქვა ახალი მოსაზრებები, სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა ახალი მასალები. სხვა ნაშრომებთან ერთად იუბილეს დღეებში გამოქვეყნდა ჩვენი პატარა, ორთაბახიანი, ბროშურაც.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მონოგრაფიას, რომელიც მიზნად ისახავს ვახტანგ მეექვსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთლიან გაშუქებას ახალი მასალების და არსებული ლიტერატურის საფუძველზე.



პახტანგის აღზრდა და სახელმწიფო მოღვაწეობა ჩამოყალიბება

ვახტანგი დაიბადა 1675 წლის 15 სექტემბერს. მაშამისი — ლევანი ვახტანგ V-ის ვაჟი იყო, დედა — თუთა, ქაიხოსრო გურიელის ასული. 1678 წ. სამი წლის ვახტანგს დედა გარდაეცვალა და 1680 წლიდან მას დედინაცვალი, თინათინ ავალიშვილი ზრდიდა.

თანამედროვეთა დახასიათებით ვახტანგის მამა იყო „...ბრძენი და სიბრძნის მოყუარე.. მდაბალი და ბოროტისა არა მომქსენებელი, მოწყალე, მშვიდი, ღრმად განმსინველი და მოუბარი“¹.

პირველი ცოლისაგან ლევანს სამი ვაჟი (ქაიხოსრო, ვახტანგი, დომენტი) და ქალიშვილი (ხვარამზე) ჰყავდა. მეორესთანაც სამი ვაჟი (იესე, სვიმონი და თემიურაზი) შეეძინა². გარდა ამისა, როგორც ეს წყაროებიდან ირკვევა, ლევანს კიდევ სხვა შვილებიც ჰყოლია (კონსტანტინე, ადარნასე, ხორეშანი, როსტომი)³. ერთი სიტყვით, ვახტანგი მრავალრიცხოვან და-ძმათა შორის იზრდებოდა.

¹ ვახტანგი ბიოგრაფია, ილტერა სამეცნია საქართველოს, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 479.

² იქვე, გვ. 461.

³ 1724 წელს რუსეთს მიმავალ ვახტანგ მეექვსის ამალის სასამი ირცხებოდნენ; „მეფის ძმა კოსტანტინე ლევანის შვილი“, „მეფის ძმა ადარნასე ლევანის შვილი“ და „მეფის ძმა ხორაშან ლევანის ქალი“ (იხ. გ. პაიკი ძ. ე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1960, გვ. 230). სენია ჩხერის ცნობით კი ლევანის შვილს როსტომს სხვადასხვა თანამდებობა ჰქოვა ირანის შაჰის ქარზე (იხ. სენია ჩხერი ძ. ე, ცხოვრება მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, ნ. II. საბ., 1854, გვ. 329).

სწავლა-განათლება და სამხედრო წვრთნა ვახტანგმა შემსწმებს, გიორგი XI-ის კარზე მიიღო. იმ დროს მიღებული წესის მიხედვით, ვახტანგს, როგორც ბატონიშვილს, ასწავლიდნენ სასულიერო და საერო ლიტერატურას, ისტორიას და სამხედრო ხელოვნებას. ბავშვის ხალასმა ნიჭია, დიდმა შრომისმოყვარეობამ და ცოდნის შეძენის მძლავრმა წადილმა იმთავითვე აღმზრდელების ყურადღება მიიქცია. მან საფუძვლიანად შეისწავლა ენები, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, გეოგრაფია, ასტრონომია...

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც ვახტანგის აღზრდის საქმეში გამოჩენილ ქართველ მწერალს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს სულხან-საბა ორბელიანს მიუძღვის. სულხანი ვახტანგს ბიძად⁴ ეკუთვნოდა, ხოლო ასაკობრივად ჩვიდმეტი წლით უფროსი იყო მასზე. გამზრდელმა საგანგებოდ შეიმუშავა უფლისწულის აღზრდის ზოგადი კონცეფცია, რომელიც თავის ორიგინალურ დიდაქტიკური ხასიათის ნაშრომში „სიბრძნე სიცრუისა“ ჩამოაყალიბა.

„სიბრძნე სიცრუისა“, როგორც ეს აღნიშნა აკად. ქ. კეკელიძემ, „.....დაუზოგავად ამხელს იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სენს, მეფესა და მის უკანასკნელ მოხელეს, საეროსა და სასულიეროს, მამაკაცსა და დედაკაცს. გაყიცხულია მასში სიძუნწე, ფარისევლობა, სიამაყე, ცბიერება, ანგარება, უმაღლერობა, მოტყუილება, სხვისი ყვლეფა, სარწმუნოებრივი პირმოთხოვა და იმდროინდელი ცხოვრების სხვა ამგვარი უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებით გამათრახებულია იგავ-არაკებში ულირსი მეფე, უვარვისი მსაჯული (ყადისა და სადრის სახით) და სამღვდელოება. ამავე დროს, ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით, ავტორი იძლევა მორალური დებულებების მთელ კოდექსს. მისი მთავარი მიზანია დაგვიხატოს ნამდვილი, ღირსეული მეფის იდეალი. ეს ტენდენცია თავს იჩინს თხზულების თავშივე, მის ქარგაში, სადაც ლეონი იცავს და ამართლებს მის აღმზრდელობითს სისტემას⁵.

სიყრმიდანვე ვახტანგი დაახლოებული იყო აგრეთვე თავის უფროს ბიძასთან — არჩილ II-სთან. იმ გამოჩენილმა ადამიანმა — პოეტმა, მოაზროვნებ და საზოგადო მოღვაწემ დიდი გავლენა მოახდინა ვახტანგის პიროვნების ფორმირებაზე.

⁴ ვახტანგის დიდება სულხანის მამადა იყო.

⁵ ქ. კეკელიძე, მეცნიერებლის მუზეუმის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 353.



ამრიგად, ვახტანგი მოწინავე ქართველ მოღვაწეთა გამოცემული რებული მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა და ენციკლოპედიური ცოდნა მიიღო, ხოლო საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა მდგომარეობამ, ცხადია, თავისი გავლენა იქთნია ნიჭიერი ჭაბუქის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბების პროცესზე.

ბავშვობიდანვე ვახტანგმა ლრმად შეიგრძნო სამშობლოს გასაჭირი, ის მძიმე საგარეო და საშინაო მდგომარეობა, რომელიც გვიდრო ურთიერთკავშირში იყო და ქვეყანას ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ იძლევდა, ხელს უშლიდა მის წინსვლის. უცხოელი დამპყრობლების ბატონობის სიმძიმემ, ხილვამ იმისა, რომ თბილისის, გორისა და სურამის ციხესიმაგრეებში ირანელების გარნიზონები იდგა, ხოლო ქართლისა და კახეთის მეფეები XVII საუკუნის შუაწლებიდან მოყოლებული იძულებით მაკადიანურ სარწმუნოებას დებულობდნენ, რადგანაც ირანის შაპები ამას უცილობელ პირობად ქმნიდნენ ქართველ მეფეთა დასამტკიცებლად, მეორე მხრივ კი ქვეყნის შიგნით გაცხარებულა შინაფეოდალურმა ბრძოლამ და თავადების სწრაფვამ განცალკევებისაჲენ იმთავითვე თავისი გავლენა იქონიეს ვახტანგის პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებაზე.

ცამეტი წლის ვახტანგი უკვი აქტიურად ჩაება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში: იგი გამოდის გიორგი XI-ის მომხრედ და იბრძვის ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ.

* გიორგი მეფე ქართლ-კახეთის გაერთიანებასა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ირანის ბატონობრისაგან განთავისუფლებას ნატრობდა. მან გაიჩინა ძლიერი მომხრეები კახეთში და იმერეთში, კავშირი დამყარა ჩერქეზთ ბატონებთან. ქართლის მეფის გავლენის ზრდა, ბუნებრივია, შიშის გრძნობას გვრიდა ირანის შაპეს. რეანი სულეიმანი (1666 — 1694) დარწმუნდა, რომ გიორგი XI კიდევ უფრო ნაკლებად აპირებდა ირანის მორჩილებას, ვიდრე მამამისი — ვახტანგ V, შაპენგაზად წოდებული. 1688 წელს ჟაჰ სულეიმანმა ერთგულების საწინდრად გიორგი მეფეს მოსთხოვა ირანში თავისი ძმის ლევანისა და შვილის ბაგრატის გაგზავნა. ამის საპასუხოდ ქართლის მეფე შეუდგა აჯანყების მომზადებას ირანის ბატონობის წინააღმდეგ. 2

ამბოხება კახეთში უნდა დაწყებულიყო, რის შემდეგ გიორგი XI ქართლ-კახეთის ჯარით განჯა-ყარაბალის დალაშვირას აპირებდა. გარდა ამისა, შან დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო შოშმე-



დება. რუსეთს გახიზნული თავისი უფროსი ძმა არჩილი საქართველოს
ფოდ იხმო იმერეთში კვლავ გასამეფებლად. მაგრამ აჯანყების
საქმე მეფეს ბიძამ, მეწინავე დროშის სარდალმა თამაზ ყაფლანი-
შვილმა (ორბელიანმა) ჩაშალა. თავისი ჯარით ის გიორგის გა-
დაუდგა და აჯანყების განხრახვის შესახებ შაპს შეატყობინა. გი-
ორგიმ მორჩილების ნიშნად მძევლები ირანში გააგზავნა, მაგრამ
შაპმა ქართლის ტახტიდან მისი გადაუყენება მოინდომა. გიორგი
XI-ის წინააღმდეგ შაპმა ნაცად ხერხს მიმართა: ქართლის თავა-
დები გადაიბირა და გიორგის ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვა
წარმომაღენელი დაუპირისპირა. თვით გიორგი შაპმა ირანში
დაიბარა, ხოლო ქართლის ტახტი უბოძა ერეკლეს, თეიმურაზ I-ის
შეილიშვილს, ^{თეიმურაზ} რომელიც რუსეთში აღიზარდა, 1675 წლიდან კი
ირანში იმყოფებოდა და მაპმაღანობა მიიღო, რის შემდეგაც მას
ნაზარალი-ხანი შეარქევს.)

(შაპის ბრძანებას გიორგი XI არ დაემორჩილა და შეებრძოლა
მას.)

(ვახტანგი მხარში ამოუდგა თავის ბიძას. გიორგისთან ერთად
იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და აქტიურად ჩაება
ბრძოლაში, რომელიც არჩილ II-მ და გიორგი XI-მ იმერეთის
ტახტზე არჩილის განსამტკიცებლად წარმართეს) ერთხანს, 1690
წელს, ვახტანგი ოსმალებთან მძევლადაც იმყოფებოდა.

გიორგისთან ერთად იმერეთში ყოფნა ვახტანგს რამდენიმე
წელიწადს მოუხდა. მან ხანში მან გარევეული კონტაქტები და ურ-
თიერთობა, დაამყარა ჩრდილოეთ კავკასიის მფლობელებთან.

(1691 წელს გიორგი ქართლში დაბრუნდა და იქ გასამეფებ-
ლად იბრძოდა.) ამჯერად ქართლის თავადები, რომელთაც არ მო-
ეწონათ ნაზარალიხანის მიერ დაწყებული ქართული წესების დამ-
შლელი პოლიტიკა, გიორგი მეფეს კვლავ ერთგულებაში ეფიცე-
ბოდნენ.

(გიორგი XI-სა და ერეკლე I-ს (ნაზარალი-ხანს) შორის ბრძო-
ლა ოთხ წელიწადს მიმდინარეობდა.) ამასობაში ქართლი სასტიკად
იჩდეოდა გაუთავებელი შინაომებისაგან. გლეხობა გარბოდა კა-
ხეთში, განსაუთორებით ქიზიყში, სადაც შედარებით უკეთესი
სოციალური და პოლიტიკური პირობები იყო.⁶

(ბრძოლის ამ პროცესში ვახტანგი დიდ დახმარებას უწევდა

⁶ იხ. ვახტანგ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 853.

⁷ 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ.,
1973. გვ. 282.



გიორგი მეფეს) თექვსმეტი წლის ჭაბუკში თავი გამოიჩინა კამის მეტებაში. ერთ საბრძოლო შეტაცებაში, როდესაც გიორგი მეფის ძევლი მტერი ქაიხოსრო ცაციშვილი (ზედმეტსახელად ლოპინა) მოულოდნელად თავს დაესხა ახალდაბაში მყოფ დედოფალს და მეფის ოჯახის სხვა წევრებს, ვახტანგმა სწრაფად შემოიკრიბა თავისიანები, შეუტია მოწინააღმდეგეს და უკუაქცია იგი⁸.

1692 წ. თბილისის მისადგომებთან ვახტანგი მონაწილეობდა ირანელთა გარნიზონის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. საოცარმა შემთხვევამ იგი სიკვდილს გადაარჩინა. მტრის მიერ ნასროლი ისარი ვახტანგს ააცდინა ხოხონა ხერხეულიძის მიერ მარჯველ ნახმარმა ფარმა⁹.

1692—1693 წლებში გიორგი XI-მ განიზრახა მოქმედება ტარკუს საშამხლოსთან შეთანხმებით, რადგანაც შამხალი მას დახმარებას პირდებოდა. საქმის მეტი სიმტკიცისათვის გიორგისა და შამხალს ერთმანეთისათვის მძევლები უნდა გაეცვალოთ¹⁰. ამ მიზნით გიორგის დავალებით დალესტანს ვახტანგი გაემგზავრა. მან გაიარა ხევი და გერგეტის მონასტერში გაჩერდა. თუ რას განიცდიდა და რა ფიქრებით იყო გართული ამ დროს თვრამეტი წლის ჭაბუკი, ნათლად ჩანს იმ ჩანაწერებიდან, რომელიც მან გერგეტის სამების „სულთა მატიანის“ წიგნში დატოვა: „ცე, ყოვლად ძლიერო ღმერთო, რომელმან.. აწ ქართლის მთავრად ჰქმენ გიორგი, ბრძანებითა შენითა, სძლეს სპარსთა და გარ[და]ვარდა. დაყო წელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი. სთხოვა სპარსთა და არ მოსცა და მე, ვახტანგ, გამაგზავნა ლექში: და მე, ბძანებითა [მისითა], შემოვიარე აქ და მივდიოდი, რათა შეგვეწიონ სპარსთა ზედა [ძა]ლი ამა სამებისა წმიდანი, და აწ, გავედრები, რათა წარმიმართო სავალი ჩემი“¹¹.

მაგრამ ხევიდან დალესტანს ვახტანგი აღარ გადასულა, ოდგანაც ცნობა მიიღო, რომ შაპის მიერ მოსყიდულმა შამხალმა გატეხა პირი¹², დაითანხმა ერთ-ერთი ჩერქეზ-ბაზონი სახელად ყილჩიყო, რომელმაც რუსეთს მიმავალი არჩილი გზაში შეიცყრო, მაგ-

⁸ ვახტანგ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 467.

⁹ იქვ, გვ. 471.

¹⁰ იქვ, გვ. 469.

¹¹ იხ. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 242.

¹² ვახტანგ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 469.



რამ ვერ შეძლო შაპისთვის მისი გადაცემა, რადგანაც არ გამოხდა მოახერხა საქართველოში დაბრუნება¹³.

შამხალის ღალატის გავებისთვის ვახტანგი ხევიდან ქართლ-ში წამოსულა და გაჩერდა გორში, სადაც მისი ძალა ქაოხისრო იმყოფებოდა¹⁴.

ფიორგი XI-ის მდგომარეობა მეტად გართულდა. ირანის შაჰი ერეკლე I-ს აქტიურად ეხმარებოდა) საშეელად მას ლაშქარი გამოუგზავნა ქალბალი-ხანის მეთაურობით. გიორგი საბრძოლ-ველად იწევდა, მაგრამ ძლიერმა ფეოდალებმა მას მხარი არ დაუჭირეს. გიორგიმ თავისი სახლეულით კვლავ იმერეთში წასვლა გადაწყვიტა.

(1695 წელს ოცი წლის ვახტანგის პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იმბავი მოხდა. მან იქორწინა ჩერქეზეთის ბატონის ასულზე რუსუდანზე, რომელიც გიორგი XI-ის ვაჟის, ბაგრატის შაცოლედ იყო მოყვანილი, მაგრამ რადგანაც ბაგრატი ირანში ვარდაიცვალა, რუსუდანი გიორგიმ თავის ერთგულ ძმისწულს მიათხვდა. ეს იქტი გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა. იგი მიზნად ისახავდა ჩერქეზებთან კავშირის განმტკიცებას.)

ქორწილი ხარაგოულში გადაიხადეს „არადიდებული“, როგორც ეს ხიზნობის პირობებს შეეფერებოდა¹⁵. თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავდნენ რუსუდანის სილამაზესა და სათხოებას. იგი ყოველმხრივ (დადებითი პიროვნება აღმოჩნდა და თავის მოლვაშე ქმარს ცხოვრებაში დიდ დახმარებას უწევდა) შემთხვევითი როდით, რომ ქართული წყაროები ამ ქალის სახელს დიდი პატივისცემით იხსენიებენ.

გიორგი XI-ის ბრძოლამ კიდევ ერთხელ ცხადყო თავადური საქართველოს სისუსტე. კერძოდ ის გარემოება, რომ ქვეყნის შინაგანი ძალების შემოკრებასა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას გარდუვალ ჯებირად მუდამ წინ ელობებოდა ქართველი ფეოდალების გააფთრებული წინააღმდეგობა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ირანისა და თურქეთის პოლიტიკა.

(გიორგი დარწმუნდა, რომ საკუთარი ძალებით იგი ქართლის ტახტს ვერ დაიბრუნებდა, ¹⁶ ამიტომ პოლიტიკის შეცვლა გადაწყვიტა, და ირანის (შაპისაღმი დამორჩილებისა და მასთან შერიგების

¹³ ვახუშტი ბაგრატინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 855—856.

¹⁴ იქვე, გვ. 469.

¹⁵ იქვე, გვ. 474.



გზა) დაადგა. ამასობაში მას ერევნის ხანის მოწოდებაც მოუცილებელი იყო ერევნის ხანის მოთავე თვით ირანის შაპი იყო. როდესაც გიორგიმ შერიგების მოთავე თვით ირანის შაპი იყო. როდესაც გიორგიმ შერიგების სურვილი გამოთქვა, შაპმა სასწრაფოდ მას თავისი მეტანდარი გამოუგზავნა, ერევნის ხანს კი თოფანჩი-აღასობა უბოძა¹⁶.

(ირანში გიორგი XI დიდი პატივისცემით მიიღეს ისფაპანში მას თავისი ძმები — ლევანი, ლუარსაბი, ძმისწული ქაიხოსრო და შრავალი ქართველი დიდებული დახვდა¹⁷.

გიორგის მიმართ შაპის ესოდენ „გულეკეთილი“ დამკიდებულება გარკვეული პოლიტიკური ინტერესებით იყო, ნავარნახევი. ისფაპანში გიორგის ჩასვლით შაპი, უპირველეს ყოვლისა, ტომ ავანენდული ქართველი მეფის დამორჩილებას ზემობდა, ხოლო მეორე მხრივ, იმას მიაღწია, რომ საქართველოს ფარგლებს მოაცილა ძლიერი პოლიტიკური მოღვაწე, რომლის გამოყენებას ამიერიდან საკუთრივ ირანის სახელმწიფოს სამსახურში ლამობდა.

ირანის მდგომარეობა იმ დროს უაღრესად გართულებული იყო,

ცეფიანთა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მდგარი მრავალი ტომისა და ხალხის ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენდა, XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. გლეხობისა და ქალაქის მშრომელი მასების უზომო ფეოდალური ექსპლუატაცია აფერხებდა საწარმოო ძალების განვითარებას. გაბატონებული კლასის წარმომადგენლები გადასახადთა გაზრდით ცდილობდნენ თავიანთი შემოსავლის შენარჩუნებას, რაც უფრო ასუსტებდა სოფლის მეურნეობას, ხელოსნობასა და ვაჭრობას. ირანში გამეფებული იყო კორუპცია, დად ფეოდალთა სხვადასხვა დაჯგუფებების ბრძოლა, სასახლის ინტრიგები, რამაც განსაკუთრებით შაპ სულთან-ჰუსეინის (1694 — 1722 წწ.) დროს განუსაზღვრელ მასშტაბებს მიაღწია. შაპი სათამაშო თოჯინად იქცა თავის სასახლის კარისკაცთა ხელში. ფაქტობრივად ისინი წარმართავდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. თანა-

¹⁶ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 474.

¹⁷ იქვე, გვ. 475.



მედროვეთა დახასიათებით, ჰუსეინს აბსოლუტურად არ გააჩნიათ სახელმწიფოს მართვის უნარი. ცნობილი რუსი სახელმწიფო შოლ-ვაწე არტემ ვოლინსკი, რომელიც 1716 — 1717 წლებში ირანში დესპანად იმყოფებოდა, შავ ჰუსეინის დახასიათებისას აღნიშნავდა: „ირანის სახელმწიფოს ამეაშად ისეთი მეთაური ჰყავს, რომ სინამდვილეში იგი თავისი ქვეშევრდომების ქვეშევრდომია და ვფიქრობ, რომ იშვიათად თუ მოიძებნება ამდაგვარი ბრიუზი ჩვეულებრივ აღამიანებში, მით უმეტეს გვირგვინოსნებს შორის“¹⁸.

ინგლისელი მოგზაურის ჭ. ჰანვეის დახასიათებით, „მეტის-მეტი სიზარმაცე და ქალებისა და ლვინის მიმართ უკიდურესი სისუსტე ჰუსეინს ართმევდა სახელმწიფოს მართვის უნარს. ამ მანქიერი თვისებების წყალობით იგი იყო შაპი მხოლოდ ნომინალურად. ამიტომ გასაგებია, რომ მისი სიამოვნების მფარველები წარმოადგენდნენ მის საყვარელ პიროვნებებსაც, ხოლო მისი მრჩეველი შედგებოდნენ ჰარამხანის უფროსი საჭურისებისაგან, რომელთა ხელშიც იყო ფაქტობრივად ხელისუფლება.

ირანის სახელმწიფოს მართვედა საჭურისებისაგან და დიდებულებისაგან შემდგარი საბჭო, რომელიც დაარსა შავ სულეიმანმა თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში. სულეიმანის არ დაკმაყოფილებულა იმით, რომ საბჭო მმართველობის უმაღლეს ორგანოდ აქცია და, სიკვდილის წინ, მას უფლება მისცა უფროს დიდებულებთან ერთად, მისი შვილებიდან ამოერჩია ლირსეული მემკვიდრე. ამიტომ, თავისი უფლებების წყალობით, საჭურისებმა ჰუსეინი მის ძმას — აბას-მირზას ამჯობინეს. ჰუსეინი, რომელსაც არ შესწევდა სახელმწიფოს მართვის უნარი, მოხარული იყო თავი გაეთავისუფლებინა ამ მძიმე ტვირთისაგან. ამრიგად, ეს უმაღლესი რწმუნებით აღჭურვილი საბჭო წარმოადგენდა ერთადერთ გამგებელს სახელმწიფოში. ყოველგვარი სახელმწიფო თანამდებობა ეძლეოდა მას, ვინც მისთვის უფრო მეტს გადაიხდიდა. ფული წყვეტდა ყველაფერს. რაც უფრო მეტი სიმდიდრე გროვდებოდა ამ ადამიანების ხელში, მით უფრო მეტად ეხსნებოდათ მაღა ზნედაცემულ მინისტრებს... ჯარში დაეცა დისციპლინა, ჯამაგირებს დიდი დაგვიანებით უხდიდნენ, ამიტომ ჯარი უხალისოდ მსახურობდა. ყაჩაღები დაძრწოდნენ ყველგან და აფერხებდნენ ვაჭრობას. მოხელეები უწყალოდ ყვლეფდნენ ხალხს. მართლმსაჯულება საჭაროდ ვაჭრობდა თვით დედაქალაქში.

¹⁸ ქველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ძაცა), ფ. 77, სპარსეთის საქმეები, 1715—1718 წწ., საქმე № 2, ფურც. 200.

მხოლოდ შაპი ჰუსეინი, რომელიც მთლიანად გაეტაციაზება
რამხანაში დროსტარებას, იყო ერთადერთი პიროვნება თაქშე-ჟუმარე
ხელმწიფოში, რომელმაც არაიცოდა რა ამ არეულობათა შესახებ¹⁹.

ერთი სიტყვით, დადგა უამი სეფიანთა დინასტიის დიდების
შინის ჩასვენებისა. ჸვეყანას აჯანყებების ცეცხლი მოედო. განსა-
კუთრებით ფართო ხასიათი მიიღო დაპყრობილ ხალხთა აჯანყე-
ბებმა,) რომლებიც ჩვეულებრივ შიიზმისაგან სუნიზმის დაცვის
იდეოლოგიური დროშის ქვეშ მიმდინარეობდა. სეფიანთა დინას-
ტიისათვის განსაკუთრებით დამღუცველი გამოდგა ავლანელთა
აჯანყება.

ცმბოხების ჩასახშობად და თავისი მდგომარეობის განსამტ-
კიცებლად შაპი ჰუსეინი ტრადიციისაშებრ ქრისტენთა ძალას იყე-
ნებრა. ირანში მყოფი გიორგი XI 1699 წ. შაპმა ქირმანის ბეგ-
ლარბეგად დანიშნავიათა მას დაემორჩილებინა ბელუქები, რო-
მელნიც თავს ესხმოდნენ ამ პროვინციას. სამაგიეროდ შაპი დაჭ-
პირდა გიორგის, რომ ქართლის ტახტს დაუბრუნებდა. გიორგიც
იძულებული გახდა დათანხმებოდა და შაპის სურვილი შეესრულე-
ბინა: „ხოლო რაემს აღდგნენ ბელუქ-აზარანი და ავღანნი, ესენი
შეკობრობით არბევდნენ ქირმანით იეზდამდე და რავდენგზის წა-
რავლინნა ყევნმან სპანი და სარდალნი, მარადის იგინი მდლე ექ-
მნებოდიან. ამისთვის იძულებდა ყევნი გიორგი მეფესა, რათა გა-
ნავოს საქმე ესე და მიანიჭოს კუალად ქართლი, და არა ინებებ-
და მეფე. არამედ ქართველნი, რომელნი იყვნენ მის თანა, ევილ-
რებოდნენ ყოფად აშისა. ამისთვის ინება მეფემან, მისცეს ქირმანი
და ნიჭნი დიდი“²⁰.

(გიორგის ძმამ ლევანმა ქირმანის ნაიბობა მიიღო. როგორც
ყოველთვის, ქართველებმა თავი ისახელეს ბრძოლებში) იმ დრო-
ის ისტორიკოსს სენია ჩხეიძეს, რომელიც ამ ბრძოლების მონა-
წილე იყო, აღწერილი აქვს ერთი საინტერესო ეპიზოდი²¹. მადლო-
ბის ნიშნად შაპმა გიორგის დიდალი საჩუქრები გამოუგზავნა,
ლევანს ირანის მსაჭულთუხუცესობა მისცავ ხოლო მის ძეს ქა-
ხისროს — ისფაპანის ტარულობა. გიორგიმ და ლევანმა დრო იხე-
ლოეს და იმერეთში თავშეფარებული, დევნილი ვახტანგისათვის

¹⁹ J. Hanway. An Historical Account of the Britisch Trade over the Caspian Sea, vol. II, Dublin, 1754, pp. 129—130.

²⁰ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 476.

²¹ ს ე ხ ნ ი ს ხ ე ი ძ ე, ცხოვრება მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, ნ. II,
სპბ., 1854, გვ. 314—319.



ქართლში დაბრუნებისა და საუფლისწულო მამულების დამტკიცებულების რების დასტურიც გამოითხოვეს. ერეკლე I-მა შაპის ბრძანება წამსვე შეასრულა და ვახტანგს ევდემოზ კათალიკოსი და სპასპეტი ლუარსაბი. მიუგზავნა. ეს ის დრო იყო, როდესაც ვახტანგს მოსკოვს თავშეფარებულ არჩილთან გაგზავნილი მოციქულები — ზალია ბაადურის ძე შანშიაშვილი და მამუკა შათირი დაუბრუნდნენ და რუსეთში ჩასვლის ნებართვა ჩამოუტანეს. ვახტანგმა იმერეთის დიდებულებთან ითაბირა და, ცხადია, ქართლში დაბრუნება გადაწყვიტა. 1701 წელს იგი თბილისში ჩამოვიდა²².

1702 წელს შაპმა გადაწყვიტა გიორგი XI-სათვის ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნება, რაღანაც დარწმუნდა, რომ მას საქართველოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. რის გამოც იგი რეალურ ძალას წარმოადგენდა. ამჯერად გიორგის ხელით შაპი ავლანელი ტომების დამორჩილებას ლამობდა, ამიტომ გიორგის ირანის სპასალარობა და ყანდაარის ბეგლარბეგობა უბოძა. ერეკლე I კი ქართლიდან გაიწვიეს. შაპმა მას კახეთი უწყალობა,) მაგრამ ირანში დატოვა, თავის ყულარალისად — სასახლის გვარდიის სარდლად დანიშნა, ხოლო კახეთის მმართველობა მის შვილს დავითს დაავალა.

ვამრიგად, სპასალის ბატონობის მოწინააღმდეგე და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გიორგი XI იძულებული შეიქნა ირანში შაპის სამსახურში ხმალი ექნია. ბელუხებისა და ავლანელების წინააღმდეგ ბრძოლაში მასთან ერთად ირანში მყოფი სხვა ქართველებიც ჩაებნენ და ქართული ლაშქარიც მონაწილეობდა.

წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის ხაზგასმული ქართული ჯარის მაღალი სამხედრო ოვისებები და, კერძოდ, ქართველების დამსახურება ირანის ტახტზე ამა თუ იმ კანდიდატის განმტკიცების საქმეში²³. მაგალითად, რუსმა დესპანმა ა. ვოლინსკიმ, რომელმაც 1716 — 1717 წლებში კარგად შეისწავ-

²² ვახტანგ შტო ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 478.

²³ იბ. ვახტანგ ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა გვ. 447—480; სენიორ ჩხერიძე, ცხოვრება მეფეთა; J. Hanway. An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea, vol. II, pp. 144—148; D. M. Lang. Georgia and the Fall of the Safavi Dynasty. «Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London», v. XIX, part. 3, 1953; ვ. ვაიკოძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბ., 1960, გვ. 79—80.

ლა ირანის მდგომარეობა, ქართველთა საბრძოლო თვისებები და მათი როლი ირანის სახელში იფოში შემდეგნაირად დაახტვირდეს:
„მთელ ირანში საუკეთესო სამხედრო ძალად ქართველთა ჯარი მიმართია. ქართველები ნამდვილი მეომრებია. მე გამიგია, რომ სა-ქართველოში ლაშქრის შეკრება 15 — 20 ათას კაცით შეიძლება. ირანში, როგორც წესი, სპასალარებად ქართველი პრინცები ინიშნებიან. ასევე მეტშილად ქართველებს ნიშნავენ ირანის ჯარში სხვადასხვა თანამდებობაზე. ადრე, ჯერ კიდევ დიდი შაპ-აბასის დროს და აგრეთვე ახლანდელი შაპის სხვა წინაპრების დროსაც, ირანელებს თურქებთან, ინდოელებთან და სხვა ხალხებთან ომებში ყველა გამარჯვება ძირითადად ქართველთა მეშვეობით აქვთ მოპოვებული. მე შემიძლია ნიძლავი დავდო, რომ თუ ქართველი პრინცები და მათი დიდებულები და აზნაურები ერთმანეთში შეთანხმებას მიაღწევენ; კეშმარიტად შეძლებენ არა მხოლოდ სპარსეთის უღლისაგან განთავისუფლებას, არამედ თვით სპარსეთის ტერიტორიების დაკავებასაც..

ირანელების კავალერია ქართველებს ვერასოდეს ვერ გაუმკლავდება, სამჯერაც რომ სჭარბობდეს რიცხობრივად, ხოლო თუ ჩვენ ქართველთა ჯარს 20 რეგულარულ ესკადრონს მივუმატებთ, ქართველებთან ერთად მთელს სპარსეთსაც ადვილად დავლაშქროთ“²⁴.

ყანდაარის პროვინციას მანამდეც ეროვნებით ქართველი ხანი — ორბელიანი განაგებდა. ავლანელების აჯანყების დასაცხრო-მად მან თავისი ძმისწული, გიორგი მეფის ყოფილი სპასპეტი თა-მაზ ყაფლანიშვილი (ორბელიანი) იხმო²⁵. მაგრამ აჯანყებულებმა შოკლეს თამაზი და გაწყვიტეს მისი ჯარი. ასეთ ვითარებაში შაპ-მა გორგი მეფეს მისი ძმა ლევანი მიუგზავნა, ქართლის ტახტი და ირანის სპასალარობა შესთავაზა, საზღლურად ყანდაარის საქ-მეების მოვარებას — ამ პროვინციის ბეგლარბეგობას თხოულობდა მისგან. გიორგიმ ჯერ უარის თქმა დაპირა, მაგრამ ირანს მყოფი ქართველების რჩევით თანხმობა განაცხადა. სამაგიეროდ შა-პისაგან მოითხოვა, რომ მის ნაცვლად ქართლის გამგებლობა ანუ ჯანიშიანობა — მეფის მოადგილობა, ვახტანგისათვის მიეცა, ხო-ლო ძმა ლევანი (ვახტანგის მამა) სასწრაფოდ ქართლში მიევლი-

²⁴ ძაცა, ფ. 77, სპარსეთის საქმეები, 1715—1718 წწ., საქმე № 2, ფურც. 609.

²⁵ ვ ხ ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 478; ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

ნა ორული საქმეების მოსაგვარებლად და მაშველი ქართველთა ჯარის შესაგროვებლად²⁶. შაპი, ცხადია, დათანხმდა. ლევანი ქართლში ჩამოვიდა და ცოტა ხნის შემდეგ ორი ათასი ქართველი შხედრით გიორგისთან ქირმანში დაბრუნდა.

1703 წელს ოცდარვა წლის ვახტანგი ენერგიულად შეუდგა ქართლის სამეფოს მართვას. თავისი დროის მაღალ იდეალებზე აღზრდილმა, ფართო ერუდიციისა და დიდი განათლების მქონემ მან მთელი თავისი ბრწყინვალე ინტელექტი და უდიდესი ენერგია საქართველოს უკეთეს მერმისზე ზრუნვას შეალია. [

K 182.3

²⁶ ვახტანგ ტი ბიგრაფიანი, დასახ. ნაშროვი, გვ. 479.

2. გ. პიჭიძე



ბრძოლა ქართლის სამეფოს სოციალურ-
ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადიობის
განხტივითებისათვის

ბუნებრივია, რომ, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგმა გადააყენა ერეკლე I-ს (ნაზარალი-ხანის) მომხრები და გააუქმა მის დროს დადგენილი წესები. ნაზარალი-ხანის მიერ დასჯილ თავადებს ვახტანგმა ყმა-მამული უკან დაუბრუნა, ხოლო სახელმწიფოს მართვის საქმეში თავისთვის სამეცნ პირები ჩააბა. ერთი სიტყვით, საქმე ნაზარალი-ხანის დროს „შეშლილი“ ქართული წესების აღდგენით დაიწყო. ამრიგად, ვახტანგი იმთავითვე ტროვნული პოლიტიკის მედროშედ გამოვიდა. ცხადია, ეს ეწინააღმდეგებოდა ირანის შაპის პროგრამას. მაგრამ რადგანაც ქართლის მეფე გორგი XI თავისი ჯარით ყანდაარში მრავალრიცხვან ავლანთა ტომებს აკავებდა, რითაც ფაქტობრივად ირანის შაპის ბედი წყდებოდა, ეს უკანასკნელი იძულებული იყო დათმობაზე ჭასულიყო და ქართლის „ჯანიშინისათვის“ კიდევაც მხარი დაეჭირა.

* ვახტანგი ოსტატურად იყენებდა ამ გარემოებას და მშობლიური ქვეყნის განვითარების დიდი პროგრამის განხორციელებას გეგმაზომერად შეუდგა.

მაჰმადიანთა ძალმომრეობის პირობებში ვახტანგს განსაკუთრებით ესაჭიროებოდა ქართული ეკლესიის გაძლიერება და სამღვდელოების მხარდაჭერა. ამ მიზნით 1705 წ. მან საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც ქართლის პატრიარქობიდან ევლემოზ დი-

სამიძე გადაყენა!, ხოლო მის ნაცვლად რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ვახტანგის ძმა დომენტი იირჩია². დომენტი განათლებული პიროვნება იყო და მეტად შეელოდა ვახტანგს სახელმწიფოს მართვის მოწესრიგებაში. 1707 წ. დომენტი კათალიკოსმა შავის ბრძანებით მცხეთის ეკლესიის მინატაცები ყმა-მამულები კა ფეოდალებს უკან დაბრუნებინა³.

ყოველივე ამის შემდეგ ვახტანგმა ენერგიულად გაშალა ბრძოლა ფეოდალური სეპარატიზმის წინააღმდეგ და მიზნად დაისახა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, რასაც იმ დროს უაღრესად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, ფეოდალური ანარქიისა და პარტიულარიზმის დაძლევაში სამეფო ხელისუფლება უაღრესად პროგრესულ ისტორიულ როლს ასრულებდა. ფეოდალურ სამყაროში, — წერს ფ. ენგელსი, — სამეფო ხელისუფლება უდავოდ პროგრესული ელემენტი იყო. იმ დროს არსებული საერთო უწესრიგობის ვითარებაში მხოლოდ სამეფო ხელისუფლება გამოდიოდა წესრიგის წარმომადგენლად⁴.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით ვახტანგი სოციალურ ურთიერთობათა მოწესრიგებას ესწრავეოდა. მას, როგორც თავისი დროის მოწინავე მოღვაწეს, კარგად ესმოდა, რომ ფეოდალთა კლასის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე მთლიანად დამოკიდებული იყო გლეხური მეურნეობის მდგომარეობაზე. გლეხი რომ მწარმოებელი საზოგადოების ძრითადი ძალა იყო, ეს შესანიშნავად იცოდა ვახტანგის წინამორბედა — არჩილ მეორემაც. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, არჩილის ცნობილი პოეტური ფრაზა — „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“⁵ — ნათლად მოწმობს პოეტი-მეფის შეხედულებას იმაზე, რომ ქვეყნის ძალა გლეხობაშია და რომ „გლეხთა გა-

¹ იხ. ბ. ლომინაძე, მასალები საქართველოს XVII—XVIII სს. ისტორიის ქრონიკოგიისათვის „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 72.

² ვახტანგი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქათოლიკ ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 481.

³ იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 283.

⁴ იხ. K. Marks და F. Engels, Сочинения, т. 21, М., 1931, с. 411.

⁵ არჩილიანი, ტ. II, თბ., 1937, გვ. 73.

მოსარჩევებამდე“ არჩილი მიიყვანა ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესში.

მაგრამ თუ არჩილს ძირითადად მხოლოდ მწერლობაში მოუხდა ამ აზრის გამოთქმა და ლმობიერება-წესრიგისაკენ ფეოდალების მოწოდება, ვახტანგმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა.

იმ დროს ქართველი გლეხის მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელი იყო. ჯერ ერთი, გლეხობა განიცდიდა ფეოდალების მხრიდან უმძიმეს კლასობრივ ჩავრას, ხოლო, მეორე მხრივ, გარეშე მტრების გაუთავებელი შემოსევებისა და შინაფეოდალური ომების პირობებში იგი ფიზიურად ნადგურდებოდა. მისი მეურნეობა კი პარტახდებოდა.

ხალხისათვის განსაკუთრებით დიდ სოციალურ უბედურებას წარმოადგენდა „ტყვის სყიდვა“ — საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა ყველაზე მახინჯი ფორმა. ფეოდალების სიხარბე და წინდაუხედაობა იქამდე მიღიოდა, რომ გლეხისაგან გაცილებით მეტს თხოულობდნენ, ვიდრე მას შეეძლო გადაეხადა და როცა მეტი ვერაფერი მიჰქონდათ, მაშინ თვით გლეხს ყიდდნენ მონად. ირან-ოსმალეთის ბატონობა კი ამ სენს განსაკუთრებით უწყობდა ხელს.

ყველივე ზემოალნიშნული გლეხს უსპობდა ინტენსიური მეურნეობის წარმოების სტიმულს, რაც ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითებას წწვევდა. თავის მძიმე მდგომარეობას გლეხები, ცხადია, ბრძოლით უპასუხებდნენ.

შუნებრივია რომ საქართველოშიც, ისვევ როგორც სხვა ფეოდალურ ქვეყნებში, კლასობრივი ბრძოლა მწვავე ხასიათს ატარებდა და მრავალნაირ ფორმებს ღებულობდა: მებატონისაგან გახიზვნა, გადასახადებზე უარის თქმა, საძულველ ფეოდალთა მკვლელობა, ტყვი გავარდნა, გლეხთა ადგილობრივი გამოსვლები, აჯანყებანი და სხვ. მაგრამ რაც შეეხება ფეოდალური ეპოქის კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმას — გლეხთა ომს, საქართველოს ისტორიაში ჩვენ მას ვერ ვხვდებით, რაღანაც ამის საშუალებას არ იძლეოდა ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და ეკონომიკური ცხოვრების კარჩავეტილობა. ამისთანავე გასათვალისწინებელია ის გარემობაც, რომ XIII — XVIII საუკუნეების მანძილზე საქართველოს ნორმალური განვითარებისათვის უაღრე-

* 6. ბ ე რ ჭ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის სკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 191.



სად არახელსაყრელმა საგარეო მდგომარეობამ თავის მხრივ კულტურული მოახდინა კლასობრივი ბრძოლის ხასიათსა და ფორმებზე.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ სიცოცხლისუნარიანი ხალხი, სანამ იგი შებორექილია უცხო დამპყრობლის მიერ, საჭიროებისამებრ მთელ თავის ძალ-ლონეს საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართავს და სანამ ხალხის საშინაო ცხოვრება პარალიზებულია, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური განთავისუფლება-სათვის. ირლანდია, მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფი რუსეთი და სხვ. ამის მკაფიო მაგალითს იძლევიანო — წერდა ფ. ენგელსი⁷.

ვახტანგს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, კარგად ესმოდა, რომ ფეოდალების ზომას გადასული თვითნებობა, განსაკუთრებით კი „ტუვის სყიდვა“ ქვეყნის მდგომარეობას ართულებდა, ალვივებდა კლასობრივ ბრძოლას, აიძულებდა გლეხობას აყრილიკ, რაც მთელი რაიონების გაპარტატებას იწვევდა. ამიტომაც იმავე გაბატონებული კლასის ინტერესებიდან გამომდინარე, ვახტანგმა სცადა მოეწესრიგებინა ურთიერთობა ფეოდალებსა და ყმა გლეხებს შორის. ამისთვის მან აკრძალა „ტუვის სყიდვა“, კანონით შეზღუდა ფეოდალთა თვითნებობა და განსაზღვრა მათი უფლებები გლეხობაზე.

როგორც აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, ბატონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულება, ყმის სამეურნეო და საოჯახო უფლებები, ბეითალმანობა და სხვა ასეთი საკითხები ვახტანგის მიერ მოწესრიგებულ იქნა კანონმდებლობით. ყველა ეს საკითხი ვახტანგმა, რა თქმა უნდა, მებატონეთა ინტერესების თანახმად გადაწყვიტა. მაგრამ ხსენებული საკითხების აღნუსხვა და დაკანონება მაინც ერთგვარ საზღვარს უდებდა მებატონეთა თვითნებობას და ამდენად დადგებითი საქმე იყო.

საბატონყმო ურთიერთობის განხილვისას ვახტანგი სახელმწიფო ინტერესებით ხელმძღვანელობდა. გლეხი ხომ მხოლოდ ბატონის ყმა არ იყო. ის ამავე დროს სახელმწიფოს მოლაშქრე და მებეგრეც იყო. ამიტომ გლეხის ბედით სახელმწიფო დაინტერესებული იყო და ყმისა და ბატონის ურთიერთობაში ერეოდა. რა თქმა უნდა, მებატონეების საზიანოდ ფეოდალური სახელმწიფო არა დააკანონებდა, მაგრამ საკუთარი ყმების მიმართ მებატონეთა უსაზღვრო თვითნებობის შეზღუდვას ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესები დაუინებით მოითხოვდნენ. ამიტომაც იყო, რომ

⁷ ი. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 18, М., 1961, с. 555.

ვახტანგის კანონებში კატეგორიულად იყო ნათქვამი: „უდების დადება (ე. ი. გლეხებისათვის ზეღმეტი გადასახადების დაჭირებულება) კაცის კვლის ოდენი არის“⁸. ამავე დროს კანონმდებელი აფრთხილებდა მებატონებებს: „...ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა...“⁹ კანონმდებელმა, აღნიშნავს ამ შემთხვევაში ნ. ბერძენიშვილი, კარგად იცოდა, თუ რა შედეგი მოჰყევა ბატონების მოძალადეობას, როდესაც ქართლის მწარმოებელი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა ქვეყანა და მეზობელ მხარეებში გაიხიზნა¹⁰.

ამიტომ ვახტანგმა საგანგებო ზომები მიიღო იმისათვის, რომ ქართლში დაებრუნებინა ის ყმა გლეხები, რომლებიც გაიხიზნენ ქახეთში ერეკლე I-ის მეფობის დროს. ამ მიზნით სპეციალური ღონისძიება, ე.წ. „მყრელობა“, ჩატარდა. ამ საქმეში ვახტანგმა სპარსეთის ხელისუფლებისგანაც მიიღო დახმარება. კახეთს გარდა, ქართლის სხვადასხვა კუთხეებიდანაც მოჰყავდათ თავიანთ ძველ მამულებზე გახიზნული გლეხები. „ახალ მოსულ კაცებს“ კი განსაკუთრებულ შეღვათებებს ანიჭებდნენ, ერთი წლის ვადით ითავისუფლებდნენ გადასახადებისაგან. მაგრამ მაინც ზოგან იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები წინააღმდეგობას უწევდნენ „მყრელებს“ და უკან არ ბრუნდებოდნენ. საერთო ჯამში კი „მყრელობა“ ეფექტურად ჩატარდა და დიდი მნიშვნელობა იქონია ქართლის ეკონომიკურ გაძლიერებაზე. როგორც ამას აღნიშნავს ვახტანგი ბაგრატიონი, „...ვახტანგ აღაშენა და განვსო ქართლი. რამეთუ რომელნი უამსა ერეკლე მეფისასა შთასრულ იყვნენ კახეთს ქართველნი, ამან ბრძანებითა ყენისათა გამოიყვანნა ყოველნი და დახსნა თვალთვა ადგილთა ზედა“¹¹.

ამ ღონისძიებათა წყალობით ვახტანგმა ჩაასახლა გლეხები დიდი ხნის წინ მიტოვებულ სოფლებში და ააღორძინა რაიონები: თრიალეთი, გუჯარეთი, ბაიდარი, ტაშირი, ქვიშეთი. თუმცა ისიც უნდა აღნიშნოს რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე უკაცრიელი ადგილების დასახლებას ეხებოდა, სამეფო ხელის-

⁸ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თანა ენუქიძემ, თბ., 1955, მუხლი 214, გვ. 104.

⁹ იქვე, მუხლი 201, გვ. 99.

¹⁰ იბ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ვ. VI, გვ. 285.

¹¹ ვახტანგ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 481—482.



უფლება გლეხობის დიდ წინააღმდეგობასაც აწყდებოდა ხოლო მაგალითად, როდესაც ვახტანგმა თრიალეთში სცადა ამ ღონიშვილის გვის გატარება, კარწახისა და უზნარიანის გლეხობას „მრავალი შფოთი და ცილება“ დაუწყიათ. აჯანყებულების დაშოშმინება ვერც მორიგებით და ვერც ძალით მოვხერხებიათ. „გლეხი კაცის თავედობა ვერ მოვშალეთ“—ო, წერდა ვახტანგი. საქმე იმით დამთავრდა, რომ კარწახისა და უზნარიანის გლეხობა სამეფო ვალდებულებისაგან გაუთავისუფლებიათ¹².

ვახტანგმა აგრეთვე საგანგებოდ იზრუნა მივიწყებული სარწყავი არხების ოლდგენასა და ახლის გაყვანაზე. მაგალითად, მისი ინიციატივით გაყვანილი იყო ყარაის არხი, აგრეთვე შოეწყო მთელი სისტემა ქციის, მაშვერის, ლისის, შოლას, სალთვისის სარწყავი არხებისა, რომელთა მეშვეობით დაიწყეს ურწყავი მინდვრების მორწყვა. ვახტანგის თანამედროვენი—ვახუშტი ბაგრატიონი, სეჩნია ჩხეიძე საგანგებოდ წერდნენ ამ ღონისძიებების დიდ მნიშვნელობაზე. სპეციალური ნორმები შეიმუშავეს სარწყავი რუებით სარგებლობის შესახებაც¹³. გასაგებია, თუ ქართლის სამეფოს ეკონომიკური გაძლიერებისათვის რამდენად მნიშვნელოვანი იყო საირიგაციო სამუშაოების გაშლა ასეთი მასშტაბით.

დიდი სამუშაოები ჩატარდა აგრეთვე გზების, ხიდების, ქარვასლების, სასახლეთა და ეკლესია-მონასტერთა ოლდგენა-აშენებისათვის.

იმ დროს თბილისში განსაკუთრებით დიდებული სასახლე აუგიათ. ვახტანგის თანამედროვე ისტორიკოსი სეჩნია ჩხეიძე საგანგებოდ წერდა, რომ ეს ნაგებობა იყო „სახლი პატიოსანი მიჟურიტნისა და ოქროსა ვარაყით შეთხენული“ (ე. ი. სარკითა და ოქროთი მოპირკეთებული), და რომ „ამის უმშვენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახაესო“¹⁴.

ვახუშტის ცნობით, „დარღვევასა მიხდილი“ თბილისის სიონი ვახტანგმა „განაახლა და აღშენა ძირიდამ გუმბათითურთ“, გარდა ამისა, განაახლა ნათლისმცემლის ეკლესია, ააგო თბილისში ორი ახალი ტაძარი, ჩატარა მცხეთის სვეტიცხოვლის რესტავრაცია, აღადგინა ნანგრევებიდან ურბნისის ეკლესია, განაახლა და შეამკო სადგერის ეკლესიაც. ვახტანგის დროს ოლდგენილი იყო არქიტექტურის კიდევ სხვა მრავალი ძეგლი.

¹² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 397.

¹³ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, მუხლი 170, გვ. 92.

¹⁴ სეჩნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა..., გვ. 323.

იმ დროს თბილისში გაიხსნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო
ხელმწიფო წარმოება — ზარაფხანა. აქ მოჭრილი მონეტები ქარ-
თული სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას
გამოხატავდნენ¹⁵.

სავაჭრო-სამიმოსვლო გზების მშენებლობამ დიდად შეუწყო
ხელი ქვეყნის ცალკეულ რაიონებს შორის სამეურნეო-ეკონომი-
კურ ურთიერთობათა განვითარებას. სამეფო ხელისუფლება თვეი-
სი საბაჟო პოლიტიკით მონაწილეობდა სავაჭრო მოვარდის. ამავე
დროს იგი მფარველობდა ადგილობრივ საქონელმწარმოვბლებს
და მათ უცხოური საქონლის კონკურენციისაგან იცავდა. სახელმ-
წიფო მფარველობას უწევდა მოქალაქეებს და ვაჭრებს¹⁶.

ვახტანგის ინიციატივითა და ქართული მონაწილეობით დამუ-
შავდა ორიგინალური ქართული ადმინისტრაციულ-სამეურნეო წეს-
დება „დასტურლამალი“¹⁷, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა
სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცებაზე.

აღსანიშნავია აგრეთვე მოსახლეობის აღწერისათვის მიღე-
ბული ლონისძიებები¹⁸, რაც დაკავშირებული იყო სამეფო ხელის-
უფლების ფისკალურ, ე. ი. სახაზინო საშემოსავლო, ფინანსურ
მიზნებთან¹⁹.

მტკიცე და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ვახტანგი რე-
აქციონერ თავადებთან, კუველასთან, ვინც ხელს უშლიდა მის პროგ-
რესულ გეგმებს მეფის ხელისუფლების გაძლიერებასა და ქვეყნის
ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებაში.
ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო „მცველთა ჯარის“ შექ-
მნა. იგი შედგებოდა ვახტანგის ერთგული თავადიშვილების, აზ-
ნაურებისა და მსახურებისაგან. მათ ჯარის სახელმწიფო ხაზი-
ნიდან ეძლეოდათ და გარკვეული პრივალეგიებიც პქონდათ.
„მცველთა ჯარი“ სამ გუნდად იყოფოდა. თითო გუნდს ისისთავი
სარდლობდა. ამ ჯარს მხოლოდ საშინაო დანიშნულება პქონდა.

¹⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 391.

¹⁶ იქვე, გვ. 391—392.

¹⁷ იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ვა-
მოკვლევები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.

¹⁸ იხ. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვერამეტე
საუკუნეში. ა) აღწერა მეტანაცე დროშისა საბარათაშვილოსა, სომხითისა, შედგა-
ნილი მეფის ვახტანგ VI ბრძანებით ვახუშტი ბატონშვილის და გიგი თუმანიშვი-
ლის შეკრუნები. ბ) აღწერა მეტანაცე დროშისა საბარათაშვილოსა, სომხითისა, შედგა-

¹⁹ იხ. ივ. გ. ა გ. ხ ი შ დ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. 1, თბ.,
1930, გვ. 10.

იგი განუყრელად ახლდა ვახტანგს. სამეფო ხელისუფლება თავის მიმების მიმართავდა ლიკვიდაცია წინააღმდეგებს სხვადასხვა სახის მკარი ზომებით სჭიდა.

ფეოდალური საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის მიერ შედგენილ სამართლის კრებულს²⁰. როგორც იღნიშნავდა ი. ჯავახიშვილი, „მე-XVI — XVII-ე საუკუნეების საქართველო ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო, რომ სასამართლოს სწორე მოქმედება არ შეეძლო, მართლმსაჭულება შელაცული ყოფილა: „ცვალებითა დღეთა და ვითარებითა უამთათა თვითსიბძნით და თავით თვისით სჭიდნენ და განაგებდნენ“-ო, ამბობს მეფე ვახტანგი, „ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღუთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთათა, ვითარცა ენებათ ეგრეთ ჰსჯიდნენ“-ო ...დაცემული მართლმსაჭულების აღდგენისათვის ვახტანგ VI-მ თავდაპირველად შეკრიბა ქართული ძველი სასამართლოს წიგნები „ქათალიკოზისა და მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები“, ზედ დაურთო „დაბადებისა მოსეს მიერ ქმნილი სამართალია და კუალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდოთარგმნული“. ამ შრომის შემდეგ მან დიღებული სამღვდელოებისა და მოხელეების თანადასწრებით და „დაბაზის ერთა, ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა“ თანამშრომლობით ახალი წიგნი შეადგინა²¹.

ამრიგად, ვიდრე საკუთარ სამართლის წიგნს შექმნიდა, ვახტანგმა შეაგროვა და საფუძვლიანად შეისწავლა ძველი ქართული და უცხოური (ებრაული, ბერძნული, სომხური) სამართლის წიგნები. მან ერთ კრებულად შეპრია ისინი და შემდეგ თავისი სამართალი დაურთო. ვახტანგის სამართლის წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად მხოლოდ ქართლის სამეფოსათვის იყო შედგენილი, პრაქტიკულად მთელ საქართველოში იქნა მიღებული და დიდი სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა. ამდენად იგი ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვან ძეგლად

²⁰ ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერების შესწავლისა და გამოცემის თვალსაზრისით აღსანიშნავია თ. ენუქიძის და ი. ღოლიძის პუბლიკაციები: თ. ენუქიძის —ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, თბ., 1955; ი. ღოლიძის —ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963.

²¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია; წიგნი პირველი, ტფლისი, 1928, გვ. 117—118.



იქცა, ხოლო მისი შემჯმნელი — ვახტანგ VI სამართლის ნორმები დიდ თეორეტიკოსად და პრაქტიკოსადაც მოევლინა საქართველოს ისტორიას. ამიტომაც მან „რჯულ-მდებლის“ სახელი სავსებით სამართლიანად დაიმკვიდრა.

XIX საუკუნიდან დაწყებული ვახტანგის სამართლის წიგნ-ევროპელი, რუსი და, ცხადია, ქართველი მეცნიერების სპეციალური შესწავლის საგანი გახდა. მის შესახებ გამოითვა არაერთი საინტერესო მოსაზრება. ი. დოლიძეს ძირითადად განხილული აქვს ვახტანგის სამართლის წიგნის შესწავლის ისტორია²². ბუნებრივია, რომ მეცნიერთა ინტერესი იმთავითვე მოითხოვდა აღნიშნული ძეგლის თარგმნას ევროპულ და რუსულ ენებზე. ამ ძეგლის შიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა რუსულმა იურიდიულმა მეცნიერებამ, რომელმაც ვახტანგის სამართლის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

1828 წელს პირველად განხორციელდა ვახტანგის კანონების რუსული თარგმანი მირიან ბატონიშვილისა და რუსი გენერლების რტიშევის, ველიამინოვისა და ერმოლოვის მიერ. 1887 წელს ეს თარგმანი მეორედ გამოიცა ა. ფრენკელის მიერ დიმიტრი ბაქრაძის რედაქტორობით. რუსული სამართლის სპეციალისტმა დ. ბლუდოვმა (1785 — 1864), რომელიც ვახტანგის კანონების პირველ გამოცემას გაეცნო, აღნიშნა, რომ „არ შეიძლება ამ კანონებში არ ვსცნოთ ერთგვარი ლირსშესანიშნავი წინდახედულობა, განსაკუთრებული სიცხადე დებულებათა გადმოცემისა, რომელიც, როგორ ჩანს, სავსებით შეესატყვისებოდნენ საზოგადოების მაშინდელ მოთხოვნებს“²³. ვახტანგის კანონების რუსულ ენაზე მეორე გამოცემებმა, ცნობილმა რუსმა იურისტმა ა. ფრენკელმა შენიშნა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში შედგენილი ვახტანგის სამართლის წიგნი გაცილებით უფრო ჰუმანური იყო, ვიდრე იმდროინდელ ევროპის სახელმწიფოთა სამართლის ნორმები²⁴.

ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერება დღეს აღიარებს, რომ ვახტანგის კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელო-

²² იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნითა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 637—669.

²³ ციტირებულია ქ. შარაშიძის წიგნის „პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722)“, თბ., 1955, მიხედვით, გვ. 20.

²⁴ იხ. Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, изд. А. С. Френкеля, под редакцией Д. З. Бакрадзе, Тифлис, 1887, с. 11.

ზის ერთი მხარე ის არის, რომ „იგი წარმოადგენს საქრისტიანო მსოფლიოს სჯულმდებლობის საყოველთაოდ ცნობილი ძეგლებს მთავრული თავისებურ კორპუსს, რომელიც მოსეს სჯულის, სირიულ-რომაული, ბიზანტიური და სომხური სამართლის უმნიშვნელოვანეს დაგვენილებებს შეიცავს“ და ნიშანდობლივი ისაა, რომ „ამგვარი კრებული არცერთი ხალხის სამართლის ისტორიაში ცნობილი არ არის“.

სამართლის შედარებითი ისტორიის თვალსაზრისით კი უფრო მნიშვნელოვნად ითვლება კრებულის ის ნაწილი, რომელიც ქართული სამართლის ორიგინალურ ძეგლებს წარმოადგენს. პირველ რიგში ბეჭასა და აღმულას სამართლი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა თვით ვახტანგის სამართლის წიგნზე. ხოლო კრებულის უკანასკნელი ნაწილი, ე. ი. საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი — „ქართული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლია, რადგანაც, იგი წარმოადგენს მთავარსა და უნიკალურ წყაროს გვიანდეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების ისტორიის შესასწავლად“²⁵.

ი. დოლიძის მართებული დასკვნით, „ვახტანგის სამართლის წიგნის შესწავლისას, ყურადღებას იძყრობს ის გარემოება, რომ ჩვენი სამართლისათვის უცხოა ბრალდებულის ტანჯვა-წამებით გამოტეხის ის საშინელი ხერხები (.ძვლების დამტვრევა, ფეხით დაკიდება, ხელ-ფეხის შანთით დაწვა და სხვ.), აგრეთვე მსჯავრდებულის სიკვდილით დასჯის შემაძრწუნებელი და შემზარავი სახეები (ანძაზე აცმა, ცეცხლში ან მდუღობეში ჩაგდება, ხელ-ფეხისა და თავის მოჭრა, ბორბალზე დაგლეჭა, ცოცხლად დამარხვა, გამღნარი ლითონის ყელში ჩასხმა, ნეკნით ჩამოკიდება და სხვ.), რომლებიც გათვალისწინებულია ; იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის საკანონმდებლო ძეგლებით. ამ მხრივ ვახტანგის სამართალი გაცილებით უფრო პროგრესული, ლმობიერი და ჰუმანურია, ვიდრე სხვა საქრისტიანო ქვეყნების მისი თანამედროვე სჯულმდებლობა“²⁶.

ამრიგად, ვახტანგის სამართლის წიგნი შეიცავს მდიდარ მასალას XVII — XVIII სს. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილებისა და სამეცნიერო ცხოვრების შესახებ.

★ ვახტანგის პოლიტიკურ მრწამსს წარმოადგენდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში, ცხადია, მე-

²⁵ იხ. ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუტოვ ი. დოლიძემ, ტ. I, გვ. 676—677.

²⁶ იქვე, გვ. 678.



ფე ეყოლებოდა. თავისი სამართლის წიგნის შესავალსა და სხვადას-
ხვა შრომებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებში მას არაერთგზის მუსიკური
მოუთქვამს საინტერესო შეხედულებები შეფის ხელისუფლების
რაობისა და მისი ძლიერების საფუძვლების შესახებ²⁷. მაგალითად,
ვახტანგი აღნიშნავდა: „საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად
ამაღლებულნი და ნებისაებრ თვისისად ბრძანებულან, და ბევრ-
ჯელ უამთა და დროთა ცვალებით ისრე დამდაბლებულან, რომე
ოდენ სახელი მეფე რქმევია, თორემე მართებული არა უქნევინე-
ბიათ რა, როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და
ურიგებიათ. ამისი მომსწრები თვითონ მეცა ვარ, და სხვანი, მრა-
ვალნი ხნით ჩემსა უფროსნი არიან და ისინიც ამგვარ დროს ბევრს
შეესწრებოდნენ.

აშ ამისთვის ვიწყოთ. თუ მეფეს მეფობა შეეძლოს — ქნას;
თუ არა, — სახელი და საუკუნო უნდოდეს, შეუძლებლად მეფო-
ბას უქნელობა სჭიბს და კელის აღება²⁸.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მრავალმხრიერი, და-
ულალავი საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის, სახელმწიფო მარ-
თვის აპარატზე პირადი გავლენის გაზრდის მიზნით და დროის
მაქსიმალურად გამოყენებისათვის ვახტანგს შემუშავებული ჰქონ-
და გარკვეული რეუიმი, რომელიც ინტენსიურ საქმიანობასთან ერ-
თად საჭირო და სასარგებლო დასვენებასაც ითვალისწინებდა. ეს
კარგად ჩანს ვახტანგის თანამედროვე ისტორიკოსის სენია ჩხეი-
ძის შემდეგი სიტყვებიდან: „ამა დროთა შინა განაგებდა გამგებე-
ლი საქართველოსი, ზნე სრული და მხნე ძლიერი, განიშინად
თქმული, მაგრამ მეფედ წოდებული, ბატონიშვილი ვახტანგ, იყო
განსვენებასა და სიხარულსა შიგა და განაგო საქმე საქართველო-
სი, განაჩინა წიგნი სამართლისა, ოთხშაბათსა და პარასკევსა დაწ-
დის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დი-
დებულთა თანა, კვირესსა და სამშაბათსა განაგებდა მეჭლის[ს]ა.
ნახევრის ლხინსა, გასცემდის უშურველსა საბოძვარსა და როიცა
სამართლისა და ლხინისაგან მოიცალის, ინაღირის და გვიდის-
მოედანსა, აბურთის და ესროდენ ყაბახთა: იყო ამა განცხრომასა
შიგან²⁹.

²⁷ დ. გვრიტიშვილი, ნაჩრევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III,
თბ., 1968, გვ. 74—86.

²⁸ გახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 47—48.

²⁹ სენია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

სამრიგად ვახტანგს ლრმად ჰქონდა გააზრებული და საფრთხეში გამოიწვია ლიანად შემუშავებული დიდი პროგრამა, რომელიც გონივრულად ემსახურებოდა ფეოდალური საქართველოს წინსვლის და ობიექტურად ხელს უწყობდა ქვეყნის საქართო ძალების განვითარებას, ამდენად ვახტანგის მოღვაწეობაც პროგრესულ ხასიათს ატარებდა.

ზემოხსენებული ზომების შედეგად ქართლი საგრძნობლად დაწინაურდა და როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ისე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების დონით წინ უსწრებდა საქართველოს კუელა სხვა ნაწილს.

ქართლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ვახტანგმა მეფის ხელისუფლების განმტკიცებასაც მიაწია. როგორც ეს ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, ვახტანგი მოხერხებულად სარგებლობდა ირანის შაპის კრიტიკული მდგომარეობით და ეროვნულ პოლიტიკას ასტატურად ახორციელებდა. მაგალითად, ვახტანგმა აიძულა შაპი სულთან-ჰუსეინი, რომელსაც ქართველების დახმარება ესაჭიროებოდა, დაესაჭა თბილისში მყოფი ყიზილბაშთა გარნიზონი ვახტანგისათვის წინააღმდეგობის გაწევის გმო, რის შედეგადაც ვახტანგმა ტყვის სყიდვის ალაგმეს მიაწია და შაპის კარზე ქართველი ჭაბუკებისა და ქალიშვილების გაგზავნაც შეწყვიტა. ეს დიდი გამარჯვება იყო. ვახუშტი ბაგრატიონი ამის შესახებ წერდა: „არამედ ვინათვან და-ამდიბლნა (ვახტანგმა — გ. პ.) მცელნი ტფილისისანი თათარნი, განდგნენ და დაკშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოლზარბაზნითა. ესე აცნობა ყევნს ვახტანგ, განრისხნა ყევნი, წარმოავლინა მტარვალი, მოვიდა და კელხუნდოსანნა მოართუნა ყოველნი ვახტანგს: მერმე წარიყვანეს ისპაანს და პატიმარ ჰყვნეს ალამუტის ციხესა შინა.

ამისთვის არღარა იყო ტყვე-ყიდვა. კუალად ნაზარ-ალიხან, ვითარცა როსტომ მეფე, მრავალგზის წარუვლინებდა ყევნსა ტყუეთა, არმედ ვახტანგ, უკეთუ არა მოითხოვდა ყევნი, არ წარუვლენდა, მასცა უმეტეს მოსყიდულთა“³⁰.

1709 წ. აპრილში აელანელებთან ბრძოლაში დაიღუპა გიორგი XI. ავლანელთა ტომის ბელადმა შირ-ვეისმა სანადიმოდ მიიწ-

³⁰ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., ვე. 486.

ვია ყანდაარის ბეგლარბეგი და ვერაგულად დაესხა თავს. მუშად მოკლეს ეს შესანიშნავი მეომარი³¹.

იმავე წლის მაისში ირანში გარდაიცვალა ვახტანგის მამა — ლევანი. ქართლის მეფედ შაპმა ქაიხოსრო ლევანის ძე დანიშნა და მას ირანის სპასალარობა, თავრიზისა და ბარდას გამგებლობა უბოდა. შაპმა ქაიხოსროს ძმებიც დააწინაურა: იასე ქირმანის ბეგლარბეგად, ხოლო როსტომი ისფაპანის მოურავად დანიშნა. ვახტანგი კვლავ ქართლის სამეფოს გამგებელი იყო. ირანში მყოფ ქაიხოსროს მან 1500 ქართველი მხედარი გაუგზავნა³².

1711 წ. ოქტომბერში ბრძოლის ველზე ქაიხოსროც დაიღუპა. ქართლის მეფედ შაპმა ვახტანგის დანიშნა გადაწყვიტა, რისთვისაც იგი ისფაპანში უნდა ჩასულიყო. ირანს გამგზავრებამდე ვახტანგმა ნათესაური კავშირები განამტკიცა კახეთსა და იმერეთში: თავისა ასული თამარი ერეკლე I-ის ძეს თეიმურაზს მიათხოვა (1720 წელს მათ შეეძინათ ვაჟი, შემდგომ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ერეკლე II³³), ხოლო მეორე ქალიშვილი, ანუკა — იმერეთის თავადს ვახუშტი აბაშიძეს³⁴. იგი 1711 წ. ქორწინებამდე იმერეთიდან ქართლს გადმოვიდა, ვახტანგს ეყმო და მისგან მიიღო უძეოდ გადაგებული პაატა აბაშიძის მამული (ქვიშხეთი, ტაშისკარი, ციხისძირი, მონასტერი და სხვ.). ამასთან ერთად ვახუშტის მამულიც — იმერეთის სოფელი ვახანი ციხით — ქართლის სამეფოს ფარგლებში შევიდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალო და ლეკ მოთარეშეთაგან ქართლის დასავლეთი საზღვრების დასაცავად, რადგანაც ვახანზე ახალციხიდან ქართლისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა გადიოდა³⁵.

1712 წ. 23 აპრილს³⁶ 300 კაცის თანხლებით³⁷ ვახტანგი, ისფაპანის გაემგზავრა, ქართლის გამგებლად ძმა სვიმონი დატოვა,

³¹ იბ. სენია ჩეკიდე, დასახ. ნაშრ., გვ. 324—325; T. Krušinski, Tragica vertentis belli persici historia, Leopoli, 1740; J. Hanway, An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea, vol., II, pp. 129—13.

³² ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 486.

³³ ა. როგავა, ერეკლე მეორის დაბადების თარიღი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნ. 29, თბ., 1951, გვ. 51—56.

³⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 491; თ. უორდანი, ქრონიკები, III, თბ., 1967, გვ. 42.

³⁵ იბ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975, გ. 19.

³⁶ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 491.

³⁷ თ. უორდანი, ქრონიკები, III, გვ. 43.



თავისი ოჯახის წევრები კი გორს დაბინავა. ვახტანგის თან გაჰყუფავნული სულხან-საბა ორბელიანიც. 1712 წ. 4 ივლისს ვახტანგი ისფაპინს ჩავიდა.

ამჯერად ვახტანგმა სცადა შაპის რთული მდგომარეობა გამოყენებინა და ბოლო მოელო ირანის მიერ თავსმოხვეული კიდევ ერთი პირობისათვის — ქართლის მეფის მიერ მაპმაღიანობის მიღების აუცილებლობისათვის.

გასაგებია, რომ ვახტანგის მიერ სარწმუნოების შეუცვლელად ტახტის მიღება ქართველი პოლიტიკოსებისათვის დიდი გამარჯვება იქნებოდა. საქმე ხომ მხოლოდ სარწმუნოებრივ აღმსარებლობას არ ეხებოდა, არამედ პოლიტიკური მიმართულების საკითხს უკავშირდებოდა. ქართველი მეფის მიერ მაპმაღიანობის მიღება ხომ შაპის სამსახურში ჩადგომას და ირანელთა საქმის კეთებას ნიშნავდა, ხოლო ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნება ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის გამარჯვების მომასწავებელი იქნებოდა.

შაპ სულთან-ჰუსეინს უჭირდა და ვახტანგი იძღენად ესაჭიროებოდა ამიერკავკასიაში ირანის ზეგავლენის განსამტკიცებლად და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის მოთავედ, რომ კიდევაც დათანხმდა ქართლში ვახტანგის გამეფებაზე რჯულის შეუცვლელად. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ვახტანგი „...მისრული წინაშე ყენისა პატივცემულ იქმნა დიდითა პატივითა ყენისაგან და შეუყარებული ფრიად ყენისაგან სიკეთისა მისისათვს, და უთქმიდა მაპმაღიანობასა და უქადებდა ნეჭსა დიდსა და მსწრაფლ გამოტევბასა. არამედ მან (ვახტანგმა — გ. პ.) არა თავს იდვა, მეტყუელმან: „მე მოვედ, რათა არა დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მაპმაღიანნი და რომელი გნებავს წარავლინე და მე ვეგო წინაშე შენსა“. მაშინ ინება ყენისან წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითავე თვესითა“³⁸. მაგრამ შაპს წინ აღუდგნენ კარისკაცები. ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ შაპს თავის განზრახვაზე ხელი აეღო. ამ გარემოებამ აამოქმედა ვახტანგის შტრები საქართველოშიც. მის წინააღმდეგ, პირველ რიგში, გამოვიდა ძმა იესე, რომელიც თვით ვახტანგისავი დახასიათებით „მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაქი“³⁹ იყო.

³⁸ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 491-492.

³⁹ მ. თამარაშვილი, ისტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილის, 1902, გვ. 317.

იუსეს, როგორც თოფჩიბაშის, თბილისის ციხის ყიზიძმაში
გარნიზონში დიდი გავლენა ჰქონდა. მისი წაქეზებით თბილისის
ყიზილბაშმა მეციხოვნეებმა ვახტანგს ცილი დასწამეს — ყურანის
დაწვა და ირანის საწინააღმდეგო ქმედობა დააბრალეს.

ვითარების გასარკვევად საქართველოში შაპმა თავისი წარმო-
მადგენელი, ვინმე ხოლოფა გამოგზავნა. მას უნდა შეესწავლა ო-
ალურ ძალთა მდგომარეობა, რომ ამით შაპს საშუალება ჰქონდა
ქართლის მეფედ მეტი გავლენის მქონე პირი დაენიშნა. ამავე
დროს ხოლოფას საიდუმლოდ მიეცა უფლება, თუ ხელშემწყობი
პირობები გაუჩნდებოდა, თვითონ „დაპყრო ქართლი“, ადგილობ-
რივი გამგე სვიმონი კი ირანში „წარევლინა“⁴⁰.

ვახუშტის ცნობით, სვიმონი დაუკავშირდა ვახტანგის მიმართ
მტრულად განწყობილ არაგვისა და ქსნის ერისთავებს. მათ ხოლო-
უსათან საერთო ენა გამოიძენეს და ვახტანგის დამხობა განიზრა-
ხეს. არაგვისა და ქსნის ერისთავების მტრობა ვახტანგის მიმართ
დაწყებულა იმ დროიდან. როდესაც ვახტანგმა ოსეთი დაიპყრო
(1711 წ.) და ამით ზურგში მოექცა მათ, ხოლო შცველთა ჯარის
დაწესებამ მათ საერთოდ მოსვენება დააკარგვინა.

სვიმონი დაემოყვრა გიორგი ერისთავს და ვახტანგის მო-
წინააღმდეგეთა ბანაში ამოჰყო თავი. „მოსრულის ხოლოფას თა-
ნა შეიზრახნენ სემონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის ბოროტ-
სა ზედა, რამეთუ, რაფაშ დაიპყრა ვახტანგ ოსეთი და განიწყო
მცველნი თვსნი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერის-
თავთა მამულთა მათთა დაპყრობისა, ამისთვის მიუწერეს ყენსა:
არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იქს“⁴¹.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაება დომენტი
კათალიკოსიც. როგორც ჩანს, მისი ინიციატივით მოწვეული იყო
საეკლესიო კრება, რომელმაც ვახტანგს ნება დართო მიეღო მაპ-
მადიანობა ქვეყნის ინტერესებისათვის, ხოლოფა კი გაკიცხულ
იქნა. ვახუშტის მოწმობით, „ეპა, უცხო, რამეთუ ქრისტესთვის
იძულებულისა ვახტანგისათვს ნება-მოწმობა სცეს კათალიკოზმან,
ეპისკოპოსთა და სამლუდელოთაშან. ხოლო ამისა მყოფელთა გან-
კიცხეს ხოლოფა და წარივლტოდა ისპანსავე“⁴²

⁴⁰ იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 492.

⁴¹ იქვე, გვ. 491—492.

⁴² იქვე, გვ. 493.

კათალიკოსის მხრივ ასეთი ნაბიჯის გადადგმამ იმდროინდებოდა საზოგადოებაში დიდი გაყვირვება გამოიწვია. ეს საქციელი თვით ვახუშტისავე სიტყვებით „ეპაუცხო“ იყო.

ჩვენ ვიცით, რომ ქართული ქრისტიანული ეკლესია ქართველ მეფეთა იძულებით გამაპმიანებას ურიგდებოდა, თუმცა ოფიციალურად ამ საკითხზე არაფერს ამბობდა, რადგანაც ფორმალურად ეკლესის მიერ დასტურის მიცემა თვით ქრისტიანობის უარყოფად ჩაითვლებოდა. ამიტომაც კათალიკოს დომენტის საქციელიც ქრისტიანულ საზოგადოებაში ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, კათალიკოსის ამ მოქმედებაში კათოლიკე მისიონერებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა და ანეგდოტების შეთხვაც კი გამოიწვია. მაგალითად, ისფაპანში კათოლიკური მისიის მეთაურს, ცნობილ პოლონელ ივტორს კრუშინსკის⁴³ დაუწერია, რომ თითქოს 1709 წ. კათალიკოს დომენტის, მონაზონ კაცს გაუმულავნებია სურვილი ცოლის შერთვისა და მაპმადიანობაში გადასვლისა გამჟღების მიზნით, რის გამოც ზამაბისმა ლევანმა მას ფეხისგულზე ჭოხის ცემა მიუსაჭა და ასე ამოაღებინა გულიდან ეს წადილი⁴⁴. კრუშინსკის ეს სიტყვები შემდგომ ინგლისელმა ავტორმა პანცეიმაც გაიმეორა⁴⁵.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამდაგვარ ფაქტს არც ერთი ქართული წყარო არ ადასტურებს. ამიტომაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში⁴⁶ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს კათალიკოს დომენტის რაღაც მსგავსი ნაბიჯი გადაუღვეს, შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ყველაზე სანდო წყაროდ ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი ითვლება, იქ კი დომენტის მხრივ რაიმე მსგავსი ნაბიჯის შესახებ სრულებით არაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება თვით ვახტანგს, იგი ძლიერ შეწუხებული იყო სამღვდელოების ზემოალნიშნული გადაწყვეტილებით. ერთ-ერთ თვის პოეტურ ნაწარმოებში იგი გულისტყვილით წერდა:

ერთა ღმერთი არ იწამეს, ბერთა რჯული შეურაცხყვეს,

არას კერპსა არ უქნა, ჩემ საქმეზე იმათ რაც ყვეს.

მოლა ღმერთსა მახევეწებდა, ჩემთა მკვლელთა ბერნი დაყვეს,

და ჩემს ცოლშვილთა ტყვედ ეძებდენ, საქონელი იავარყვეს.

⁴³ ზოგიერთი მკვლევარი მას შეცდომით კრუშინსკის უწოდებს.

⁴⁴ ი. T. Krusinski, *Tragica vertentis belli persici historia*, გვ. 144.

⁴⁵ J. Hanway. *An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea*, vol. II, p. 131.

⁴⁶ ი. 3. დონდუა, საისტორიო ძებანი, I, თბ., 1967, გვ. 152—153; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 401.



თუ გვიავ ამათს რჯულზე, მაშ, ესენი რას მტერობდენ?
თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ, ისინი რათ მაქრობდენ?
უცხო არის ჩემი საქმე, საარაკო, თუ ფიქრობდენ.
და მიღლონთა ესჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს, რომ მაქრობდენ⁴⁷.

ამრიგად, ვახტანგმა კათალიკოსის საქციელი იდეოლოგიურად გაუმართლებელ ნაბიგად ჩათვალა და პრატიკულად თავისთვის საზიანო მოქმედებად მიიჩნია. ვახტანგი შავს მერყეობას ატყობდა, ამიტომ თავისი პოლიტიკის მტკიცე გატარებითა და საქუთარი ძლიერი პოზიციის ჩვენებით იგი თავისთვის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტას იმედოვნებდა.

ხოლოფას წინააღმდეგ დომენტის ესოდენ კრიტიკულმა გამოსვლამ კათალიკოსის წინააღმდეგ განაწყო სვიმონიც. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა. ვახუშტის ცნობით, „შეიძყრა სვმონ კათალიკოზი დომენტი ზაკვთ და წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოყადნოს თუალნი“⁴⁸ (ვახტანგის ძე ბაქარი ამ დროს, როგორც ჩანს, სისხლის სამართლის სააღმინისტრაციო უწყებას მეთაურობდა⁴⁹). მაგრამ ვახტანგის შეულლებ დედოფალმა რუსუდანმა იხსნა დომენტი ამ სასჯელისაგან. „გარნა არა ჰყო ესე დედოფალმან რუსუდან და იმყოფებოდა (დომენტი — გ. 3.) მათ თანა (ე. ი. გორში — გ. 3.) პატივითა“⁵⁰.

ერთი სიტყვით, 1712 — 1714 წლების მანძილზე ირანის ხელისუფლებამ ვერ გადაწყვიტა ქართლის სამეფოს საყითხი და ამ დროის მანძილზე მიმდინარეობდა ზემოხსენებული ბრძოლაც.

1714 წ. შავს სულთან-ჰუსეინშა თავის მრჩეველთა დაუინებითი მოთხოვნით ქართლის მეფედ დანიშნა გამაპმადიანებული იქსე, რომელსაც ალი ყული-ხანს უწოდებდნენ⁵¹. ვახუშტის ცნობით, შავმა „...ომარათგან⁵² იძულებულმან წარმოავლინა იქსე მეფედ ქართლისად ნიჭითა, ვინათვან აღეთქუა იქსეს ყენისათვს წარვლინებად დედოფალი და ძენი ვახტანგისანი და ხუთასი ქართველი ცოლშვილით, რათა დაასახლოს ფარაბათს“⁵³.

⁴⁷ ვახტანგ მეფე ვსე, ლექსები და პოემები, თბ., 1975, გვ. 33;

⁴⁸ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 493.

⁴⁹ ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროიდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745 წწ.), წიგნში: ვ. დონდუა, საისტორიო ძეგბანი, თბ. 1967, გვ. 158.

⁵⁰ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 493.

⁵¹ იქვე,

⁵² ომერანი — ე. ი. დილებულები; ამირები.

⁵³ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 493.

ვახტანგის ოფაზი რაჭის გადავიდა, დომენტი თბილისს გრუნდა. იესემ იგი კვლავ კათალიკოსად დააყენა. მაგრამ იესეს გაუშირდა შაპისათვის მიცემული დანაპირების შესრულება, თავის გამართლება სცადა და ყველაფერი ვახტანგს დააბრალა და შაპის მისი დაპატიმრება მოსთხოვა⁵⁴. ჰუსეინმა ვახტანგი ქირმანს გააგზავნა, როგორც პატრონი ქირმანისა, რაც ფაქტობრივად ვახტანგის დატყვევებას ნიშნავდა⁵⁵.

ესოდენ მძიმე პირობებში ვახტანგს და მის მომხრეებს ფარხმალი არ დაუყრიათ. მიუხედავად ტყვეობისა, ვახტანგი მჭიდრო კავშირში იყო ქართლის პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ისინიც, პირველ რიგში, ვახტანგის განთავისუფლებას და ქართლში გამეფებას ცდილობდნენ. ამ მიზნის მისაღწევად მოწინავე ქართველმა პოლიტიკოსებმა ევროპიდან დახმარების მიღებაც სცადეს. მათ გადაწყვიტეს საფრანგეთის მეფე ლუი მეთოხემეტესთან და რომის პაპთან დაკავშირება.

ვახტანგი, ისევე როგორც წინამორბედი ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, ყოველთვის ცდილობდა ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებას. ევროპასთან კონტაქტების დაყარება კი იმხანად ძირითადად საქართველოსა და ირანში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებისა და ევროპელი მოგზაურების მეშვეობით წარმოებდა. თუმცა ხანდახან თვით ქართველებიც ევროპას ეწვეოდნენ ხოლმე.

შორმის პაპი ცდილობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, კათოლიკიზმის გავრცელებას, რაც ნაკარნახევი იყო ვატიკანის ეკონომიკური და იდეოლოგიური ინტერესებით. ახალი ქვეყნების გაკათოლიკება ვატიკანს შემოსავლის წყაროს მატებდა, მეორე მხრივ კი, შერყეული ავტორიტეტის აღღენის ერთგვარ საშუალებასაც აძლევდა. ამიტომაც რომის პაპი კათოლიკე მისიონერებს გზავნიდა.

ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეები კი თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ამოცანებს სახავდნენ. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარება, ევროპაში წელი აბრეშუმის შეტანა და ყოველივე ამისათვის ახალი სავაჭრო გზების მოპოვება — ი რა აინტერესებდათ მათ პირველ რიგში. სწორედ ამ სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ფრანგები, ინგლისელები, პორტუგალიელები და პოლანდიელები

⁵⁴ ვახტანგი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 494.

⁵⁵ იქვე.

ახლო აღმოსავლეთში ერთმანეთს პირველობას ეცილებულიანული იქნავთ და მაგრა მარტინ არ მოგვიანების მისამართის გარკვეულ ინტერესებს ამჟღავნებდნენ. ამიტომაც იყო, რომ ამ ვითარებაში ევროპის ქვეყნები საქართველოს მიმართაც გარკვეულ ინტერესებს ამჟღავნებდნენ. ამიტომაც იყო, რომ საქართველოში ევროპელი ვაჭრები, მეცნიერ-მოგზაურები, კათოლიკე მისიონერები და სხვადასხვა ჭურის პოლიტიკური აგენტები ჩამოდიოდნენ. მაგრამ კათოლიკე მისიონერებს შორის ბევრი განათლებული და სხვადასხვა საქმის მცოდნე პირვენება იყო. რელიგიური პროპაგანდის გარდა მოსახლეობაში ისინი სწავლა-განათლების გავრცელებასა და სამედიცინო მომსახურებას ეწეოდნენ. ცხადია ყოველივე ეს მათ მიმართ გარკვეულ სიმპათიებსაც ბადებდა.

XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში მახლობელ აღმოსავლეთში განსაკუთრებული ინტენსიურობით ფრანგები მოქმედებდნენ. თუ XVII ს. დამდეგს ინგლისელები აქტიურობდნენ და გეგმავდნენ საქართველოს გამოყენებას სპარსეთთან და ინდოეთთან დამაკავშირებელ გზად, ხოლო მათ შემდგომ ანალოგიურად იქცეოდნენ პოლონელებიც, XVII ს. მეორე ნახევარში ამის განსახორციელებლად ფრანგებმა არაერთი რეალური ნაბიჯი გადადგეს. შარდენის, ტავერნიეს, ტურნეფორის მოგზაურობები და ფრანგი კათოლიკე მისიონერების — კაპუცინების აქტიური საქმიანობა ამის ნათელი დადასტურება იყო.

ჩამორჩენილი მაპმადიანური ქვეყნების შოძალების წინააღმდეგ მებრძოლი ქართველებისათვის პროგრესის გზით მიმავალი ევროპის ქვეყნების აქტიური გამოსვლა მახლობელ აღმოსავლეთში, ბუნებრივია, დიდი იმედის მომცემი მოვლენა გახდა. როგორც ეს მართებულად აღნიშნა ნ. ბერძენიშვილმა, „კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული წარმატება ხვდა. ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვისა, მისი აღდგენისა და განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა“. ქართველობისათვის მებრძოლთა ეს დასი მზად იყო პაპის უზენაესობა აღეარებინა, ქართული ეკლესია რომის ტახტი-სათვის დაემორჩილებინა და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაევრცელებინა, ოლონდ კი საფრანგეთ-ეკლესის პოლიტიკური დახმარება მიეღო ერანოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.



ქრისტიანულ ევროპასთან კავშირს მონატრული ქართველები და ქართველები გამოიყენებით კიდევ უფრო შორს მიღიოდნენ. მისიონერების მეშვეობით ისინი მიმზიდველ ეკონომიკურსა და პოლიტიკურ პრინციპების უთვალისწინებდნენ ევროპის ქვეყნებს: საქართველო საუკეთესო გზა იქნებოდა საფრანგეთის ვაჭრებისათვის ერანისაკენ, ხოლო თბილისი მეტად მარჯვე ადგილი ფრანგი ვაჭრების საქონლის საჭყობად. ქართველების აქტოური მონაწილეობით ეს საქმე ფრიად ნაყოფერი იქნებოდა აგრეთვე აფხაზეთსა და ჩერკეზეთში. ქართველ პოლიტიკოსთა გეგმა ცხადი იყო: რომის პაპის ავტორიტეტით და საფრანგეთის ხელშეღვაştანების პოლიტიკური შეკავშირება ერანობა მაღალეთის აგრესიას წინააღმდეგ⁵⁶.

XVIII ს. დასაწყისისათვის საფრანგეთმა ოსმალეთში ხელსაყრელი პოზიციების დაკავება შეძლო. საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში ოსმალეთის მმართველ წრეებში საქმოდ დიდი გავლენით სარგებლობდა.

ირანთან ურთიერთობაშიც საფრანგეთი თანდათანობით სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევდა. 1708 წ. დაიდო საფრანგეთი ირანის ხელშეკრულება და ფრანგმა ვაჭრებმა სპარსეთში დიდი შეღავათები მიიღეს.

მახლობელ აღმოსავლეთში საფრანგეთის დიპლომატია თავის ძირითად მიზნად ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარებას მიიჩნევდა. საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხს კი იყი ამ მთავარ პრობლემას უკავშირებდა, როგორც დამხმარე საშუალებას, ხოლო საკუთრივ საქართველოში კათოლიკ მისიონერების საქმიანობის გაშლის უზრუნველყოფას მოითხოვდა. მაგრამ კათოლიკების სავაჭრო საქმიანობა ადგილობრივი სომხური საჩმეულოების ვაჭრებს შორის დიდ უქმაყოფილებას იწვევდა. ასეთ ვითარებაში ფრანგები ცდილობდნენ, რომ საქართველოს ხელისუფალთ მთარველობა გაეწიათ კათოლიკ მისიონერებისათვის.

⁵⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს უსტორის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 151—152.



ამრიგად, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს საფრანგეთის და მომან ურთიერთობისათვის შეხების ბევრი წერტილი გაუჩნდათ. XVII ს. მეორე ნახევარში ქართლის მეფეებს ვახტანგ V-სა და გიორგი XI-ს აქტიური მიწერ-მოწერა ჰქონდათ რომის პაპებთან და მოლაპარაკება საფრანგეთის პოლიტიკურ და სავაჭრო აგენტებთან.

— XVIII საუკუნის დამდეგიდან საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. ვახტანგ VI-ს წერტილობითი კავშირი ჰქონდა საფრანგეთის ელჩთან კონსტანტინოპოლში, ხოლო 1706 — 1708 წწ., როდესაც შედგა საფრანგეთის ოფიციალური ელჩობა სპარსეთში, მან აქტიური დახმარება გაუწია ფრანგ დიპლომატებს.

მ. ბროსეს გამოცემული აქვს ვახტანგის ზოგიერთი წერტილი⁵⁷. ინგლისელმა მეცნიერმა დ. ლენგმა ახალი დოკუმენტური მასალა გამოაცვეყნა და მკითხველს საინტერესო დაკვირვებები გაუზიარა⁵⁸. ვ. გაბაშვილმა კრიტიკულად გაარჩია ყოველივე ადრე გამოცემული და ქართული დოკუმენტური მასალების საფუძველზე გაარკვია ზოგიერთი მომენტი და საფრანგეთთან ვახტანგის ურთიერთობის ისტორია გააშუქა⁵⁹. შემდგომ ი. ტაბალუაშ ახალი დოკუმენტური მასალა აღმოჩინა პარიზში ყოფნის დროს და მონივრაციულად შეისწავლა საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII ს. პირველ მეოთხედში⁶⁰.

ერთი სიტყვით, დიდალი დოკუმენტური მასალა ნათლად მოწმობს ფრანგ დიპლომატებთან ვახტანგის მჭიდრო ურთიერთობას. ირანს გამგზავრების შემდეგ მათთან კავშირი ვახტანგს არ შეუწყვეტია. მაგრამ, ცხადია, შაჰისაგან ფარულად უნდა ემოქმედნა.

1712 წლის 28 აგვისტოს საფრანგეთის საელჩომ კონსტანტი-ეოპოლში დაწვრილებით შეიტყო ვახტანგის მდგომარეობა ირან-

⁵⁷ ი. M. Brossat, Documents originaux sur les relations diplomatiques de la avec la Georgie France. «Nouveau journal Asiatique», 1832, vol. IX.

⁵⁸ D. M. Lang, Georgian Relations with France during the reign Wakhang VI, (1711—1724), «Journal of the Royal Asiatic Society», 1950, Part, 3. and 4.

⁵⁹ ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა თბელიანი როგორც დიპლომატი, ქრ. „სულხან-საბა თბელიანი“, თბ., 1959.

⁶⁰ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972.

შ. მისი დატყვევება, როგორც ჩანს, სრულებით არ აძლევდათ მის ხელს საფრანგეთს და ამიტომ ლუი XIV-მ დაუყოვნებლივ მის-წერა ვახტანგს. 1713 წლის 11 მაისს ფრანგმა კაპუცინმა ორანიდან კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის შეატყობინა, რომ მან გადასცა ვახტანგს ლუი XIV-ის და თვით ელჩის წერილები. სამ-წერაროდ, ამ წერილების შინაარსის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცია. მაგრამ როგორც ეს მართებულად შენიშვნა ვ. გაბაშვილმა, „...ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI-ის პასუხს დაუყოვნებლივ მოჰყვა სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა, მოწმობს საფრანგეთის მეფის წერილის განსაკუთრებულ მნიშვნელობას“⁶¹.

სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა დასავლეთ ევროპაში საფუძვლიანადაა შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხზე სპეციალურად უმუშავიათ მ. ბროსეს⁶², მ. თამარაშვილს⁶³, ჯ. ლომაშვილს⁶⁴, დ. ლენგს⁶⁵, ვ. გიბაშვილს⁶⁶, ი. ტაბალუას⁶⁷.

ვახტანგმა ლუი XIV-ისათვის გადასაცემი თავისი საპასუხო წერილი ისტაპანში მყოფ ფრანგ მისიონერს აბატ ჟან რიშარს გაატანა. მასვე გაატანა საქართველოში თავის ნათესავებთან გადასაცემი წერილებიც. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნოდა სულხან-საბას, რომელიც იმხანად გორში იყო მოვაჭებოდა.

1713 წლის 5 ივნისს ჟან რიშარი უკვე ერევანში ჩასულა. შემდეგ რე მიღის თბილისში და ჩადის გორში, სადაც სულხან-საბას შეხვდა. 1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანი

⁶¹ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

⁶² M. Brosset, Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Louis XIV, «Nouveau journal Asiatique», Paris, 1832, t. IX.

⁶³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902; M. Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910.

⁶⁴ ჯ. ლომაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, წ. V, თბ., 1950.

⁶⁵ G. M. Lang, Georgian Relations with France during the reign of Wakhtang VI, (1711—1724), «Journal of the Royal Asiatic Society», parts 3 and 4.

⁶⁶ ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, კრებ. „სულხან-საბა ორბელიანი“, თბ., 1959.

⁶⁷ ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972.

յան հովանուան շրջակա գործադան ցազուա და დასაցლետ սայահացածաց
լուս ցնու, կոնսტանտինոპոլիշ ցազուա ցըրկուսայեն ցայթարտա.

Հոգորուց չեքազտ, ցըրկուսաშու սուլիսան-սածա ցամցիացրեծ ցաե-
թանցսա და մուս մռմերյեծ ցորմո հովանու համուցլամდե ցապոլեծոտ
ազրե ցադաշիցաբետոտ დա կուցապ մռումնացընոտ.

օմերետშո որելուանո 40 օրու ցահերեծուլա და დասացլետ
սայահացալու յատալուցուան, ցրոցոլուան, մռլաձարայեծ ցիւր-
մուցու. ցրոցոլո ցըրկուսան პոլութուցրո որունտապու կուլուս մռ
մռմերյ ալմոհնդա დա սուլիսան-սածա ցապոլա, հոգորուց հանս, ցը-
րութուլո ցենդու մռունց (ցրանցուլո ու լատոնուրո) ծերո დա-
ցուոտ, հոմելուց ցրանցուլ գոյցանցենց ցազոտ մեցրելու սա-
ելուոտ օկտոնուցա⁶⁸. տացու մերու ց ցահեմուեծ սուլիսան-սածա ցը-
րկուսան սուլլեծա ամլեւდա დասացլետ սայահացալու ցըլուսուս
սաելուոտապ ցմոյմելա.

1713 թ. 15 նոյեմբերս սուլիսան-սածա որելուանո, յան հովա-
նո დա ցազուոտ կոնսტանտինոպոլի հազունցեն. սագրանցետու ցլի-
մա ցընչալուրիմա մատ յարցո մասունժլունա ցայթիա დա 15 ցըյյմբերս
ցրանցուլո երմանդու ցըրկուսան ցասունումրա. 1714 թ. 22 օսցանիս
սուլիսան-սածամ დա մուսմա տաճմելլեծմա პորեմա մարսելս մօալթիու.
այ ուսոնո որ տցես ցահերելս.

մարսելու ցալուրեծուսա დա ցպէրունու օնտրենդանտիո” პոյր գ’
արնց ցուլգամիտ ցայցն սուլիսան-սածա დա հովանու წոնաճացընուեծս,
ուս սագուցցալից Շեալցոնա ցրուցու մռեսենցեծու ծահատո որան-
տան ցպէրունու ցանցուարեծու սայութեծից. մազց սայութեծից մռես-
եծուոտ ծահատո ցպէրուու Ցյոնդա յան հովանուսապ. Շեմդեց մատ
շրիտա Շեալցոնես ցրուցու մեմորանցում, հոմելուց ցըրկուսալի ց
ցացնչացնես⁶⁹.

21 մարտս սուլիսան-սածա პարունի հազուա. սասկումհունի ման,
շարու տցեա დա սցեն-լութարց մռնաստրուրի պեռցրեծու նեծարտցա
ուտեռցա սացրանցետու մտացրունուսացան.

տացու մերու սուլիսանմապ Քարալցոնա ցրուցու մեմորանցում⁷⁰,
ացրետց, սայահացալու հոյսա დա լուսո XIV սաելից დաֆըրուու
ցաեթանցու Շերուու, հոմելուց յահուլուուան ցրանցուլագ პարուն-
ի յահուլո ցնու մռունց յան հովանուն սուտարցմուա⁷¹. մազց

⁶⁸ ու. ո. Ծածալ սա, դասած. Եամհ., ցց. 153—155.

⁶⁹ ոյցց, ցց. 161—166.

⁷⁰ ու. ո. Ծածալ սա, դասած. Եամհու, ցց. 347—350.

⁷¹ ու. ո. Ծածալ սա, դասած. Եամհ., ցց. 178.

დროს პარიზში რომის პაპის კლიმენტი XI-სგანაც მიუღიათ წერილი რილი, რომლითაც იგი ვახტანგისათვის დახმარების აღმოჩენას თხოვდა ლუ XIV-ს.

ვერსალში გულდასმით შეისწავლეს მთელი ეს დოკუმენტაცია და დაწვრილებით უმსჯელიათ სულხან-საბას მიერ დასმულ საკითხებზე: 1. საქართველოში მისიონერების გაგზავნის, 2. საქართველოს ტერიტორიის სავაჭრო გზად გამოყენებისა და 3. ვახტანგ VI-ის ტყვეობიდან განთავისუფლების შესახებ.

ამ წინადადებებს პრინციპში ყველა მხარს უჭერდა, მაგრამ სასწრაფო აქტიური მოქმედებისაგან, განსაკუთრებით ვახტანგის განთავისუფლების საკითხში, ბევრი თავს იკავებდა.

სულხან-საბა ორბელიანისათვის ლუ XIV-ს ორჯერ მიუცია აუდიენცია. აღსანიშნავია, რომ სულხანს პირადად ლუ XIV-ზეც და მის მინისტრებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. იმდროინ-დელ ფრანგულ მასალებში საგანგებოდაა აღნიშნული ერთი ფრიად დამახასიათებელი დეტალი.

აუდიენციის დროს, როდესაც სულხან-საბამ ავადმყოფობისა-გან ახლად განკურნებულ ლუ XIV-ს გამოჯანმრთელება მიუ-ლოცა, მეფეს უპასუხნია, რომ თუმცა იგი გადაურჩა ერთ მტერს— ავადმყოფობას, მას თავს დაეცა მეორე მტერი — სიბერე. „ადვი-ლი საქმე არა 60 წელს გადასცილდეო“ — უთქვამს ლუ XIV-ს, რომელიც იმ დროს უკვე 75 წლისა იყო. სულხან-საბას იმაზე მოს-წრებულად უპასუხია — „ხელმწიფევ, თქვენი უდიდებულესობა ისე მოხდენილად ატარებთ ამ ასაკს, რომ ყველა ისურვებდა ამ ასაკში ყოფნას“⁷².

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ელჩის მიერ დასმული სა-კითხები მთელი სილრმითა და სიცხადით იყო არგუმენტირებული და მათი განხორციელებისაგან თვით საფრანგეთის მთავრობაც თავისთვის სარგებლობას ხედავდა, ირანის შაპისათვის გახტანგის განთავისუფლების თაობაზე მოთხოვნის გაგზავნისაგან ვერსალში თავი შეიკავეს. პარიზში იმ დროს ირანის ელჩის ჩამოსვლას ელო-დებოდნენ და საფრანგეთში საქართველოს წარმომადგენლის ყოფ-ნა მას დაუმალეს. სულხან-საბას თავაზიანად შეატყობინეს, რომ მი-სიონერების გაგზავნა უშუალოდ რომის პაპის ქომპეტენციას შე-ადგენდა და მას ვატიკანში ჩასვლა ურჩიეს.

1714 წლის ივნისის პირველ რიცხვებში სულხან-საბა, რიშა-რი და დავითი მარსელში ჩავიდნენ და იქიდან იტალიისაკენ გაემარ-

⁷² იბ. ი. ტაბალუა, დასახ. ნაშრ., ვგ. 182.



თნენ. 1714 წლის 29 ივნისს სულხან-საბა რომში ჩავიდნენ შეხვდა რომის პაპს კლიმენტი XI-ს, აგრეთვე კარდინალებს.

1714 წლის 26 ივლისს პაპმა კლიმენტი XI-მ წერილი მიწერა ლუი XIV-ს ვახტანგ VI-სადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ⁷³, ხოლო 17 აგვისტოს იმედით აღსავსე წერილი გაუგზავნა თვით ვახტანგს⁷⁴. მაგრამ ყველაფერი ამით ამოიშურა.

საფრანგეთსა და იტალიაში სულხან-საბა დიდი პატივით მიიღეს როგორც ლიტერატურული პიროვნება და მთელი საქართველოს წარმომადგენელი. მას თანაგრძნობა გაუზიარეს და დააიმედეს, რომ საქართველოში მისიონერებს გამოგზავნილენ. ქართველთა დასახმარებლად. მაგრამ ეს იყო და ეს.

1714 წლის 18 აგვისტოს სულხან-საბა რომიდან ფლორენციისაკენ გაემგზავრა. შემდეგ გაიარა პიზა, ლივორნო, კუნძულები სიცილია და მალტა. აქ მას მალტელთა მიერ ოსმალთა ტყვეობიდან განთავისუფლებული ბევრი ხალხი უნახავს, მათ შორის ქართველებიც. ამის შესახებ თავის „მოგზაურობა ევროპაში“ სულხან-საბა წერს: „ლმერთმან იმდენი დღეგრძელება და ცხოვნება, რამდენი ასი ათასი ტყვე ან იმ ქალაქში, ან კუნძულში და ან ნავებში ჰყვანდესთ. ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგი იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული“⁷⁵.

1715 წლის 19 იანვარს სულხან-საბა კონსტანტინოპოლში ჩავიდა. სახანტერესოთა თუ როგორ აგვიწერს ამ შემთხვევაში ის თავის შთაბეჭდილებას ქალაქის დათვალიერების შემდეგ. „კონსტანტინეპოლის სამი კუთხე შემოუარეთ. იქიდამ კარგა გავსინჯე. ხომალდიდამაცა დიდი ქალაქია და მრავალი შენობა, მაგრამ საფრანგეთიდამ მოსულს აღარას მოგვეწონა. ოღონ აღგილი მისთანა არსად არის, თვარა შენობა და სხვა რამე არად გვეჩვენა. გარ გალვანი უფროსი ერთს დაქცეული, დაძველებული, ახალი ნაკეთები არცადრა. ოღონ იედი-ყულა, შვიდივ კოშკი. რუსის ელჩი რომ

⁷³ იბ. ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოგზაურობა ევროპაში. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. I, 1959, გვ. 153—245.

⁷⁴ იბ. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 226. -

⁷⁵ იბ. M. Tamarati, op cit., pp. 600—601.

⁷⁶ ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ I, გვ. 231.



იქ შეიყვანეს, მაშინ გაუთეთრებიათ, გაუგლესიათ სხვა რიგადა ⁷⁷ შეინახა
შიგნით არ შევსულვარ. არც მინახავ, მაგრამ გარედამ რაც ჩინდა,
გავსინჯეთ და შიგნითაც მნახველის კაცისაგან შევიტყევით, რაც შე-
იტყობოდა⁷⁸.

ცონსტანტინოპოლში სულხან-საბა ჩვილმეტ თვეს გაჩერებუ-
ლა⁷⁹. როგორც ჩანს, საფრანგეთის მეფესთან და რომის პაპთან შე-
თანხმების თანახმად იქ იგი მისიონერების ჩამოსვლას ელოდე-
ბოდა, რომ მათთან ერთად საქართველოში დაბრუნებულიყო⁸⁰.
მაგრამ მისიონერების ჩამოსვლის ნაცვლად კონსტანტინოპოლში
ცნობა მოვიდა იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის მეფე ლუი XIV
1715 წლის 1 სექტემბერს გარდაიცვალა. ტახტზე მისი შვილი-
შვილის შვილი, ხუთი წლის ლუი XV აიყვანეს. ქვეყნის მმართ-
ველი გახდა რეგენტი ჰერცოგი ფილიპე ორლეანელი. სამეფო კარზე
ახალი მანისტრები და ფავორიტები გაჩნდნენ. მათ შორის ძალა-
უფლების მოპოვებისათვის გაჩაღდა ბრძოლა. ერთი სიტყვით, შო-
რეული საქართველოსათვის რაიმე დახმარების გასაწევად არავინ
ფიქრობდა. საფრანგეთის ახალმა ელჩმა კონსტანტინოპოლში, მარ-
კიზ დე ბონაქმა სულხან-საბას საქართველომდე მგზავრობის ხარ-
ჯები თვის თავზე აიღო.

1716 წლის 13 მაისს სულხან-საბა კონსტანტინოპოლიდან ხო-
მალდით საქართველოში წამოვიდა. მას თან ბერი დავითი და ოთ-
ხი მისიონერი მოყვებოდა — „სამი პატარა კაფუჩინი თბილისის ქა-
ლაქისათვის და ერთი პატრი იეზოვიტი შირვანისათვის“⁸¹. დიდი
ტანგვითა და წვალებით სულხან-საბაშ ათინა, ხოფა, გონიო, არტა-
ნუჯი, არტაანი გამოიარა და, როგორც იქნა, აბოცს მოაღწია. ქართ-
ლში მას იგივე პოლიტიკური სურათი დახვდა. ქვეყანას კვლავ
იესე მართავდა.

ამრიგად, ქართული დიპლომატიის ცდა, რომ ევროპის
ქვეყნებიდან დახმარება მიეღო, უშედეგოდ დამთავრდა. არც საფ-

⁷⁷ შვილებშე ციხეში ოსმალეთის მთავრობა, როგორც წესი, აკაცებდა ელჩებს
იმ ქვეყნებისა, რომლებთანაც საომარ მდგომარეობაში იღმინჩებოდა. 1711 წელს
ოსმალებს იქ ჰყავდათ რუსეთის ელჩი პეტრე ანდრიას ძე ტოლსტი (1645-1729).
როგორც ჩანს, სულხან-საბას მხედველობაში აქვს სწორედ ეს ფაქტი. თუმცა 1713
წ. პ. ა. ტოლსტი ხელშეორედ მოუთავსებით შვილებშე ციხეში, მაგრამ ამ
შემთხვევაში მასთან ერთად დაკავეს პ. პ. შერემეტივე და პ. პ. შაფიროვი.

⁷⁸ ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 241—242.

⁷⁹ იქვე, გვ. 243.

⁸⁰ იბ. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 293.

⁸¹ ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 243.



რანგეთის მეფემ და არც რომის პაპმა საჭირო აქტიურობა მოიჩინეს და არავითარი რეალური დახმარება ქართველ მეფეს არ აღმოუჩინეს. მოლაპარაკების მსელელობაში აშკარად გამოიჩვა, რომ საფრანგეთის მთავრობა სრულებით არ იყო დაინტერესებული ირანისა და ოსმალეთის კლანჭებისაგან საქართველოს გამოხსნით, პირიქით, მისთვის ხელსაყრელი იყო ამიერკავკასიაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნება, რადგანაც ის პირველ რიგში ყველა საშუალებით ცდილობდა ოსმალეთისა და ირანის მთავრობებისაგან მაქსიმალურად მიეღო აღმოსავლეთში სავაჭრო შეღავათები.

ერთი სიტყვით, გამოსავალი არ ჩანდა და ვახტანგიც იძულებული გახდა ფორმალურად დათანხმებოდა ოსლაშის მიღებაზე. შავმაც არ დაყოვნა. ვახტანგის ცნობით, 1716 წ. ვახტანგმა მიიღო ისლამი⁸². მას მავმადიანური სახელი ჰუსეინ ყული-ხანი დაარქვეს და ქართლის მეფედ დაამტკიცეს, რასაც თან მოჰყვა ვახტანგისათვის სპასალარის წოდების მინიჭება და ირანის ჯარების სარდლად დანიშნენა. სულთან-ჰუსეინს განსაკუთრებით ხელს აძლევდა ქართლის მეფედ ვახტანგის დამტკიცება, რადგანაც ქართლში იგი გაცილებით მეტი ივტორიტეტით და გავლენით სარგებლობდა, ვიდრე იქსე, და ამიტომაც ირანისათვის რეალური დახმარების გაწევაც უფრო მეტად შეეძლო.

1719 წლამდე ვახტანგი იძულებული იყო ირანში შაპის სამსახურში დარჩენილიყო და სამხედრო-აღმინისტრაციული საქმეები ეწარმოებინა. ქართლის სამეფოს გამგებლობა კი თავის შვილს ბაქარს დაავალა, ^ამის თაობაზე 1717 წლის ერთ-ერთ სიგელში იგი წერდა, რომ რადგანაც შაპი [წყალო]ბა გვიყო და სპასალარობა და ადირბეევანი გვიბოძა და ჩვენც უნდა თავრეზს მოვიდეთ, ადირბეევანის საქმე გავარიგოთ და ჩვენ უნდა იქ დაგვედეთ და ადირბეევანის იქაური ჯარი ზოგი ხორასანს უნდა გავისტუმროთ და სანამდინ ჩვენ მანდ, ქართლში, მოვიდეთ, ბაქარ ნაიბი გვიქნია“, ხოლო ქართლის თავადაზნაურობას ავალებდა; „მანდ თქვენ უველამ კარგად იცით, რომ მე საქართველოს და საქართველოს კაცხედ სიკეთის მეტი არა დამიშავებია რა. ცოტა ხანს მტრის ტყვილის საქმით საქმე ასე მამიხდა, მაგრამ მე ისევ წყალობის გუნება მაქუს, რაგვარადაც პირველ მქონდა. ახლა თქვენც სამსახურსა და სიკეთეს ეცადენით და ალიყულიხან ჩვენი ძმა არის,

⁸² ვახტანგი ბაგრატიონი, დისახ. ნაშრ., გვ. 495.



რომელიც მაგისი მუნასიბი საქმეა ან კელმწიფის სადაიდოვლათხა
ან ჩვენ გვიჯობს იმგვარად გავირიგებია და გავარიგებთ და ორ-
მელიც სამსახური კელმწიფეს ბაქარისათვის უბრძანებია, იმაზედ
კარგად მიუდევით და სამსახური ათავებინეთ“⁸³.

ახალგაზრდა ბაქარიც მამის მითითებების მიხედვით მოქმე-
დებდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „...წარმოავლინეს (ირანი-
დან — გ. პ.) მტარვალი, რათა შეიპყრას ისე და მისცეს ბაქარს
პატიმრად. რამეთუ მოეთხოვა მეფესა ვახტანგს ეგრეთ, ხოლო ბა-
ქარ მოვიდა იმერეთიდამ მცხეთას, რამეთუ ტფილისს იყო მომს-
რველი უამი და ისე განვიდა კახეთს. წარავლინა მტარვალი ყევნი-
სა ბაქარ, რათა მოიყვანოს ისე. არამედ კახთ-ბატონმან იმანყუ-
ლიმ არა სცა ნება. ესე აუწყა მამასა თვისა ბაქარ და მეფემან
ყევნისა. განრისხნა ყევნი და წარმოავლინა მურდარი თვისი. ესე
მივიდა, შეიპყრა ისე, მოიყვანა და მოსცა ბაქარს, ხოლო ბაქარ
პატიმარ-ჰყო ტფილისს სასახლესა შინა“⁸⁴.

ვახტანგმა არ აპატია თავის მოწინააღმდეგებს ურჩობა და
ბაქარს მათი დასჭა დაავალა. „კუალად ბრძანებითა მამისათა შეი-
პყრა (ბაქარმა — გ. პ.) სპასპეტი ლუარსაბ. არამედ იყსნა ესე დე-
დოფალმან რუსუდან. კუალად შეიპყრა მუხრანის ბატონი ერეკლე
და აღმოვალნა თუალნი და მისცა მუხრანი ლევანს, ძესა პაპუასასა. კუალად მოაშთო პაპუნა დიასამიძე, რომელი იყო მაშტოთებელი
ძმათა და სხუანი რომელინმე ექსორია ყვნეს და ესე ყოველი
ჰყო ბრძანებითა მამისათა“⁸⁵.

დაუუნა ქსნის ერისთავი, რომელიც იმთავითვე ვახტანგის
გამეფების წინააღმდეგი იყო და გიორგი არავის ერისთავთან
ერთად შაპს იესეს გამეფების თხოვნით მიმართა⁸⁶, სახლთუხუცე-
სად ვახტანგისათვის სასურველი, ცხადია, არ იქნებოდა. ამიტო-
მაც ბაქარმა ჩამოართვა მას ეს თანამდებობა⁸⁷. ვახუშტი გადმოგ-

⁸³ საქართველოს სსრ მეცნიერებათა ეკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნა-
წერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 1290.

⁸⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 495.

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ იქვე, გვ. 492—43.

⁸⁷ ამდენად, ჩვენი აზრით, დ. გერიტიშვილის შენიშვნა, რომ თითქოს „...გა-
ურვეველი მიზეზით ბაქარმა სახლთუხუცესობა ჩამოართვა დათუნა ქსნის ერისთავს“
(იხ. დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერ-
თობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 316) უსაფუძვლოა. ჩვენ მიერ ზემოაღნი-
შნული ვარემოება, უფიქრობთ, საქმაოდ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენ-
და ბაქარისათვის.

ვცემს: „ხოლო მიუღო რა ბაქარ სალთხუცობა დათუნას, უკუცილებელი ერისთავსა, და მისცა ედიშერს, ძესა ქიხტესრო ლოპინასასა, მიზეზ-ჰყო ესე დათუნამ და უკუდგა. ამისთვის წარავლინა ბაქარ ძმა თვისი ვახუშტი მასწედა და მისლვისა მისსა მოკუდა დათუნა ერისთავი. ხოლო ძენი მისნი წარვიდნენ ქახეთს, და დაიპყრა მამული მისი ვახუშტიმ. არამედ შანშე, ძე დათუნასი წარვიდა წინაშე ყევნისა ყაზმინს და მეფე ვახტანგი მიეწოდა ყევნისა მუნ წინაშე თვისსა. თავრიზიდამ შთასრული შანშე ითხოვა მეფემან ვახტანგ ჟევნისაგან, მოსცა ყევნმან და პატიმრად წარმოუგზავნა ბაქარს, ძესა თვისსა; ესე ბაქარცა პატიმარ-ჰყო ტფილისს“⁸⁸.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ქსნის საერისთავოს გაუქმების საკითხი არ დამდგარა და არც შეიძლებოდა დამდგარიყო იმდრო-ინდელი თავადური საქართველოს დღის წესრიგში. 1718 წლიდან შანშე მაინც გახდა ქსნის ერისთავი. სენია ჩხეიძის ცნობით, „... მცირესა უამსა ქალაქიდამ გაიპარა ერისთავის შვილი შანშე და მივიდა თვისსა მამულსა“⁸⁹. შემდგომ შანშე ორჯერ აუჯანყდა ვახტანგს. პირველად 1719 წ.⁹⁰, მაგრამ დამარცხდა და „კრმალ-კისერ-კიდებული მოვიდა წინაშე ბაქარისა“⁹¹. მეორედ შანშე 1720 წლის გაზაფხულზე აჯანყებულა და კვლავ დამარცხებულა. ამჯერადაც „კრმალ-კისერ-კიდული მოვიდა წინაშე მეფისა“⁹². ამის შემდეგ შანშემ შეჭირუა, რომ იგი სიკვდილამდე დარჩებოდა ვახტანგის „ერთგულობასა ზედა“. შემდგომ ის მართლაც ერთგულობრივ ვახტანგს⁹³.

~~მა~~ დროისათვის უკვე კულმინაციას აღწევდა ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რომელიც XVII საუკუნის შეორე ნახევრიდან მოედო სეფიანთა ირანს. წინააღმდეგობა გაბატონებულ კლასებსა და გლეხობას, ავრეთვე დაპყრობილ ხალხებსა და სეფევიდებს შორის უაღრესად გამწვავდა. 1716 — 1717 წლებში დიდი აჯანყებები მომხდარა თავრიზისა და ყაზვინის ოლქებში. 1717 წ. არაბებმა სპარსეთის ყურეში დაიკავეს რიგი კუნძულებისა და აშუობდნენ თავდასხმებს ირანის სანაპიროზე. უზ-

⁸⁸ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 496—497.

⁸⁹ სენია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 329.

⁹⁰ იბ. დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 317—318.

⁹¹ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 498.

⁹² იქვე.

⁹³ დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 318.



შეკებმა ოღეს ხორასანი, ხოლო ქურთები ჰამადანს დაეუფლნენ დალესატნში ამოქმედდნენ ადგილობრივ ტომთა ბელალები და შუალური ზედაფენა.

დაპყრობილ ხალხთა აჯანყებები ჩვეულებრივ შიიზმისაგან სუნიზმის დაცვის იდეოლოგიური დროშის ქვეშ მიმდინარეობდა, რასაც ბიძგს აძლევდა და თავისთვის მოხერხებულად იყენებდა ოსმალეთის მთავრობა. ინტერესს მოკლებული არ არის XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისელი მოგზაურის ჭ. ჰანვეის შემდეგი დაკვირვება: „დაღესტნის მოსახლეობა, რომელიც ლეკების საერთო სახელითაა ცნობილი და სუნიტებს წარმოადგენს, ბუნებრივი პირობების სილარიბის გამო დიდ გასაჭირს განიცდის და იძულებული ხდება თავდასხმები მოახდინოს მდიდარ მეზობელ ტერიტორიებზე, მათ შორის თვით ირანზედაც. ამიტომ შაჰ აბას II-მ ტახტზე ასვლისას მათთან ხელშეკრულება დადო. ლეკების თავდასხმების თავიდან ასაცილებლად იგი დაპირდა ყველა თემს, რომ ყოველწლიურად გარკვეულ თანხას გადაუხდიდა. სამაგიეროდ დალესტნელების ყოველ თემს შაჰის ხელისუფლების აღიარების ნიშანად შაჰის კარზე თავისი წარმომადგენლები უნდა გაეგზავნა საჩუქრებით: ხბოსა და ბატქის ორ-ორი ტყავით. მშვიდობაც, — დასძენს ჭ. ჰანვეი, — ამ პირობებით იყო მიღწეული, რადგანაც ეს სავსებით ხელს აძლევდა ლეკებს. მაგრამ შაჰის მიერ საამისოდ სუბსიდირებული 1700 თუმანი რამდენიმე წლის შანდილზე შაჰ სულთან-ჰუსეინის ხარბ მინისტრებს აღარ გადაუხდიათ და ლეკებმაც კვლავ იარაღს მიმართეს“⁹⁴.

დალესტანსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანში იფეთქა ანტიფეოდალურმა და ანტიირანულმა აჯანყებამ. მაგრამ გაბატონებული ფეოდალური კლასის წარმომადგენლებშა, რომელთაც ოსმალობამპყრობლები უჭერდნენ მხარს, შეძლეს თავიდან აეცდინათ აჯანყებულთა რისხვა და ამბოხებას წმინდა ანტიირანული ხასიათი მისცეს.

აჯანყებას ბიძგი მისცა შირვანის რაიონებში ჭარელების შემოსევამ 1711 წელს⁹⁵. მაგრამ მალე ლეკების სათავეში აღმოჩნდნენ დაუდ-ბეგი და სურხაი-ხანი, რომელთაც ოსმალებთან უშუალო კავშირი ჰქონდათ.

⁹⁴ J. Hanway, An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea, vol. II, p. 161.

⁹⁵ В. Н. Левинатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII в., Баку, 1948, с. 63—74.

1712 წ. დაუდ-ბეგმა და სურხაი-ხანმა მოაწყეს თავდასპეციალური მახაზე. მათ ქალაქი აიღეს და დაარბიეს, გაძარცვეს იქ მყოფი ოუ-სი ვაქტებიც, მაგრამ ვერ შეძლეს ფეხის მოყიდვა. შემახაში მა-ლე იქნა აღდგენილი ირანული ადმინისტრაცია. სურხაი ვაიქცა მთებში, ხოლო დაუდ-ბეგი შეიპყრეს და ჩაგდეს დარუბანდის ციხეში, საიდანაც 1719 წლის ბოლოს მოახერხა გაქცევა.

კ ყოველივე ამან და განსაკუთრებით ირანისა და კასპიისპირა პროვინციების საქმეებში თურქეთის ჩარევის ცდამ დააჩქარა ას-პარეზე რუსეთის ხელმწიფის პეტრე I-ის გამოსვლა.

რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო-პოლი-ტიკური ინტერესებიდან გამომდინარე პეტრე I მიზნად ისახავდა კასპიისპირეთის დაყავებას დაღესტნის სანაპიროდან მოყოლებუ-ლი' ვიდრე გილანამდე. ამ აშოცანის მისაღწევად რუსეთის მეფე, ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობას კავკასიული ხალხების, პირველ რიგში, ცხადია, ქართველებისა და სომხების მხარდაჭერას ანი-ჭებდა.

1715 წ. პეტრე I სათანადო მზადებას შეუდგა, როდესაც ირან-ში დესპანად ა. ვოლინსკი დანაშნა და მას დიპლომატიური და სამ-ხედრო-დაზვერვითი ხასიათის ამოცანები დაუსახა; აგრეთვე და-ავალა, რომ გამოერკვია ვახტანგის ბედი და მასთან კავშირი და-ემყარებინა. ა. ვოლინსკისათვის მიცემული ინსტრუქციის ერთ-ერთ მუხლში საგანგებოდ იყო ნათევიმი, რომ მოსკოვში მყოფი იმერეთის დედოფლის ქეთევანის (არჩილ მეფის მეუღლის) ვანც-ხადებით ვახტანგი ირანში დატყვევებული ჰყავდათ. ამიტომ ა. ვოლინსკის ივალებლნენ ვახტანგის ადგილსამყოფელის დადგენას და შესაძლებლობის შემთხვევაში მასთან დაკავშირებას, ხოლო ირანის შაპის წინაშე შუამდგომლობას, რომ ქართლის მეფე ქრის-ტიანულ სარწმუნოებაში დაეტოვებინათ.

ქ. მოსკოვში ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არ-ქივში დაცულია ქეთევან დედოფლის, არჩილ მეფის ასულის და-რეჯანისა და ალექსანდრე არჩილის ძის (რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეხმაისტერის) მეუღლის გლიკერიას 1715 წლით დათარილებული წერილი პეტრე პირველისადმი, რომლითაც ისი-ნი თხოვდნენ რუსეთის მეფეს შაპის ტყვეობაში მყოფ ვახტანგი-სათვის დახმარების გაწევას. იქვე შემონახულია ქეთევანის სახე-ლზე ვახტანგის მიერ გაგზავნილი წერილის რუსული თარგმანიც⁹⁶.

⁹⁶ ქეთელი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ძაცხა), ფ. 110, ქარ-თული საქმეები, 1715 წ., საქმე № 3, ფურც. 1—2.



მაგრამ 1715 წელს დესპანად დანიშნული ა. ვოლინსკი ირავნული ნისავენ მხოლოდ შემდეგ წელს გაემგზავრა. 1716 წ. 13 ივლისს იგი ასტრახანს მისულა და სექტემბრის ბოლო რიცხვებში შემახას მიაღწია, ხოლო ისფაპანს 1717 წ. 14 მარტს ჩასულა.

(ჯერ კიდევ შემახაში ადგილობრივი ხანის მოციქულთა შორის მყოფი ერთი ქართველისაგან, რომელსაც სახელად ბეჟანი ერქვა, ვოლინსკიმ გაიგო ქართლის მეფის გამაჰმადიანება. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, შეაშფოთა რუსეთის დესპანი და ეჭვები გაულვიძა, მით უფრო, რომ ისფაპანში ჩასვლისას ირანის მთავრობა მტრულად შეხვდა მას. ამიტომაც სავსებით გასაგებია, რომ ვოლინსკის განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ემოქმედა ირანში მყოფ ქართველებთან, კერძოდ, ვახტანგ VI-სთან ურთიერთობის დროს.

მით უშეტს დიდი სიცროთხილე მირთებდა თვით ვახტანგს, რაღანაც შაპი ფხიზლად მეოვალყურეობდა მის ყოველ ნაბიჭე. ღ. გურამიშვილი შემთხვევით როდი წერდა: „ყევნის კარს მეფე ვახტანგს ბევრნი მტერნი უდგნენ მზირსა: რასაც ავსა უნახევდნენ, ამახებდნენ მისოვის გზირსა“⁹⁷.

(მაგრამ მიუხედავად ესოდენ მძიმე მდგომარეობისა, რუსეთის დესპანთან ქართველებმა კავშირი მაინც დაამყარეს. ისფაპანში ა. ვოლინსკი რამდენჯერმე შეხვდა ვახტანგის წარმომადგენელს ფარსადან-ბეგს.) ფარსადანი რუს დესპანს გაჰყვა უკან წამოსვლისას ისფაპანიდან რეშტამდე, სადაც შემდეგ დარჩა იმ ფულის შესაგროვებლად, რომელიც ვახტანგს ეკუთვნიდა, ვითარცა ირანის ჯარის სპასალარს. შემდგომ ისინი კვლავ შეხვდნენ შემახაში.

ერთი სიტყვით, (მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგსა და ვოლინსკის შორის პირადი შეხვედრა და მიწერ-მოწერა ეკრ მოხერხდა, მათ ერთმანეთთან კონტაქტის დამყარება მაინც მოახერხეს ფარსადანის მეშვეობით. ვახტანგის წარმომადგენელს და რუსეთის დესპანს საუბარი ჰქონდათ ირანის სახელმწიფოსა და ჯარის შესახებ, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარის ლაშქრობის და პეტრე I-ის მხარეზე ვახტანგ VI-ის გამოსვლის შესაძლებლობის, ვახტანგის გამაჰმადიანების მიზეზებისა და სხვათა შესახებ)⁹⁸.

ა. ვოლინსკიმ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ დავალებებს. მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი ვითარებისა, მან 1717 წ. ირანთან რუსეთისათვის სარფიანი სავიჭრო ხელშეკრულება

⁹⁷ დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 57.

⁹⁸ იბ. გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1960, გვ. 64—77.

დადო და ზედმიწევნით შეისწავლა ირანის საშინაო და საგარეულო
გდგომარეობა. ირანის შესახებ საჭირო ცნობების შევროვებაში რუს
დესპანს მნიშვნელოვნად იმანაც შეუწყო ხელი, რომ მან შეძლო
ქართველებთან და სომხებთან კავშირის დამყარება.

1719 წ. ა. ვოლინსკი, როგორც ირანის საქმეებში კომპეტენ-
ტური პიროვნება, სასტრახანის გუბერნატორად დაინიშნა, რათა
შესდგომიდა უშუალო სამზადისს კასპიის ზღვის სანაპიროზე ლაშ-
ქრობისათვის.

(როგორც ზემოთ იღვნიშნეთ, იმხანად განსაკუთრებით გაძლი-
ერთა დაღესტნელი ფეოდალებისა და ტომთა ბელადების თაოს-
ნობით მოწყობილი თავდასხმები მეზობელ ამიერკავკასიის ქვეყნებ-
ზე. კახეთს გარდა ლეკები ქართლის ტერიტორიებსაც არბევდნენ.
მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ბაქარმა ზომება მიიღო.)

ვახუშტის ცნობით, 1717 წ. ზაფხულში ჭარელთა რეაათასი-
ანმა რაზმმა დაარბია „ბოლნისი და ქციის ქვენი თავმრგვალამდე“..
მათ განსაღევნად ბაქარმა სასწრაფოდ გააგზავნა თავისი ბიძა სვი-
მონი, რომელიც, ვახუშტის თქმით, „ჰელოვდა, რამეთუ მოის-
რნენ ცოლშვილნი და მსახურნი მისნი მომსრველისა უამითა, რომ-
ლისასა იტყოდენ კრულვითა კათალიკოზისათა ყოფასა“. სამასი
მხედრით სვიმონმა მათ ნაზარას სოფლის ბოლოს შეუტია. მაგრამ
„მოეტევნენ ლეკნი და მოერტყნენ გარ. არამედ შემდგომად თოფ-
თა ცემისა ეკუთხნენ ქართველნი სისქესა მათსა და აოტნეს და
სრვიდნენ, ვითარცა ნადირთა. გარნა სიმრავლითა ლეკთათა დაი-
ფანჩნენ ქართველნი. იხილეს ესე ჭარელთა, მოიცუნენ ერთკერ-
ძო და მოსრნეს ქართველნი და აოტნეს სრულად, მიჰყვნენ მარნე-
ულის გორამდის და უკუნ-იქცნენ, განვლეს ყარაია შოებულთა,
არამედ მოისრნენ უმრავლესნი სიცხე-უწყლობითა და მიერით ვერ-
ლარა იყადრეს რბევა უამამდე“⁴⁹.

ლეკთა თავდასხმებმა, მათ შორის საკუთრივ ირანის ტერიტო-
რიებზეც, იმდენად დიდი მასშტაბი მიიღეს, რომ საგონებელში
ჩააგდეს თვით ირანის შაპიც. აშიტომაც ვახტანგმა გადაწყვიტა
დრო ეხელთა და ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად სამშობლო-
ში დაბრუნების ნებართვის თხოვნით მიმართა შაპს. საკითხი და-
დებითად გადაწყდა. ვახტანგი საქართველოში დააბრუნეს და მას
„ლეკების“ საკითხის მოგვარება საგანგებოდ დაავალეს. ვახუშტია
გადმოგვცემს: „ხოლო შემდგომად ნებითავე ვახტანგ მეფისათა მი-

⁴⁹ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 496.



უხუნა სპასალარობა ყევნმან და წარმოავლინა ქართლს, რათა გრაფიკული
ნაგოს საქმე ლექტა“¹⁰⁰.

(ვახტანგის დაბრუნებას სამშობლოში ქართლის მოწინავე სა-
ზოგადოება დიდი სიხარულითა და ზეიმით შეხვდა.) სენია ჩეი-
ძის ცონბით, „წარმობძანდა ყაზმინიდამ მეფე ვახტანგ, მობძანდა
აიღარბეგსა სამზღვარსა ლორესასა, აქედამ მიეგება ძე თვისი...
ბაქარ ჭარითა ქართველითა, იქით დადგა მეფე, აქეთ ძე მისი, მი-
ესალმნენ წინათ საბარათაშვილოს დროშა, სარდალი ლუარსაბ,
მეორე დროშა საამილახვროსი, გიორგი და ზემოქართველნი, შესა-
მედ მუხრანის ბატონი, არაგვისა და ქსნის ერისთავი, მერმე სამღ-
რდელო დასწი, კათალიკოზი, ბატონის შვილი, ძმა შეღისა დომენ-
ტი და სრულიად ეპისკოპოზნი და ბოლოსა ყამსა ჩამოვიდა ზნე-
სრული, მხნე, შვენიერი... ბაქარ, გადაეხვია მამა... შექნეს სიხარუ-
ლი და განცხრომა, მობძანდა ქალაქისა ტფილისისასა, შეიქნა სიხა-
რული, განცხორმა, დაჯდა სამეფოსა ტახტსა და დაისვა გვერთსა
მნათობი, მზეებრ ბრწყინვალე დედოფალი რუსულან, შექმნეს მი-
ლოცვა, აყრიდენ ოქროსა და ვეცხლსა ქვიშისაებრ“¹⁰¹.

ანალოგიურ სურათს გვიხატავს ვახუშტი ბაგრატიონი: „შემ-
დგომიდ მოვიდა მეფე ვახტანგ ტფილისს ქ'სა ჩ'ლით, ქარ. უზ
(ე. ი. 1719 წ. — გ. პ.), და დაჯდა ტახტსა ზედ; შეჰვიცეს ყოველ-
თა ქართველთა მეფობისა მისისა მტკიცედ ერთგულებასა ზედა და
დალოცეს ყოველთა ქართველთა მეფედ და მიუსლოცეს და გარდა-
აყარეს ოქრო და ვეცხლნი მრავალნი დიდებულთა, წარჩინებულთა,
აზნაურთა, კათალიკოზმან და ეპისკოპოს-არქიმანდრიტთა (არაშედ
ესე წესი ძუელთვე იყო საქართველოსა და უყოფლიან ყოველთა ეს-
რეთ ტფილის და მიერით უქმობდნენ მეფედ და თვინიერ მისი არა).
ხოლო იყო სიხარული და განცხრომა დიდი მოსვლისათვს ვახტან-
გისა, და განაგებდა კეთილად“¹⁰².

¹⁰⁰ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 497.

¹⁰¹ სენია ჩეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 328.

¹⁰² ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 497.



კახონის როლი ქართული კულტურისა და მეცნიერების
განვითარებაში

საშობლოში ვახტანგ მეექვსის ესოდენ დიდი ავტორიტეტი განპირობებული იყო ქართლის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების საქმეში მოპოვებული წარმატებითა და იმ უზომო ღვაწლით, რომელიც მან დას-დო ეროვნულ კულტურას.

ପେରାଣ୍ଡା କାନ୍ଦାଣ୍ଡା ଶୀର୍ଷିତୁ ଡୀଏବା

კულტურის დარგში ვახტანგის თაოსნობითა და უშუალო აქტიური მონაწილეობით განხორციელებულ მრავალ ღონისძიებას შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თბილისში 1709 წელს პირველი ქართული სტამბის დაარსებას.

ქართველმა ურმა ჭერ კიდევ უძველეს დროს წარმოშვა სა-
კუთარი ორიგინალური ანბანი და მხეცთე საუკუნიდან მოყოლე-
ბული მრავალი შესანიშნავი წერილობითი ძეგლი შექმნა. მაგრამ
ბეღუეულმართობის გამო დიდხანს ვერ იყენებდა XV საუკუნის
40-იანი წლების გუტენბერგის მადლიან გამოგონებას. პირველი
ქართული წიგნი სტამბური წესით მხოლოდ 1629 წელს გამოიცა და
ისიც საქართველოს ფარგლებს გარეთ. ეს იყო ქართულ-იტალიური
ლექსიკონი, რომელიც რომში დაიბეჭდა ქათოლიკური სარწმუ-
ნოების გამარცველებელი კონგრეგაციის მიერ¹. მა წიგნის თავ-

¹ ବେଳେ ପାଦିତ ମହାନ୍ତର ଶକ୍ତିକାଂତ ପାଦିତ, ମାର୍ଗତଥିଲୋ ପ୍ରିସନ୍. 1629—1929, ପଦ., 1929.

ფურცელზე იტალიურად ეწერა, რომ ლექსიკონი შედგენილი იყო „სტეფანე პაოლინის მიერ ქართველის, წმინდა ბასილის წესის ნიკიფორე ირბახის დახმარებით სახმარებლად სარწმუნოების გამარცელებელ სასულიერო კონგრეგაციის მისიონერთათვის“. ნიკიფორე ირბახის სახელით კი იტალიაში იცნობდნენ ქახეთის მეფის თემურაზ I-ის ელჩის ნიკოლოზ ჩოლაყაშვილს, რომელიც 1628 წ. რომში ჩავიდა².

იმავე 1629 წელს რომშივე დაიბეჭდა მეორე წიგნიც — ქართული ანბანი ლოცვებითურთ, რომელთა შემდგენელი იგვენ ნ. ჩოლაყაშვილი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პირველნაბეჭდ ქართულ ტექსტებში გაპარული იყო მრავალი შეცდომა, რაც მკვლევარ ქ. შარაშიძის დაკვირვებით იმით აიხსნება, რომ ქართული მასალის დაბეჭდვის დროს თემურაზ I-ის ელჩი რომიდან უკვე წასული იყო³. აღნიშნული ტექსტების სტამბურად გამოქვეყნებას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო ნ. ჩოლაყაშვილმა საპატიო ადგილი დაიკავა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში როგორც ქართული მხედრული სასტამბო შრიფტის შექმნის პიონერმა. ამავე დროს მას გარკვეული ადგილი ენიჭება ქართული ლექსიკოგრაფის ისტორიაშიც⁴.

მაგრამ ყოველივე ეს იყო წვეთი ზღვაში. ქართული წიგნების ბეჭდვის საქმის მოვარება მხოლოდ ეროვნული სტამბის დაწესების გზით იყო შესაძლებელი. ამიტომ ქართულ სტამბაზე ოცნებობდა ყოველი განათლებული მამულიშვილი და ბუნებრივია, რომ პროგრესული ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები თავგამოდებით იღწვონდნენ საქართველოში სტამბის დასაარსებლად. გიორგი XI, არჩილ მეფე და ვახტანგის მამა — ლევან ბატონიშვილი ამ საქმის მოსავარებლად ენერგიულად ცდილობდნენ კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქებთან თავისი ურთიერთბის გამოყენებას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია არჩილ

² იბ. ქ. კ ვ კ ვ ლ ი ძ ე, ნიკიფორე ირბახი, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935; გულჩინა ა კ თ ფ ა შ ვ ი ლ ი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი—ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977.

³ იბ. ქ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ქართული ანბანი XIX საუკუნეებდე. კრებულში: „ქართულა საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფა (1629—1940)“, თბ., 1941, გვ. 12—16.

⁴ იბ. ა. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 25.

⁵ იბ. შ. კ უ რ დ ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 3—29.



მეფის საქმიანობა. თუმცა ვერც მან შეძლო სამშობლოში დატვირთვა
ბის დააჩინება, სამაგიეროდ მიაღწია ქართული წიგნის მოსკოვ-
ში დაბეჭდვას.

პოლიტიკური მფარველობისა და სამხედრო დახმარების მი-
ლების მიზნით არჩილი რუსეთს გაემგზავრა. 1685 წელს იგი პირ-
ველად ჩავიდა მოსკოვს, დაუახლოვდა მოწინავე რუს მოღვაწეებს,
აგრეთვე მოსკოვში მყოფ ევროპელ მეცნიერებსაც. შვედი მევლე-
ვრის შპარვენცელდის მეშვეობით ამსტერდამის ცნობილ ოსტატს
ნიკოლოზ კიის (უნგრელი მესტამბე მიკლოშ კიში, რომელიც ამ-
სტერდამში საქმიანობდა) არჩილმა შეუკვეთა ქართული ნუსხა-
ხუცური, ასომთავრული და მხედრული შრიფტი. ამ საქმეში არ-
ჩილს დახმარებას უწევდა აგრეთვე ქ. ამსტერდამის ბურგომისტ-
რი ნიკოლოზ ვიტცენი. მევლევარ ქ. შარაშიძის მართებული და-
კვნით, არჩილი იმ დროს სასტამბო მოწყობილობას საქართველო-
ში ჩამოსატანად ამზადებდა⁶.

ამსტერდამში ქართული შრიფტი დამზადდა, მაგრამ გასამრ-
ჯელოს გადაუხდელობასთან დაკავშირებით მისი გაგზავნა არჩი-
ლისათვის შეფერხდა. ამასობაში არჩილს, თავისი ძმის, გიორგი
XI-ის წინადაღებით, 1688 წ. საქართველოში დაბრუნება მოუხდა.

1699 წელს არჩილი კვლავ რუსეთს გაემგზავრა და საბოლო-
ოდ დასხლდა მოსკოვში, სადაც კვლავ დაიწყეს ზრუნვა შრიფტის
შეძენისათვის. ამსტერდამში დამზადებული ქართული შრიფტი
სტოკოლმში მოხვედრილა. მაგრამ იქიდან მოსკოვამდის ვეღარ
მოულწევია.

1700—1721 წლებში რუსეთსა და შვედეთს შორის ომი წარ-
მოებდა. არჩილის უფროსი ვაჟი, ალექსანდრე, რომელიც პეტრე
I-ის თანამოღვაწე იყო და რუსეთის არტილერიის სარდლად, გე-
ნერალ-ფელდექმედისტერად დაინიშნა, ომის დასაწყისში ნაჩვასთან
ბრძოლის დროს (1700 წ.) ტყვედ ჩაუვარდა შვედებს. მაგა-შვი-
ლის ცდა სტოკოლმიდან შრიფტის მიღების თაობაზე ამაო ალ-
მოჩნდა. თა წელზე მეტმა ხანმა განვლო, ვიდრე შვედეთის მთავ-
რობა ტყვეობიდან ალექსანდრეს განთავისუფლებას დაეთანხმა.
მაგრამ ალექსანდრემ რუსეთს დაბრუნების ნებართვით უკვე
ვეღარ ისარგებლა. ტყვეობის უმძიმესმა პირობებმა გასტეხა მისი

⁶ იხ. ქ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში 1686—87 წწ.,
ქ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგარეო ბიბლიოთეკის შრო-
მები, თბ., 1937, III; შლ. ლაიონშ ტარდი, გურამ შარაშიძე, ქართუ-
ლი სტამპის სათავეებთან, გაზ. „კომუნისტი“, 1980 წლის 7 სექტემბერი.

ჭანმრთელობა, 1711 წ. ალექსანდრე არჩილის ძე გარდაიცვლილი იყო.

მოსკოვს მყოფი ორჩილი განაგრძობდა თავის საქმიანობას ქართული სტამბის დასაარსებლად. 1703 წ. 2 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიოს — „მოსოლკი პრიკაზის“ ხელმძღვანელს თ. ა. გოლოვინს ორჩილი წერდა, რომ მას უკვე ჰქონდა ქართული შრიფტი და რადგანაც მოსკოვში მხატვრები და სათანადო სპეციალისტებიც მოიძებნებოდა, ნებართვას თხოულობდა, რომ დაებეჭდა რუსეთის სამეფო სტამბაში („Печатный двор“) სასულიერო ხასიათის რამდენიმე ქართული წიგნი⁸. 1705 წ. მოსკოვში ორჩილმა გამოსცა კიდევაც ქართული „ფსალმუნი“ („დავითნი“) ნუსხური შრიფტით⁹.

მაგრამ ყოველივე ეს, ცხადია, საკმარისი არ იყო. ქართული წიგნის ბეჭდვის დამკვიდრება, პირველ რიგში, თვით საქართვე-

⁸ об. Письма имеретинского царя Арчилы к боярину Ф. А. Головину. «Раут» на 1852 г. Исторический и литературный сборник..., М., 1852, с. 329. არჩილის მდ წერილების აღრესატს ზოგიერთ სპეციალურ შრომაში შეცდომით გოლოვ-
ძინს უწოდებნ (იხ. ალ. ბარამიძე, არჩილის ცხოვრება, არჩილიანი, II, თბ., 1937, გვ. XIII; ქ. ვარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722),
თბ., 1955, გვ. 80—81).

არჩილის ზემოხსენებული წერილები გამოაქვეყნათ. ა. გოლოვინის შთამომა-
ვალმა ნიკოლოზ გოლოვინმა, რომელმაც თავის პუბლიკაციას წინასიტყვაობა და-
ურთო. მავრამ ბევრ სანტერესო ფაქტთან ერთად ეს ტექსტი შეცდომებაც შე-
იცავს. მაგალითად, წინასიტყვაობაში წერილი თითქოს არჩილისა და ვიორგი XI-ს
შორის ყოფილი ბრძოლა, რომლის შედევრადაც არჩილი რუსეთს გაემგზავრა. ისე-
ვით შეცდომითა ნაჩენენები ილექსანდრე არჩილის ძის გარდაცვალების თარიღი
1711 წლის ნაკვლით 1710 წ. წერა.

⁹ ଶୁରୁତ୍ୱାଲୋ ପ୍ରକଳ୍ପ, I, ତଥ., 1941, ୩୩. ୫.



ლოში სტამბის დაარსებას მოითხოვდა. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელება კი ვახტანგმა შეძლო. ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობა მხოლოდ ამ მხრივ რომ შევაფასოთ, იგი სავსებით საქმარისია იმისათვის, რომ ამ გამოჩენილ ადამიანს ქართული კულტურის დიდი მოღვაწის საუკუნო სახელი დაემკვიდრებინა.

გასაგებია, რომ სტამბის დაარსება წინასწარ დიდ საორგანიზაციო სამუშაოს მოითხოვდა. გარდა თვით მატერიალური ხარჯებისა, საქმე ხომ გარედან სათანადო სპეციალისტების მოწვევა-სა და ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან იყო დაკავშირებული, რაც განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა, ამ საქმეში კი ვახტანგს ფასდაუდებელი დახმარება ანთიმოზ ივერიელმა გაუწია. ვახტანგთან ერთად მან ფაქტობრივად გადამწყვეტი როლი შეასრულა თბილის სტამბის დაარსებაში.

მართალია, ჩვენ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია ვახტანგსა და ანთიმოზს შორის რაიმე საკითხზე მოლაპარაკების თაობაზე, მაგრამ სრული უფლება გვაქვს დავისკვნათ, რომ ქართული სტამბის დაარსების საკითხზე მათ შორის უშუალო მიწერ-მოწერა თუ არ წარმოებულა, გარკვეული მოლაპარაკება და შეთანხმება, თუნდაც რომელიმე სხვა პირის შუამავლობით, მაინც ყოფილა. ამის უტყუარი დადასტურებაა თვით ის ფაქტი, რომ ვახტანგმა ჩამოიყვანა მესტამბე ცწორედ ვლახეთიდან, სადაც მოღვაწეობდა წარმოშობით ქართველი, რუმინეთის გამოჩენილი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, მესტამბე და მწერალი ანთიმოზ ივერიელი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა რუმინეთში წიგნის ბეჭდვის საქმის განვითარებაში, დააარსა სტამბები ბუქარესტში, სნაგოვოს მონასტერში, რიმნიში, ტრიღოვისტში, ბეჭდავდა წიგნებს რუმინულ, ბერძნულ, ძველ სლავურ, არაბულ და თურქულ ენებზე¹⁰.

¹⁰ ი. ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, თბ., 1935; გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, ჟურნ. „დროშა“, — 1951, № 2; მ. გვინჩიძე, ანთიმი ივერიელი, თბ., 1973; ფ. ჯინჯიხაშვილი, ანტიმოზ ივერიელი, მემკვიდრეობის მიმღები მემკვიდრეობის მიმღები, ანთიმოზ ივერიელი, რუმინეთის უდიდესი წვლილი შეიტანა რუმინეთში წიგნის ბეჭდვის საქმის განვითარებაში, დააარსა სტამბები ბუქარესტში, სნაგოვოს მონასტერში, რიმნიში, ტრიღოვისტში, ბეჭდავდა წიგნებს რუმინულ, ბერძნულ, ძველ სლავურ, არაბულ და თურქულ ენებზე¹⁰.

ბუნებრივია, რომ ესოდენ გამოჩენილი მოღვაწე დიდი ა. ბუნებრივია ლისხმიერებით მოეკიდებოდა თავის სამშობლოში სტამბის დაარსების საქმესაც, რის შედეგადაც თბილისში სტამბის მოსაწყობად ჩამოვიდა ანთიმოზის მოწაფე, ჩინებული ოსტატი — მიხეილ იშტვანოვიჩი, რომელსაც საქართველოში „უნგროვლახელს“ „სტეფანეს შეიღლს“ უწოდებდნენ.

სამწუხაოდ, თბილისის სტამბის დაარსების ისტორიის შესახებ სათანადო მანალებს ჩვენამდე არ მოუწევია. ამიტომ კონკრეტული მსჯელობა მკვლევარს შეუძლია მხოლოდ თვით პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების მიხედვით, ამ წიგნების ანდერძებში დაცული მეტად მცირე ცნობების საფუძველზე.

რუმინელ მოღვაწეთაგან ამ ანდერძებში მოხსენებულია მხოლოდ მიხეილ იშტვანოვიჩის სახელი და სრულებით არაფერია ნათქვამი ანთიმოზ ივერიელზე. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ პ. კარბელაშვილმა¹¹, ა. ხახანაშვილმა¹² და ზ. ჭიჭინაძემ¹³ თბილისის სტამბის დაარსება ანთიმოზ ივერიელსა და ქართველებს შორის მოლაპარაკების შედეგად მიიჩნიეს, სამეცნიერო ბრუნვაში ჩაიმე ხელშესახები საბუთი არ იყო შემოტანილი. ასეთი საშუალება ჩვენ მხოლოდ 1949 წლიდან შოგვეცა რუმინეთში ა. შანიძისა და ნ. ბერძენიშვილის ჩასვლის შემდეგ.

ამ მოგზაურობის შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომში ნ. ბერძენიშვილი წერდა, რომ ბუქარესტში, აკადემიის სამკითხველოში მათ შეხვდათ ანთიმოზის პრობლემებზე მომუშავე სანდუ ტურდო, რომელმაც, უწინარეს ყოვლისა, 1709 წ. თბილისში დაბეჭდილი ქართული სახარება გვიჩვენაო. „ამ წიგნის მესამე გვერდზე, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, — რუმინულად ანთიმოზის ხელით საქმიანდ გრძელი მინაწერი აქვს. მინაწერს ხელს ურთავს თვით ანთიმოზი (შინაარსი ამ მინაწერისა ის არის, რომ ანთიმოზი ამ წიგნს ვალახის მთავარს უძღვნის). ამ ფაქტიდან შემდეგი შეიძლება დავასკვნათ: თბილისის სტამბიდან გამოსული პირველი წიგნი ანთიმოზს გაუგზავნეს“.

¹¹ პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკონი და მღვდელთ-მთავარნი, 1900, გვ. 132.

¹² А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, с. 367—368.

¹³ ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ქართულის სტამბისა და წიგნების ბეჭდების 1626—1900, ტფ., 1900, გვ. 56—60, 80—81.

სანდუ ტურდომ, განაგრძობს შემდეგ ნ. ბერძენიშვილის „...ჩვენი ყურადღება მიაქცია იმ წიგნის მოკაზმულობას რა, მთავრულოს, გვიჩვენა ორი წიგნი: ერთი ანთიმოზის ხელითაა ნაწერი და მის მიერვეა მოხატული (ლოცვანი?), მეორეა არაბულ ენაზე ნაპეტლი სახარება. ორივე ამ წიგნის მოკაზმულობა ისეთივე ხასიათისაა, როგორც ქართული სახარებისა, ხოლო ზოგიერთი სამკაული არაბული სახარებისა სრულიად იგივეა, რაც ქართული სახარებისა. ასე რომ შეიძლება უკევოდ აღინიშნოს საერთო წარმომვლობა არაბულ-ქართული სტამბური სახარების მოკაზმულობისა და ანთიმოზის ხელნაწერი წიგნის მოხატულობისა. და როცა ჩვენ ვიცით, რომ არაბული სტამბის შემომლები იგივე ანთიმოზი იყო, დასკვნა ქართული სტამბის მოწყობის საქმეში ანთიმოზის მონაწილეობის შესახებ ადვილმისალები გვეჩვენება“¹⁴.

მჩრიგად, ნ. ბერძენიშვილმა ქართული ისტორიოგრაფიაში პირველმა აღნიშნა ვლახეთის მთავრისადმი ანთიმოზი ივერიელის მიერ დაწერილი მიძღვნის ტექსტის მნიშვნელობა იმის დასადასტურებლად, რომ ანთიმოზი უშუალოდ იყო დაკავშირებული თბილისის სტამბის დაარსებასთან.

ცნობა ანთიმოზის ამ მიძღვნის შესახებ რუმინეთში ჯერ კიდევ 1903 წელს ყოფილა გამოქვეყნებული¹⁵, ხოლო რუმინულიდან ქართულად იგი ჯერ გ. ლეონიძემ¹⁶ და მერე ო. გვინჩიძემ¹⁷ თარგმნეს და გამოაქვეყნეს.

საილუსტრაციოდ მოვიტანთ ზემოხსენებულ ტექსტს: „ღვთაებრივი სახარების ეს წმინდა წიგნი პატივისცემით ეძღვნება შენს პრეცინვალებას, უგანათლებულეს ბატონს. ეს არის ახალი ნაყოფი, რომელიც წარმოშვა ივერიის მიწამ განოყიერებულმა შენი მეფური საჩუქრების მდინარისაგან და შენი შეწევნით. გაბედნიერდა ეს ქვეყანაც, გამდიდრდა თავის ენაზე ბეჭდური სიტყვით, ისევე როგორც გამდიდრდა არაბულ ენაზე წიგნების ბეჭდვით არაბეთი,

¹⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 52—53.

¹⁵ J. B i a n u , N. H o d o s , Bibliografia Românească Veche, 1508—1830, t. I (1508—1716),, Buc; 1903, გვ. 544.

¹⁶ იხ. გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, ფურნ. „დროშა“, 1951, № 2.

¹⁷ ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, 1973, გვ. 199.



შერმნულზე — ელადა, რუმინულზე — უნგრო-ელაბეთი. და ასეთი კულტურული მაღლიერი გიძლვნის ამ წიგნს, ისევე როგორც დანარჩენი სამი ქვეპე-
ქია. ჰეშმარიტი ქრისტიანობის უდიდესი აღმაფრენა იქცა იმ ოქროს
შდინარედ. რომელმაც წარმოშვა ოთხი ნაკადი—ბეჭდური სიტყვა
რუმინელებისა, ბერძნებისა, არაბებისა და ივერიელებისა. ისევე რო-
გორც პირველყოფილი ნეტარების წალკოტიდან წარმოედინა ოთ-
ხი მდინარე: ფისონი, გეონი, ტიგროსი და ეფფრატი, ოლონდ იმ
განსხვავებით, რომ ამ მდინარეთა წყალმა ახარა ქვეყნად ბილწი
და წარმავალი ნაყოფნი, შენი ძლიერი ნების წყალობით კი გაი-
ფურჩქნა წიგნთმეცდავობა, რომელიც იძლევა მარადიულ და ნა-
ყოფიერ მოსავალს. მიტომაც შენს ბრწყინვალებას დარჩება სა-
უკუნო დიდება და უკვდავება, ვინაიდან შენ ხარ წყარო და მყა-
რი ნიადაგი ამ სიკეთისა.

უალრესად შენი ერთგული და მუდამ შენზე მლოცველი ან-
თიმ, მიტროპოლიტი უნგროვლაბეთისა.

მაისი 21. 1710¹⁸

ო. გვინჩიძის მართებული შენიშვნით, ის გარემოება, რომ
ანთიმოზ ივერიელი სხვადასხვა ქვეყნებში პოლიგრაფიული მუშა-
ობის გაშლას მთლიანად ვლახეთის მთავარს კონსტანტინე ბრი-
ნჯოვიანუს დამსახურებას მიაწერს—აეტორის თავმდაბლობის ნი-
შანია, ხოლო ანთიმოზის სიტყვები იმის შესახებ, რომ ვლახეთის
მთავრის „შემწეობით“ „გამდიდრდა“ წიგნით „ივერიის მიწაო“.
უნდა გავიგოთ როგორც ქართველი ადამიანის მხრივ მაღლობის
გამოხატვა ვლახეთის მთავრისადმი, რომლის თანხმობისა და ხელ-
შეწყობის გარეშე ანთიმოზ ივერიელი საქართველოში სტამბის
მოსაწყობად სპეციალისტს ვერ გამოგზავნიდა და რამე ქმედით
ზომებს ამ მხრივ საერთოდაც ვერ მიაღწევდა¹⁹.

1949 წ. დეკემბერსა და 1950 წ. იანვარში ბუქარესტში იმყო-
ფებოდა გ. ლეონიძე. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იგი
ესწრებოდა გამოჩენილი რუმინელი პოეტის მიხაი ემინესკუს
დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. რუმინეთში ყოფნისას მან შე-
ისწავლა ქართული სახარების ის ეგზემპლარი, რომელშიც ჩაკ-
რული იყო ანთიმოზის მიერ რუმინულად დაწერილი და ხელმო-
წერილი ზემოხსენებული საძლვნო ხოტბა. გ. ლეონიძემ იქვე ათარ-

¹⁸ ო. ვ ვ ი ნ ჩ ი ძ ე, ანთიმ ივერიელი, თბ., 1973, გვ. 199.

¹⁹ იქვე, გვ. 199—200.

გმნინა ეს ტექსტი რესულად და შემდეგ, როგორც ზემოთ აღვხას შეადგინება ნეთ, ქართული თარგმანი გამოაქვეყნა უურნალ „დროშაში“ 1951 წ. წიგნის ამ ეგზემპლარშივე მან შენიშნა აგრეთვე ჩაკრული ხუცური შრიფტით დაბეჭდილი პატარა, ცამეტტაუპოვანი შაირით დაწერილი პოემა, რომელიც უურნალ „დროშის“ იმავე ნომერში გამოაქვეყნა.

ამ პოემის მიხედვით ვახტანგს როდესაც ვანუზრახავს თბილისში სტამბის დაწესება, იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთესათვის უთხოვია, რომ სასტამბო საქმის ხელოვანი კაცი გამოეგზავნა²⁰. ხრისანთეს თავის შერივ ვლახეთის მთავარ კონსტანტინე ბრინჯოვიანუსათვის მიუმარტივს. უკანასკნელს ოსტატ მიხეილისათვის უბრძანებია საქართველოში წასვლა. ვახტანგს იგი მიუღია „ვითა შეილი“. მიხეილს პირნათლად შეუსრულებია თავისი საქმე და თბილისში „სტამბა გასრულდა, გათავდა, რაც იყო მისი წესია“. პოემა თავდება ვახტანგის სიტყვებით: „საქმე ძნელად საშოვნელი ღმერთმან ასრე გამიადრა, მისი ტებილი მოწყალება საფარველად გამიიჩადრა“²¹.

გარდა ამისა, გ. ლეონიძემ ყურადღება მიაქცია 1936 წელს ბუქარესტში გამოცემულ კრებულში „ბერძნული ღოკუმენტები რუმინეთის ისტორიისათვის“ 1713 წლის 6 აპრილით დათარიღებულ ანთიმოზის წერილს იერუსალიმის პატრიარქისადმი. გ. ლეონიძემ ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა ამ წერილის ის ადგილი, სადაც ანთიმოზი შემდეგს აუწყებს ხრისანთეს: „ჩემო ხელმწიფეო, შენი ლოცვა-კურთხევით ივერიაში წარგზავნილი მოწაფე ჩემი, სტამბის ხელოვანი მიხაილ ერთი წელიწადია, რაც ივერიიდან წამოვიდა და ძალიან დიდხანს მოუნდა გზას სატახტო ქალაქამდე (იგულისხმება ბუქარესტი — შენიშვნა გ. ლეონიძისა). შენი ლოცვით ჯანმრთელად ჩამოვიდა. მოისურვა რა უფრო კარგად დაეცვლოს სტამბის ხელობას, ამიტომ პოლანდიაში წავიდა. რამდენი ხანი დარჩება იქ, არ ვიცი.“²².

გ. ლეონიძის მიერ გამოქვეყნებულმა მასალამ, ბუნებრივია, მკლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგრამ ზემოხსენებული

²⁰ იერუსალიმის პატრიარქები იმ ხანად კონსტანტინოპოლში ცხოვრობდნენ.

²¹ ეს პოემა გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა პირველი ორი ტაეპის გარეშე. სრული სახით იგი გამოცემული აქვს ო. გვინჩიძეს, რომელიც გ. ლეონიძის არქივით სარგებლობდა. იხ. ო. გვ. 167 ჩ. 9, ანთმ ივერიელი, გვ. 167—168.

²² „დროშა“, 1951 წ. № 2, გვ. 18; შდრ. ო. გვ. 167 ჩ. 9 ანთმ ივერიელი, გვ. 192—193.

პოემა რამდენად ზუსტად ასახავს დეტალებში რეალურ სინამდვი-
ლეს, ამის თქმა ძნელია. მკვლევარი შ. კურდლელაშვილი შეეცნა,
რომ გაერკვია ზოგიერთი ფაქტი. მაგალითად, დაედგინა ხრისან-
თეს იერუსალიმის პატრიარქად დადგომის თარიღი. შ. კურდლე-
ლაშვილი იმოწმებს იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიის შე-
სახებ არსებულ ზოგიერთ კლიტერატურას და დასკვნის, რომ
ხრისანთეს წინამორბედს „იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს
1708 წლამდე უმოლვეწია; მძიმე ავადმყოფობის გამო პატრიარ-
ქობიდან გადამდგარა და 1709 წლის თებერვალში გარდაიცვა-
ლაო“²³. მაგრამ ამის შემდეგ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე
წერს: „აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს ვითიქროთ,
რომ პატრიარქის თანამდებობაზე ხრისანთეს შეუცვლია დოსი-
თეოსი 1707 წლის ბოლოს, დაახლოებით ოქტომბერში, ან ნოემ-
ბერში. მაშასადამე, ხრისანთე პატრიარქს ვახტანგის წერილი მიუ-
ლია დახლოებით 1707 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეების
მიჯნაზე“²⁴.

ბუნებრივია, აქ დაისმის კითხვა: ხრისანთეს პატრიარქად და-
დგომა რატომ უნდა ვივარაუდოთ 1707 წ. ოქტომბერ-ნოემბრი-
დან და არა უფრო ადრე, ანდა გვიანი დროიდან? მით უმეტეს,
რომ თვით შ. კურდლელაშვილის თქმით დოსითეოსს 1708 წლამ-
დე უმოლვაწიაო.

ო. გვინჩიძის აზრით, დოსითეოსი უნდა იყოს გარდაცვლილი
არა 1709 წ. თებერვალში, არამედ 1707 წ. 7 თებერვალს. ამ შე-
მთხვევაში იგა ეყრდნობა იმ მონაცემებს, რომელიც გამოქვეყნე-
ბულია წიგნში „Сообщения императорского православного палес-
тинского общества“ (1908, ტ. XIX, გვ. 29)²⁵ ასეა თუ არა ყოველივე,
ამჯერად თქმა ძნელია, მაგრამ ცხადია მხოლოდ ის, რომ ანთიმოზ
ივერიელი უშუალო კავშირში იყო თბილისში სტამბის დაარსე-
ბასთან.

ბუნებრივია, რომ მიხეილ იშტვანვიჩთან დაკავშირებით
ჩვენს ისტორიოგრაფიაში დაისვა საკითხი მისი ვინაობისა და
თბილისში სტამბის დაარსებაში შესრულებული როლის შესახებ.
აგრეთვე წამოიჭრა საკითხები, თუ რა გზით ჩამოვიდა იგი საქარ-

²³ შ. კურდლელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 43.

²⁴ იქვე.

²⁵ იხ. ო. გვ. ინჩიძე, ანთიმ ივერიელი, გვ. 212.



თველოში, ჩამოიტანა თან სასტამბო მოწყობილობა, თუ ფრენტის დამკარგებლის დამზადა. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ა. შანიძის წერილი „ქართული სტამბის ისტორიისათვის“, გამოქვეყნებული 1935 წ. „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“. პირველნაბეჭდი ქართული წიგნების ანდერძებისა და ე. პიჯის ნაშრომის საფუძველზე ა. შანიძემ იმხანად მრავალი საკითხი დასვა და ზოგიერთი მათგანი კიდევაც გადაწყვიტა.

უკანასკნელ დროს კი ამ თემაზე გამოცემულ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია ო. გვინჩიძის მონოგრაფია ანთიმოზ ივერიელზე²⁶. რუმინული წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე ავტორს გაშუქებული აქვს მრავალი საინტერესო საკითხი. მაგალითად ის, რომ მიხეილ იშტვანოვიჩი წარმოშობით ტრანსილვანიიდან, არდიალიდან იყო და ეკუთვნოდა ვლახელი გლეხების იმ მრავალრიცხვან წრეს, რომელიც ყმად ედგა უნგრელ მებატონებს. მათ კარზე მყოფი ვლახელ ყმათა სახელები კი გაუნგრულებას განიცდიდა. ასე გადაიქცა მიხეილი — ვაჟი სტეფანესი, ვაჟად იშტვანისა, ხოლო ფორმა „იშტვანოვიჩი“ სლავიზაციის შედეგია, რაც იმდროინდელი უნგრო-ვლახეთის ეპარქიის სასულიერო-საეკლესიო გარემოცვაში ხდებოდა ო ხოლმე²⁷. ო. გვინჩიძე დეტალურად განიხილავს მასალებს ანთიმოზ ივერიელის როლის შესახებ რუმინეთში წიგნების ბეჭდვისა და მესტამბეთა აღზრდის (მათ შორის იშტვანოვიჩისაც) საქმეში. აშუქებს თვით იშტვანოვიჩის საქმიანობას საქართველოში ჩამოსვლამდე. ო. გვინჩიძის დაკვირვებით, ვლახეთიდან საქართველოში იშტვანოვიჩი უნდა წამოსულიყო 1707 წლის პირველ ნახევარში, რადგანაც ამ დროიდან დაწყებული და შემდგომ რამდენიმე წლის მანძილზე მისი კვალი ვლახეთში არსად ჩანს²⁸.

რაც შეეხება გზას რომლითაც იშტვანოვიჩი საქართველოში ჩამოვიდა, ამის დაგვენა ძნელია ცნობების უქონლობის გამო. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ უფრო მართებულია ვითიქროთ, რომ მისი მარშრუტი კონსტანტინეპოლზე გავლით გადიოდა. ასევე ძნელია სრული სიზუსტით თქმა იმისა, თან მოიტანა იშტვანოვიჩმა ვლახეთიდან საბეჭდი დაზგა და სასტამბო მთელი მოწყობილობა,

²⁶ ო. გვინჩიძის ეს ნაშრომი ჩვენ განხილული გვაქვს რეცენზიანში, რომელიც შუალ. „მნათობში“, 1975 წ., № 5 დაიბეჭდა.

²⁷ იხ. ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, გვ. 171—173.

²⁸ იქვე, გვ. 215.

თუ ყველაფერი მთლიანად ან ნაწილობრივ თბილისში დაამზადეს ბინა ადგილობრივ ხელოსნებს.

ამ საკითხებზე მსჯელობა ჩვენ, სამწუხაროდ, მხოლოდ თვით პირველნაბეჭდი წიგნების ანდერძების მონაცემების მიხედვით შევიძლია, რადგანაც სხვა რაიმე ცნობები არ გავიაჩნია.

1709 წ. გამოცემულ სახარებისა და სხვა წიგნების ანდერძებში კი ძუნწადაა ნათქვამი, რომ ვახტანგმა „მიიღო სტამბა ვლახეთით“. თვით ვახტანგი თავის ანდერძში, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ყველა გამოცემას ახლავს, ამბობს: „მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბაო“.

1709 წ. გამოცემული სახარების ანდერძში მიხეილ იშტვანივიჩი, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს ვახტანგის ინიციატივას სტამბის მოწყობის საქმეში. იგი წერს: „პირველად მიზეზი უცხოსა ამისა საქმისა და... უცონელად შემასრულებელი სტამბისა ამის სამკვიდრებელსა თქვენსა იქმნა... განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრიონი ვახტანგ“. ამის შემდეგ კი გადმოგვცემს, თუ რა გააკეთა მან პირადად, როგორც სასტამბო საქმის ოსტატმა: „ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენი იხილვებიან — ასონი, ორლანონი და ყოველნი საქმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდი, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ, უნდო მონა თქვენიო“.

ბოლოს აღნიშნავს, რომ წიგნში შესაძლებელი იყო ზოგიერთი შეცდომაც, რადგანაც თვითონ ქართულის უცოდინარი იყო, ხოლო მოწაფეები სასტამბო საქმეში ჯერ კიდევ გამოუცდელი ჰყავდა. ამის შესახებ იშტვანოვიჩი ხაზგასმით წერს: „სიმდაბლით გვედრები თქვენ ყოველთა, დიდთა და მცირეთა — უკეთუ ცოთმილი რამე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამქირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანასა ამის და უსსმენელი სიტყვათა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფე იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა, ვითარცა მე ვიყავ ქართულის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა“. გასაგებია, რომ აქ იგულისხმებიან იშტვანოვიჩის ის ქართველი მოწაფეები, რომლებიც მასთან ერთად თბილისის სტამბის დაწესებაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

უდავოდ, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვითიქროთ, რომ თბილისის სტამბისათვის ვლახეთიდან მთელი მოწყობილობის წამოღებას არავითარი აზრი არ ჰქონდა გზის სიშორისა და მრავალი სიძნელის გამო. იშტვანოვიჩისათვის უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო,



რომ მას თან წამოელო მხოლოდ ცალკეული ნაწილები, განკვეული ნიმუშები, ზოგიერთი კლიშე, განსაკუთრებული იარაღი და ნახაზები, რის მიხედვითაც მისი ხელმძღვანელობით თბილისში, წელიწადში ან წელიწადნახევარში, სტამბა გაიმართა. ამგვარად ან-თიმოზ ივერიელის შემწეობით და მიხაილ იშტვანოვიჩის მეოხებით თბილისში მიაღწიეს სტამბის მოწყობას და, რაც მთავარია, პოლიგრაფიის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა შეიძინეს.

რაც შეხება ქართული შრიფტის დამზადებას, იგი ქართველ მწიგნობართა და მოღვაწეთა გარეშე, ბუნებრივია, ვერაფრით ვერ გაკეთდებოდა და აյ მხოლოდ ქართულის ცოდნა არ წყვეტდა საკითხს, არამედ საჭირო იყო დიდი გემოვნებაც, ქართული დამწერლობის ღრმა ცოდნა, მაღალი კულტურა და სათანადო ავტორიტეტიც, რომ საკითხები პრინციპულად გადაწყვეტილიყო. ყოველივე ეს კი, ცხადია, საქმეში პირადად ვახტანგის უშუალო მონაწილეობას მოითხოვდა.

ცნობილი ქართველი პოლიგრაფისტი ბ. გორდეზიანი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ქართული მხედრული შრიფტის ისტორიის საკითხები მართებულად შენიშვნას, რომ თბილისის სტამბის შრიფტი დამზადებული იყო საუკეთესო ქართული ხელნაწერების მიხედვით, ანთიმოზ ივერიელს კი ვლახეთში „არ შეიძლება ჰქონოდა საუკეთესო ხელნაწერები, როგორც ნუსხურის, აგრეთვე მხედრულისა, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ იგი ამ შრიფტების პუნქტონებს, მატრიცებს და მით უფრო ლიტერებს ვერ დამზადებდა. ვეჭვობთ, რომ უნგრო-ვლახეთში ასეთი ხელნაწერები ყოფილიყოს“²⁹.

ამასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა ქ. შარაშიძის დაკვირვება, რომ ვახტანგის „სამართლის წიგნის“ საძიებლის ხელი ძლიერ ჰგავს ვახტანგის სტამბის მხედრულ შრიფტს, ხოლო „სამართლის წიგნის“ საძიებლის იმ მინაწერის მიხედვით, რომ „ზანდუკისა ამის დამწერი მაღალაძე სოლომონ“ იყო, ქ. შარაშიძემ სხვა დოკუმენტური მასალების მოშველიებით დაადგინა. რომ ეს პიროვნება ვახტანგის ძმის, დომენტი კათალიკოზის მდივან-მწიგნობარი ყოფილა³⁰.

²⁹ ბ. გორდეზიანი, ქართული მხედრული შრიფტი, თბ., 1955, გვ. 43

³⁰ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 112—113.



სტამბის შრიფტისა და ხელნაწერის გულდასმით შედარებებს ჩაუყავა
საფუძველზე ქ. შარაშიძემ მართებულად დაასკვნა, რომ „საქონ-
თოდ, სოლომონ მაღალაძის ნაწერისა და ვახტანგის სტამბის მხე-
დრული შრიფტის მსგავსება ერთი თვალის მოკვრითვე იგრძნობა;
მაგრამ შემდგომი დაკვირვება მათ შორის არსებულ განსხვავე-
ბასაც ცხადად გვიჩვენებს. ეს განსხვავება მეღავნდება, როგორც
ზოგიერთ ცალკე ასოს დამწერლობაში, აგრეთვე სტამბური შრიფ-
ტისა და სოლომონის ნაწერის საერთო იერის დეტალებში³¹.
ქ. შარაშიძე კონკრეტულად ჩამოთვლის კიდევაც ამ მსგავსება-
განსხვავების ნიშნებს³², რაც ნათლად მოწმობს იმ გარემოებას,
რომ სასტამბო შრიფტის გრაფიკული დადგენა წინასწარ ჩატარე-
ბული დიდი სამუშაოს შედეგი იყო, ხოლო ამ საქმის გადამწყვე-
ტი, ბუნებრივია, პირადად ვახტანგი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც
ყოველმხრივ გამართლებულია, როდესაც პირველი ქართული
სტამბის მხედრულ შრიფტს ვახტანგურს უწოდებენ.

სტამბისათვის თბილისში საგანგებო შენობა — „სტამბის სა-
ხლები“ მტკვრის მარჯვენა ნაპირის, მეფის სასახლის ახლოს, ან-
ჩისხატისა და სიონის ტაძრის შუა მდებარე ფართობზე აუგიათ³³.

სტამბის მოსაწყობად, ცხადია, დიდი ხარჯები იყო გაწეული.
1710 წ. გამოცემულ ლოცვანის ანდერძში ნათქვამია, რომ „ვახ-
ტანგმა ფრიადისა ჭირითა და მრავალთა საფასეთა წარგებითა მი-
იღო სტამბაო“.

თბილისის სტამბის წიგნები ევროპიდან შემოტანილ ჭვირნიშ-
ნიან ქალალდზე; იძეჭდებოდა. ევროპულ ქალალდს საქართველოში
ადრეც იყენებდნენ. მაგალითად, „ვეზნისტყაოსნის“ ახალციხეური
ხელნაწერი, რომელიც XVI—XVII საუკუნეების მიჯნით თარიღ-
დება, აგრეთვე პოემის ტექსტი გადაწერილი 1646 წელს მღივან
მამუკა თავაქარაშეილის მიერ და XVII საუკუნის სხვა ხელნაწერე-
ბი დაწერილია ევროპულ ჭვირნიშნიან ქალალდზე³⁴.

ამიტომ, ჩვენი აზრით, ზოგიერთი ავტორის კატეგორიული
განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს თბილისის ქართული

³¹ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბისა და სტამბობის გვ. 113.

³² იბ. იქვე, გვ. 112—114.

³³ იბ. თ. უ რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების
სტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 98—103; Пл. Иоселиани, Опи-
сание древностей г. Тифлиса, Тифлис, 1866, с. 247.

³⁴ იბ. რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, „ვეზნისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები. კრებ.
„მრავალთავი“, ფილოლოგიურ-სტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 56—96.



სტამბისათვის ქაღალდი მიხეილ იშტვანოვიჩმა ჩამოიტანა, დაბეჭდის ძველს მოკლებული უნდა იყოს.

ჩვენამდის მოაღწია ვახტანგის სტამბის ოცმა გამოცემამ. ესენია:

1709 წ. დაბეჭდილი — „სახარება“; „დავითნი“; „სამოცი-ქულო“ (სამივე დაბეჭდილია მსხვილი ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1710 წ. გამოცემული — კონდაქი (მსხვილი, საშუალო ზომისა და წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტით, მრგლოვანის, მხედრულისა და ბერძნულის გარევით); „ეამნი“ (მხედრული შრიფტით); „ეამნი“ (წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტით, მხედრულის გარევით); „ლოცვანი“ (წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1710—1711 წწ. გამოქვეყნებული — „ბიბლია“ (საშუალო ზომის ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1711 წ. გამოცემული — „დავითნი“ (მხედრული შრიფტით, ნუსხა-ხუცურისა და ბერძნული შრიფტების გარევით); „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვანსა სწავლება მოწაფისა“ (მხედრული შრიფტით).

1712 წ. დაბეჭდილი — „ვეფხისტყაოსანი“ (მხედრული შრიფტით); „დავითნი“ (საშუალო ზომის ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1713 წ. გამოცემული — „კურთხევანი“ (საშუალო ზომის ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1716 წ. გამოცემული — „დავითნი“ (ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1717 წ. დაბეჭდილი — „ეამნი“ (წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტით); „ლოცვანი“ (წვრილი ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1719—1720 წწ. დაბეჭდილი — „კურთხევა ეკლესიისა“ (ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1720 წ. გამოცემული — „პარაკლიტონი“ (საშუალო ზომის ნუსხა-ხუცური შრიფტით).

1721 წ. გამოცემული — „ქმნულების ცოდნის წიგნი“ (მხედრული შრიფტით, თავფურცლის ტექსტი და სათაურები ნუსხურით).

1722 წ. დაბეჭდილი — „ეამნი“ (მხედრული შრიფტით).

სასტამბო საქმის დასაწყისისათვის ასეთ რაოდენობით და, რაც მთავარია, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე წიგნების გამოცემა, ცხადია, უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. პირველ ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნები სავსებით პასუხობდნენ მსოფლიოში იმ დროს მიღებულ სტანდარტებს.



ვახტანგის სტამბის წიგნების პირველი სრული აღწერილებული დოკუმენტი და მის მიზანი დამოუკეყნებულ ნაშრომში „ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია“. I. (თბილისი, 1941, №№ 5 — 24). ეს აღწერილობა ქრისტინე შარაშიძეს ეკუთვნის. შემდგომ მან უფრო საფუძვლიანად შეისწავლა თბილისის პირველი სტამბის გამოცემები და ამ საკითხს ფუნდამენტური მონოგრაფია მიუძღვნა³⁵.

ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით ვახტანგის სტამბის გამოცემანი შეისწავლა შალვა კვასხვაძემ³⁶, ხოლო ამ სტამბის მეურნეობისა და ქართული მხედრული შრიფტის საკითხები, როგორც ზემოთ ითქვა, გააშუქა ბ. გორდეზიანმა³⁷.

თბილისის სტამბის აღნიშნული გამოცემებიდან მიხეილ იშტვანვიჩის მონაშილეობით პირველი ათი წიგნი გამოქვეყნდა. შემდეგი ათი კი ქართველ მესტამბეთა მიერ დაიბეჭდა. ამ მესტამბეთა სახელებია: „ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელ“, როგორც ეს აღნიშნულია 1712 წ. გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ მესტამბის ლექსში. მასვე ეკუთვნის 1712 წ. „დავითნის“ და 1713 წ. „კურთხევანის“ გამოცემები. გიორგი მხატვარი, რომელმაც 1716 წ. დაბეჭდა „დავითნი“, 1717 წ. — „უამნი“ და 1720 წ. — „პარაკლიტონი“. მასთან ერთად „დავითნის“ გამომცემლად ნახსენებია მესტამბე „გარსევან ყოფილი მღვდელი გაბრიელ“, რომლის სახელი აღნიშნულია აგრეთვე 1717 წ. „ლოცვანის“ გამოცემაზე, 1719—1720 წლებში გამოქვეყნებულ „კურთხევა ეკლესიისა“ და 1722 წ. „უამნის“ გამოცემაზე.

ამ წიგნებს მესტამბე-გამომცემლებს გარდა რედაქტორებიც ჰყავდა, თურმე. ასეთებად დასახელებული არიან ნიკოლოზ ორბელიანი (სულხან-საბას ძმა), გერმანე მღვდელ-მონაზონი, კვიპრიანე სამთაველი (ერისთავი). ზოგან რედაქტორებად აღნიშნულია „ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქაელი“ და „გარსევან ყოფილი მღვდელი გაბრიელ“.

ბუნებრივია, რომ თბილისის სტამბის გამოცემანი ძირითადად სასულიერო ხასიათის წიგნები იყო. იმხანად სხვაგვარად არც იქ-

³⁵ ქრისტინე შარაშიძე, პირველი სტამბის საქართველოში (1709—1722), თბ., 1955.

³⁶ შალვა კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბ., 1952.

³⁷ ბ. გორდეზიანი, პირველი ქართული სტამბა და მისი მეურნეობა, შურნალი „მნათობი“, 1950 წ. № 1; მისი კართული მხედრული შრიფტი, თბ., 1955.



ნებოდა, რელიგია საზოგადოებრივი ცნობიერების გაპატიონული მასალების შესახებ და ფორმა იყო და ამიტომ სახელმწიფოც და ეკლესიაც პირველ ჩიტოვით თვის სულიერ საზრდოზე ზრუნვას გამოიჩინდნენ. საქართველოში, როგორც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ მეცნანაში, მართლმადიდებლობა მსოფლმხედველობის საფუძველს წარმოადგენდა და თბილისის სტამბის პროდუქციაც, ცხადია, მის სამსახურში უნდა მდგარიყო. მაგრამ აქ უნდა ოლინიშნოს ის გარემოებაც, რომ მთავარ კანონიკურ საეკლესიო წიგნებთან ერთად თბილისის სტამბაში დაიბეჭდა ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოც— „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, რომლის ავტორი იყო გერმანე მლედელ-მონაზონი. მართალია, ეს წიგნიც ძირითადად რელიგიური ხასიათისა იყო: ავტორი მიზნად ისახავდა XVII ს. მოერე ნახევრიდან საქართველოში მაპშადიანთა გაზრდილი გავლენის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის გაძლიერებას ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი დებულებების ცოდნის ფართოდ გავრცელების გზით, მაგრამ ამის მიღწევას იგი ცდილობდა უდიდესი პედაგოგიური მეთოდის საფუძველზე.

დიალოგის ფორმით დალაგებული ეს თხზულება ემყარებოდა სიადვილის პრინციპს. მარტივად, სასაუბრო, ხალხური ენის საშუალებით და წიგნის მხედრული შრიფტით დაბეჭდვით ავტორი ცდილობდა ხელი შეეწყო მასალის კარგად და სწრაფად ათვისებისათვის.

გარდა ამისა, როგორც ეს მართებული ა. შარაშიძემ აღნიშნა, გერმანეს სახელმძღვანელო, მსგავსად სულხან-საბა ორბელიანის „სწავლათა“, გვიხატავს იდრიონდელი ადამიანების რელიგიურ დაცვებასაც. მაგალითად, ერთგან საუბარში მოძღვარი მოწაფისაგან ღებულობს შეკითხვას: თუ ქრისტე ჭოჯოხეთშიც ჩადის, „რათ არ იქვისო“, ხოლო მეორეგან მოწაფისაგან ისმენს: „თუ ღმერთი უკორცო და უხილავი არის, როგორ იქნებოდა მსგავსი ღთისა ადამ-კაცი ზრქელი, ჭორციანი და სისხლიანი?“³⁸ უთუოდ, ასეთი ხასიათის წიგნის ოფიციალური გამოქვეყნებით ვხსტანგი ხელს უშენდება პროგრესული მეთოდის დანერგვას სწავლა-განათლების პრაქტიკაში.

სასულიერო წიგნებს გარდა ვახტანგმა შეძლო საერო ლიტე-

³⁸ ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 140. იხ. აგრეთვე, ქ. შარაშიძე, ქართული ნაშემდი სახელმძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში, კრებულში: „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, I, თბ., 1937.

რატურის გამოცემაც. 1721 წ. თბილისის სტამბაში დაიბეჭდი ჰამედია
ცნიერული თხზულება — „ქვენულების ცოდნის წიგნი“, ასტრო-
ნომიულ-კოსმოგრაფიული შინაარსისა, სპარსულიდან ქართულად
თვით ვახტანგის მიერ თარგმნილი. ამ ნაშრომის შესავალში ვახ-
ტანგი აღნიშნავდა, რომ „საქართველო მრავალგზის მტერთიაგან
მოკვრებულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა
ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა და სხვათა ენისა კაცნი ქარ-
თველთა ეკიცხოდენო“, ამიტომაც „მე... ეს სპარსული აიათი,
რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი — ზიგი თალა მასალა —
და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე... და სტროლაბიც ქართულად
გამოვიღო“, იმისათვის, რომ „ქართველებმა „ისწავონ და წა-
დიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ
ქართულისა ენითა ფილა[სო]ფოსობა და გამოიღონ“. ვახტანგის

ამ სიტყვებს არავითარი კომენტარი არ ესაჭიროე-
ბა.

მაგრამ თბილისის სტამბის ისტორიაში მთავარი, განსაკუთრე-
ბული მნიშვნელობა იმას ენიჭება, რომ 1712 წელს პირველად
განხორციელდა შორა რუსთაველის უკვდავი პოემის ბეჭდური გა-
მოცემა. ეს იყო მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა. რედაქცია და
კომენტარები თვით ვახტანგს ეკუთვნოდა, ამდენად ვახტანგი პირ-
ველ მეცნიერ რუსთაველოლოგად გვევლინება.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ ყოველმხრივ შეისწავ-
ლა აკაკი შანიძემ. ჩადგანაც ამ გამოცემის ცალებმა ჩეენამდის
ცოტამ მოაღწია, ხოლო რაც გადარჩა, ისიც დაზიანებულია: თი-
თქმის ყველას აკლია ან თავში, ან შუაში, ან ბოლოში, ისე რომ
დაუზიანებელი ცალი არ მოიბოვება, ა. შანიძემ ითავა ვახტანგი-
სეული „ვეფხისტყაოსანის“ აღდგენა და ეს საშვილიშვილო საქმე
დიდი წარმატებით განახორციელა. 1937 წელს რუსთაველის იუ-
ბილეს დღეებში ჩეენმა საზოგადოებაშ 1000 ცალის რაოდენობით
მიიღო „ვეფხისტყაოსანი“ იმ სახით, როგორც იგი 1712 წელს და-
იბეჭდა. ცხადია, კორექტურული შეცდომების შესწორებით.

ამრიგად, ა. შანიძემ მთელი სილრმით გაარკვია შოთა რუს-
თაველის პოემის 1712 წლის გამოცემის რაობა და ამით შესაძ-
ლებელი გახადა რიგი ძირითადი საკითხების გადაჭრა.

1975 წელს ვახტანგ მეექვისი დაბადების 300 წლისთავზე
„ვეფხისტყაოსანის“ პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამო-
ცემა 1712 წლისა აღდგენილი 1937 წ. ა. შანიძის მიერ ხელმეო-
რედ, ფოტორეპროდუქციული გამოცემის სახით 20 000 ტირაჟით
დაიბეჭდა როგორც უძვირფასესი გამოცემა.

ვახტანგ VI რუსთაველოლოგის სათავესთან დგას. მაგრამ მისი როლი მეცნიერების ამ დარგის განვითარებაში მხოლოდ იმით კი არ განისაზღვრება, რომ ის პირველი მკვლევარი იყო „ვეფხისტყაოსნისა“, არამედ უმთავრესად იმით, რომ პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემით მან მყარი საფუძველი შეუქმნა რუსთაველოლოგის განვითარებას, მისცა მას სწორი მიმართულება და დღეს, 270 წლის შემდეგაც, ზოგიერთი მისი დასკვნა ქეტუალურად ულერს და არ კარგავს თავის ღირებულებას.

რუსთაველის გარშემო XIV—XVIII საუკუნეების საქართველოში მწვავე ბრძოლა წარმოებდა. მაშინ როდესაც მოწინავე ქართული მწერლობა რუსთაველით საზრდოობდა, კლერიკალურ-რეაქციული საზოგადოება მას დევნიდა. რადგანაც პოემის ავტორი ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა იყო, უმღერდა ამქვეყნიურ ლამაზია და შინაარსიან ადამიანურ ცხოვრებას; კლერიკალური წრეები „ვეფხისტყაოსანში“ კარგს არაფერს ხედავდნენ და მას სულისათვის არასასარგებლო თხზულებად თვლიდნენ. ამიტომაც ისინი ცდილობდნენ ქართული კულტურისათვის „ვეფხისტყაოსნის“ გამანაყოფიერებელი და შთამაგონებელი მნიშვნელობის გაბათილებას, თხზავდნენ პასკვილებს და ურთავდნენ მათ პოემის ხელნაწერებს. მაგალითად, პოემის ერთ ძეელ ხელნაწერს დართული აქვს პასკვილური სტროფი, რომელიც მკვლევარ შ. ონიანის აზრით XIV საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი. ამ სტროფში პოემა შემდეგნაირადაა შეფასებული:

პირველ-თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
 ვუხმობთ ვეფხისტყაოსნობთ, არსა შეიქს ხორც-არსულად.
 საერთა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,
 არას გვარებს საუკუნოს რა დღე იქნას აღსასრულად.³⁹

ერთი სიტყვით, ამ ტექსტის ავტორი მიზნად ისახავს იმას, რომ სახელი გაუტეხოს რუსთაველს. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანს“ იგი აცხადებს სპარსულ, ე. ი. უცხოურ ნაწარმოებად, ხოლო უცხოური სინამდვილიდან მომდინარე ეს საერთო პოემა ანტიქრისტიანული ბუნების არისო, რადგანაც არ ცნობს ერთარსება ქრისტიანულ ღმერთს.

³⁹ იხ. შ. ონიანი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართული სტროფის შესახებ, „შოთა რუსთაველის საობილეო კრებული“, თბ., 1966, გვ. 318.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში არჩილ II ადამტუთმიშვილი რომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც „სჩერეკლნენ“ პოემას, ეძებდნენ მასში „ავად თქმულსა“⁴⁰.

XVIII საუკუნის დასაწყისში „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ იდეური ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავებულა. თვითონ ვახტანგი თვის „თარგმანის“ ანუ გამარტების (ე. ი. კომენტარის) შესავალშივე აცხადებს: „ვსწრერ მმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა მის მისათვის უცოლინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამედაოდ სთარგმნიდენ“⁴¹. მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაკოსა: მსგავსად თვალთა რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი: და ჭიქასა ქვად პატიოსნად საჯელ სდებენ და მარგალიტთა მძივად პატივსცემენ“⁴².

ამრიგად, კლერიკალების ან ვახტანგის სიტყვებით რომ ქათქვათ, „მრუდე მთარგმნელების“ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნი“ დაბალი ზნეობის „სამედაო“ ნაწარმოებად იყო მიჩნეული. ვახტანგის დამსახურებაც სწორედ ის არის, რომ მან პირველმა მეცნიერულად უარყო კლერიკალური საზოგადოების მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება და ფაქტობრივად. მოახდინა პოემის სრული რეაბილიტაცია საზოგადოების თვალში. „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულმა გამოცემამ განსაკუთრებული როლი შესარულა პოემის პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელების საქმეში. იგი ქართული კულტურის ჭეშმარიტად დიდ ზეიმად იქცა.

ყოველივე ამისათვის ვახტანგს დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება მოუწია. ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ვახტანგს შეუსწავლია პოემის ვრცელი რედაქციის ხელნაშერი, რომლის საფუძველზეც დაუწერია თვისი „თარგმანი“ ანუ ახსნა-განმარტება. ეს გამოკვლევა ვახტანგმა დაურთო რუსთაველის პოემის მის მიერ გაცხრილულ ტექსტს. მდენად, აღნიშნავს ა. შანიძე, „ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსანი არის შეძლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი“⁴³.

⁴⁰ იხ. არჩილიანი, II, სტრ. 200.

⁴¹ ე. ი. გამარტენელნენ.

⁴² შოთა რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი, პირველი (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ., აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ., ფოტორეპროდუქციული გამოცემა 1975 წ.

⁴³ ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსანი“, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 393.



ივ. ჯავახიშვილი მაგალითისათვის ასახულებდა ვახტანგ გრიშაშვილის იმ უაღრესად კეთილსინდისიერ მეცნიერულ-კრიტიკულ და-მოკიდებულებას, რომელიც მან გამოამედავნა ტექსტების ღაღგე-ნა-გამოცემის დროს როგორც საერთოდ, ისე კონკრეტულად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობისას⁴⁴.

ივ. ჯავახიშვილმა ხაზი გაუსვა ვახტანგის მოქმედების მარ-თებულობას, როდესაც მან „ვეფხისტყაოსნის“ თავის გამოცემაში პოემის ტექსტს ინდო-ხატაელთა ამბავი ჩამოაშორა⁴⁵.

ს. ცაიშვილის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეუ-ლი გამოცემა წარმოადგენს XVII საუკუნის ხელნაწერებზე დი-დი მუშაობის ნაყოფს⁴⁶.

ერთ ხანს ფიქრობდნენ, რომ უშუალოდ ვახტანგს მხოლოდ კომენტარები დაუწერია. პოემის ტექსტის რედაქციას გადაჭრით მას არ მიაწერდნენ, აღნიშნავდნენ, რომ იგი ეკუთვნოდა „ვახ-ტანგს (ან მის კომისიას)“. 1939 წელს კ. ჩაკელიძემ საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 1712 წ. 23 აპრილს ვახტანგი სპარსეთს გაემგზავრა, ხოლო პოემის გამო-ცემულ ტექსტსა და ვახტანგის კომენტარებს შორის ერთგვარი შეუსაბამობა იყო (მაგალითად, კომენტარებში გარჩეული ზოვი-ერთი სიტყვა და სტროფი პოემის დაბეჭდილ ტექსტში გაუსწო-რებელი დარჩა), კ. ჩაკელიძემ დაასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვაში ვახტანგს უშუალო მონაწილეობა იღარ მიუღია. 1712 წ. გამოცემული ტექსტის რედაქტორად კ. ჩაკელიძემ „კარის დე-კანოზის შეილი მიქელი“ ჩათვალა, რადგანაც მიქელის სახელი წი-გნის სატიტულო ფურცელსა და ლექსად დაწერილ ბოლოსიტყვა-ობაში იყო ნახსენები⁴⁷.

მაგალითად, სატიტულო ფურცელზე წერია: „ვეფხის ტყა-ოსანი. აშ ახალი დაბეჭდილი ქართულს ენასა ზედა ეამსა ამაღ-ლებულისა საქართველოს მცყრობლისა უფლისა უფლისა ვახტან-გისსა. შრომითა და წარსაგებელითა მისვე მცყრობელისათა. გაი-

⁴⁴ იხ. ივ. ჯავახიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირგვლივ, კრებულში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, თბ., 1956, გვ. 22—24.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957, გვ. 106—115.

⁴⁷ კ. ჩაკელიძე, ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა, „ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, 1939, X, გვ. 95—100.

მართა კელმწითა კარის დეკანოზის შვილის მიქელის გადახურვის შემთხვევაში ტფილისისასა ქრისტეს აქეთ ათ [ა] ს შვიდას და თორმეტ-სა დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა“.

ლექსად დაწერილ ბოლოსიტყვაობაში, რომელიც უშუალოდ მოსდევს პოემის ტექსტს, ნათევამია:

„აწ დაიბეჭდა სტამბში: პირველ ნაწერი კილია.

უგბილთა ფრჩად სასწავლო: გონიერთ გულთა თმენია.

მეფის ვახტანგის ბძანებით: და სიბრძნით კეთილ მენელისა.

და: ნაღვაწი მისის მლოცვლისა: მესტამბე მიქაელისა“.

„ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის რედაქტორად მიქელის აღიარებაში კ. კეკელიძეს დაეთანხმნენ ქრ. შარაშიძე⁴⁸ და ს. ცაიშვილი⁴⁹.

შემდგომ ეს საკითხი კვლავ განიხილა და ახლებურად გადაწყვიტა ალ. ბარამიძემ⁵⁰. მიქელის სახელით გამოსული სამი წიგნისა (1712 წლის „დავითინი“, „ვეფხისტყაოსანი“ და 1713 წლის „კურთხევანი“) და ადრე მიხეილ იშტვანოვიჩის (უნგროვლახელი მიხეილ სტეფანეს შვილი) სახელით დაბეჭდილი წიგნების თავფურცლების ცნობების შესწავლის საფუძველზე აღ. ბარამიძემ იღნიშნა, რომ გამოთქმა „გამამართა ხელითა“ ნიშნავს წიგნის ბეჭდების საერთო ზედამხედველობასა და რედაქტორ-კორექტორობას; ანუ გამოშვებისათვის პასუხისმგებლობას. მისი აზრით, ბოლოსიტყვაობაში მიქელის მოხსენიება მესტამბედ კიდევაც აღასტურებს ზემოაღნიშნულს.

ალ. ბარამიძე შენიშნავს, რომ ყოვლად დაუშვებელი იყო ისეთი პრინციპული საკითხის გადაჭრა, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შედგენილობის განსაზღვრა და გამოქვეყნება იყო, ვახტანგს ვინმე სხვისთვის მიენდო. აღ. ბარამიძეს შეცდომად მიაჩნია მიქელის აღიარება ისეთ პირად, რომელიც დაამუშავებდა და გაასწორებდა „ვეფხისტყაოსანს“, საკუთარი შეხედულებისა-მებრ შეამოკლებდა პოემის სიუჟეტს, თვითონ შეაღვენდა დასა-ბეჭდ ტექსტს და კიდევაც გამოაქვეყნებდა მას თვისი რედაქტი-ოთ. აღ. ბარამიძე მართებულად აღნიშნავს, რომ ასეთი უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად სწორედ ვახტანგის დიდი

⁴⁸ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 124, 144.

⁴⁹ ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგის სული რედაქცია, გვ. 64.

⁵⁰ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემი, თბ., 1966, გვ. 410—418.

ავტორიტეტი იყო საჭირო. მისი დასკვნით, ვახტანგი ადრემ-შემდებული გომია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის სამზადისს, რისთვისაც იგი, ცხადია, შესაფერის თანამშრომლებსაც შეარჩევდა და მათ საჭირო დავალებებს მისცემდა. საქმის თაოსნობა და პრინციპული საკითხების გადაწყვეტა კი თვითონ უნდა ეკისრა, რასაც კიდევაც ადასტურებს ვახტანგის „თარგმანი“. „ვახტანგი, — წერს ალ. ბარამიძე, — თვითონ უნდა გამოსულიყო არა მარტო კომენტატორის, არამედ ტექსტის რედაქტორ-შემდგენელის როლში. ესაა მთავარი და ოსებითი. ხელნაწერების ერთმანეთთან შეჯერებასა და სხვა ტექნიკური ხასიათის დავალებების შესრულებას სხვებიც შეძლებდნენ, კერძოდ მიქელი, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო ვახტანგის უშუალო ხელმძღვანელობით. ვახტანგი შეუმოწმებლად ვერ დატოვებდა სხვის ნამუშევარს, ვეფხისტყაოსნის ბერს ის სხვებს არ მიანდობდა. ვეფხისტყაოსნის გამოსაცემი ტექსტის შემდგენელი, მისი რედაქტორი და კომენტატორი ვახტანგია. მიქელ დეკანზის შვილი კი მისი თანაშემწერ, მისი თანამშრომელი, მისი დავალებების შემსრულებელი, მის მიერ დადგენილი ტექსტის გამომცემელ-დამბეჭდავი“⁵¹.

ალ. ბარამიძის დასკვნით, ვახტანგი ჯანიშინობის დროს, ჯერ კიდევ სტამბის მოწყობის პერიოდში, შედგომია „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემის სამზადისს. მას შეუკრებია და შეუსწავლია ხელნაწერები, გაუცხრილავს საგულვებელი ჩანართებისა და დანართებისაგან ამ ხელნაწერებში შემონახული ვრცელი ტექსტები და შეუმუშვებია პოემის შედარებით მოკლე რედაქცია. დაუწერია საკუთარი გამოკვლევა — „თარგმანი“. მაგრამ პოემის გამოკვეყნება შეგვიანებულია. ირანში პოლიტიკური სიტუაციით გამოწვეულ წასელასთან დაკავშირებით ვახტანგი იძულებული გახდა „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის საქმე მთლიანად მიქელისათვის გადაებარებინა. მიქელმა ბევრი იღონისძია, მაგრამ დავალებას თავი ვერ გაართვაო, სტამბილან გამოვიდა დეფერტიანი ტექსტი, რადგანაც პოემის ზოგიერთი ადგილი და „თარგმანი“ შეუთანხმებელი აღმოჩნდათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, „მაინც ვახტანგმა და მიქელმა, — წერს ალ. ბარამიძე, — დიდი საშეილიშვილო ეროვნული საქმე გააკეთეს, ვეფხისტყაოსნი ბეჭდურად გამოძევებუნეს და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადეს“⁵².

⁵¹ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 413—414.

⁵² იქვე, გვ. 418.

აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ არ არსებობს რაიმე მყაფი იმის საფუძველი იმის დასამტკაცებლად, რომ თითქოს პოემის გამოქვეყნება მაინცდამაინც მხოლოდ ვახტანგის ირანში გამგზავრების შემდეგ უნდა მომხდარიყო. გამორიცხული არ არის, რომ წიგნის ბეჭდვა 1712 წლის 23 აპრილამდე, ე. ი. ვახტანგის გამგზავრებამდე დასრულებულიყო. ის რედაქციული და კორექტურული ხარვეზები კი, რომელიც ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“ აქვს⁵³ თბილისში ვახტანგის ყოფნის დროსაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

რაც შეეხება ვახტანგის „თარგმანს“, როგორც გამოკვლევას, ბუნებრივია, რომ რუსთველოლოგის და საერთოდ ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის თვალსაზრისით ის შეიცავს ისეთ დასკვნებსა და დაკვირვებებს, რაც დღეს გულუბრყვილოდ და მიამიტად გამოიყურება და მიუღებელია. მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც არ კარგავს თავის მეცნიერულ ღრრებულებას. მაგალითად, როგორც ა. შანიძემ აღნიშნა, ვახტანგს „ჩინებულად აქვს ახსნილი „ვეფხისტყაოსანის“ ბევრი სიტყვა და ადგილი⁵⁴. ს. ცაიშვილის დაკვირვებით კი, ვახტანგის ნაშრომს გავლენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზეც⁵⁵.

საინტერესოა ვახტანგის აზრი პოემის ამბის სადაურობაზე და აგრეთვე რუსთველისა და თამარის მიჯნურობაზე.

„ვეფხისტყაოსანის“ პროლოგის იმ ადგილის გამო, სადაც წერია, რომ თითქოს პოემა სპარსულიდან ქართულადაა თარგმნილი („ეს ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ საგოგმანები, ვპოვე და ლექსიად გარდავთქვი, საქმე ვქენ საჭოჭმანები“), ვახტანგი წერს: „ეს ამბავი სპარსშიდ არ არის: და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ: და თამარ მეფე ქარგი და ძალიანი კელმწიფე რომ იყო ვითამ ეს მაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო რომე ქართლშიაც არ იყოს: და უბძანა მის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო: აწ იმას ამბობს სპარსულის მიბავით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ რომ სპარსთაგან ესთარგმნეო: თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება: ამბავიც თვითან გააკეთა და

⁵³ ეს ხარვეზები დეტალურად აქვთ აღნიშნული სპეციალურ გამოკვლევებში ა. შანიძეს, ალ. ბარამიძეს, ს. ცაიშვილს.

⁵⁴ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, აღღენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 367.

⁵⁵ ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 87—101.



ლექსიადაც იმისთვის უბნობს: რომ სპარსის ლექსის ბაძზე და ფრინველის სთქვა სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო: როგორც მარგალიტი კელის კელ საგოგმანო არის: გოგმა ამას ჰქვიან ფრინველი რომე ნიადაგ კარგა იარებოდეს ისე ეს ამბავი მარგალიტისათვის. შეუდარებია: და ვპოე და ლექსით სათარგმანოდ და საჭოჭმანოდ გავხადეო: ჭოჭმანი საქმე რომ ვერა ექნას კაცსა და დიამქნელისა იყოს ამას ჰქვიან: თავის ხელ მქნელი თამარ მეფეა: ის ხელ მქნელი როგორც დამიწერია იმან დამმართაო ამას უბნობს⁵⁶.

ამრიგად, ვახტანგის განმარტებით „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი არ არის სპარსული. ვახტანგი ხაზს უსვამს პოემის ორიგინალობას, როდესაც აღნიშნავს, რომ თვით რუსთაველს „... ლექსიც... გაუკითებია და ამბავიცაო“.

ვახტანგის მსჯელობა სავსებით ლოგიურია და მეცნიერულად არგუმენტირებული. ვახტანგის მსჯელობის ანალიზი მოგვცა იყ. ჯავახიშვილმა: „საკმარისია ადამიანმა ვახტანგ VI-ის ნათქვამს ჩაუკვირდეს, რომ დარწმუნდეს, რამდენად საგულისხმოა მისი მსჯელობა და საბუთიანობა. ს. კაკაბაძე ცდება, როდესაც მის შეხედულებას „პატრიოტულ თვალსაზრისად“ თვლის. სპარსულ მხატვრულ მწერლობას ძალიან აფასებდა და ქართულისათვისაც სამაგალითოდ ჰქონდა მიჩნეული. იგი ფიქრობდა „ვეფხისტყაოსნისთანა“ თხზულების ქართულად გაეხნა სპარსული კარგი მელექსეობის მიმბაძველობამ გამოიწვია. ქედან ცხადია, რომ თუ მამულიშვილურმა თავმოყვარეობამ ვახტანგ VI არ დაადუმა და თავისი აზრი გამოათქმევინა ქართული პოეზის მიმბაძველობითი გზით წარმოშობის შესახებ, მას იგივე ვერ დააბრკოლებდა „ვეფხისტყაოსნის“, „ამბავის“ სადაურობა პირუთვნელად გამოერკვია და თავისი შეხედულება მკითხველისათვის თავისუფლად გაემულავნებინა. სახელოვანი ქართველი მეცნიერი მეფის აზრთა და მსჯელობის საფუძველი ცხადია და თითონაც გარკვევით აქვს აღნიშნული.

ვახტანგ VI ამბობს: „სპარსშიც ეს ამბავი არსად იპოება“-ო, და მისი გადაჭრილი უთუო კილო ამტკიცებს, რომ მას „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედანი სპარსეთში უძებნია, მაგრამ ვერ აღმომარჩენია და ვერსად უპოვია. აი რა გარემოებას ჰქონია ამ დაუღალავ მკვლევარისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა და იმას ძილურია მისთვის საბუთი დაესკენა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ავტორის განცხადებისდა მიუხედავად სპარსული არ არის. ვახ-

⁵⁶ ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსანი“, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. სუე—სუვ.



ტანგ მეფის ზემომოყვანილი მოწმობა მეტად საყურადღებოა. მაგრავად შინ სპარსული მწერლობის ძეგლები კარგად იყო შენახული და მრავალი მშვენიერი ხელნაშერი მოიპოვებოდა. ვითარება სპარსეთში რამდენჯერმე ნამყოფსა და განსწავლულს მას სრული საშუალება ჰქონდა ეს საკითხი საფუძვლიანად გამოეძია. როგორც ბატონიშვილისა და მეფისათვის, მისთვის სპარსეთის შაპების მშვენიერი, მდიდარი წიგნსაცავიც და კერძო პირთა საგანძურები ხელმისაწვდომი იქნებოდა. ვახტანგ მეფის სიტყვებითგანაც ნათლად ჩანს, რომ მას „ვეფხისტყაოსნის“ „ამბავის“ სპარსული დედანი გულმოდგინედ უძებნია და დარწმუნებულა, რომ „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება“. სწორედ ამ დედნის ძიების უნაყოფობამა და ამაოებამ ამ დაუგირებარს ქართველ მკვლევარს დაუბადა აზრი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მგოსანმა მარტო კი არ გალექსა ქართულად უცხოური ნაწარმოები, არამედ, „ამბავიც თვითონ გააქეთა“⁵⁷.

მკვლევარი შ. ონიანი მართებულად წერს, რომ ვახტანგის აღნიშნული შეხედულება „ვეფხისტყაოსანზე“ ახალი იყო და რომ ძელ ქართულ მწერლობაში ვახტანგამდე იგი არავის არ გამოუთქმის.

ვახტანგის ეს თვალსაზრისი შემდგომ სავსებით გამართლდა. ნიკო მარი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილი იყო სპარსული ენიდან. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სპარსულ ლიტერატურაში იგი ეძებდა „ვეფხისტყაოსნის“ პროტოტიპს. მაგრამ ამაოდ. მისმა შვილმა იური მარმა ერთ-ერთ სპარსულ ურნანლში გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი და მკითხველებს სოხოვა ეცნობებინათ მისთვის თუ საღმე შეხვედრიათ მათ მსგავსი ამბავი. შედეგი ერთი იყო: არც სპარსულ ლიტერატურაში და არც სპარსულ ზეპირსიტყვიერებაში „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის მსგავსი რამ არ აღმოჩნდა. პირიქით, რესტორანების დარგში შემდგომა კვლევა-ძიებამ დაადგინა ის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამსჭვალულია ანტისპარსული პოლიტიკური ტენდენციით. ხოლო რაც შექება პროლეტარიატის უზრუნველყოფით ნახსენებ „სპარსულ ამბავს“, როგორც ეს. სავსებით მართებულად

⁵⁷ ვ. ჯავახ იშვიალი, ვეფხისტყაოსანი. მის წიგნში „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“, თბ., 1956, გვ. 35.

⁵⁸ შერმადინ ონიანი, ვახტანგ VI-ის რესტორანების ნაზრევი, უზრ. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1976, № 1, გვ. 10.

აქვს ახსნილი ალ. ბარამიძეს, ამის „მომიზეზებით რუსთველშა გა—
მოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხელოვანთა
სიუჟეტური შენიღბვის ხერხი, სიუჟეტის ხელოვნუ-
რად გაუცხოებისა თუ გაუცნაურების ხერხი“⁵⁹.

საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების საჩივრებზე
ვახტანგის გამოსვლამდე ქართულ ლიტერატურაში შეიქმნა აზრი
იმის თაობაზე რომ, თითქოს რუსთაველი გამიჯნურებული ყოფი-
ლა თამარ მეფეზე, თითქოს თავისი პოემის პროლოგში მან გამო-
ხატა კიდევაც უზომო სიყვარული თამარისადმი. ამ ტრადიციის
წყაროდ იქცა პროლოგის 3—5, 8—10, 19 სტროფების ის აღგი-
ლები, სადაც რუსთაველი მიმობს:

მე, რუსთველი, ხელობითა ვთქმ საქმესა ამა დარი:
ვის მორჩილებს ჭარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკედარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
და ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი. (8).

• • • • •
ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩის დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგი ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჭიქია;
და მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია. (19)

პროლოგის ეს აღგილები ვახტანგმა შემდეგნაირად განმარტა: „ხამს ყმა პატრონის მიჯნური და ტრფიიალი უნდა იყოს: და სამსახურისათვის ასე ხელი უნდა იყოს: რომე მისის სამსახურისათვის თავს წასახდენელად და სასიკვდილოდ არ ზარობდეს: აწ ამბობს მე რუსთველი ბატონის სამსახურისათვის რომ ხელი ვარ იმან რომ უბძანა ამის თქმას იმას ადებს: რომე ამისთვის ვიქ და ამისთვის არისო: თამარ მეფეს მორჩილებდა სპაცა და ჭარიცა: და უბნობს იმის სამსახურისათვის ვხელობ და ვკუდებით: და მისის სამსახურის მიჯნურობით ესე ვერ გაემაძლარვა: და ვერც რომელიც შმართებს ის მიმსახურებია და უმსახურობის უძლური ვარო: და წამალი არა მაქვს გავიკურნოო: ან ასრეთი სამსახური მიბძანოს რომე გამაძლოს ამ სამსახურმათ: და ან მამკლასო: საჩივარსავით ასმენს: და ამაში გავს რუსთველი შემძლე და კაი კაცი ყოფილა რომე ძალიანს სამსახურსა სთხოვს“⁶⁰.

⁵⁹ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 68.

⁶⁰ ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსანი“, გვ. სევ.

ამრიგად, ვახტანგის განმარტებით რუსთაველისა და თამარ მე-
ფის შორის რეალური სიყვარული არ ყოფილა. პოემის ავტორი
გამოხატავს მხოლოდ პატრიონებურ დამოკიდებულებას, მოკრ-
ძალებასა და აღტაცებას თამარისადმი, რაც ქალისა და მამაკაცის
სქესობრივი სიყვარულის გრძნობას არ ნიშნავს. შ. ონიანის მარ-
თებული შენიშვნით, ვახტანგის ეს თვალსაზრისი ახალია, იგი
უპირისპირდება აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში გა-
ვრცელებულ შეხედულებას რუსთაველისა და თამარის მიჯნურო-
ბის შესახებ⁶¹.

რუსთაველისა და თამარის მიჯნურობის საყითხი რუსთველო-
ლოგიაში შემდგომ დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. თანამე-
დროვე რუსთველოლოგის მონაცემებით კი ვახტანგის შეხედუ-
ლება ამ საკითხზე გამართლებულია. მაგალითად, აღ. ბარამიძე
წერს: „ყოვლად შეუძლებელია დავუშვათ, თითქო შოთა რუსთვე-
ლი პროლოგში ლაპარაკობს რეალურ მგრძნობელობითს გატაცე-
ბაზე, სქესობრივ სიყვარულზე თამარის მიმართ. რუსთველი, რო-
გორც თამარის თანამედროვე პოეტი, თამარის სამეფო კართან
დაახლოებული პოეტი, იმ დროს არსებული წესების მიხედვით,
ვალდებული იყო შეემკო თვეისი პატრინი, თვეისი მეფე, გამოე-
სატა მისდამი პატივისცემა, აღტაცება და „სიყვარული“. პრო-
ლოგში გამუღავნებული სიყვარულის აზრი უნდა გაგებულ იქნას
გადატანითად, პოეტურად, მეტაფორულად. რუსთველი პიპერბო-
ლური ხერხით გამოხატავს მშვენიერი მანდილოსანი პატრიონით
უსაზღვრო გატაცებას. ნამდვილად ეს არის პოეტის მხრით ამ
პატრიონის მიმართ გაშოთქმული დიდი მოქრძალება, თაყვანისცემა
და, მხრილ ამ კონტექსტით, დიდი სიყვარული. მე სრულიად არ
მინდა რუსთველის მშვენიერი სიტყვები საკარო პოეტის ენაშესა-
ანობით ივხსნა. სრულიადაც არა, ამაღლებული სიყვარულის მქა-
დაგებელი პოეტი-პუმანისტი, პოეტი-მამულიშვილი გულწრფელად
უნდა ყოფილიყო აღტაცებული თამარის ადამიანური ღირსებით,
მისი მეფოური ჰკუითა და საქმიანობით. შეუძლებელია, რუსთველი
არ ყოფილიყო დამთასებელი მისი სამშობლო ჭვეყნის იმდროინდე-
ლი წარმატებებისა სახელმწიფო ცენტრივი და სახოგადოებრივი
ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ცხოვრებას კი სათავეში უდგნენ
თამარი და დავით სოსლანი. ამიტომაცა, რომ პოეტს თავისი აღ-
ტაცება გამოუხატავს არა მარტო თამარისადმი, არამედ დავითი-

⁶¹ ჭ. ონ იანი, ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგური ნაზრევი, გვ. 11.



საღმიც. მეტიც, რუსთველს პირველად დავითი შეუმჯია, ართამუხა
რის ლომი...⁶².

ის გარემოება, რომ რუსთაველი აქებს დავით სოსლანს, ხო-
ლო პოემის მთელი შინაარსით კიდევაც მიესალმება თამარისა და
დავითის დაქორწინებას⁶³, ვფიქრობთ, შეიძლება სერიოზულ არ-
გუმენტად ჩაითვალოს დასამტკიცებლად იმისა, რომ პოემის ავ-
ტორს სრულებით არ ამოძრავებდა თამარისაღმი რაიმე ინტიმური
გრძნობა.

ბუნებრივია, რომ თავისი გამოკვლევის მთავარ მიზნად ვაძ-
ტანგი ისახავდა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსის გარკვე-
ვას. იმ დროს პოემის ირგვლივ წარმოებული იდეოლოგიური
ბრძოლის პირობებში, როდესაც ერთმანეთს მჯეორად დაუპირის-
პირდა კლერიკალური და საერო თვალსაზრისი, ვახტანგმა შეძ-
ლო ლოგიურად და მეცნიერულად დასაბუთება იმისა, რომ, პო-
ემა სასარგებლო იყო ზნეობრივადაც და რელეგიურადაც. ქარ-
თულ მწერლობაში ვახტანგი იყო პირველი, ვინც ამის მტკიცე
დასაბუთებით გამოვიდა. ვახტანგი ხაზგასმით აღნიშნავს პოემის
მაღალ ზნეობრივ მხარეს. იგი წერს, რომ „რუსთველის წიგნი
სულ სასწავლებელი არის“⁶⁴, რომ „რუსთველს ცოლ-ქმრობის
სიყვარულზედ უთქვამს, არათუ მეძაობაზედ“⁶⁵, „ეს თავსაც დამი-
წერია და მოყვრობის რიგს და ცოლ-ქმრობის რიგებს ისწავლება.
რაც რამ კარგი არის, ყველგან მოუყვანია და ზნეობაებს ისწავ-
ლება“⁶⁶.

გამოდიოდა რა კლერიკალური საზოგადოების თვალსაზრისის
საწინააღმდეგოდ, ვახტანგი ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნი“
მაღალი ამქვეყნიური იდეალების ასახვასთან ერთად შეიცავდა
ლეთაებრივ სიბრძნესაც, ღრმა რელიგიურ და ფილისოფიურ აზ-
რებს, რომ იგი იყო „საღმრთოც და საეროცაო“. ამის დასამტკი-
ცებლად ვახტანგი ხაზს უსვამს პროლოგის პირველ ორ სტროფს,
სადაც ლმერთზე და ქვეყნის შექმნაზეა ლაპარაკი, განმარტავს პო-
ემის სხვა შესაფერის აღგილებსაც და ავლენს ქრისტიანულ რეა-
ლიებს, რის საფუძველზე ასკვნის, რომ პოემის ავტორი ქრისტი-

⁶² ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, ვვ. 55—56.

⁶³ ახ. გ. პ. ა. ი. ჭ. ა. ძ. ე. რ. მ. მ. ნ. მ. ვ. ი. ლ. ი., „ვეფხისტყაოსნი“ და თამარის
დრო, „ცისქარი“, 1966, № 11.

⁶⁴ ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსნი“, ვვ. ტკ.

⁶⁵ იქვე, ვვ. ტნა.

⁶⁶ იქვე, ვვ. ტბ-ტჟ.

ანული სარწმუნოების ნიადაგზე დგას და ქრისტიანულად აზროვნებულია გამოცემის
ნებს.

ამ შემთხვევაშიც ვახტანგის ნაზრევისა და დაკვირვების ნა-
წილი მოწონებას იმსახურებს და დღესაც გაზიარებულია რუსთვე-
ლოლოგიაში.

მაგრამ ვახტანგის მთელი რიგი განმარტებები, ბუნებრივია,
არ არის გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგალითად,
მტკიცება იმისა, რომ თითქოს პოემაში ღვთაებრივ მიჯნურობაზე
იყოს საუბარი. ასევე მცდარია ვახტანგის „წადილი მიაკუთხნოს
„ვეფხისტყაოსანი“ „საღმრთო“ ხასიათის ნაწარმოებების რიცხვს.
მთელი თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით პოემა მხო-
ლოდ საერთ ხასიათისაა და მისი რაიმე გათანაბრება სასულიერო
ძეგლებთან ყოვლად შეუძლებელია.

ცხადია, ამ შემთხვევაში ვახტანგი აშკარად იჩენს ტენდენცი-
ურობას. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენციურობა
გამოწვეული იყო არა რელიგიური შეზღუდულობით, არამედ პი-
რიქით, კლერიკალური საზოგადოების შეზღუდული თვალსაზრი-
სის წინააღმდეგ დაწერილი მისი ნაშრომის პოლემიკური ხასია-
თთ.

ვახტანგის რუსთველოლოგიური ნაზრევი არის ორიგინალუ-
რი თვალსაზრისი, დამყარებული პოემის იდეური შინაარსის მეც-
ნიერულ შესწავლაზე.

საქართველოს ისტორიის შინავალა-გაუზიაგის საქმის აღორძინება

ქართული ფეოდალური საზოგადოების ინტერესების შესა-
ბამისად სათანადო იდეოლოგიური მუშაობა ისტორიოგრაფიის ხა-
ზითაც გაიშალა.

ვახტანგის ინიციატივით საგანგებოდ შეიქმნა „სწავლულ კაც-
თა“ კომისია. მისი ხელმძღვანელობა ბერი ეგნატაშვილს დაევალა. კომისიამ მიზნად დაისახა საქართველოს ისტორიის წყაროების
შეკრება, „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება და იმ დრო-
ისათვის საქართველოს ისტორიის ახალი პერიოდის — XIV საუ-
კუნის დამდევიდან XVIII საუკუნეშდე — დაწერა.

ი. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველოს...
XIV—XVII საუკუნეების დაუწერელი ისტორიის აღდგენის აუკი-
ლებლობა პირველად მთელი სიცხადით სწორედ მან (ვახტანგ-
6. გ. პიტარე

მა — გ. პ.) შეიგნო და ქართული საისტორიო მწერლობის ამ კატეგორიაში საუკუნოების ხარვეზის ამოვსებისათვის მუშაობა გაშალა⁶⁷.

ვახტანგისა და მისი სახელით მომუშავე მეცნიერ კაცთა სა- სახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველაფერი დიდი გულმოდგი- ნებით გადასინჯეს, უძველეს და სანდო ნუსხათა კითხვა-სხვაობა- თუ სხვადასხვა მითითებანი საჭიროებისამებრ გამოიყენეს და ამ გზით მოახდინეს „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება, ხოლო რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებას, ე. ი. XIV— XVII საუკუნეების პერიოდის ისტორიის დაწერას, ამ საქმესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს.

მუშაობის პროცესში „სწავლულ კაცთა“ კომისია ურთულე- სი საკითხების გადაწყვეტის წინაშე დადგა. მაგალითად, მას უნდა გაერკვია დრო და მიზეზები ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლისა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, უნდა დაეზუსტებინა ქართველი მეფეებისა და მთავრების გენეალოგია, დაედგინა ყველა სამეფოსა და სამთავროს საზღვრები და სხვ. მკვლევარმა კ. გრიგოლიამ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები, სავსებით მართებულად წამოაყენა დებულება იმის თაობაზე, რომ XVIII საუკუნეში „ძვე- ლი ქართლის ცხოვრება“ ეწოდებოდა ვახტანგამდე შედგენილ კრებულს. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ქვეშ კი იგულისხმებო- და ვახტანგისა და მისი თაოსნობით მოწვეულ „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ რედაქტირებული ტექსტები და ამავე კომისიის მიერ დაწერილი XIV—XVII საუკუნეების ისტორია. ვახტანგის ბრძანებით შედგენილი ეს ისტორია, აღნიშნავს კ. გრიგოლია, XIV—XVII საუკუნეთა ამბების შემცველი გაგრძელებაა, იგი „ახა- ლი ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილია და არა ოვი- თონ „ახალი ქართლის ცხოვრება“, როგორც ამას აღრე ვარაუდობ- დნენ⁶⁸.

კ. გრიგოლია დააკვირდა იმას, რომ პირადად ვახტანგს ქართლის ცხოვრების საკითხებზე ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, ბატონიშვილობის პერიოდიდან დაუწყია მუშაობა, რასაც ცხად-

⁶⁷ იხ. ივ. ჯავახიშვილის შინასიტყვაობა წიგნისა: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი ა ხალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. V—VI.

⁶⁸ იხ. კ. გრიგოლი, ნაჩენევები საქართველოს ისტორიის წყაროთ- მცოდნეობიდან, I. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 279—286.

ყოფს ნუსხათა კიდევბზე შემორჩენილი ვახტანგის მრავალრიცხვოვანი
ხოვანი ავტოგრაფიული მინაწერები⁶⁹.

კ. გრიგოლის დასკვნით, ვახტანგის მინაწერები ნათლად მოწმობენ, რომ ავტორს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამართვა-გასწორება და მით სარგებლობის გააღვილება ჰქონდა მიზნად დასახული. ვახტანგი, მაგალითად, უთითებს, თუ სად რა გამორჩენია გადამწერს, სად რა უნდა ჩაემატოს, ან როგორ უნდა გაკეთდეს. მის რედაქციას შეაქვს სპეციალურად მომზადებული პეტრე ქართველის ცხოვრება. ხოლო ვახტანგის ზეობის დროს კომისიის მიერ შეძენილი რედაქციული მონაცემების კომპლექსი შემდეგი ძირითადი ნიშნებისაგან შედგებოდა:

1. ქართლის ცხოვრების შესავალი,
2. მეფეთა ზეობის მიხედვით ტექსტის დაყოფა-დასათაურება,
3. ჩანართები,
4. სუმბატის ქრონიკისა და ბასილი ეზოსმოძღვრის მასა-ლების შეჩრწყმა ქართლის ცხოვრებაში,
5. ქართლის ცხოვრების ტექსტის გამართვა-გასწორება.
6. ქართლის ცხოვრების გაგრძელება.

კ. გრიგოლია დეტალურად განიხილავს თითოეულ ამ ნიშანს და შეითხველს აწვდის საინტერესო დასკვნებსა და დაკვირვებებს⁷⁰. მკვლევარი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ „ვახტანგისა და მისი სახელით მომუშავე მეცნიერ კაცთა სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მათ ქართლის ცხოვრებაში უსაფუძვლოდ და თვითნებურად აღარაფერი შეუტანიათ და არც არაფერი შეუსწორებიათ. ყველაფერი მათ დიდი გულმოღვინებით გაუჩხრეკიათ, უძველესი და სანდო ნუსხათა კითხვა-სხვაობა თუ სხვა-გვარი მითითებანი საჭიროებისამებრ გამოუყენებიათ“⁷¹.

ერთი სიტყვით, კომისიამ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს კვეთილსინდისიერად გაუწია ნამდვილად მეცნიერული რედაქცია, ხოლო რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებას, აქ საქმე კომისიის გაუხანგრძლივდა. ქართველი ხალხის ოთხსაუკუნოვანი გმირული ისტორიის აღწერა აღვილი არ იყო. საქმის სირთულემ, საკითხის შეუსწავლელობამ და პირველწყაროთა ნაკლებო-

⁶⁹ ი. კ. გრიგოლი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, 23-197—198.

⁷⁰ იბჟ, გვ. 199—278.

⁷¹ იქვე, გვ. 327.

ბამ განაპირობეს ამ მხრივ კომისიის მუშაობის წარუმატებლებით „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ტექსტის „შემდგრენელზე“ თვითონაც აღნიშნავდნენ, რომ მათ ბევრი რამის გავეთვა ვერ შეძლეს. ი. ჯავახიშვილის დაკვირვებით, თუ „თვით ავტორები აღიარებდნენ, რომ საქართველოს დანაშილების მიზეზს მიაგნეს: „... არღარ იცვალებოდა ერისთავნი და ოცა თავადნი: ყოველნი-ვე კევსა და სანახებსა და თემთა ადგილთა მკუიდრ ქმნილი-ჟუნენ, და, ვისაცა მამულს მისცემდა, მკვიდრად მიეცემოდა. და ყოველნივე ძლიერ იყუნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი.

ხოლო ამა ალექსანდრესა და კონსტანტინესა უამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი და გურიულნი და არღარა მორჩილებდა ათაბაგი, და განდგა კახეთიო“ ... მაგრამ ამასთანავე ისინი (კო-მისიის წევრები — გ. პ.) გულახდილადაც აცხადებდნენ, რომ ამ მცირე მიზეზის გამორკვევა სავსებით ვერ შეძლეს: „... ეს, ვერა ვსცანით, თუ ბატონი იმერეთისა და კახეთისა რომლისა თესლი-საგან არიან, და ანუ ვითარ უპყრიესთ ქუეყანანი იგი.

ხოლო იმერეთისა რომელთამე თქუეს: „ოდეს მამა ალექსან-დრესი ბაგრატ მეფე ჩავიდა იმერეთს, მაშინ თუისნი მისნი დაუ-ტეუა და მიერითგან ძენი მისნი არიან“. ამა ბაგრატისა შემდგო-მად რაოდენნი მამანი გარდაიცვალნენ, არა უწყი [თ] ...

ხოლო კახეთის მებატონეთა მამა იყო დავით. და ამა დავი-თის მამა არა უწყით, თუ ვინ იყო“^{-ო}⁷².

ქართლის ცხოვრების გაგრძელების ტექსტი იმთავითვე მკაცრად გააკრიტიკა ვახუშტი ბაგრატიონმა. მან კონკრეტულად მიუთითა ქრონოლოგიური შეცდომები და შეუსაბამობანი⁷³.

მაგრამ მიუხედავად ამისა, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძე-ლების ტექსტი XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ლირსშესანიშნავი ძეგლია. იგი შეიცავს უაღრესად ფასეულ მასა-ლებს XIV — XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის.

ი. ჯავახიშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემო-ებას, რომ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დაქანქსულობის პი-

⁷² ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VIII, თბ., 1977, გვ. 318. ახალი ქართლის ცხოვრების ციტირებული ადგილები ის. ე გ-ნ. ი ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. 46—47.

⁷³ ის. ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 292—304. ის. აგრეთვე, შ. მ ე ს ხ ი ა, ვახუშტი და ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, „ანალები“, ტ. I, თბ., 1947, გვ. 29.

რობერში შექმნილმა ამ ნაშრომმა მიზნად დაისახა მთელი საქართველოს თველოს ისტორიის გაშუქება და არა რომელიმე ერთი მისი კუთხისა ან ნაწილისა, რაც ნათლად მოწმობს საქართველოს ერთობის აზრის ძლიერებასა და ცხოველმყოფელობას⁷⁴. ი. ჯავახიშვილის დასკვნით, მიუხედვევად ნაკლისა, რომელზედაც ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებდა, ამ საისტორიო ნაშრომის შექმნა „ქართველთა ეროვნული თვითშემცნებისა და პოლიტიკური შევნების გაღრმავება-გაძლიერებისათვის.... უკუღმართი ვითარების გამოსწორებისათვის უაღრესად საჭირო იყო“⁷⁵.

თვითონ ვახტანგს, გარდა ინიციატივისა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პირადად მოუღია მონაწილეობა „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირების საქმეში, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ტექსტზე მას არ უმუშავია. ვახუშტის ცნობით, „ხოლო აღუშერიათ ცხორებაცა (ე. ი. XIV—XVII საუკუნეების ისტორია — გ. პ.) სახელითა ლევანის ძის მეფის ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ. გარნა თუმცა ბრძანებითა მისითა არს. არამედ მას თვთ არღარა განუხილავს ვითარება მისი, ვინამდებარებული სწერს ბაგრატიონთ ნათესაობა-შთამომავლობასა შინა სხუს ქორონიკონებსა...“⁷⁶.

როგორც ირკვევა, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ხელნაწერი, „წავლულ კაცებს“ ვახტანგისათვის გასაცნობად უკუკე რუსეთში მისი გადახვეწის შემდეგ გადაუგზავნიათ მოსკოვში, სადაც ამ ტექსტს ვახუშტი გაეცნო.

საკუთრივ კი ვახტანგს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, 1703 წლამდე, დაწერილი ჰქონდა ორიგინალური ისტორიული გამოკვლევა — „ბაგრატიონთა ნათესაობის წიგნი“, რომელიც ნათლად მოწმობს, თუ როგორი გულმოდგინებით შეუსწავლია პირველწყაროები მის ავტორს⁷⁷.

ამრიგად, ვახტანგის მზრუნველობით საქართველოში იმხანად ჩამოყალიბდა და ფართოდ გაშალა მოღვაწეობა ქართველ ისტორიკოსთა ძლიერება სკოლაში. სწორედ ამ სკოლაში აღიზარდა ქართული საისტორიო მწერლობის ისეთი დიდი წარმომადგენე-

⁷⁴ ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი..., ტ. VIII, გვ. 319.

⁷⁵ ივ. ჯავახიშვილი, წინასიტყობა წიგნისა: ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. V.

⁷⁶ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 292.

⁷⁷ ის. კრისტონია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 340—351.

ლი, როგორიც ვახუშტი ბაგრატიონი იყო⁷⁸. ისტორიოგრაფიულშემთხვევაში ზით ვახტანგის თაოსნობით გაშლილმა და „სწავლულ კაცთა“ მიერ ჩატარებულმა დიდმა საქმიანობამ კარგი ნიადაგი მოუმზადეს ვახუშტი ბაგრატიონის დიდი ნიჭის გამოვლინებას. ვახუშტის ბრწყინვალე ნაშრომი — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც შეიცავს მთელი საქართველოს ისტორიულსა და გეოგრაფიულ მეცნიერულ აღწერას, ვახტანგის ეპოქის ერთ-ერთი სუკეთესო ნაწარმოებთაგანია.

ვახტანგი და ჩართული მიცნილი მაგისტრის სხვადასხვა დარბაზის განვითარება

ვახტანგი ლრმა ინტელექტითა და გონიერის ფართო დიაპაზონით გამოირჩეოდა. იგი წვდებოდა იმრდოინდელი მეცნიერების მრავალ წამყვან დარგს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ხაზით რომ ვიმსჯელოთ, იგი ისტორიული და ფილოლოგი იყო, ხოლო ზუსტ მეცნიერებათა დარგში — ასტრონომი, ფიზიკოსი და ქიმიკოსი. ცხადია, რომ ყოველივე ამას მან მათემატიკისა და ფილოსოფიის სათანადო ცოდნის საფუძველზე მიაღწია.

ვახტანგი, ვითარცა დაკვირვებული მკვლევარი და ნაყოფიერი მეცნიერი, თავისი ორიგინალური თუ თარგმნილ-გაღმოკეთებული შრომებითა და ორგანიზატორული ნიჭით დიდად უწყობდა ხელს ქართული მეცნიერების განვითარებას. ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ვახტანგის დამსახურება რუსთველოლოგიისა და ისტორიოგრაფიის განვითარებაში. ამჯერად შევეხებით მის ღვაწლს ქართული მეცნიერების სხვა დარგებში.

ვახტანგი ახალგაზრდობიდანვე დიდი ინტერესით სწავლობდა ასტრონომიას. შემონახულია ხელნაწერი სახელმძღვანელო „თარგმანი და გამოცხადებანი ცისა და ქვეყნისანი და ვარსკვლავისანი მოსწავლეთათვის შშენიერი“⁷⁹, რომლითაც იგი კოსმოგრაფიას სწავლობდა. ეს სახელმძღვანელო, როგორც ჩანს, კათოლიკე მისიონერების მიერ იყო შედგენილი. მის დასავლურ წარმოშობას უხვად გამოყენებული ლათინური ტერმინოლოგია აღსტურებს.

⁷⁸ იბ. ვ. ვაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი — ისტორიული, წიგნში „ქართველი მეცნიერები“, თბ., 1951.

⁷⁹ დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კვეთიაშვილის სახ-ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფ. Q, № 884.

ამ ხელნაწერის ტექსტშიც ვახტანგს თავის ჩვეულებისამებრ შიგადაშიგ ლათინური ტერმინები გამდოუქართულებია. ეს სახელმძღვანელო ვახტანგის გამზრდელის, სულხან-საბა ორბელიანის ყურადღების გარეშეც არ დარჩენილა. საბა, რომელიც ასტრონომიის მცოდნეც იყო, ამ სახელმძღვანელოს თავიდანვე გაცნობია. ხელნაწერის კიდევებზე მას საჭირო განმარტებები თავისი ხელით მიუწერია⁸⁰.

ასტრონომიის დარბში ვახტანგის მომზადების მაღალ მეცნიერულ დონეს მოწმობენ თვით მისი შრომები. მაგალითად, სპარსული ენიდან ვახტანგის მიერ თარგმნილი XV ს. ცნობილი მეცნიერის ულულბეგის ასტრონომიული ტაბულები (კატალოგი) „ზიჯი“ — „ვარსკვლავთმრიცხველობა“⁸¹, აგრეთვე ასტრონომიულკოსმოგრაფიული თხზულება „ქმნულების ცოდნის წიგნი“, რომელიც 1721 წელს თბილისის სტამბაში დაიბეჭდა. ამ ნაშრომებში ვახტანგი გამოდის არა როგორც მხოლოდ უბრალო მთარგმნელი, არამედ როგორც სპეციალისტი, რომელმაც ჩინებულად იცოდა ასტრონომია. ცნობილია აგრეთვე კალენდარული ხასიათის მისი ორიგინალური შრომებიც — „ხელთა“ და „კვინჯლოსი“⁸².

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ზიჯის“ ქართული თარგმანი ვახტანგს ადგალ-ადგილ ქართველი მკითხველისათვის საინტერესო და საჭირო მასალებით შეეცისა. მაგალითად, ქართულ თარგმანში სრულად არის მოტანილი მსოფლიოს 244 ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები. გარდა ამისა, დამატებულია კიდევ 450 გეოგრაფიული პუნქტის გრძელი და განედი, მათ შორის ქალაქ გორისა. ეს ცნობები ვახტანგს ამოულია ძევლი ევროპული წყაროებიდან, რომელთაც იგი კრიტიკულად უდგებოდა. ვახტანგი მკითხველს აფრთხილებს: „უწყოდეთ, რომ რომელიცაც აქა დაწერილ არს, წილი სიგრძისა და განისა ქალაქებისა არა არს მტკიცედ დაკავშირიტებული, არამედ ახლოს არს ჰეშმარიტება-სა ზედა“. ვახტანგს ულულბეგის „ზიჯისაგან“ განსხვავებულად აქვს ნაჩვენები არზრუმის, ალეპოს, არდებილის, ბასრას, დამას-

⁸⁰ იხ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 331—339.

⁸¹ დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კაპელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფ. S, № 161.

⁸² დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კაპელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფ. Q, № 225, ფ. S, № 1400 და 2460; საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 484.

კოს, ერზინჯანის, ისფაპანის, მექას, ყაზვინის, ქაშანის, შირვაზის
და შემახას კოორდინატები.

ქართულ თარგმანს დამატებული აქვს ცხრილები რომელილაც
სხვა ნაშრომიდან. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართულ ტექსტს
ვახტანგმა დაურთო სპარსულ-ქართული აპტრონომიულ-ასტრო-
ლოგიური და სხვა სიტყვების ლექსიკონი, აგრეთვე მოგვცა ცხრი-
ლებით სარგებლობის წესები⁸³.

აღსანიშნავია ის მუშაობაც, რომელიც ვახტანგმა ჩაატარა ხო-
ჭა ნასირ ედ-დინ თუსის (XIII ს.) „თალა მასალას“ ანუ „სტრო-
ლაბის სასწავლებელი წიგნის⁸⁴“ ქართული თარგმანის სრულყო-
ფისათვის.

საინტერესო ცნობებს შეიცავს „კვინკლოსის“ ანდერძის ტექ-
სტი. ვახტანგი გვაუწყებს, რომ ეს ნაშრომი მას ირანში ყოფნის
დროს 1713 წ. შეუსრულებია. მისი განმარტებით, „უქმად ყოვნას
ეუფლების მოწყინება და ვინათვან მოწყინება დედა არს ყოვ-
ლისა ცოდვისა, ნუ უკვე შევსძინო ცოდვა ცოდვასა ზედა. ავიღე
კელთ საჭმარად წინა მდებარე ესე. უკეთუმცა არს ქართლსა ში-
ნა კინკლოსნი, კელთა და ქორონიკონი, მიზეზითა, მრავალნი ვე-
რას ცნობენ და არც იცნობება, რაოდენი ამა შინა წერილ არს
დალაცათუ სხუანიცა იშოებოდა საქმენი უქმობისა წამლად, იტ-
ყვის მოციქული: შეეწეოდეთ ურთიერთსა, თუცა ხმისა მის მსმე-
ნელნი ჩემთვის თემთა და ძმათა ჩემთაგანი არავინ არს და გან-
გდებულ ვიქმენ ვითარცა მკვდა[რი] მოძაგებული მათგან, ხოლო
მე არავე დამაშერალ ვარ შეწევნას მათსა, რაოდენი რა ძალმიც,
ხოლო კელთ საქმარი ჩემნი აქათვან ვერა რომელი ესრეთ მეწევი-
ან, ვითარ ესე, და ამად დავშვერ და აღვსწერე და გამოვიდე
თვით თავით ჩემით მე მეფემან ვახტანგ. ვინც გამოიყენოთ, რასმე
შენდობასა ყოფდეთ ჩემთვის⁸⁵.

ვახტანგს ძლიერ აინტერესებდა და იზიდავდა ქიმია, რასაც
ნათლად აღასტურებს მის მიერ დაწერილი ქიმიის სახელმძღვანე-

⁸³ იხ. რ. კიკნაძე, ულულბეგი, თბ., 1968, გვ. 119—122.

⁸⁴ დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის კ. გეგელიძის სახ.
ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფ. H, № 457; საქართველოს სსრ ცენტრალური სა-
ხელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში № 108, 109.

⁸⁵ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ქართულ ხელნაწერთა
კოლექციის აღწერილობა, II, თბ., 1950, გვ. 98.



ლო — „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“⁸⁶. ვახტანგ მუშავებდა იგრეთვე ოპტიკის ზოგიერთ წესსაც, რომელიც დღესაც მეცნიერულ ლირებულებას ინარჩუნებს⁸⁷.

ვახტანგს წვლილი იქვს შეტანილი ქართული მედიცინის განვითარებაშიც. მისი დავალებით საგანგებოდ იქნა გადაწერილი XIII საუკუნის სამედიცინო ხასიათის ნაშრომი „უსწორო კარაბადინი“. ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია: „ჩვენ, საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ დავაწერინეთ კარაბადინი ესე საკითხავად და სამყოფად დარბაზ სეფეთა ჩვენთა. ერთი ფურცელი ყელდა და მისი ვერსად ვიპოეთ რომ დაგვეწერა“⁸⁸.

ვახტანგმა იზრუნა აგრეთვე ზაზა ფანასკერტელის (XV ს.) თხზულების „სამკურნალო წიგნის“ ხელნაწერების მოწესრიგებაზე. მინაწერის ტექსტი გვაუწყებს: „ჩვენ, საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, თვითოვეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინეთ და შევაკვრევინეთ საქმარად და სასარგებლოდ კაცთათვინ და საქმარისად ყოველთა“⁸⁹.

ვფიქრობთ, რომ მოტანილი ციტატები კომენტარს არ საჭიროებენ.

მნიშვნელოვანია ვახტანგის დამსახურება ქართულ ლექსიკოგრაფიაში. იმ დარგის მამამთავარი სულხან-საბა ორბელიანი დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ქართველებს,

⁸⁶ დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. ქეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ფ. S, № 3721. გამოსაცემად მომზადებულია თ. ენუქიძის მიერ. იხ. აგრეთვე თ. ე ნ უ ქ ი ღ ე, ვ. კ ო კ რ ჩ ა შ ვ ი ლ ი, მეფე ვახტანგ VI-ის ქიმია, ფურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1969, № 8.

⁸⁷ იხ. მ. შ ე ნ გ ე ლ ი ი, ოპტიკისა და მხედველობის კორექციის საკითხები ძველ ქართულ წყაროებში და ვახტანგ VI-ის „ოპტიკური პარაგრაფები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფლების „მოაბეგ“, 1963, № 5.

⁸⁸ იხ. ქ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი. ტექსტი დამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1940, გვ. XXVIII.

⁸⁹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. ქეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Q № 877. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 286; ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), თბ., 1950, გვ. VI; ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი — ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, ტექსტი მომზადა, გმირევლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შეგველიძ. თბ., 1978, გვ. 4.



რომლებსაც ადრე პეონიათ ლექსიკონი, დაპკარგვიათ იგი სუმ-
თა ვითარებითა უჩინოთ ქმნილ იყო), ხოლო მის პრიკატება
მოჰყოლია ის, რომ „ენა ქართული თვისთა ნებაზე გაურევნიათ“.
ილ. აბულაძის მართებული დასკვნით, „უამთა ვითარება“, ანუ
„უამთა შლა“, როგორც ეს პირველის პარალელურად აქვს ნახ-
მარი ლექსიკოგრაფის, იმ ხანას უნდა გულისხმობდეს, რომელიც
მოჰყვა საქართველოს ცალკე სამეფოებად და სამთავროებად დანა-
წილებას და მწვავე შეიქმნა განსაკუთრებით XVI—XVII სს-ში ში-
ნაურ აშლილობათა და ირან-ისმალეთის მომძლავრების გამო.
ცწორედ ენის წახდენის შესაკავებლად, ერთი მხრით, და მისი
მდიღარი მარაგის მართებული ცოდნისა და გამოყენების მიზნით,
მეორე მხრით, მიუყვია ხელი საბას „ქართული ლექსიკონის“ შე-
დგენისათვის“⁹⁰.

ერთი სიტყვით, მოთხოვნილება ქართულ ლექსიკონზე დიდი
იყო და სულხან-საბაც დიდად გარჯილა. ამ საქმისათვის მას სამი
ათეული წელი დასჭირდებია.

ვახტანგი დიდი ყურადღებით ადევნებდა ოვალს საბას მუ-
შაობას. მან განმარტა საბას მიერ დამოწმებული ზოგიერთი სი-
ტყვა, ზოგი განუმარტავიც ახსნა, ზოგს წყაროები მიუწერა. ზოგ-
ჯერ კიდევაც ეკამათებოდა ორბელიანს. ვახტანგის მიერ შეტანილ
განმარტებათა ნაწილმა ადგილი პოვა სულხან-საბას ლექსიკონის
მომდევნო ხანის ხელნაწერებში, რაც მოწმობს, იმას, რომ საბამ
გაიზიარა ვახტანგის ნამუშევარი⁹¹.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვახტანგმა სულხან-საბას ლექსიკონს
უწოდა „სიტყვის კონა ქართული“, რაც მოეწონა ლექსიკოგრაფის.
ამის შესახებ ანდერძნამაგმი სულხან-საბა წერდა: „მე, სულხან
საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა უამსა და სიყრმესა, ფრიადი შრო-
მა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსი-
კონი აღარ იძოებოდა, რამეთუ უამთა ვითარებითა უჩინო ქმნი-
ლიყო, რომელსა... ვახტანგ მეფემან ქართულად სიტყვის კო-
ნა უწოდა“⁹².

⁹⁰ იხ. ილ. აბულაძის წინასიტყვაობა სულხან-საბას „ლექსიკონი ქართულისა“. ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი ოთხ ტომიდ, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 7.

⁹¹ იხ. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის
რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1957.

⁹² ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა ქართული, რომელ
არს ლექსიკონი, ს. ორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949,
გვ. 10.

საყურადღებოა თვით ვახტანგის ის ლექსიკოგრაფიული მუნიციპალიტეტისა მუშაო, რომელიც მან დაურთო 1712 წელს სტამბურად გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსანს“, აგრეთვე სპარსულიდან თარგმნილ ასტრონომიულ თხზულებებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვახტანგის დამსახურება ქართული მეცნიერული ტერმინოლოგის დადგენის საქმეშიც. ვავისენოთ აქ თვით ვახტანგის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მან თარგმნა მეცნიერული შრომები, რათა საქართველოში „ისტავლონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილა[სო] ფოსომა“.

ერთი სიტყვით, ვახტანგი მრავალმხრივი და თავისი დროის გამოჩენილი მეცნიერი იყო. მის მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში დიდი იდგილი ეკავა კვლევა-ძიებითი ხასიათის მუშაობას და მას დიდი ღვაწლი მიუძლოდა საქართველოში მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარებაში.

ცხადია, რომ ვახტანგის სამეცნიერო მოღვაწეობა განპირობებული იყო იმდროინდელი საქართველოს ისტორიული შეზღუდულობით. მაგალითად, მსოფლიო მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, ვახტანგი იცნობდა მხოლოდ აღმოსავლურს, იმ დროისათვის უკავე ჩამორჩენილ ირანულ-თურქულ-არაბულ ასტრონომიულ მეცნიერებას. მას საშუალება არ ჰქონდა, რომ გაეცნო მისი დროის მოწინავე ევროპული მეცნიერების ნ. კოპერნიკის (1473-1543), გ. ბრუნის (1548-1600), გ. გალილეის (1564—1642) შრომები. თუმცა ამ შემთხვევაში ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ შეზღუდულობას ქმნიდნენ თვით ევროპის ოფიციალური სახელმწიფო და საეკლესიო წრეები, რომლებიც ებრძოდნენ ახალ, მოწინავე მეცნიერულ აზრს.

სამაგიეროდ, ვახტანგის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის მეცნიერულ ათეიზმამდე და დეიზიზმა-მდეც კი არ ამაღლებული და ვერც ამაღლდებოდა, თავის შემოქმედებაში მაინც შეძლო განმანათლებლობის რეალიზმის შიმართულებისავენ დაძრია. როგორც ეს ა. ფრანგიშვილმა აღნიშნა, „ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პროგრესულობა იმაშია, რომ ის იღწვოდა მეცნიერული ცოდნის დარგების, როგორც თავის თავიდი მნიშვნელობის მქონე დარგების, როგორც სინამდვილის შემეცნების დარგების განვითარებისათვის“⁹³.

⁹³ ა. ჟე რანგიშ ვილი, ვახტანგ VI და მეცნიერული აზრის განვითარება საქართველოში, უკრნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1976, № 5, გვ. 77.

და მართლაც, ვახტანგის ეპოქის მეცნიერულ-კულტურული დონე მკვეთრად განიღებოდა წინამე, XVI—XVII საუკუნეების პერიოდის დონისაგან.

ვახტანგის მთარგმნობითი სამიანობა

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გრანდიოზული მთარგმნელობითი მუშაობა, რომელიც ვახტანგმა გასწია. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ვახტანგის თარგმანების იმ ჯგუფზე, რომელსაც შეადგენენ სამეცნიერო ხასიათის შრომები. ახლა კი შევჩერდებით მეორე ჯგუფზე, რომელსაც ქმნიან აღმოსავლურ ლიტერატურაში გავრცელებული დიდაქტიკურ-მორალური ჟანრის თხზულებები.

აქ პირველ რიგში უნდა დავისახელოთ XI საუკუნის დამლევს დაწერილი სპარსული კლასიკური მწერლობის თვალსაჩინო ძეგლი „ყაბუს-ნამე“. მისი ავტორი ამირ ონსარ ალ-მალი ქეი-ქაუს იბნ ისქანდერ იბნ ყაბუს იბნ ვუშმაგირი გვაწვდის საყურადღებო ცნობებს იმდროინდელი საზოგადოებრივი ყოფის მრავალ საკითხზე, იქნება ეს სტუმარ-მასპინძლობა, შვილების აღზრდა, ცოლის შერთვა, საუბარის ავ-კარგი, ღვინის სმის წესები, ასტროლოგია, პოეზია თუ მრავალი სხვა.

წიგნის ავტორმა რომელსაც ჰყავდა ერთადერთი ვაჟი გილანშაჰი, თავის მექვიდრეს დაუტოვა ეს ზნეობითი ტრაქტატი, სადაც შექებულია შრომისმოყვარეობა და საზოგადოებრივი საქმიანობა, გამომზეურებულია ცხოვრების მანკიერი მხარეები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრესული იდეების პარალელურად თხზულებაში ზოგჯერ გვხვდება ჩამორჩენილი შეხედულებებიც.

ვახტანგი დაინტერესებულა ამ ეთიკურ-პოლიტიკური ნაწარმოებით და უთარგმინა იგი. „ყაბუს-ნამე“ მთლიანად 44 კარისაგან შედგება. ვახტანგმა თარგმნა 11 კარის ის ნაწილები, რომელიც მორალური თვალსაზრისით უფრო მართებულად მიიჩნია. მან აგრეთვე შეცვალა ტექსტის გეოგრაფიული და ადამიანთა სახელები. მკვლევარ ლ. მენაბდის მართებული შენიშვნით, „ვახტანგისათვის ამოსავალი ქართული სინამდვილე იყო. მან გულდასმით შეისწავლა „ყაბუს-ნამე“, საგანგებოდ შეარჩია სათარგმნი მასალა, გამოიღო მხოლოდ ძირითადი, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეგონებანი და ლსტატურად მიუსადაგა ჩვენს ცხოვრებას. მას აინტერესებდა არა თხზულების აღმოსავლურ-მაჰმადი-



ანური და ირანული ეროვნულ-სახელმწიფო ბრიტი იდეალური ცენტრის არამედ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული საკითხები.

ვახტანგმა კრიტიკულად აითვისა ტექსტი, შეამოაცალა მაჰმადიანური სამოსელი, სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი მომენტები გამოტოვა ან შეცვალა, ოღმოსავლური შეგონებანი შეარბილა, თარგმნილი მასალა შეუფარდა და დაუახლოვა ქართულ სინამდვილეს...

ვახტანგი, მართალია, სპარსულ ტექსტს თარგმნიდა და ძირითადად იმით იფარგლებოდა, მაგრამ ზოგჯერ განსხვავებულ შეხედულებას ქადაგებდა და საყურადღებო მოწოდებებს გვთავაზობდა. მის ნააზრევში რამდენიმე კლასიური ხანის ქართული მწერლობის ცხოველმყოფელი გავლენაც შეინიშნება⁹⁴.

ვახტანგი არ დაქმაყოფილებულა „ყაბუს-ნამეს“ პროზაული თარგმანით და შემდგომ, უკვე რუსეთში ცხოვრებისას, გაულექსავს იგი. ქართული თარგმანის სათაურად ვახტანგს „ამირნასარიანი“ აურჩევია. მკვლევარ გ. იმედაშვილის აზრით, ვახტანგ VI, როგორც სპარსული ენისა და მწერლობის კარგმა მცოდნემ, უთუოდ იცოდა ორივე სათაური და უპირატესობა „ამირნასარიანს“ ალბათ იმიტომ მისცა, რომ ასე ერქვა იმ ხელნაწერს, რომლითაც მან თარგმნისათვის ისარგებლაო⁹⁵.

ქეი-ქაუსის წიგნის სათაურად „ყაბუს-ნამეს“ აღიარებას ჟამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც საღავოდ მიიჩნევენ⁹⁶.

ვახტანგს აგრეთვე ეკუთვნის ქართული თარგმანი მსოფლიოში გავრცელებული ინდური ლიტერატურული ძეგლისა „ქილილა და დამანა“.

VI საუკუნეში ინდური კრებული სანსკრიტულიდან ფალაურ ენაზე (საშუალო სპარსული) ითარგმნა, შემდგომ კი ფალაურიდან სირიულ და არაბულ ენებზე (VIII ს.). მერე, როდესაც ფალაური ორიგინალი დაკარგულა, არაბული ვერსია ახალ სპარსულ და ეგროპულ ენებზე უთარგმნიათ. ნაწარმოებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და გაჩნდა მისი რამდენიმე თეული რედაქცია.

⁹⁴ ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1966, გვ. 124.

⁹⁵ გ. იმ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ყაბუს-ნამეს ქართული ვერსია ამირ-ნასარიანი, „ლიტერატურული ძიებანი“, IX, თბ., 1955, გვ. 332.

⁹⁶ იბ. ა. ლ რ მ თ ა თ ი ძ ი ს წინასიტყვაობა „ყაბუს-ნამეს“ სრული ქართული თარგმანისა. ქ ე რ ქ ა უ ს, „ყაბუს-ნამე“. დარიგებათა წიგნი, სპარსულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ამირან ლომთათიქემ, თბ., 1978, გვ. 4—6.

ქართულად „ქილილა და დამანა“ პირველად ქახეთის სახელმწიფო დაცვითმა, თეიმურაზ I-ის მამამ, თარგმნა, მაგრამ არასრულად. დაცვითის ნამუშევარი გახტანგს უნახავს. როგორც ამას თვითონ ვახტანგი გადმოგვცემს, „მე ის წიგნი ხელად შემომიგარდა. ვნახე რომ იყო სიტყბოთი და სარგოთი სრული. ჩაოდენი ზღაპრის წიგნია და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და სამოდ საკითხავი არ იპოვებოდა.“

ერთ სპარსეა, რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოილო და გასრულებამდიც მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთ სომებს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება და მან შეასრულა; მაგრამ ლექსი, სიტყვა და განწყობა ბევრი დააკლდა⁹⁷.

ვახტანგს ბევრი უსწორებია ეს თარგმანები, შეუვსია გამოტოვებული ადგილები, პროზაულად თარგმნილი ლექსები გაუწყია და ა. შ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს „კოლექტიური“ ნაშრომი — დაცვითის, ირანელის და სომხის მიერ თარგმნილი ტექსტი, მიუხედევად ვახტანგის მიერ გადამუშავებისა, მაინც უხევირო დარჩა და მას თითონ არ მოსწონდა.

როდესაც ვახტანგი ქირმანს გაზიარეს (1714 წ.), მან ხელახლა დაიწყო „ქილილა და დამანას“ ტექსტის თარგმნა. თავის ანდერში იგი გვაუწყებს: „რა მიველ მუნ (ე. ი. ქირმანს — გ. პ.), წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სულისაც მაზიანებლად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა და ამის შექმენას გამოვეკიდე“⁹⁸.

ვახტანგმა არ დაიშურა ენერგია და დიდი სამუშაო სრულყოფილი თარგმანის მისაღებად კეთილსინდისიერად შეასრულა. ვახტანგის ხელნაწერი, რომელიც ახლა ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აქადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განკოფილებაში, ნათლიად მოწმობს იმას, თუ როგორ გულმოდგინედ ცდილობდა იგი დედნის ტექსტთან დაახლოებას. ამ სამუშაოს შესახებ ვახტანგი შემდეგნაირად წერდა: „სპარსთ

⁹⁷ იხ. ანდერძი დიდის ჭირსა შინა მყოფის მეფის ვახტანგისა. წიგნში: „ქილილა და დამანა“. ს უ ლ ხ ი ნ - ს ა ბ ა თ რ ბ ე ლ ი ი ნ ი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II₁, თბ., 1962, გვ. 38.

⁹⁸ იქვე, გვ. 38—39.

ენაში მეტად ტქბილად და კარგად უთქვამსთ. ამისაც ნახავთ მარტონ ბარბარის ლექსი ლექსად გარღმოვსთქვი უკლებრად, რომელი თთმუხლი იყო, ანუ ორმუხლი, ანუ ერთმუხლი, ანუ ათმუხლი, მეტი თუ ნაკლები, და ამბავი — ამბად. მაგრამ ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბად მოვა, და მე იმავე ამბის გალექსია მოვინდომე, და ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ვეღარ იტყვის! სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე, თვარემ სპარსულში დიალ გაწყობილია“⁹⁹.

ვახტანგმა ტექსტი თარგმნა სადა და უბრალო ენით. ამის შესახებ იგი წერდა: „მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დაგსწერე, რომ მეითხელთ სამძლვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს“¹⁰⁰.

ვახტანგი ყველაზე უკეთ გრძნობდა, რომ მისი ნამუშევარი კიდევ მოითხოვდა დამატებით მუშაობას და რედაქტორის ხელს. ამასობაში ქირმანიდან იგი ისფაპანს გაიწვიეს (1716 წ.), სადაც იგი სახელმწიფო საქმიანობაში კვლავ მთელი ენერგიით ჩაერთო. „ქილილა და დამანას“ თარგმანი კი სახედაქციოდ თავის კარის მღივანს ონანას გამოუგზავნა. ინნა თავის ანდერძში გვაუწყებს: „ეს ძლიერი და ამაღლებული მეფე ღროსა და უამთა იწროებისა-გან უცალოდ იქნა და თავისის სიბრძნით გახალასებული სამეცნიერო წიგნი თვით აღარ გალექსა და მათის უფსკრულის სიბრძნისაგან მეორედ აღარ აავსო და ჩვენ გვიბრძანა ეს ძნიად მისახლომი სამსახური და თუცა ძალგვიძეს, შემართვა გვნებავს“¹⁰¹.

წონანამ ლექსად გააწყო ვახტანგის მიერ პროზაულად თარგმნილი სპარსული ლექსები და უცვლელად დატოვა თვით პროზა, ე. ი. ძირითადი ტექსტი. ამასობაში სულხან-საბა ორბელიანი ევროპირან საქართველოში დაბრუნდა და ვახტანგმა მას გაუგზავნა „გასაჩილებად“ „ქილილა და დამანას“ საკუთარი თარგმანი.


ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის სულხან-საბას ანდერძი, რომელიც დართული აქვს მის მიერ დამუშავებულ ტექსტს. „ესე წიგნი ქირმანსა და ისპაანს შეკირებაში მყოფსა

⁹⁹ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა თ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხულებანი, ტ. II, გვ. 40.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ ინანას ანდერძის ტექსტი ციტირებულია ლ. მენაბდის წიგნის „ვახტანგ მეექვსე“-ს მიხედვით, ის. 135—136.

და უსაქმო მზრუნველი გონიერის ურვის წამლად მოუმუშად ჭარბაში თველთასა მეფე ვახტანგი — სპარსულისაგან ქართულად უჩანა...


ამისთვის მრავალს გარჯილიყო და დიდის ჭირით ქართულად გამოიერო. და თვითან ზედმიწევნით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ იშოვნა და მირევ-მორევით გარდმოეთარგმნათ. სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მცოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს და ზოგან ართრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორად ისე უგემური მოვა. რა გაეთავინა, ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის გამოეგზანა და მოეწერა მაღალსა მდაბალი ბოდიშები... და ებრძანა: ეს ჩემი ჭირნახული გაჩალხე გემოანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთეო. ეს სულხან-საბა ორბელიანი გოორგი მეფის დედის ძმისწული იყო, და მისგანვე შვილურად გაზრდილი და განსწავლებული, და ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი. ამ სოფლის სიმუხ-თლემ ერთმანეთს მოაშორვა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი დახეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექნეს, და მერემე ეს ბძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზვისაგან ამისთანა ამბავი უწესოდა და ურიგო...


ბერ-მონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად ჭილილა და დამანას აკეთებდეს, ვეჭობ, მეფესაც გაეცინოს...¹⁰²

სულხან-საბას ეს ანდერძი, როგორც ვხედავთ, შეიცავს საურადლებო დეტალებს. ამჯერად ჩვენ დავაკვირდეთ იმ გარემოებას, რომ ევროპიდან ორბელიანის დაბრუნების შემდეგ „სოფლის სიმუხთლემ“ და „ჩხუბიანმა კაცებმა“ ვახტანგსა და სულხან-საბას შორის ურთიერთობა განხეთქილებამდე მიიყვანეს, მაგრამ ორივე მხარე მოწოდების სიმაღლეზე იღდა და წარმოშობილი უსიამოვნება გადალახეს. საერთო საქმისადმი დიდმა სიყვარულმა და ურთიერთმიმართ კეთილმა სურვილებმა თავისი ნაყოფი გამოიღეს.

〔სულხან-საბამ ტექსტი „გაჩალხა“, პროზაულად თარგმნილი ლექსები გალექსა, სპარსიზმები წაშალა და სადაც კიდევ ცოტა

¹⁰² ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა თ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II₁, თბ., 1962, გვ. 40—41.

ჩამ იყო დარჩენილი ქრისტიანული სჯულის საწინააღმდეგო, ამავე მიზანით ნონიკურ თვალსაზრისს შეუფარდა.

სულხან-საბას ნამუშევარი ვახტანგს მოეწონა. მისი ბრძანებით ტექსტი კალიგრაფიისტებმა გადაწერეს, ხოლო მხატვრებმა ლამაზად გააფორმეს, შესანიშნავი მინიატურებით შეამცეს „ქილილა და დამანას“ ეს ხელნაწერიც ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში.

ქართველ მეცნიერებს ალ. ბარამიძეს¹⁰³, ე. მეტრეველსა და ა. გვახარიას¹⁰⁴, მ. თოლდუას¹⁰⁵, ლ. მენაბდეს¹⁰⁶, ი. ხუსკივაძეს¹⁰⁷ საფუძვლიანად აქვთ იგი შესწავლილი.

ასე, ამ ორი გამოჩენილი მოღვაწის შემოქმედებითი შრომის შედეგად ქართველმა მკითხველმა მიიღო იგავ-არაყების უკვდავი კრებულის შესანიშნავი ქართული ვერსია.

ცარდა ამისა, რუსეთში ცხოვრებისას ვახტანგმა გალექსა ერასტი თურქისტანიშვილის მიერ რუსულიდან ქართულად თარგმნილი „აპოფთეგმატა“, რომელიც თავის მხრივ რუსულად უთარგმნიათ XVII ს. პოლონელი მწერლის ბენიაშ ბუდნის კრებულიდან.

შემონახულია „აპოფთეგმატის“ ქართული თარგმანის როგორც ვრცელი, ისე მოკლე რედაქცია. ვახტანგის მიერ გალექსილი იყო მოკლე რედაქცია. იგი ისევე როგორც ვრცელი, სამ ნაწილიდ იყოფა: 1. „მოკლედ სიტყვისგება სოგრატისა, სწავლა პირველი. თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანიშვილისაგან და ლექსიდ ნაბრძანები მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან, რომელსა ეწოდების სიბრძნე მალალობელი“; 2. „მოკლედ

¹⁰³ იხ. ა. ბარამიძე, ქილილა და დამანა. წინასიტყვაობა ტექსტის გამოცემისა, წიგნში: „სულხან-საბა თრ ბელიანი“, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II₁, II₂, თბ., 1962.

¹⁰⁴ ე. მეტრეველი, ალ. გვახარია, სულხან-საბა თრბელიანის მთარგმნელობითი მეოთხის შესწავლისათვის („სულხან-საბა თრბელიანი, სამუშაოებრივ კრებული“, თბ., 1959, გვ. 177—202).

¹⁰⁵ გ. თოდუა, ქილილა და დამანას საბასული ვერსია, თბ., 1967; ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეცე ვახტანგმელექსისა და სულხან-საბა თრბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიერი დაურთო მაგალი თოლდუამ, თბ., 1975.

¹⁰⁶ ლ. მეტრევე, ვახტანგ მელექსე, თბ., 1966, გვ. 126—142.

¹⁰⁷ ი. ხუსკივაძე, ქართული საერთ მინიატურა (XVI—XVIII სს.), თბ., 1976.

გამოსახსნელი ამბავი, წიგნი მეორე, რომის კეიისრებისა, არაუცხოული
მეფეთა, მთავართა და მხედართმთავრებისა — მეფის ვახტანგისა-
გან ლექსად თქმული¹⁰⁸; 3. „რომელიმე ამორჩეულნი სიტყვანი
მისისა წიგნებიდანვე“. „აპოფთევმატის“ ვახტანგის მიერ შესრულე-
ბული ქართული თარგმანი, რომელსაც მან „სიბრძნე მალალობე-
ლი“ უწოდა, შესწავლილი აქვთ ტ. რუხაძეს¹⁰⁹ და ლ. მენაბდეს¹¹⁰.

აღმზრდელობითი ხასიათის ძეგლების თარგმანებში („ამირ-
ნასარიანი“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე მალალობელი“) ვახ-
ტანგმა ჩააქცოვა საკუთარი დაკვირვებები და ცხოვრებისეული
გამოცდილება, მოგვცა მრავალი ბრძნული დარიგება და მახვილ-
გონივრული შეგონება, აფორიზმები, რაც საფუძველს იძლევა ვი-
მსჯელოთ ვახტანგის დიდაქტიკურ შეხედულებებზე, როგორც
გარკვეულ მოძლვრებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვახტანგის საშუალებით
სხვა მოღვაწეების მიერ ითარგმნა და მომზადდა არაერთი მნიშვ-
ნელოვანი ნაშრომი.

ვახტანგის პოეტური მიმკვიდრობა

ვახტანგს ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო პოეტური ნაწარ-
მოებებიც, მას საპატიო ადგილი უჭირავს ქართული ლიტერა-
ტურის სტორიაში.

ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობა ჩვენს ლიტერატურათ-
მცოდნეობაში საფუძვლიანად არის შესწავლილი. იგი მრავალ-
მხრივაა გარჩეული და შეფასებული კ. კეკელიძის, ალ. ბარამი-
ძის, გ. ლეონიძის, გ. იმედაშვილის, ლ. მენაბდის, ს. ცაიშვილის,
მ. თოდუსის, ა. გვახარიას, დ. ბრეგაძისა და სხვების მიერ. ჩვენ
მხოლოდ ზოგადად შევეხებით ვახტანგის პოეტური მემკვიდრე-
ობის დახასიათებას, რამდენადაც ეს აუცილებელი იქნება მისი
მოღვაწეობის სრული გაშუქებისათვის.

ვახტანგის ლიტერატურულ-მხატვრულ შემოქმედებისათვის
დამახასიათებელია ოემატიკური მრავალფეროვნება, იღეურ-აზ-
რობრივი მიზანდასახულობა, მოქალაქეობრივობა, ლრმა ლირიზმი
და მძაფრი მგრძნობელობა.

¹⁰⁸ იხ. ტ. რ ც ხ ა ბ ე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის
ისტორიიდან (XVI—XVIII ს.), თბ., 1960, გვ. 282—286.

¹⁰⁹ იხ. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ მეექვე, გვ. 142—150.

გახსაგებია, რომ ვახტანგის პოეტური ნიჭის გამოვლენა-გახ-
ეითარება, განაპირობებს და განსაზღვრეს იმდროინდელმა ქართულ-
მა სინამდვილემ, ქართული კულტურის განვითარების ღონემ,
დიდმა ლიტერატურულმა ტრადიციებმა.

ვახტანგის, როგორც მოწინავე საზოგადო მოღვაწეს, პოეტურ
შემოქმედებაშიც წინა პლანზე, უპირველეს ყოველისა, თავისი
დროის საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროობრივ პრობლემე-
ბი ჰქონდა დაყენებული. სახელმწიფოს ბედ-ილბალზე მზრუნველი
მეფე ქვეყნის სიმტკიცეს, ბუნებრივია, სამეფო ხელისუფლების
ძლიერებას უკავშირებდა და მეფის მიერ „მართებული საქმის
ქმნის“ მქადაგებლად გამოდიოდა. კანონებსა და სხვადასხვა სა-
ხელმწიფო ქერძებში განვითარებულ მოსაზრებებს ვახტანგი, ბუ-
ნებრივია, თავის პოეტურ ნაწარმოებებშიც გამოხატავდა. მაგალი-
თად, პოემაში „სიბრძნე მალაობელი“ ვახტანგი წერდა:

„მეფე მდაბალი, მოწყალე, მშვიდი და გულეთილია,
ქვეყნის მომელელი, ერთგალი, უყვარდეს ვითა შეილია,
გამსინჯავი და სარდალი, რისხევის დროს შეუცილია,
და ორისავ ხელთა დარჩება ამის და იმის წილია“.¹¹⁰

იგი ორიშნავდა, რომ საქვეყნო საქმე მეფეს პირადულზე უფ-
რო მაღლა უნდა ჰქონოდა დაყენებული:

„მეფე არა ხმს თავისა გემოსა მიღენებული,
უხევ, მხნე, ტკბილი, მოწყალე, დროს რისხევის მონებებული,
შემძლე საქმია, სხვათავაზ ჩჩევითა უფრო ქებული,
და თვით ელვიძოს და-საძეფოს მძინარი, განსვენებული“.¹¹¹

კანონმდებელი მეფე თავის პოეტურ ნაწარმოებებშიც გმობ-
და უსამართლობას და იბრძოდა ბოროტების წინააღმდეგ. იგი
წერდა:

„საკა ბოროტი გამოჩნდა სიავეს სიმრავლებითა,
ძირი ვაღიდდა, გამსხვილდა მიღმამდი გასავლებითა,
ნაყოფი ტკბილი აღმოფხვრა, გახადა დანაკლებითა,
და ოხრდა თემი, ქვეყნა მძინა მიახლებითა“.¹¹²

ვახტანგი ხაზგასმით აღნიშნავდა:

„სამართლით ნაშოენთ დაყარტვა სჭობს სიბოროტით შოვნასა,
და მას ერთხელ იწყენ, ამისგან ნახავ მრავალჯერ წყენასა“.¹¹³

¹¹⁰ ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, თბ., 1975, გვ. 137.

¹¹¹ იქვე, გვ. 155.

¹¹² იქვე, გვ. 10.

¹¹³ იქვე, გვ. 133.

ვახტანგის თქმით:

„ვინც ბოროტით გამდიღრების, თავსა დიდხან ვერ იშლიღრებს“¹¹⁴.

„სიგლაზე სჭობს კარგითა სსავით გამდიღრებასა“¹¹⁵.

„უნაყოფობა ბევრით სჭობს ბოროტის შვილის ყოლაშა“¹¹⁶.

ვახტანგი მოუწოდებდა ყველას მახინჯი მოვლენების აღმოსაფხვრელად აქტიური მოქმედებისაკენ. ბოროტებას იგი სიკეთეს უპირისპირებდა და კეთილის გამარჯვების აუცილებლობას ხაზ-გასმით აღნიშნავდა:

„კეთილს გარდა სულ წახდება სოფელი და დანაარსი“.¹¹⁷

ან:

„სულ გასწორდეს, რაც რომ არის ბოროტისა საქმის კიდე“.¹¹⁸

ვახტანგი უმღერდა მეგობრობას და კიცხავდა შურიანობას. მკვლევარ დ. გვრიტიშვილის მართებული დასკვნით, „ვახტანგმა განსაზღვრა რა სიკეთისა და ბოროტების ცნებები, ერთმანეთს დაუპირისპირა რა ისინი, ჩამოაყალიბა ის მორალური კოდექსი რომლის განხორციელება სავალდებულო უნდა გამხდარიყო საზოგადოების ყველა წევრისათვის, განურჩევლად იმისა, მეფე იყო, თავადი, გლეხი, ერი თუ ბერი“¹¹⁹.

ვახტანგი ქადაგებდა სასარგებლო საქმიანობის აუცილებლობას. ლექსში „შეგონება“ იგი წერდა:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარეოს,

ამ სოფელსა ხელი ჰყაოროს, იქაც ბარგი დაიბარეოს,

მოყვარეთ და ამხნავთა თავის რიგით რამე არგოს,

და სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს“.¹²⁰

ვახტანგის აზრით, ადამიანის ცხოვრებაში მთავარია პრაქტიკული მოქმედება. იგი წერდა:

„რაღვან კაცია მოკვდავი, უნდა დაურჩეს რამე და,

სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქენ, რამც იამე და?

¹¹⁴ ვახტანგ მეგებასე, ლექსში და პოემები, გვ. 134.

¹¹⁵ იქვე, გვ. 138.

¹¹⁶ იქვე

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ დ. ვარიტიშვილი, ნარკევები საქართველოს ისტორიიდან, III, თბ., 1968, გვ. 80.

¹²⁰ ვახტანგ მეგებასე, ლექსში და პოემები, გვ. 15.

მოგიგონებენ ყოველწი ამითი უამით-უმიერდა,
 და მოლექსობაცა იქნება ამის რამ შესაძამელია".¹²¹

ან:

„ეს მიხვდება ღიღ-სახელად უბრძოლველად გამარჯვება!“¹²²

ბუნებრივია, რომ ვახტანგი, ისევე როგორც XVII—XVIII საუკუნეების სხვა ქართველი სწავლულები, არ მოითხოვდა და ვერც მოითხოვდა არსებული საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნას, ის მხოლოდ სწავლა-განათლების საშუალებით ფიქრობდა საზოგადოების გაუმჯობესებას. ვახტანგის შეხედულებით, მხოლოდ სწავლა-განათლების ძალითა და სიბრძნით შეიძლება აღამიანი ბეღნიერი გახდეს. იგი წერდა:

„ავსა კაცსა ცოდნის სწავლა მის სივეს გაუკარგას“.¹²³

ან:

„სიბრძნე გიყვარდეს, ისწავლე, ძვირფასი არი სახისა,
 და დაცემულთ მაღლა ამწევი, მაღიდებელი გლახისა“.¹²⁴

ვახტანგი ადამიანის გონიერის უსაზღვრო ძალას უსვამდა ხაზს, თანამემამულების ჰეშმარიტი ცოდნის დაუფლებისაკენ მოუწოდებდა და ისევე, როგორც მისი მასწავლებელი სულხან-საბა ორბელიანი, „ამქვეყნიური“ ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ მოძღვრების განვითარების ცდილობდა. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მოწმობს მის ძერას განმანათლებლობის მიმართულებით. ა. ფრანგიშვილი მართებულად ონიშნავს, რომ ვახტანგ VI-ის შემოქმედებაში განმანათლებლობის რეალისტური კონცეფციის რაციონალიზმიზე მის მიმართულებით განვითარება უთუოდ პროგრესული მსოფლმხედლობის დამკვიდრების დამკვიდრებას მტკიციდრებას მტკიცი საფუძველს უქმნიდა.“¹²⁵

ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი მგზნებარე პატრიოტიზმია. მის პოეზიაში განსაკუთრებული სიღრმით და სიმძაფრით არის აღმენდილი სამშობლოს

¹²¹ ვახტანგ მეექვსე, ლექსი და პოემები, გვ. 44.

¹²² იქვე, გვ. 96.

¹²³ იქვე, გვ. 139.

¹²⁴ იქვე, გვ. 140.

¹²⁵ ა. ფრანგის უთუოდ პროგრესული აზრის განვითარება საქართველოში, „სკოლა და ცხოვრება“, 1976, № 5, გვ. 75.

სამორჩილი
გვერდი 1

დაშორებით გამოწვეული დიდი გულისტყივილი. ბუნებრივი რიცხვები და მის ლირიკაში გვხვდება სევდიანი პანგები და პესიმიზმიც. მაგალითად, ვახტანგი ოღწერს წუთისოფლის ვერაგობას, სამშობლოს არევ-დარევისა და საკუთარ უბედურებას. თვით ვახტანგისავე სიტყვებით:

„დაეემონე კაეშანსა, სევდა მომხედა მისთვის წამლად,
მელნად ნალევლს მოვიხვარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად;
ლხინის ბალის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასაღამად“.¹²⁶

მაგრამ, როგორც ეს სავსებით, სამართლიანად აღნიშნა ა. ბარაძიძემ, ვახტანგის პოეზია, მოლიანად აღებული, სრულებით არ ხასიათდება პესიმისტური მსოფლმხედველობით¹²⁷. მაღალი ჰუმანური იდეალები — კაცომიყვარეობა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული — შეადგენენ ვახტანგ მექენის პოეზიის ქვაკუთხედს.

ვახტანგი იმისთვისაც ზრუნავდა, რომ შეესწავლათ ქართული ლექსის ბუნება და პოეტიების თეორიის საკითხებზეც სპეციალური ნაშრომი შეექმნათ. ამის ნათელი დადასტურებაა მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“, რომელიც ვახტანგის დავალებით დაიწერა¹²⁸.

რაც შეეხება ვახტანგის ლიტერატურული ნაწარმოების ენა-სა და სტილს, პოეტ-აკადემიკოსის გ. ლეონიძის დაკვირვებით იგი ხასიათდება ხალხურობით. „ვახტანგი, — წერს გ. ლეონიძე, — მომხრე იყო ცოცხალი, მდაბიო ენისა მწერლობაში“¹²⁹. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწერაოდ, ჩვენს ენათმეცნიერებს ვახტანგის ენისა და სტილის საკითხი საგანგებოდ ჯერ კიდევ არ შეუსწავლიათ და სპეციალურად არ გაუშუქებიათ.

*

* * *

როგორც ვხედავთ, ვახტანგი სათავეში ედგა არა მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ უშუალოდ წარმართავდა იმდროინდელ მთელ ქართულ ინტელექტუალურ ცხოვრებასაც. ბუ-

¹²⁶ ვახტანგ მეგასე, ლექსი და პოემები, გვ. 22.

¹²⁷ იბ. კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1954, გვ. 410.

¹²⁸ იბ. გ. მიქაელი, მმუკა ბარათაშვილი, თბ., 1958.

¹²⁹ გიორგი ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 218.



ნებრივია, რომ ესოდენ გამოჩენილმა მოღვაწემ თავის ირგვარს უკავშირდება შემოიკრიბა ქართული კულტურის ძირითადი წამყვანი ძალები. მისი მფარველობის ქვეშ გაიშალა მოღვაწეობა ბრწყინვალე პლეიდისა, რომელსაც პირველ ჩიგში ამშვენებენ სულხან-საბა თაბეჭლიანის, ვახუშტი ბაგრატიონის, დავით გურამიშვილისა და მამუკა ბარათაშვილის სახელები. ¹³⁰

ვახტანგის ხანის საინტერესო დახასიათება მოგვცა დიდმა ქართველმა მეცნიერმა ი. ჯავახიშვილმა: „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ორმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. ¹³¹ თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ.

ამ დიადი საქმის მოთავე და სულის ჩამდგმელი გიორგი XI და მეტადრე დიდებული დაუკიტყარი ვახტანგ VI იყო¹³⁰. მართლაც, ქართული კულტურის ისტორიაში ვახტანგის ხანა უდავოდ გარკვეული მნიშვნელობის პერიოდად წარმოგვიდგება. სწორედ ამ დროს ისე დაწინაურდა ქართული კულტურა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებაში მოხდა მნიშვნელოვანი ძრები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ განმანათლებლობას. ერთი სიტყვით, ვახტანგ მეექვსე ენციკლოპედიური ცოდნის ადამიანი იყო. მან დაგვიტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ნათლად მოწმობს მისი ინტელექტუალური ინტერესების მრავალმხრივობას. ამ ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ პირობას XVIII საუკუნის ქართული ფილოსოფიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერული აზრის განვითარების სწორად გაეცისათვის.

ამრიგად, თავისი ნაყოფიერი საქმიანობით ვახტანგმა უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა მთელს საქართველოში.

ვახტანგის სამართლის კანონებით და „დასტურლამალის“ ნორმებით ხელმძღვანელობდნენ არა მხოლოდ ქართლის სამეფო-

¹³⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 1928, გვ. 116.

ში, არამედ იმერეთსა და კახეთშიც. ხოლო ვახტანგის სტუდენტები გამოსული ქართული წიგნი საქართველოს ყველა მხარეში ვრცელდებოდა. ვახტანგის კარზე აღიშარდა იმერეთის სამეფოს ტახტის შემკვიდრე ალექსანდრე, რომელიც 1721—1752 წლებში მეფობდა იმერეთში. ვახუშტი ბაგრატიონი შემთხვევით როდი აღნიშნავდა, რომ ვახტანგს „მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი“¹³¹.

თავისი მსოფლმხედველობით ვახტანგი ეკუთვნოდა ფეოდალური საქართველოს იმ მოწინავე წევს, რომლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის დამახსიათებელ ნიშანს წარმოადგენდა პატრიოტიზმი, ბრძოლა ირანელ და თურქ დამსყრობლებთან, ეროვნული ერთიანობის იდეის პროპაგანდა, ეროვნული კულტურის განვითარება, რაც სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეოლოგიური ქვაკუთხედი იყო.

¹³¹ ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი თ ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 486.



ვახტანგ მეექვსის ბრძოლა უცხო დამპყრობის
ბატონობისაგან საჩართველოს
გასათავისუფლებლად

ვახტანგს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, შესანიშნავად ეს-
მოღა, რომ საქართველოს კეთილდღეობა, გარდა შინაფეოდალური
რეაციული ძალების დაძლევისა, აუცილებლივ მოითხოვდა ყი-
ზილბაში და ოსმალთ დამპყრობლების ბატონობის მოცილებას.
ამ მხრივ დამახასიათებელია თვით ვახტანგის სიტყვები იმის შე-
სახებ, რომ საქართველოს მდგომარეობა ირანის ბატონობის ქვეშ
„ფოცხვერის ჭანგში“ ყოფნას უდრიდა, ხოლო ოსმალეთის ბატო-
ნობის დამყარება „ბაბრის ჭანგში“ მოქცევას ნიშნავდა¹.

ირანელი და თურქი ასიმილატორების წინააღმდეგ ქართველი
ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ბრძოლის გამოცდილება
ვახტანგს ნათლად კარნახობდა განსაკუთრებული მოქნილი პოლი-
ტიკის აუცილებლობას, დიდ სიფრთხილეს და წინდახედულობას,
კონკრეტული პირობების ყოველმხრივი გათვალისწინებით ლავი-
რებას და უცხო დამპყრობთა ბატონობისაგან ქვეყნის განთავი-
სუფლებისათვის გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად შესაფერი-
სი მომენტის სწორად შერჩევას.

ვახტანგიც ასე მოქმედებდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა მეფემ უპირველეს ყოვლისა,
ცადია, ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგეთა ძალების გაბრთილება
მოინდომა. ვახუშტის ცნობით, ჩამოსვლისთანავე ვახტანგმა „შე-

¹ იხ. Переписка грузинских царей с российскими_государями, СПб., 1861, с. 150.



იპყრა ძე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი და დახურიტა ფაფულა
თა, კუალად ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდისშვილი, ჭავჭავა
შასპი ხერხეულიძე, რევაზისშვილი პაპუნა, ვეშაპიძე და პლატონ,
ესენი იქსნა კათალიკოზმან სიკუდილისაგან და განყიდეს ოსეთს
თხებთა ზედა².

ამის შემდეგ ცახტანგმა „ლეკების“ საკითხის მოვარება სცა-
და, რაღვანაც დაღესტნელების თავდასხმებით ქვეყანა ძლიერ შე-
წუხებული იყო.³

საქართველოში ლეკების მიერ ძარცვა-გლეჭის პირველი ობი-
ეტი კახეთი გახდა. 1706 წ. ლეკებმა დიდი ზარალი მიაყენეს ამ
შხარეს, მიიტაცეს კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი (დღევანდელი სა-
ინგილი), რის გამოც კახეთის გამგებელი დავითი იძულებული გახ-
და თავასი რეზიდენცია ყარალაჭიდან უფრო დაცულ თელავში გა-
დაეტანა⁴.

1709 — 1715 წლებში, როდესაც დავითი ირანში გაიწვიეს
ჯახეთის მეფედ დასამტკიცებლად (ერეკლე I 1709 წ. ირანში გარ-
დაიცვალა), კახეთის მდგომარეობა კვლავ გართულდა: გამწვავდა
ფეოდალური შინაომები და იმატა ლეკთა თავდასხმებმა. კახეთის
გამგებლად დანიშნული თეიმურაზ ერეკლეს ძე მცირეწლოვანი
იყო და ქვეყანას ფაქტობრივად ნიკოლოზ ალავერდელი შართავდა,
კახელი ფეოდალების ერთმა ნაწილმა ალავერდელის მეთაურობით,
ვიწრო ფეოდალური ინტერესებიდან გამომდინარემ, საერთო
ეროვნულ საქმეს ულალატა. შათ გადაწყვიტეს ლეკებისათვის გზა
გახესნათ ქართლისა და აზერბაიჯანის პროვინციებისაკენ, რომ მა-
თი რბევის ხარჯზე კახეთი გადაერჩინათ⁵. ამის შედეგად ლეკები
ქართლშაც ეწვივნენ.

ვახტანგ VI-ს კარგად ესმოდა „ლეკების“ საკითხის მთელი სირ-
თულე და მისი მოვარების აუცილებლობა. ამ ამოცანის მისალ-
წევად, ვახტანგის აზრით, პირველ რიგში აუცილებელი იყო ქარ-
თლისა და კახეთის ძალების გაერთიანება. ლეკი ფეოდალებისა
და ტომების ბელადების თავდასხმის წინააღმდეგ ერთობლივი სამ-
ხედრო მოქმედება. ამიტომ ვახტანგმა დავითან კავშირი დაამყა-
რა. ჭერ კიდევ 1703 წელს ისინი მცეთაში შეხვდნენ და ერთმანეთს
ძმობა და მეგობრობა აღუთქვეს, ხოლო 20-იან წლებში ვახტანგ

² ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 497.

³ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I X, თბ., 1973, გვ. 409.

⁴ იქვე, გვ. 410.



VI-სა და დავით II-ს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დამტკრცება
ყარდა. მათ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს საერთო მტრის ^{ციფრული ფორმის}
ნალეցებ გაერთიანებული ძალებით გამოსასვლელად⁵.

1720 წლის გაზიფხულზე კახეთში გაიგზავნა ქართლის სამე-
ფოს მოწინავე სადროოშოს — საბარათიანოს ლაშქარი ერასტი ყაფ-
ლანიშვილის (ორბელიანის) მეთაურობით. მაგრამ იმ დროს დავით
II-მ ვერ გაბედა იმ ლაშქართან ერთად ჭარ-ბელაქანში შეჭრა და
სამი თვის ლოდინის შემდეგ ქართლის ლაშქარი უკან დაბრუნდა⁶.

შემდგომ ქართლის მეფეს დიდი ძალით მოუხდა განჯის სა-
ხანოსაკენ გალაშქრება, რაღვანაც იქაური სუნიტი მოსახლეობის
დამახარებით ლეკების დიდი ძალები განჯის სახანოში ცყო თვე-
მოყრილი. ვახტანგის ლაშქარმა მტერს შეუტია ზეგამში, შამქორ-
ში, ბარდაში, ჭარში. დამარცხებულმა ლეკებმა აზერბაიჯანული
პროვინციები მიატოვეს და ჭარ-ბელაქანში დაიხიეს, ხოლო ვახ-
ტანგისა და ირანის შაპს მორჩილება აღუთქვეს. ვახტანგი ამით არ
დაკავშირდა. მას განზრახული პეტრი ლეკონდა თავდასხმის
მთავარი პლაციდარმის — ჭარ-ბელაქანის დალაშქრა. და მართლაც,
1721 წ. ქართლის მეფე თავისი ლაშქრით კახეთში შევიდა, სა-
დაც მას შეუერთდა კახელების ჯარი ვახტანგის სიძის თეიმურაზ
ერეკლეს ძის მეთაურობით, რაღვანაც დავით მეფე ავადმყოფობდა.
ერთი სიტყვით, საქმეს უკვე კარგი პირი უჩანდა. მაგრამ ამ დროს
შაპის ბრძანება მოვიდა, რომ ვახტანგს ლაშქრობა მოეშალა⁷. მიუ-
ხედავად ამისა, ქართლის შვეფეს თავისი ჯარი არ დაუშლია. კა-
ხელ და ქართლელ დარბაისელთა თათბირზე გადაუწყვეტიათ, რომ
ჭარზე ლაშქრობა მაინც განეგრძოთ. მაგრამ შაპისაგან მეორე, კა-
ტეგორიული ბრძანება მოვიდა და ვახტანგი იძულებული გახდა
დამორჩილებოდა მას⁸.

როგორც ამას სეხნია ჩხეიძე გვაუწყებს, ირანში ფიქრობდ-
ნენ, რომ „თუ მეფეშ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყნასაც ის და-
იჭირსო“⁹ და ამიტომ უკვე გამარჯვებამდე მისული საქმე ქარ-

⁵ ის. დ. მეგრულ ა ძ ე, მასალები XVIII ს. ოცანი წლების ქართლ-
კახეთის ისტორიისათვის, კრებულში: „მასალები საქართველოსა და ფავფასიის
ისტორიისათვის“, ნავვ. 33, თბ., 1960, გვ. 143—175.

⁶ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 497—498.

⁷ იქვე, გვ. 498.

⁸ ის. დ. მეგრულ ა ძ ე, მასალები XVIII ს. ოცანი წლების ქართლ-
კახეთის ისტორიისათვის, გვ. 145.

⁹ სეხნია, ჩხეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 329.



თლის მეფეს ჩაშლევინეს. გასაგებია, თუ რას განიცდიდნ გვერდის მეფების გამო.

ვახუშტისა და სენია ჩხეიძის ცნობები იდენტურად გვიხატავენ საერთო სურათს და, ბუნებრივია, რომ რიგ დეტალებში ერთმანეთს კიდევაც ავსებენ, თუმცა ამბების მსვლელობის თანმიმდევრობის თვალსაზრისით ზოგიერთ განსხვავებასაც იძლევიან. ვაგალითად, ვახუშტის მიხედვით ირანის შაჰს ჯერ „წარმოვლინა... შირვანის ხან შუელად კახთა. ესე რა მოვიდა შაქს, დაესხნენ ჭარელნი, მოკლეს ხანი და მოსწყვდნეს, სპანი მისნი“. ამიტომაცამ შაჰმა ვახტანგს დაავალა ჭარში გალაშქრება, რომელიც შემდეგ თვითონვე შეაწყვეტინა. „ამისთვის მოუმცნო ყევნმან მეფესა შემუსრვა ჭარისა და სრულიად შეკრძული სპითა ქართლისათა წარვიდა. ხოლო კახთა მიიყვანეს მე დღე მაღაროს. მუნ ევერგრენ ჭარელნი მეფესა, რათა შეიწყალოს და დაემორჩილნენ, ვითარება ნებავს.

მაშინ მოვიდა ყევნიდან ბეჟან თაქალ-თოიანი, რათა უკუნიკცეს მეფე მათგან“¹⁰.

სენიას ცნობებით კი, შირვანის ხანისათვის ლეკების წინააღმდეგ მოქმედება შაჰს ვახტანგის ლაშქრობის შემდეგ უბრძანებია¹¹:

მაგრამ საკითხს ეს დეტალები არ წყვეტენ. მთავარია ის საერთო მდგომარეობა, ის ვითარება, რომელსაც ჩვენი წყაროები ნათლად გვიხატავენ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ავღანთა შემოტევით შეწუხებულმა შაჰმა მათ საწინააღმდევოდ ლეკების დაქირვებაც სცადა. შაჰ სულთან-ჭუსეინმა ჭული და საჩუქრები გაუგზავნა შამხალს და სასწრაფოდ ჯარის გამოგზავნა მოსთხოვა. ლაშქარი შეგროვდა და ყაზიყუმუხელი სურხაი-ხანის მეთაურობით გაიგზავნა ირანის შაჰის დასახმარებლად, მაგრამ შირვანში მას დაუდ-ბეგი დაწია ლეკთა ათასკაციანი რაზმით და შაჰის წინააღმდეგ ერთობლივი ძალით გამოსვლა შესთავაზა. სურხაი-ხანი იმწამსვე დათანხმდა და ორივემ განაცხადა, რომ ისინი „ღვთის მიერ მოწოდებულნი არიან გაათავისუფლონ სუნიტები ირანის ბატონობისაგან და მოუწოდე-

¹⁰ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 498.

¹¹ სენია ჩხეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 329.



შენ ყველა ჰერმარიტ მუსლიშანს გაერთიანდნენ და მოიპოვებოდნენ თავისი უფლება¹².

1721 წლის 7 օგვისტოს დაუდ-ბეგი და სურხაი-ხანი კვლავ დაესხნენ შემახას და გაძარცვეს ქალაქი. რუსული წყაროების მონაცემებით, რუსი ვაჭრების ზარალი ამჯერად 500 000 მანეთს აღწევდა.

დაახლოებით ამ პერიოდში შაჰმა შეიტყო ღალატი თავისი ეთიმად ად-დოულესი (მთავარი ვეზირი) ფათალი-ხანისა, რომელიც წარმოშობით ლეკი იყო და შამხალს ენათესავებოდა. სენია ჩხეიძის ცნობით, „ქორონიკონს უთ (1721 წ.), ამა უამსა იდგა ყენი შაჰ-სულთან უსეინ თეირანსა და შეაჩნდა ყენის ღალატი ეთიმადოვლეს ფათალი ხანს: ესე იყო გვარად ლეკი, შამხლისა სახლის კაცთაგან, მაგრამ ხელმწიფისაგან გაზრდილი დიდისა პატივითა, უნდოდა თვით გახელმწიფება. მაგრამ ბძანებითა ღურთისათა და მოევლინა რისხევა მისი და დაიჭირა და დასთხარა თვალები და იავარჟყო ქონება მისი“¹³.

სენიას მოწმობით, სწორედ ამას მოყვა შაჰის ბრძანებით ჭარისაკენ ვახტანგის გალაშქრება, რომელიც შაჰმა შემდეგ მას მოაშლევინა.

ერთი სიტყვით, წალეული ფაქტების თანმიმდევრობის განხვავებულად გაღმოცემის მიუხედავად, ყველა წყარო ერთხმად მოწმობს იმას, რომ ლეკების გამოსვლამ 1721 წელს იმდენად ფართო მასშტაბი მიიღო, რომ შაჰი საგონებელში ჩავიარდა. შეელი შირვანი ფაქტობრივად ლეკების ხელში აღმოჩნდა. 1722 წლისათვის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ლეკების წინააღმდეგ სულთან-ჰუსეინმა კვლავ ქართლის მეფის გამოყენება მოინდომა. ამ შემთხვევაში ორივე ქართული წყარო, ვახუშტიცა და სენიაც, ერთხმად მიუთითებს, რომ 1722 წელს ირანის შაჰმა ვახტანგი აზერბაიჯანის სარდლად დანიშნა და მას შირვანიდან ლეკების განდევნა დაავალა, ვახუშტის ცნობით, „ხოლო აგვიტოს (ლაპარაკია 1722 წელზე — გ. 3.) კოუორს მყოფს მოუვიდა მე-

¹² ი. Известия о находящихся с западной стороны Каспийского моря между Астраханью и рекою Куром народах и землях, и о их состоянии в 1728 г., сочиненное полковником артиллерии Иваном Гербером, «Сочинения и переводы к пользе и увеселению служащие», СПб., 1760, с. 228; П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, т. I, СПб., 1868, с. 8.

¹³ სენია ჩხეიძე, დასახ. ნაშრ., ვვ. 328.

ფეს ყევნისაგან თავი და ჭილა, კრმალი და ხანგალი მოოქანდაკებული და სპასალარობა აღრიბევანისა, რათა დაიპყრას შირვანი, რამე-
თუ ქუნდა ლექთა დაპყრობილი¹⁴.

სეხნიას თქმით, „ქორონიკონს უი (1722 წ.)... მოუვიდა ყე-
ვნიდამ მეფეს ვახტანგს ხალათი და ლახტი მურასა და სარდლობა
და შირვათ და შირვანზე ლაშქრობა, ვითარცა შირვანი ლეკთ
ეჭირა. შეიყიდა სპა ლაშქარი ქართველთა“¹⁵.

(სწორედ ამ დროს კასპიისპირა პროვინციებში, ასტრახანიდან
დასუბანდისაკენ დაიძრა რუსთა ლაშქარი თვით პეტრე I-ის მე-
თაურობით. ასტრახანის გუბერნატორს ა. ვოლინსკის წინაშარ,
1719—1720 წლებში, პეტრე I-ის დავალებით ვახტანგ VI-სთან
მოლაპარაკება დაუწყია სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადე-
ბის თომბაზე.

რაც შეეხება თვით ვახტანგს, იგი ჯერ კიდევ ირანში ყოფნის
დროს საბოლოოდ დარწმუნდა სეფიანთა სახელმწიფოს ძლიერე-
ბის დაცემაში, ხოლო ამიერკავკასიაში რუსეთის სახელმწიფოს ინ-
ტერესების საფუძველზე პეტრე I-ის აქტიური შოქმედების გათ-
ვალისწინებით, შექმნილი მდგომარეობა შეაფასა როგორც ხელ-
საყრელი პირობა ირანის ბატონობისაგან საქართველოს გასათავი-
სუფლებლად.)

ჩეენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ პეტრე I, რომელიც
რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკუ-
რი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ჩეარობდა კასპიის ზღვის
სანაპიროების დაკავებას, რომ ეს ტერიტორია თურქეთს არ დაეკ-
ურო, რადგანაც ამის რეალური საფრთხე უკვე არსებობდა. კას-
პიისპირა პროვინციებს კი რუსეთის ვაჭრობისათვის დიდი მნიშვ-
ნელობა ჰქონდა, ხოლო მათი უშუალო შემოერთებით პეტრე მთე-
ლი რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას
აპირებდა!. ასე რომ, ირანსა და საერთოდ მახლობელ და შუა
ღმოსავლეთში შექმნილი კონკრეტული ვითარება რუსეთის მთავ-
რობას გადაუდებელ ამოცანად უსახავდა კასპიის ზღვის სანაპი-
როების შემოერთებას. ამ ამოცანის მისაღწევად რუსეთის სახელ-
მწიფოსათვის გარკვეული მნიშვნელობა თვით კავკასიელი ხალხე-

¹⁴ ვახტანგი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 499.

¹⁵ სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 329.

¹⁶ იხ. В. П. Лысцов, Персидский поход Петра I, М., 1951; ვ. პა-
ვა ჭავჭავაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის (XVIII საუ-
კუნის პირველი შეოთხედი), თბ., 1960.



ბის პოზიციას და, პირველ რიგში, ქართული სახელმწიფო ობიექტების მოქავშირეობას ენიჭებოდა.

რუსეთთან კავშირის დაყვარების საკითხი, ცხადია, ქართლის სამეფო დარბაზის სხდომაზე იქნა განხილული. დარბაზის ყველა წევრი დასახული გეგმის მომხრე არ ყოფილა. ერთ ნაწილს იგი სახითაოდ მიაჩნდა იმ მოტივით, რომ საქართველოს მრავალრიცხოვან მტრებს შეეძლოთ ესარგებლათ შემთხვევით და რუსეთის ლაშქრის მოსვლამდე ქვეყნის აოხრება ეცადათ¹⁷. ისინი რჩებას იძლეოდნენ, რომ ემოქმედათ საიდუმლოდ, გამოყენებინათ მცირერცხვოვანი ჯარი და ფარულად მიმხრობოდნენ პეტრე I-ს.

ვახტანგ VI და მისი მომხრები ხსნას შხოლოდ რუსეთისა და საქართველოს ერთობლივ გადამწყვეტ მოქმედებაში ხედავდნენ. რუსეთ-საქართველოს კავშირის წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობად ვახტანგი ქართლში რუსეთის ხუთიათასიანი ჯარის შემოყვანას მიიჩნევდა. მისი ანგარიშით, ეს ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა ფეოდალური საქართველოს ძალების მობილიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, იძლეოდა იმის გარანტიას, რომ რუსეთი უფრო აქტიურად მოეკიდებოდა საქართველოს საკითხს. ამრიგად, ვახტანგ VI-ის მიერ დამუშავებული გეგმა ყოველმხრივ ითვალისწინებდა იმხანად შუა აღმოსავლეთში შექმნილ კონკრეტულ ვითარებას.

1721 წლის ნოემბერში ვახტანგ VI წერდა პეტრე I-ს, რომ მან მიიღო ცნობა ა. ვოლინსკისაგან კასპიისპირეთში რუსეთის ჯარის მოსალონენელი ლაშქრობის თაობაზე და რომ ისინი შეთანხმდნენ, როგორ წარმართონ საქმეები¹⁸.

ამრიგად, ოციან წლებში პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ერთობლივი საომარი მოქმედების შესახებ. მაგრამ იურიდიულად ეს შეთანხმება არსად არ იყო ვაფორმებული, რადგანაც პეტრე I გაურბოდა ოფიციალური დოკუმენტების გაცემას, ფრთხილობდა — შაპს არაფერი გაეგო და რამე არ ეღონა.

ვახტანგი, მართალია, გადამწყვეტი მოქმედების მომხრე იყო, მაგრამ მას ფიქრადაც არ მოსვლია წინდაუხედავად ცეცხლთან თამაში. ამიტომ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარის ჩამოსვლამდე არც აპირებდა მოქმედების აშკარად დაწყებას. მთელ მოსამზადე-

¹⁷ იბ. ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 8.

¹⁸ Переписка грузинских царей с российскими государями, с. 138.

შელ სამუშაოს იგი ახორციელებდა ფარულად და ცდილობდა გაემწვევებინა ურთიერთობა ირანთან ან თურქეთთან, არ გამოეწვია მათი მტრული მოქმედება საქართველოს მიმართ.

პეტრე I-თან ერთობლივი მიქმედებისათვის მზადებისას ვახტანგი ითვალისწინებდა სომხების მისწრაფებასაც, რომ განთავისუფლებულიყვნენ ირანის ულლისაგან და შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო. ვახტანგმა დაიწყო მოლაპარაკება სომებს მელიქებთან და სამღვდელოებასთან, ენერგიულად შეუდგა სომებთა ჯარის ორგანიზაციის საქმეს¹⁹.

კაფანგელი უხუცესების — ტანუტერების თხოვნით ვახტანგმა ოთხასეაციანი რაზმით სომხეთში გავზავნა ქართველთა ჯარში მყოფი სომები დავით ბეგი, რომელიც სათავეში ჩაუდგა სომხეთის აღმოსავლეთ ოლქებში (სისაკი, მეგრი, კაფანი) გამათავით სუფლებელ მოძრაობას და თავისი ერის ისტორიაში ლეგენდარულ გმირად შევიდა. ვახტანგმა სამართლიანად დაიმსახურა ქართველ და სომებს პროგრესულ მოღვაწეთა აღიარება, როგორც მათშა საერთო ხელმძღვანელმა.

პეტრე I-მა, რომელსაც საიმედო მოკავშირეებად ქართველები და სომხები ჰყავდა, კასპიისპირეთში ლაშქრობის დასაწყებად ხელსაყრელი დრო შეარჩია. ირანს ავღანელები შეესივნენ მირვეისის შვილის მირ-მაჰმუდის მეთაურობით და 1722 წლის 8 მარტს ირანის დედაქალაქ ისფაჰანს ილყა შემოარტყეს. რვა თვის განმავლობაში ქალაქი ბლოკირებული იყო. ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგის ძმა როსტომი, რომელიც შაპის გვარდიის სარდალი იყო. დაღუპული როსტომის ნაცვლად გვარდიის უფროსად (ყულარალასად) შაპმა ვახტანგის ძე ბაქარი დანაშნა. სასოჭარევეთილი შაპი ქართლის ჯარებს იხმობდა. ბაქარს ირანში ჯარით გამგზავრება კიდევაც განუზრახავს, მაგრამ ვახტანგს ამის ნება არ მიუკია და ბაქარი გზიდან დაუბრუნებია²⁰.

კერთი სიტყვით, შაპი სულთან-ჰუსეინი მძიმე მდგომარეობა-
ში აღმოჩნდა. პეტრე I-მა სცადა გამოეყენებინა ირანში შექმნილი
ვითარება, დაუსწრო თურქებისათვის და დაეწყო კასპიისპირეთის
შემორჩენა. თავის მოქმედებას იგი ლეკი მეამბოხების დასჯის

¹⁹ П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., 1954, с. 155—156; В. Мартirosyan, Россия и армяно-грузинские взаимоотношения в первой четверти XVIII века, Автореферат канд. диссертации, Ереван, 1966.

²⁰ Ա յ ե ն ո ս ի ե ց ո ւ զ, Համակ. Խաչ., 33. 329.

აუცილებლობით ხსნიდა, ხოლო შაპს კასპიისპირა პროვინციების
დათმობის საკომისაციოდ სამხედრო დახმარებას პპირდებოდა მართვითა

1722 წ. 2 ივლისს პეტრე I-მა ვახტანგს აცნობა, რომ რუს-
თა ფარი მაღლე გამოჩნდებოდა კასპიის ზღვის ნაპირებზე. ქართლის
მეფეს იგი წინადაღების აღლვდა, რომ ლეკთა წინააღმდეგ ლაშ-
ქრობა დაწყო და თურქებისათვის სამხედრო მოქმედების და-
საწყებად რამე საბაბი არ მიეცა.²¹

✓ 1722 წ. 3 აგვისტოს პეტრემ აუწყა ვახტანგს, რომ რუსთა ფარ-
მა კასპიისპირეთში მოქმედება დაიწყო. დაახლოებით იმავე ხა-
ნებში არზრუმის ფაშამ სულთნის სახელით ვახტანგს შეატყობი-
ნა, რომ თურქეთი ირანზე გალაშქრებას პპირებს და ქართლის
მეფესთან კავშირს სასურველად მიიჩნევს. ასეთი კავშირისათვის
სულთანი ვახტანგს მთელ საქართველოს პპირდებოდა, მაგრამ
ვახტანგმა უარყო ეს წინადაღება და ყოველივე პეტრეს შეეტყო-
ბინა²².

ამასობაში ვახტანგს შაპის ბრძანება მოუვიდა ლეკების გან-
დევნის მიზნით შირვანს გალაშქრების თაობაზე²³. პეტრესადმი მი-
წერილ წერილში ვახტანგი რუსეთის ჭარების ლაშქრობის დაწ-
ყებასთან დაკავშირებით სიხარულს გამოთქვამდა და პირობას
იძლეოდა, რომ 20 აგვისტოსათვის განვარში თავის ლაშქარს ჩაიყ-
ვანდა. ამასთან ერთად ვახტანგი წერდა, რომ შაპმა მას დაავალა
აზერბაიჯანში ჭარების მხედართმთავრობა და მოსთხოვა აჯანყებუ-
ლი ლეკების დასგა²⁴. ამრიგად, თითქოს დიდი გეგმის განხორციე-
ლებას კარგი პირი უჩანდა: განჯისაკენ ლაშქრობას ვახტანგი იმით
გაამართლებდა, რომ იგი შაპის დავალებით მოქმედებდა.

პეტრე I-თან შეთანხმების თანახმად, ვახტანგ VI 1722 წლის
აგვისტოს ბოლოს ქართველთა ჭარით განვისაკენ გაემგზავრა, სა-
დაც მას შეუერთდა სომეხთა ლაშქარი. ამ მბების მონაწილე
სომეხი მოლვაშე, განძასარის კათალიკოსი ესაი ჰასან გალალიან-
ცი თავის საისტორიო ობზულებაში შემდეგნაირად წერს: „...რო-
დესაც შეიტყო ვახტანგმა მათ შესახებ (იგულისხმება ყარაბაღე-
ლი მელიქების შეირ სომეხთა ლაშქრის შეყრა და მეთაურებად
ოთხი ახალგაზრდის — ავანის, შრუანის, შაპნისა და სარუხანის —

²¹ იხ. В. П. Лысцов, Персидский поход Петра I, М., 1951; გ. პ. ა. კ. ა. გ. ე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), გვ. 36—38.

²² ვ. ა. უ. შ. ტ. ი. ბ. ა. გ. რ. ა. ტ. ი. თ. ნ. ი, დასახ. ნაშრ., გვ. 499—500.

²³ ს. ე. ხ. ნ. ი. ჩ. ხ. ე. ი. გ. დასახ. ნაშრ., გვ. 329.

²⁴ Переписка..., с. 139—149.

დანიშვნა — გ. პ.) სასწრაფოდ გაგვეზავნა, რათა ისინი გაწერთ-
ნილ - შეიარაღებული ჯარით მასთან მიგვეყვანა. ბრძანების მიზან-
ნახმად, მივეღით და მოვაწესრიგეთ ის ლაშქარი, როგორც იშხან-
თა ლაშქრის წესია, რადგანაც გაუწვრთნელი იყვნენ სამხედრო
სამსახურისათვის. ასე მოვაგვარეთ ყველაფერი და დახლოებით
ათი ათასი რჩეული და შეიარაღებული მეომარი მღვდლების და
ღვთისმსახურთა დასთან ერთად დიდი სიხარულითა და ზეიმით წა-
მოვიყვანეთ, გვეგონა, რომ კვლავ აღსდგა სომებთა სახელმწიფო.
წავეღით და დავდექით განჯის მახლობლად, ჩოლაკის სახელით
ცნობილ ადგილას. სამი დღე აქ გავატარეთ, რადგანაც ვახტანგ
მეფეც ბანაკად იდგა ქალაქის მოპირდაპირე მხარეს, წყლის ნა-
პირზე, რომელსაც ლოჩარის მდინარესა და შავ არხს უწოდებენ,
ამიტომ სამი დღის შემდეგ გვიბრძანა მასთან მივსულიყავით. ჩვენც
ავდექით და გავემართეთ. როდესაც მივუახლოვდით მის ბანაკს,
მაშინვე უბრძანა თავის მეომრებს წინ გამოგვებებოდნენ და პა-
ტივისცემით მიეღოთ ჩვენი თავი.

ასეთი დიდი სიხარულით შეხვდა ერთმანეთს ორივე მხარის
ლაშქარი და, მსგავსად ომის წესისა, ისინი ერთიმეორის პირდა-
პირ დაირახმნენ. ჩვენი მამაცი ყმაწვილები წინ მიიწევდნენ და
მიფრინავდნენ. სწრაფმავალი რაშებით და მორთულ-მოკაზმული
ცხენებით რკავდნენ [ვახტანგის ლაშქრის] წინ. ქვემეხების ხმი-
საგან ჭექდა და გრგვინავდა არემარე და მტვერგარეული ბოლი
ელვით განათებული ლრუბლების მსგავსად ისე ფარავდა მზის
ბრწყინვალებას, რომ მეომრები ძლიესლა არჩევდნენ ერთმანეთს.
ასეთი ზეიმით მივეღით და ჩამოვქვეითდით მათი ბანაკის მახ-
ლობლად: როდესაც ვახტანგმა იხილა ჩვენი ლაშქრის ასეთი სვლა,
სულით და გულით გაიხარა. მაშინვე გამოგზავნა შიკრიკი და თა-
ვისთან მიგვიხმო, სარდლებად განაწესა ყმაწვილები (ოთხი რუზ-
ბაში) და მელიქები და გამამხნევებელი სიტყვებით დაგვაიმედა,
რმწენა ჩაგვიდგა და მოვემართა: „ამიერიდან გამხნევდით და ვაჟ-
კაცურად იყავით, ისე როგორც თქვენს ძლევამოსილებას შეეფე-
რება, ნურაფრისა და ნურავისი ნუ შეგეშინდებათ, რადგანაც აქა
უკვე მოაწია ქრისტიანთა ხსნის ეამმა“.

ასეთი სიტყვებით მოგვმართავდა და ძალზე მადლიერი იყო
ჩვენი. მეორე დღეს ყველა სარდალი საპატიო ხალათებით დაასა-
ჩუქრა“²⁵.

²⁵ ესაი ჰასან ჭალალია, აღვანთა ქვეყნის მოქლე ისტორია,
ჟექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო კარლო კუ-
ციმ, თბ., 1917, გვ. 34.

ერთობლივი გეგმის შესაბამისად რუსეთის ფარი ქართველობისადან და სომეხთა ლაშქარს, რომელსაც ვახტანგ VI მოუძღვდა, და-რუბანდა და ბაქოს შორის უნდა შეერთებოდა. ამიტომ ვახტანგი განჯაში უცდიდა შირვანში რუსეთის ლაშქრის შემოსვლას და პეტრე I-ის შემდგომ მითითებებს ფარების შეერთების შესახებ. ამის გამო 1722 წლის 4 ოქტომბერს პეტრესადმი გაგზავნილ წე-რილში ვახტანგი წერდა: „ამას მოვახსენებ ამაღლ ქართველან. ჩვენ-თვინ წამოსვლა და ლეკის მტერობა რომ ებრძანა, წამოვედით და ქარგა ხანი არის აქ, ყარაბაღში, ვდგვიართ. ვინცავინ აქათი ლეკ-ნი არიან, შიშით თავის სახლიდამ ვერ დაიძრნენ. ერთი სულთა-ნი არის, ისიც შემორიგებას გვეხვეწება, მაგრამე, კახი ბატონი²⁶, რომე ჩვენთან ქიშპი და მტერი არის, ეს ზურგს აბაშს, უნდა რო-მე ჩვენი სამსახური კელმწიფესთან არ გამოაჩინოს. მაგრამე, გვაქვს იმედი, ლთისა და მაგათის ბედნიერობითა, რომ ამათ არა შევაძლებინოთ რა: ჩვენ აქამდინ შირვანსაც გამოვიდოდით, მაგ-რამ მაგათი ბძანება რომე არ მოგვივიდა, ის გვაგვიანებს: აქ, ჩვენ-გან რჩევა და მოხსენება არ იყადრების, მაგრამე, ვითამც არ ალა-გების ბელადობა გვეთქმის, იმიტომ მოვახსენებთ. აქათს ქვეყნებს დაგვიანება ალარ უნდა, ამიტომ რომე აქაური საქმეები დიალ არეული არის და ერთი ასეთი არა გამოვაძლეს რა, რომე აქათუ-რი საქმე არ წახდეს. თუ კელმწიფე ჯერ მანდაურის საქმესაგან მოუცლელად ბძანდებოდეს და აქათ წამობძანება იმიტომ გვიან-დებოდეს, ეს მაინც იქნას, ერთი მაგათი ასეთი ფარი შირვანს შო-ვიდეს, აქედან ჩვენ ვიქნებით, შევიყრებით და ყოველი საქმე ლთით გარიგდების. ერევნამდინ რაც ალაგია, დავიჭირთ და ვიც-დებით რომე ერევანიც დავიჭიროთ. თუ ხელმწიფე ადრე გამობ-დანდების, ჩვენც გვერთ ვიახლებით. თორემ, სადაც ვართ, ჩვენი თავი კელმწიფის სამსახურზე დაგვიძისთ და მაგისნი ვართ: აქაური ამბავი ეს მოვახსენოთ. ყევნს მირვეისის შეილმა კიდევ უფრო საქმე გაუჭირა. არც შემსვლელიდა არის, არც გამომსვლელი. შვილი²⁷ ყაზმინსა ჰყავს, ფარს ცდილობს, მაგრამე, ვერვინ იშოვნა. ჩვენ წიგნსა ვეწერს, ფარის მიშველებას გვიკვეთს, მაგ-რამ ჩვენ თქვენის ბძანების მაყურებელი ვართ“²⁸.

~~მაგრამ~~, სამწუხაროდ, საერთო გეგმის განხორციელება ვერ მოხეობდა. 23 აგვისტოს პეტრე I-მა დარუბანდს მიაღწია, შემდეგ

²⁶ ლაპარაკია კონსტანტინე ქახთა შეფეხზე.

²⁷ ლაპარაკია შავ სულთან-პუსეინის შეილზე, თამაზზე.

²⁸ მერიკა... c. 142—143.

კი იძულებული გახდა ასტრახანს დაბრუნებულიყო ^{დაბრუნებულიყო} დაბრუნებულიყო პეტრე I-მა რუსული გარნიზონი დააყენა, ხოლო მდინარე სოლახ-ზე (თერგის მახლობლად) „შმინდა ჯვრის“ ციხესიმაგრის მშენებლობა დაიწყო. ლაშქრობის გაგრძელება მან სახითათოდ მიიჩნია სურსათისა და სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობის გამო. კასპიის ზღვაზე დიდი დელვის დროს რუსეთის გემები დაიღუპა. ამავე დროს რუსთა ჭარებში ავადმყოფობა გავრცელდა და, რაც მთავარია, თურქეთთან ურთიერთობა გამწვავდა. რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელი ომი კი აშინებდა იმპერიატორს²⁹.

1722 წ. შემოდგომაზე პეტრე I დაბრუნდა ასტრახანში და გადაწყვიტა გულმოდგინედ მომზადებულიყო მომავალ გაზაფხულზე ლაშქრობის განახლებისათვის, ხოლო ვახტანგთან მოსალაპარაკებლად პოდპორუჩიკი ივანე ტოლსტოი გამოგზავნა ბ. თურქეთის-ტანიშვილის თანხლებით.

ი. ტოლსტოის ევალებოდა: ყოფილიყო ვახტანგთან და არ წამოსულიყო საქართველოდან პეტრე I-ის სპეციალური ნებართვის გარეშე; მიეღწია იმისათვის, რომ ვახტანგს ეკისრა შუამავლობა რუსეთსა და ირანს შორის მოლაპარაკებაში, გაეგზავნა შაპთან თავისი კაცი, რომელსაც უნდა იეხსნა, რომ პეტრე აწყობდა კასპიისპირეთში ლაშქრობას მხოლოდ ირანის გადასარჩენად, კინაიდან ცნობილი იყო, რომ დაუდ-ბეგმა და სურხაი-ხანმა დახმარების თხოვნით მიმართეს ოსმალეთს, რომელიც მთელი ირანის ხელში ჩაგდებას ლამობდა, რასაც რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა.

ამასთანავე, ცხადია, ი. ტოლსტოის უნდა ეცნობებინა ვახტანგისათვის 1722 წლის რუსთა ჭარის ლაშქრობის მიმდინარეობა და დაბრუნდიდან პეტრე I-ის დაბრუნების მიზეზები, ეთვა 1723 წლისათვის გაოვალისწინებული სალაშქრო გეგმების შესახებ³⁰.

1722 წლის 27 ოქტომბერს ტოლსტოი ჩამოვიდა თბილიში, სადაც მას ვახტანგის შეიღლი ვახუშტი შეხვდა. ქართლის მეფე ამ დროს კელავ განჯაში იმყოფებოდა. ვახუშტიმ დაუყოვნებლივ აცნობა ვახტანგს ტოლსტოის საქართველოში ჩამოსვლა და მეფის თბილიში დაბრუნების აუცილებლობა.

²⁹ იხ. В. П. Лысцов, Персидский поход Петра I; გ. პ ი შ ა რ ქ ე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნეს პირველი მეოთხედი), გვ. 124—159.

³⁰ რუსეთს საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, 1722 წ., საქმე № 3, ფურც. 1—20.

პეტრესადმი 1722 წლის 2 ნოემბერს მიწერილ წერილში საქართველოს კუთხით გადამცნობია ტოლსტოი დაწვრილებით აღწერდა ვახუშტისთან შეხვედრას არა მართვა საუბარს³¹. მისი თქმით, რუსეთის ჭარის ასტრახანში დაბრუნების ამბავმა ვახუშტის თავზარი დასცა. მას აწუხებდა, რომ თურქები არ შემოჭრილიყვნენ საქართველოში რუსეთის ჭარის ჩამოსულამდე და შიშობდა, რომ ამბავს პეტრეს უკან დაბრუნების შესახებ საქართველოში უიმედობა არ გამოვწვია.

22 ნოემბერს ვახტანგი თბილისში დაბრუნდა, 24-ში კი მან მიიღო ო. ტოლსტოი ბუნებრივია, რომ ვახტანგი უნდა დათანხმებულიყო ერთობლივი სამხედრო მოქმედების 1723 წლისათვის გადატნაზე. მაგრამ ამასთან ერთად პეტრესაგან მოითხოვდა საქართველოში რუსთა ჭარის ერთი ნაწილის შემოყვანას. პეტრეს წარმომადგენელი ო. ტოლსტოიც მხარს უჭერდა ვახტანგის ამ მოთხოვნას, მაგრამ რუსეთის იმპერატორი არ ჩქარობდა საქართველოში ჭარის გამოგზავნას. ბოლოს, როდესაც ვახტანგმა და ო. ტოლსტოიშ შეატყობინეს პეტრეს, რომ არზრუმის ფაშა ყარსში ჭარებს თავს უყრიდა და მოსალოდნელი იყო ქართლში თურქების შემოჭრა, პეტრე I იძულებული გახდა დათანხმებულიყო საქართველოში ორიათასიანი კაცისაგან შემდგარი ჭარის გამოგზავნაზე. მაგრამ საქმე გაჭირებული ასტრახანს ჩავიდა და საქართველოში წამოსასვლელად მოემზადა, საქმარ დრო გავიდა და საქართველოში მომხდარმა ამბებმა წინ უსწრეს ამ ლაშქრის ჩამოსვლას.

* 1722 წლის დამლევსა და 1723 წლის დამდეგს ვახტანგ VI-ის მდგომარეობა უაღრესად გართულდა.

(სიჭაპანის რვათვიანი ალყის შემდეგ 1722 წ. 12 ოქტომბერს ირანის შაპი სულთან-ჰუსეინი დანებდა ავღანელებს. ტყვეობას მხოლოდ ტახტის მემკვიდრე, ჰუსეინის ძე თამაზმი (თამაზმი) გადაურჩა, რადგანაც ადრე იყო წასული ირანის დედაქალაქიდან. მან ჩრდილოეთის პროვინციებს შეაფარა თავი და ცდილობდა ჭარი შეეგროვებინა. დეკემბრის თვეში მან ოფიციალურად აცნობდა ვახტანგს ავღანელების მიერ ისფაპანის აღება, ჰუსეინის დატყვევება და თავის დასახმარებლად ქართლის ჭარის გამოგზავნა მოითხოვა.)

(ამავე დროს თურქეთიც თავს უყრიდა ჭარებს ქართლის საზღვარზე. საქართველოს შიგნით კი შინაფეოდალური ბრძოლა გა-

³¹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, 1722 წ., საქმე № 4, ფურც. 14—15.

ჩაღდა. გამწვავდა ურთიერთობა ვახტანგ VI-სა და კახეთის პრინცესა ვარებულის კონსტანტინეს შორის. ეს უკანასკნელი დავით II-ის გარდაცვალების შემდეგ (1722 წ.) შავმა კახეთის მეფედ 1723 წლის დამდეგს გამოგზავნა. კონსტანტინე ადვილად აჰყვა ბოროტ ხმებს და თავისი ძმის დავითისაგან განსხვავებით ვახტანგის მიმართ მტრული პიზიცია დაიკავა³². კონსტანტინემ ირანის შავს თამაზს თავისთვის ქართლის ტახტიც მოსთხოვა. სამაგიეროდ, პირობას დებდა, რომ ურჩ ვახტანგს განადგურებდა და ქართლის ჭარს თამაზის სურვილს დაუმორჩილებდა.

თბილისში მყოფმა ირანის გარნიზონმა შავ-თამაზის სათანადო განკარგულება მიიღო და ქალაქს სროლა აუტეხა. მაღლე კონსტანტინეკ მოადგა თბილის თავისი ჭარითა და დაქირავებული ლეკების რაზმებით. კონსტანტინეს მხარეზე იბრძოდნენ აგრეთვე განჯისა და ერევნის ხანები. ვახტანგის საშველად კი დასავლეთ საქართველოს მეომრები მოვიდნენ. ბრძოლა სამ თვეს გრძელდებოდა. კონსტანტინემ რამდენჯერმე იგემა დამარცხება, მაგრამ იარაღს არ ყრიდა და ლეკთა ახალ ძალებს იშველიებდა. 1723 წლის 4 მაისს ვახტანგის ბანაკში ღალატის შედეგად³³ კონსტანტინემ თბილისი აიღო. ვახტანგი იძულებული იყო ჭერ გორში, შემდეგ კი ცხინვალში განიზნულიყო.

ამ ამბების მომსწრე დავით გურამიშვილი ასე აღწერდა ამ ტრაგედიას:

„ვახ-ბატონსა წინა დღითვე მზადა ყვანდა თვისი ჭარი;

იგ რა ესმა, წამოვიდა, დაიჭირა ავლაბარი;

ნარიყალა მიმდაშა ეყყრა, შაის-ტახტი, ციხის კარი.

და მივიღდა ფიცხლავ მოსცა, გაიკეთა მუნ საფარი.

შემოებნენ, დამარცხეს, მან მიმართა მუხრან-ჭარსა;

უთხრა: ქართველთ გამაშბილეს, არც მე შავჭო იმათ ჭავრსა;

შეიპირა ჭარელები, სასყიდელი მისცა ჭარსა,

და წაუძღვა და ხელმეორედ მიყენა ჭარი კარსა.

ქართლს, კახეთსა ვარდევადა მაშინ ღვთისა საფარველნი,

ოდეს გარსა შემთავინენ თიფლის კანი და ჭარელნი!

გაუთენდათ სომეხებსა დღე შაბათი საზარელნი.

და ზოვი მოკლეს, ზოვი დასჭრეს, ზოვს წაგვარეს საყვარელნი!

სალხინს დღეს მოქალაქე დიაღ ავად შევაქცივეს,

წამოუხვენეს საქონელნი, სახლ-დუქნები დააქციეს.

³² ვახ უშტო ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 500.

³³ იხ. ვახ უშტო ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 503; ვახტამ დონდუა, საისტორიო ძეგბანი, თბ., 1967, გვ. 166.

დანამარცხეს ქართველთ გარი, ვახტანგ მეფე გააქციებს.

და თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დააქციებს“.³⁴

კონსტანტინეს საქციელი იმთავითვე გაყიცხა ქართულმა საზოგადოებამ. დავით გურამიშვილი ახასიათებს მას როგორც ჩერგატს. თავის პოემაში იგი წერს:

„კონსტანტინეს თათრის ენით ერქო მამად ყული-ხანი.

იყო სანახვად ვარგი, მკვეთლობით უჩნდა ფხანი,

ისპაანის ტარულადა მორჭით იჯდა კარგი ხანი,

და ავის კაცის თავ-სავარცხლად იქნედის კარგი მოსაფხანი“.

პოეტი დიდი გულისტკვილით აღწერს იმ შინაფეოდალურ ბრძოლას, რომელიც საქართველოში სუფევდა და უდიდეს ზიანს აყენებდა სამშობლოს.

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლას მტკრნი იყვნენ, ყველამ წაერთა თვითო ქიშტი!

მერმე შინათ აშალნენ, მამ მოუდვა ძმასა ყისტი;

და თავის თავსა ქმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

• • • • •

კახელების აღმა კნულნი, ქართველებმა დაომად ფარცხეს,

უწინდელი გათხუნვილი დარჩა კაბდო, აღირ გარცხეს;

ძმამ ძმას საქრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს,

და ორნივ ერთად შეხრინულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!

უკუღმართად ჭვნა და ფარცხეამ ეს ნაყოფი გამოიღო:

მოვეითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!“³⁵

იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებას რომ ლრმად ესმოდა, თუ რამდენად საზიანო იყო საქართველოსათვის ფეოდალები, შორის არსებული მტრობა და წარმოებული შინაომები, ცხადყოფს აგრეთვე ყანჩაეთის „უამგულანის“ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მინაწერიც. იქ ნათქვამია:

„მუხრანის: ბატონი: არაგვის: ერისთავი: ქსნის: ერისთავი: ამილახვარი: ესენიც: ერთმანეთის: მტერნი: და: მოქიშპნი: იყვნენ: არც: ერთმანეთს: ასვენებდნენ: და: არც: ქვეყანასა: და: ამით: მტერმა უფრო: ძალა: წამოატანა: და: დაჩაგრა: თორემ: თუ: აბათ: ერთი: პირი: ქონებოდათ: ვერცარას: უზამდნენ: ვერცარას: სხეა: მტერი: წაართმევდათ: რასმე: ამათი: საქმე: ნიადაგ: ასე:

³⁴ დავით გურაშიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 68—69.

³⁵ იქვე, გვ. 50—58.

ერთმანეთის: მესისხლეობით: გათავებულა: და: წამკდარაზაზიგმუნა
რამ: ამ: საქმეს: არც: მოკლებიან: და: არც: მოუშლიათ“³⁵.

ჯერ კიდევ თბილისისათვის ბრძოლის დროს არზრუმის ფაშამ კატეგორიულად მოიხსოვა, რომ ვახტანგ VI-ს სულთნის ძალაუფლება ეცნო, რათა მის სანაცვლოდ ქართლის ტახტი შეენარჩუნებინა. ვახტანგმა მოიწვია დარბაზის სხდომა. ქართლის თავადები მეფეს თურქეთის წინადადების მიღებას ურჩევდნენ. ამ გზით ისინი ქართლში სამეფო ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობდნენ. პეტრე I-ის წარმომადგენელი ი. ტოლსტოი და ბ. თურქეთსანიშვილი რუსთა ლაშქრის მაღლ ჩამოსვლის იმედით დარბაზის წევრებს ეწინააღმდეგებოდნენ.

მდგომარეობა უაღრესად კრიტიკული იყო. თურქებს ყოველწევთს შეეძლოთ დაწყოთ საომარი მოქმედება. ვახტანგმა გადაწყვიტა მიერთ ფაშას წინადადება და თავისი პირობები წამოაყენა. თურქებთან მოლაპარაკების გზით ვახტანგი დროის მოგებას ცდილობდა. ფაშა, თუ მის პირობებს მიიღებდა, უნდა დაკავშირებოდა კონსტანტინოპოლის, ამას კი საკმაო დრო მოუნდებოდა. ამით ვახტანგი ფიქრობდა, რომ თურქეთის ჩარევს დროებით შეაჩერებდა, რადგანაც იმედოვნებდა რუსეთის ჭარის მაღლ ჩამოსვლას.

შექმნილ მდგომარეობაში ვახტანგის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო. ესოდენ რთული ვითარების შესახებ ვახტანგ VI პეტრე I-სა და მის მოხელეებს დეტალურად ატყობინებდა.

მაგალითად, რუსეთის იმპერატორს 1723 წ. ვახტანგი წერდა: „მოვახსენებ ამას, რომ მაგათი გამობიანება რომ ებძანათ და ჩვენ წინ მოსაგებებელად განჯას ჩამოვედით, კახი ბატონი შურად აგვიდგა. აქეთ ყე[ე]ნს მისწერა: „დიდი კელმშითვე მოყავსო“, და რადგან ერევნის ხანი შეიქნა, იქით აზრუმის ფაშას ყე[ე]ნმა ერევანი და ყაზახი და შამშადილუ მისცა და ჩემი მტერობა უბძანა. დამიწყო მტერობა, მაგრამ ვერა გვიყო რა: მერმე, აზრუმის ფაშამ ხვანთქარს მოახსენა, იქიდამ იმისთვინაც ებძანათ ჩემი მტერობა. მოვიდა აზრუმის ფაშა, ჩვენს სამძღვარზე დადგა, კაცი გამოგზავნა. „გვეყმეო“. ჩვენ უარი უთხარით. ამან ყე[ე]ნს წიგნი მისწერა: „წა[ა]ხდინეო“. ყე[ე]ნმა ქართლი კახს ბატონს მისცა, კახი ბატო-

³⁵ Е. ТАКАЙШВИЛИ, Канчаетский «Жам-гулани» и исторические приписки его кинклоса. «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. XXIX 1901, с. 135—136.



ნი ყიზილბაშის ჯარით მოვიდა ავლაბარში. აქეთ ჩვენ ქართველნი³⁷ მოგვიდგნენ და ყოველთვის ბრძოლა გვაქვს: რა ეს ურუში [მ] ანახა, კაცი გამოეგზავნა. „თუ არ გვეყმობიო, ჩვენ აქედამ მოვალ-თო“. მაგათი გამობდანება ხომ ჭერ გვიან იყო, ჩვენ ხომ ორის კელმწიფის ბძოლა არ შეგვეძლო, ჩვენ ხონთქრის ყმობა შეუთ-ვალეთ, თუ მაგათი გამობდანება გველირსება, მანამდის თავს შე-ვინახავთ, მეტო, მაგათი მოსამსახურე ვიქნებით. თუ არ მოხდა და თუ გაგვიყვანებენ მაგათთან, გვიყოფებენ, კიდევ დიდი წყა-ლობა იქნება. თუ არა და მაღლი ღმერთსა, რაცა გვჭირს, ყველა ჩვენი ცოდვით არის: ეგენიმც მრავალ უამ სუფევენ“.³⁷

ამავე აზრს და რუსეთის ჯარის სწრაფად გამოგზავნის თხოვ-ნას გამოთქვამდა ვახტანგი ა. ვოლინსკისადმი და სენატორ პეტრე ტოლსტოისადმი 1723 წ. გაგზავნილ წერილებში: ა. ვოლინსკისად-მი მიწერილ წერილში ნათქვამი იყო: „კახმა ბატონმა ყე[ე]ნს დამა-ბეზლა და ხვანთქარსაც, ამით ორთავ. დიდის კელმწიფის გამოს-ლვა და ჩემგან მაგათის სამსახურის მონდომება. ამაზედ ორნივ გაგვიწყრენ და ჯარები გამოვვისივეს: ჩვენ რადგან ამთონის მე-ზობლებისა და დიდის კელმწიფების ბძოლა ველარ შევიძელით და ხონთქარს უთხარით: „გვეყმობითო“. სანამდი სტანბოლის ამბავი მიმივიდეს და მომივიდეს, ეგება, მაგათი გამობრწყინება გველირ-სოს: წერილად აქანონს ამბავს პატიოსანი ივანე ანდრია[ს] შვი-ლი მოგახსენებთ. ახლა, თქვენის ძმობისაგან და მოწყალებისაგან მოველით, დიდმა კელმწიფემ არ დაგვაგდოს და არ უგულებელს გვყოს, ამთენს მოვვეხმაროს. აქამდი რომ ფოცხვირის ჭანგისა-გან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შევ-ვაგდონ: თუ ამთონს ქრისტიანობას უპატრონებთ რასმე — კარგია, თუ არა და ნება თქვენია“.³⁸

ოსმალების შემოსევისაგან ქართლის გადარჩენის მიზნით ვახ-ტანგმა ეკროპის ქვეყნებსაც მიმართა დახმარების თხოვნით. 1722 წ. 29 ნოემბერს მან საგანგებო წერილები გაუგზავნა რომის პაპს ინკუნტი XIII და ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს, რომელსაც თურქეთის მთავრობასთან შუამდგომლობა თხოვა³⁹. მაგრამ ყოველივე უშედეგოდ დარჩა.

³⁷ Переписка..., с. 148.

³⁸ იქვე, გვ. 149—150.

³⁹ იხ. ა. ტაბალუ, ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (საქართველოს ურთიერთობა ავსტრიასთან), საქართველოს სსრ მეცნიერებათა დეადგმის „მომბე“, XLVII, № 1, 1967, გვ. 241—245; გისი ივ. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 315.



კონსტანტინესთან ბრძოლაში ვახტანგის დამარცხების უშემოჭრა
და ისმალები ქართლში შემოჭრენ. 1723 წლის ივნისში ისინი
თბილისს მოადგნენ. კონსტანტინემ უბრძოლველად დათმო ქალა-
ქი. თურქებმა დაიპყრეს ქვეყანა და იქ თავიათთი წესების დამ-
ყარება დაიწყეს.

რუსეთის მთავრობამ დიპლომატიური ნაბიჭი გადადგა, რათა
თავიდან აეცილებინა თურქების შემოჭრა აღმოსავლეთ ამიერკავ-
კაიიაში, მათ შორის ქართლშიც. მაგრამ ბრძოლის ეს საშუალება
საფარისი არ აღმოჩნდა. რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხების
მისწრაფება — არ დაეშვათ თურქეთის შემოჭრა — მხოლოდ ერ-
თობლივი სამხედრო მოქმედების გზით შეიძლებოდა განხორცი-
ელებულიყო. პეტრე I-მა ქართლში რუსთა ჯარები არ გამოგზავ-
ნა, რუსეთის იმპერატორი პირველ რიგში კასპიისპირეთის პრო-
ვინციების დაკავებას ჩქარობდა და კიდევაც მიაღწია თავის გან-
ზრდას.

შერ კიდევ 1722 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარების ერთი
ნაწილი ენხელის ყურეს მიადგა და მალე ქალაქ რეშტშიც შევი-
და. მის მახლობლად ციხესიმაგრის (კატერინინპოლის სახელწოდე-
ბით) შენებლობაც დაიწყეს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას
პეტრე I ქალაქ ბაქოს აღებას ანიჭებდა და 1723 წლის 28 ივნისს
რუსეთის ჯარმა კიდევაც აიღო იგი. 1723 წლის ბოლოსთვის კი
რუსეთის ჯარმა დაიკავა მდინარე მტკვრის შესართავთან სალიანი,
სადაც აგრეთვე დაიწყეს სამხალისი ციხესიმაგრის ასაგებად.

1723 წ. 12 სექტემბერს პეტერბურგში დაიდო ხელშეკრულება,
რომლითაც ალინიშნა რუსეთის მიერ კასპიისპირა პროვინციების
დაკავების ფაქტი. ირანის მხრივ ამ ხელშეკრულებას ხელს აწერ-
და ისმაილ-ბეგი, რომელიც შერ კიდევ შავ ჰუსინის მიერ იყო
დანიშნული ელჩიად. მაგრამ თამაზმა ეს ხელშეკრულება არ აღიარა:
ამიტომ ისმაილ-ბეგი ირანში დაბრუნებაშე უარს მბობდა.

თურქეთმა თავის მხრით ისარგებლა შუა აღმოსავლეთში შექ-
მნილი მდგომარეობით და დაიკავა ქართლი, რის შემდეგ მთელი
აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა. თურქეთი ამა-
ვე დროს მოითხოვდა, რომ პეტრე პირველს კასპიისპირეთიდან თა-
ვისი ჯარები გაეყვანა.

პეტრემ გათვალისწინა უითარების სირთულე და თურქეთის
წინააღმდეგ ომისათვის მზადება დაიწყო. მაგრამ კონფლიქტი დიპ-
ლომატიური გზით მოგვარდა. 1724 წლის 12 ივნისს კონსტანტი-



ნოპოლში რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება დაიდო⁴⁰. ამ ხელშეკრულება შეკრულების საფუძველზე თურქეთი ცნობდა კასპიისპირეთის რუსეთთან შეერთებას და უარს ამბობდა მთელი ირანის დაპყრობის სურვილზე - მაგრამ ამავე დროს პეტრე I-იც იძულებული გახდა თურქეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დაპყრობას შერიგებოდა. რუსეთი მეტად საგრძნობ დათმობაზე წავიდა, როდესაც თურქეთის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა ცნო. თურქეთის მეზობლობა უშუალო საფრთხეს უქმნიდა რუსეთის მიერ შემოერთებულ კასპიისპირეთის პროვინციებს. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქეთის ბატონობას პეტრე I, ცხადია, მხოლოდ დროებით შეურიგდა.

რაც შეეხება ვახტანგ VI-ს, იგი ოსმალების შემოჭრის შემდეგ უალრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას სათანადო რაოდენობით არ ჰყავდა ჯარი, ამიტომ საგარეო ურთიერთობის მოგვარებით ცდილობდა შეემსუბუქებინა ქართლის სახელმწიფოს მდგამარეობა. ამ მიწნით მან გადაწყვიტა თურქებისათვის 12 ჯორზე აყიდებული ძვირფასი განძეულობა მიერთმია და ამით შშვიდობა გამოესყიდა⁴¹, მტრის ბანაკში ვახტანგმა თავისი ვაჟი ბაქარი და ძმა იქსე გაგზავნა. თურქებმა განძეულობა არ იკმარეს და თვალ ვახტანგის გამოცხადება მოითხოვეს, მაგრამ ვახტანგი ამაზე არ დათანხმდა.

ფაშასთან შეთანხმებით ქართლის გამგებლობა ვახტანგის ძემ ბაქარმა იკისრა, მაგრამ მან ვერ გაუძლო ოსმალთა მკაცრ ზედამნედველობას და გადასახადებს. ბაქარი მამასთან მთაში გაიხიზნა⁴², საღაც ერთხანს მამასთან ერთად პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა დამპყრობლების წინააღმდეგ⁴³.

მამა და შვილი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ უცხო დამპყრობლებთან ბრძოლაში არა მარტო ქართველების, არამედ სომხებისთვისაც. მაგალითად, მათ მჭიდრო კაშშირი ჰქონდათ ყარაბაღის სენახების მეთაურებთან. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ როცა 1723 წ. ყარაბაღში ჩავიდა ივანე

⁴⁰ იხ. ის. ს. 12, ტ. XII, № 4531.

⁴¹ ვახტანგ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 505.

⁴² ნ. ბერძნიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუბაძე, ვ. მელიშვილი, შ. მესხია, პ. რიტიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 337.

⁴³ იხ. იგსე ტლაშვაძე, ბაქარიანი, თბ., 1963.

ქარაპეტი, რომელიც რუსეთის მთავრობის მიერ იყო გაგზავნილია კარაბაღში ბრძოლის ორგანიზებისა და რუსეთსა და სომხეთს სენატებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, სენატების ხელმძღვანელებმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს ვახტანგს. ამ ცნობის საპასუხოდ ვახტანგმა და ბაქარმაც სპეციალური წერილები გაგზავნეს სომხეთში და მიუთითეს, რომ სომხები უნდა დამორჩილებოდნენ ივანე კარაპეტს.

„ქ. ჩვენი: პანაგება: არის: სილნალის: მოლაშქრენო: და: სხვანო: სომხითის: მოლაშქრენო: მერმე: თქვენმან: შათირმან: რაც: გვიამბო: გავიგონეთ: დიდის: იმპერატორეს: ელჩი: მანდ: მოსულა: თქვენ: ხომ: დიდის: ქელმწიფის: ერთგულნი: ხართ: და: ჩვენიც: ერთგულნიც: ხართ: რასაც: მაგ: ელჩის: კარგად: მოეპყრობით და ემსახურებით: თქვენზედ: კიდია“⁴⁴.

ქართლში თურქებმა ვახტანგის ძმა იესე გაამეფეს. მას მუსტაფა დაარქვეს. ვახტანგმა რუსეთს გამგზავრება გადაწყვიტა.

1724 წლის ივლისში რაჭის გზით იგი ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. მას თან გაჰყვა ახლობელთა დიდი ამალა. დიგორს მიუსლ ვახტანგს ცოლის ძმა, ჩერქეზთ ბატონი დახვდა⁴⁵.

17 ავეისტოს მცირე ყაბარდოში ვახტანგს პოლკოვნიკ ლიცკინის მეთაურობით შეხვდა რუსთა სამხედრო რაზმი. ვახტანგი და მისი თანმხლები პირები წმინდა ჯვრის სიმაგრეში მიიყვანეს, სადაც იგი გაჩერდა რუსეთის დედაქალაქში გამგზავრების შესახებ სათანადო ბრძანებულების მოლოდინში. პეტერბურგში მან სპეციალურად ამ მიზნით გაგზავნა ვახტანგ ამილახვარი მთელი ამალის სიით.

ლიცკინის მოხსენების მიხედვით, ჩასულ ქართველთა რაოდენობა 1885 კაცს შეადგენდა, ხოლო ვახტანგ ამილახვრის სიაში 1200 კაცი იყო ნაჩეუნები. განსხვავება იმით აიხსნება, რომ ვახტანგ VI-ის ამალას ჩრდილო კავკასიაში აღრე ჩასული ქართველებიც შეემატნენ.

⁴⁴ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, 1724 წ., საქმე № 1, ფურც. 9; იბ. აგრეთვე, მეცნიერება... გვ. 156.

⁴⁵ ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 507.



ვახტაგის მოღვაწეობა რუსთავი 1725 — 1737 ჭლებში

1725 წლის 2 თებერვალს ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე ასტრახანიდან მოსკოვისაკენ ზეიმ-ზარით გაისტუმრეს. მეფეს თან ასლდა მხოლოდ 84 კაცი, მათ შორის შვილი ბაქარი და მა სვიმონი, ხოლო მისი მრავალრიცხვანი ამაღლის დიდი ნაწილი, დედოფალ რუსულანისა და მეფის ძის ვახუშტის მეთაურობით, ასტრახანს დარჩა.

ვახტანგს სურდა პეტერბურგში ჩასულიყო და პეტრე პირველს შეხვედროდა. მას იმედი ჰქონდა, რომ პეტრეს მხარდაჭერითა და რუსეთის ჯარის დახმარებით მალე საქართველოში დაბრუნდებოდა. მაგრამ ცარიცინთან ქართლის მეფეს ასტრახანის გუბერნატორი ა. ვოლინსკი შეხვდა და იმპერატორ პეტრეს გარდაცვალება აცნობა. ვახტანგი დაღონდა. მეფეს კარგად ესმოდა, რომ იმპერატორის სიკედილს შეიძლება რუსეთის მთავრობის პოლიტიკის შეცვლაც მოჰყოლოდა.

10 შარტს ვახტანგი მოსკოვს ჩავიდა, იგი გაჩერდა სოფელ ვესესვიატსკოეში თავისი ბიძაშვილის, არჩილ მეფის ასულის დარეჯანის სახლში. აქ ვახტანგი დარეჯანის დახმარებით გაეცნო რუსეთის სამეფო კარზე შექმნილ ვითარებას და იშავე წლის 6 მაისს პეტერბურგს გაემგზავრა. პეტერბურგში ქართლის მეფეს დიდი ზეიმით შეხვდნენ. დაიწყო მოლაპარაკება!

ვახტანგის ვარაუდი საესებით გამართლდა.

¹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1725 წ., საქმე № 1, ფურც. 20—21; 255—259.



რუსეთის მთავრობის პოლიტიკა მართლაც შეიცვალა. პირველის მემკვიდრეებმა ვერ შეინარჩუნეს დიდი წინაპრის მტკიცე საგარეო პოლიტიკური ხაზი. 1725 — 1735 წლებში მთავრობათა ხშირი ცვლის გამო რუსეთის საგარეო პოლიტიკა მერყევი იყო. ხელისუფალთა ყურადღება ძირითადად ტახტისაჲვის ბრძოლისა და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. რუსეთის მთავრობა კასპიისპირეთის პროვინციებისადმი უკვე აღარ იჩენდა აღრინდელ ინტერესს. მხოლოდ იმის საშიშროება, რომ ამ პროვინციებს თურქეთი დაეპატრონებოდა, აიძულებდა რუსეთს მეტ-ნაკლები ყურადღება გამოეჩინა კასპიისპირეთისადმი. შეიცვალა რუსეთის მთავრობის პოლიტიკა საქართველოს მიმართაც.

რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობამ საქართველო თურქეთის ხელშევითად სცნო და მისტომ გაურბოდა საქართველოში რამე პოლიტიკურ აქციებს. რუსეთი მტკიცედ იცავდა 1724 წლის ხელშეკრულებას. ამით მას სურდა შეეზღუდა თურქეთის აგრძესიული ზრახვები. ეკატერინე პირველმა შემოხვევით როდი უბრძანა ასტრახანის გუბერნატორს ა. ვოლინსკის, რომ ასტრახანს ჩასული კონსტანტინე კახთა მეფის ელჩებისათვის დახმარებაზე უარი ეთქვა. ა. ვოლინსკის ელჩებისათვის უნდა გადაეცა, თუ კახთა მეფეს ძლიერ ავიშროებდნენ, რუსეთის იმპერატორი მეფესა და მის ხალხს დასასახლებლად ახლად შემოერთებულ კასპიისპირეთის მიწებს სთავაზობს.

ეკატერინე პირველის ეს ბრძანება ჯერ ასტრახანს არ იყო ჩასული. რომ კონსტანტინე კახთა მეფის ელჩები მოსკოვს ესტუმრნენ. მაშინ პეტერბურგიდან საგარეო საქმეთა კოლეგის მოსკოვის კანტორის ასესორს პეტრე კურბატოვს უბრძანეს, რომ კახთა მეფის ელჩის დავითისათვის ზეპირად გადაეცა ეკატერინეს პასუხი. 1725 წლის მაისში კურბატოვმა ბრძანება შეასრულა თარჯმან ლევან ზაალიშვილის დახმარებით². რუსეთს არ სურდა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავება და საქართველოსთან ოფიციალურ პოლიტიკურ მოლაპარაკებას ამიტომ გაურბოდა. გარდა ამისა, იმპერატორის კარზე კახთა მეფეს იცნობდნენ როგორც ვახტანგ მეექვსის მოწინააღმდეგეს და ამ გარემოებასაც ანგარიშს უწევდნენ. მაგრამ რუსეთის მთავრობამ მაინც ისარგებლა შემთხვევით და

² იხ. გ. 3 ა ი ჭა ძ ე, კონსტანტინე კახთა მეფის ელჩები რუსეთში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, № 1 (9), 1963.

ქართველებს კასპიისპირეთში დასახლება შესთავაზა. ამ საქართველოს
კი რუსეთის სამეფო კარი ძლიერ დაინტერესებული იყო.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ პეტრე პირველს სურდა ქართვე-
ლებისა და სომხების კასპიისპირეთში დასახლება. ამ საქმეში მისი
მეშვიდრეებიც არანაკლებ აქტიურობდნენ.

მართალია, ეკატერინე პირველის მთავრობა უშუალოდ საქარ-
თველოსთან რაიმე ოფიციალურ მოლაპარაკებას თავს არიდებდა,
მაგრამ რუსეთს ჩასული ვახტანგ მეექვსის მეშვეობით რუსეთის
მთავრობა კარგად გაეცნო საქართველოს მდგომარეობას, ცდილობ-
და კიდევ ჩარეცლიყო მის საქმეებში, ზეგავლენა მოეხდინა ამი-
ერქავებასიასა და თვით ირანზეც. რუსეთის სამეფო კარმა ქართ-
ლის მეფეს განუცხადა, რომ პეტრე პირველს ვახტანგისა და მისი
ამალის წმინდა ჯვრის სიმაგრეში დასახლება სურდაო.

ეკატერინე ცდილობდა დაყოლიერინა ვახტანგი, რომ ქარ-
თველები და სომხები ამ სიმაგრის მახლობლად და აგრეთვე და-
რუბანდსა და ბაქოში დასახლებულიყვნენ. რუსეთის მთავრობა
ფიქრობდა მათგან შეექმნა დიდი ლაშქარი, რომელიც რუსეთს ურჩ
დალესტნელებთან ბრძოლაში და საერთოდ კასპიისპირეთის უშიშ-
როების უზრუნველყოფაში დაეხმარებოდა. ეკატერინე ვახტანგს
ამ ადგილების მფლობელობას სთავაზობდა, ოლონდ მას ქართვე-
ლებისა და სომხების დასახლებაზე უნდა ეზრუნა. ამ დასახლებულ-
თა დახმარებით, აღნიშნავდა ეკატერინე, რუსეთი მდგომარეობას
განიმტკიცებდა კასპიისპირეთში, შემდეგ კი ვახტანგი შეძლებდა
ქართლში დაბრუნებას. რუსეთის მთავრობას განსაკუთრებით სურ-
და დასახლება იმ ქართველებისა, რომელთაც კარგად იცოდნენ გზა
იმერეთიდან ყუბანმდე და ტამანამდე. ვახტანგს ეკითხებოდნენ,
ჰელს წმინდა ჯვრის სიმაგრის კომენდანტს გენერალ კროპოტკინს
ქართველების დასახლების შესახებ სპეციალური ინსტრუქციაც
მისცეს³.

საქართველოს ძნელბედობის ფამს არაერთი ქართველი აფა-
რებდა თავს ამ პროვინციებს და 1725 — 1735 წლებში კასპიის-
პირეთში მართლაც გაჩნდა ქართული და სომხური მოსახლეობა. რუსეთის
ჯარის შემადგენლობაში კი სომეხთა და ქართველთა ეს-
კადრონებიც იბრძოდა.

³ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართვე-
ლოსთან, 1725 წ., საქმე № 1, 6. II, ფურც. 280—281, 351—352, 421—422; საქმე
№ 9, ფურც. 1—2.

ვინაიდან კასპიისპირეთში ქრისტიანული მოსახლეობა დაწერა და ბუნებრივია, რომ ეკლესიების აგებაზეც იზრუნეს. მაგალითად, 1725 წლის აგვისტოში კასპიისპირეთის ჭარების სარდალი მ. მატიუშკინი საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა, რომ ვახტანგ შეექვსის მეუღლე რუსულანი მოძოხოვდა დარუბანდში დაესახლებინათ ასტრახანში მყოფი მღვდელმთავარი ითანე, არქიმანდრიტი და თერთმეტი მსახური. მატიუშკინი კი ითანეს ქართული ეკლესიის მოწყობას ბაქოში სთავაზობდა. გენერალი ამას ასაბუთებდა იმით, რომ დარუბანდში სომხური ეკლესიის მოწყობის შემდეგ თავისუფალი ადგილი აღარ დარჩაო. ითანეს არჩევანი კი დარუბანდზე შეჩერდა. ეს აღათ იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ დარუბანდთან ახლოს მცხოვრები ლეკების ტყვეობიდან ქართველები ხშირად გამორჩოდნენ. 1725 წლის ოქტომბერში სენატმა დააკმაყოფილა ითანეს თხოვნა და მატიუშკინს სათანადო მითითებაც მისცა.

1726 წელს დარუბანდში დაარსდა ქართული ეკლესია და მონასტერი. 1735 წელს ითანეს ცნობით ამ ეკლესიის მრევლში უკავი ირიცხებოდა რამდენიმე ასეული ქართველი⁴.

1725 წლის 29 ივნისს ვახტანგ შეექვსემ რუსეთის მთავრობას თავისი მოსაზრებები წერილობით მოახსენა. ვახტანგი წინადაღებას იძლეოდა, რომ რუსეთს ყველა ღონე ეხმარა, რათა თურქეთს საქართველოზე ხელი იელო. თურქეთს ეშინია, — წერდა ვახტანგი, — რომ მას თავს დაესხმიან ჩრდილოეთიდან, ირანის მხრიდან კი თავდასხმის შიში არა აქვსო. ამიტომ იყო, რომ, როცა რუსეთმა გაილაშქრა კასპიისპირეთში და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხები მის მხარეზე გამოვიდნენ, თურქეთი შეჰინდა და დაიპყრო ქართლი, კახეთი, შირვანი. სულთანს ჩრდილო კავკასიის დაპყრობაც სურდა, რათა კავკასიაში მოწინააღმდეგე არ ჰყოლოდა. ვახტანგ შეექვსის განცხადებით, თუ ის დაიბრუნებდა ქართლის ტახტს, ამით მრავალი ქრისტიანი წახალისდებოდა და მის მხარეზე იმერეთი, კახეთი და მთის პროვინციებიც გადავიდოდა. ვახტანგი იმედს გამოოქვემდა, რომ შაპი თამაზი რუსეთს კასპიისპირეთის დაკავებაზე იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა, თუ შაპს ავლანელების წინააღმდეგ სამხედრო დახმარებას გილანიდან გაუშევდნენ. ვახტანგის აზრით, თურქეთის სულთანი საქართველოს ადვილად არ დასთმობდა, ამიტომ ქართლის მეფე ეკატერინესაგან

⁴ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1725 წ., საქმე № 6, ფურც. 5—8; 1724—1737 წწ., № 6, ფურც. 4—8.



აქტიურ მოქმედებას და სხვა სახელმწიფოებთან კავშირის ქართული კურებას მოითხოვდა.

ვახტანგის წინადადებით რუსეთს ჩრდილო კავკაში უნდა აეგო ციხესიმაგრე და მისი აგების ადგილსაც ასახელებდა. მან წარადგინა კიდეც ნახაზი იშ ადგილმდებარეობისა, სადაც რუსეთის ჯარის საქართველოზე გამოსალაშერებლად თავი უნდა მოყვარა. ვახტანგ VI აღნიშნავდა, რომ რუსეთს მხარს დაუჭერდნენ ყაბარ-დოელი თავადები და სხვა მთიელები. თუ რუსეთი მათ თავის სამსახურში იყვანდა, მაშინ გახსნილი ექნებოდა გზები ქართლი-სა და იმერეთისაკენ.

ამრიგად, თურქეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავი-სუფლების აუცილებელ პირობად ქართლის მეფე რუსეთის აქტიურ მხარდაჭერას და საქართველოში რუსეთის ჯარების გაგზავ-ნას თვლიდა. ეკატერინე პირველის მთავრობა კი ამაზე არ თან-ხმდებოდა.

ვახტანგს შეეკითხნენ: სურდა თუ არა მას ჩრდილო კავკაში-აში დასახლება იქ, სადაც ციხესიმაგრის აგების ჩევევას იძლეო-და; შეიძლებოდა თუ არა იქვე ქართველების დასახლება იმ პი-რობით, თუ ისინი ხელს მიჰყოფლნენ შეურნეობას და თავიანთ თავს პურითა და სხვა აუცილებელი პროდუქტებით უზრუნველყო-ფლნენ. ვახტანგმა კატეგორიული უარი განაცხადა იქ ცხოვრებაზე. მან აღნიშნა, რომ აუცილებლად თვლიდა იქ რუსეთის ჯარის თავ-მოყრას, რომლის დაბმარებითაც იგი საქართველოში უნდა დაბ-რუნებულიყო. რაც შეეხებოდა საერთოდ ქართველების დასახ-ლებას, ვახტანგი ორჟოფულად პასუხობდა. ეს შესაძლებელია, მაგრამ არ ვიცი შეძლებენ თუ არა ისინი თავისი თავისი პურით უზ-რუნველყოფას. მაშინ ეკატერინეს მთავრობამ ვახტანგს განუც-ხადა, რომ რუსეთს უჭირდა ამ ადგილებში სურსათის შეზიდვა და ურჩიეს დასახლებულიყო მდინარე სოლახის რაიონში. მაგრამ ვახტანგმა მოიმზეზა, იქიდან საქართველოსკენ მიმავალი გზები ლევთა თავდასხმების გამო ძნელი და საშიშიაო და ამ წინადადე-ბაზეც უარით უპასუხა.

ვახტანგი დაუინებით მოითხოვდა საქართველოში ჯარის გაგ-ზავნას. მან ეკატერინეს მთავრობას წარუდგინა არაგვისა და ქსნის ერისთავების, თეიმურაზ მაჩაბლისა და სომეხი მოლვაწეების —

ს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართვე-ლისთან, 1725 წ., საქმე № 1, ნ. II, ფურც. 239, 426—430.

კათალიკოს ესაისა და დარუბანდის არქიმანდრიტის მარტინ ჭერილები, რომლებიც დახმარებას ითხოვდნენ.

კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ შაპ-თამაზს, ვახტანგმა უპასუხა, რომ საჭირო იყო მისთვის დახმარება და რუსეთის მხარეზე გადმობირება. მაგრამ ვახტანგს აცნობეს, რომ თამაზს არ სურს მოლაპარაკება და შეეკითხენ, ხომ არ გაგზავნიდა იგი შაპთან თავის კაცებს. მაშინ თვითონ ვახტანგმა გამოიქვა გამგზავრების სურვილი და თამაზის დასახმარებლად ჯარი მოითხოვა. მაგრამ ეკატერინეს კარზე გადაწყვიტეს შაპთან გაეგზავნათ ვახტანგის დაახლოებული პირი — ვახტანგ ამილახვარი, რომელსაც შაპთან ქართლის მეფის წერილი უნდა წაელო⁶.

ეკატერინე პირველის მთავრობასა და ვახტანგ მეექვსეს შორის ეს მოლაპარაკება პეტერბურგში 1725 წლის მთელ ზაფხულს გრძელდებოდა.

1725 წლის აგვისტოში პეტრე ანდრიას ძე ტოლსტოის⁷ სახლში ვახტანგს აცნობეს, რომ ეკატერინე პირველმა მის შესანახად საჭირო თანხა გაიღო. ეს იმსა ნიშნავდა, რომ საქართველოში ვახტანგის გამომგზავრება გადაიდო. ეკატერინეს მთავრობის ამ დიპლომატიურ განცხადებას ქართლის მეფემ დიპლომატიოთვე უპასუხა. ზრუნვისათვის მაღლობა გადაუხადა და შემდეგი განაცხადა: პეტრე პირველთან შეთანხმებით მან განხის გამოილაშქრა და შემდეგ მთელი ზამთარი უცდიდა მას. ყოველივე ეს დაუჭდა 3 მილიონი მანეთი, მაშინ როდესაც იგი პეტრეს მხოლოდ ხუთი ათას მანეთს თხოვდა და პირდებოდა დახმარებას კასპიისპირა ბროვინციების დაცყრბაში. ვახტანგი აღნიშნავდა, რომ მან შეასრულა პეტრე პირველის მოთხოვნა და რუსეთში ვადავიდა... შაპი და სულთანი პირდებოდნენ მფარველობას, მაგრამ ის პეტრეს ერთგული დარჩა და დატოვა

⁶ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1725 წ., საქმე № 1, 6. II, ფურც. 440—463.

⁷ პეტრე ანდრიას ძე ტოლსტოი (1645—1729) ცნობილი რუსი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1702—1714 წლებში ელჩიდ იყო ოსმალეთში. 1716—1717 წლებში პეტრე I-ს ახლდა ევროპაში. შემდეგ შეძლო პეტრეს დაგალების შესრულება და ევროპიდან რუსეთს ბატონიშვილი ალექსი პეტრეს ძე დააბრუნა. 1718 წელს ხელმძღვანელობდა ალექსი პეტრეს ძის საქმის გამოძიების. 1718—1721 წლებში კომერციულების პრეზიდენტი, ხოლო 1718—1726 წლებში რუსეთის მმპერატორის საიდუმლო კანცელარიის პირველი მინისტრი იყო. 1722 წელს კასპიისპირეთში რუსეთის ჯარების ლაშქრობის დროს პეტრე I-თან იყოფებოდა და მმპერატორის სალაშქრო კანცელარიის განაგებდა. 1725 წელს მხარი დაუჭირა ეკატერინე I-ის გამფებას. 1726 წელს უმაღლესი საიდუმლო საბჭოს შექმნის ინციდენტი იც. 1727 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს შვილთან ერთად.

სამეფო, სადაც მისი გვარი 500 წელზე მეტხანს მეფობდა. ჭათურაშვილი ტანგი საყვედურს გამოთქვამდა: ვოლინსკის ბრალია შეცდომით პრინცს რომ მიწოდებენო. არ შეიძლება ჩემი გათანასწორება სხვა აღვილობრივ პრინცებთან, მფლობელებთან და შეხელთანო. ვახტანგმა მოითხოვა გაესინჯათ ის ტიტულები, რომლითაც მას მოიხსენიებდნენ შაპი, სულთანი, საფრანგეთის შეფე და უჩვენა რომის პაპის სიგვლი, სადაც იგი იბერიის შეფედ იყო წოდებული.

განაწყენებული ვახტანგი თხოულობდა, რომ ეკატერინეს მთავრობას უფიქრა იმაზე, თუ როგორ შეეძლო მას დაკმაყოფილებულიყო აღნიშნული თანხით, და დასძინა, რომ თუ მას დაეხმარებოდნენ ქართლის დაბრუნებაში, იგი გადაუხდიდა ორჯერ მეტ თანხას.

დასასრულს ვახტანგმა აუდიენცია სთხოვა ეკატერინე პირველს, რათა უოველივე პირადად აეხსნა. ამ მიზნით დედოფალს წერილიც გაუგზავნა. წერილში იგი აღწმუნებდა ეკატერინეს, რომ რუსეთის ერთგული იყო და საქართველოს განთავისუფლების საქმეში დახმარებას ითხოვდა.⁸

ვახტანგ მეექვსე აგრძნობინებდა რუსეთის მთავრობას, რომ ამ შემთხვევაში ის იყო არა მარტო ქართლის, არამედ მთელი საქართველოს წარმომადგენელი და რომ მისდამი დამოკიდებულება ბევრით განსაზღვრავდა მომავალში რუსეთისაკენ ქართველი პოლიტიკოსების ორიენტირების საკითხს.

ეკატერინეს მთავრობა გაეცნო ქართლის მეფის განცხადებას და გადაწყვიტა ვახტანგზე ზეგავლენა შოებდინა, რომ იგი შერიგებოდა საქართველოში დაბრუნების გადადებას. ამ მიზნით ვახტანგის სახელზე გამზადებული იყო მემორანდუმი, რომელშიც ქართლის მეფეს ბრალდებებს უყენებდნენ⁹. მაგრამ ეკატერინემ თავის შეკავება ამჯობინა და ეს შემორანდუმი ვახტანგს არ გადასცა, რადგან არ სურდა მასთან ურთიერთობის გამწვავება. თუმცა ეკატერინეს მთავრობამ ვახტანგს მაინც აგრძნობინა, რომ მის გამო თურქეთთან ურთიერთობას ის არ გაამწვავებდა, აქედან გამომდინარე, თურქეთის უღლისაგან საქართველოს გამოხსნის საკითხიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში ჭერ ვერ დადგებოდა. ამავე დროს რუსეთის მთავრობა გარკვეულ ზომებს

⁸ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1725, წ., საქმე № 2, ნ. II, ფურც. 482—492.

⁹ ეკატერინე პირველის გაცხადების ეს ტექსტი გამოქვეყნებულია მ. ბროსეს მიერ. იხ. Переписка грузинских царей с российскими государями, СПб., 1861, с. 183—189.

იღებდა ამიერკავკასიაში პოზიციების შესახარჩუნებლად. ვანტანგისა და მისი ამაღლის რუსეთში ყოფნა გარანტიას იძლეოდა, რომ საჭიროების შემთხვევაში რუსეთი ჩაერეოდა საქართველოს საქმეებში. ამჯერად კი ეკატერინე პირველი ფიქრობდა ვახტანგი შავთამაზთან ურთიერთობის მოსაგვარებლად და ამიერკავკასიასთან დასაკავშირებლად გამოეყენებინა.

რუსეთის მთავრობის თხოვნით ვახტანგმა ჭერ კიდევ 1725 წლის იანვარში გილანში გაგზავნა დავით ნაზარაშვილი, რომელიც ქართლის მეფის ყოფილი მეღვინეთუხუცესისა და ამერად შავთამაზს დაუკავშირდა¹⁰. შავთან მოლაპარაკება დავილი საქმე არ იყო. დავით ნაზარაშვილი 1725 წლის 2 აგვისტოს წერილში ვახტანგს შესჩიოდა, რომ მას გილანში ყველა წერილს ართმევენ და მეტად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა¹¹.

1725 წლის ბოლოს ნაზარაშვილი პეტერბურგში დაბრუნდა. მან ვახტანგს მოახსენა, რომ მისი ერთი წერილი გადაუგზავნა შავს, რომელიც ავღანელთა წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა. მახტობელთა ერთი ნაწილი შავს ურჩევდა ლაშქრობა გადაედონ და დაეჭერებინა ვახტანგის რჩევისათვის — დაეწყო მოლაპარაკება რუსეთთან. ახლობელთა მეორე ნაწილი კი, პირიქით, მოითხოვდა ჭერისფაპანზე გაელაშქრა და მხოლოდ გამარჯვების შემდეგ მოლაპარაკებოდა რუსეთს. შავმა გაილაშქრა ისფაპანზე, მაგრამ დამარცხდა. იგი გაიქცა და თავი ჭერ მაზანდარანს შეაფარა. იქიდან კი ასტრაბადში გადავიდა. ნაზარაშვილი ორჯერ შეეცადა შავი მოექცინა, მაგრამ ამაოდ დაშვრა, ნაზარაშვილის ორივე შიერიკი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ამას გარდა, ნაზარაშვილმა ამიერკავკასიის ამბებიც ჩამოიტანა: სომხები გმირულად იბრძოდნენ ოსმალების წინააღმდეგ, განჯის მოსახლეობა და ქურთები სომხებს მიემხრნენ თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალებმა საქართველო ხალხის დატყვევებითა და გადასახადებით გააპარტახეს. რაჯაბ ფაშამ ქსნის საერისთაოზე გაილაშქრა. ერისთავის ციხე ვერ აიღო, მაგრამ რასაც მისწვდა, ყველაფერი მოსრა. იმერლებმა კი პირი შეკრეს და ოსმალებს შევ ზღვაზე ციხის აგების საშუალება არ მისცეს¹².

¹⁰ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1727—1737 წწ., საქმე № 6, ფურც. 8—9.

¹¹ იქვე, 1725 წ., საქმე № 1, ნ. II, ფურც. 535—536, 560—562.

¹² რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთთან, 1725, წ., საქმე № 3, ფურც. 40—41.



1725 წლის ოქტომბერში ეკატერინემ გადაწყვიტა ავღანერი მუნიციპალიტეტის გადაწყვიტა ბრძოლაში დამარცხებულ შაპ-თამაზისათვის გილაშვილის მუფლის რუსეთის ჯართან ჩასვლა შეეთავაზებინა. ეკატერინე მას ირანის ტახტისათვის ბრძოლაში დახმარებას პირდებოდა.. რუსეთის მთავრობის ეს წინადადება შაპისათვის ვახტანგს უნდა ეცნობებინა ეკატერინე პირველის მითითებით ვახტანგის წერილები შაპისათვის მატიუშეინს სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნა ნაზარაშვილის ხელით. ამჯერად მატიუშეინს უკვე მიუთითებდნენ, რომ შაპისა და მისი კარისაგან გამოგზავნილი წერილები ჯერ დ. ნაზარაშვილისათვის ეჩვენებინა, შემდეგ კი საგარეო საქმეთა კოლეგიაში გადაეგზავნა, ხოლო გაჭირებაში მყოფი ნაზარაშვილისათვის ხელი გაემართა. ამასთან ერთად ეკატერინე პირველი პოქმედებდა ირანის ყოფილი ელჩის ისმაილ-ბეგის მეშვეობითაც. ისმაილ-ბეგი იმ დროს გილანში იმყოფებოდა. მაგრამ რადგანაც 1725 წლის სექტემბრიდან ნაზარაშვილი გილანიდან ასტრახანს, შემდეგ კი პეტერბურგს იყო წასული, ეკატერინეს გენერლებს შაპის მოძებნა თვით უხდებოდათ.

1725 წლის ნოემბერში მატიუშეინი სამეფო კარს მოახსენებდა, რომ შაპ-თამაზთან კავშირის დამყარება შეუძლებელია, დეკემბერში კი იწერებოდა, რომ დარუბანდის კომენდანტმა პოლკოვნიკმა იუნგერმა ძლივს შეძლო შემახაში ორი სომხი მზვერავის გაგზავნა, ხოლო ისფაპანს, შირაზსა და უფრო შორს მზვერავების გაგზავნა ვეღარ შეძლო, მსურველები არ ჩანან რაგინდ დადი სასყიდელი არ უნდა შევაძლიოთოთ¹³.

როგორც აღვნიშნეთ, 1725 წლის ნოემბერში ეკატერინეს მთავრობამ გადაწყვიტა შაპთან გაეგზავნათ ვახტანგ ამილახვარი. მასთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო აღმოსავლეთის საქმეების მდივანი სემიონ ავრამოვი, როგორც რუსეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი. ავრამოვისადმი მიცემულ ინსტრუქციაში მათი შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა ხაზგასმით იყო აღნიშნული.

1726 წლის 25 იანვარს გ. გოლოვინმა, პ. ტოლსტოიმ, თ. აპრაქსინმა, დ. გოლიცინმა, და პ. იაგუშინსკიმ ეკატერინე პირველს წერილობით წარუდგინეს თავიანთი მოსაზრებები ირანის, თურქეთისა და პოლშტინის საქმეებზე. ეკატერინემ განიხილა მათი წინადადებები და 10 თებერვალს უმაღლესი საიდუმლო საბჭოს გადაწყვეტილებანი დამტკიცა.

¹³ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთან, 1725 წ., საქმე № 5, ფურც. 305, 3224.



საბჭომ გაითვალისწინა, რომ ირანის გამო რუსეთს შეტაკებული გადა სამხედრო შეტაკება მოსვლოდა თურქეთთან და ამიტომ გადაწყვიტა ზოგიერთი ღონისძიება გაეტარებინა დამატებითი ეკონომიკური რესურსების გამოსავლინებლად და უკრაინასა და კასპიისპირეთში დაბანაკებული ჯარების გასაძლიერებლად. დღის წესრიგში კვლავ დადგა საქართველოსა და სომხეთთან უკეთ დაკავშირების პეტრეს დროინდელი პროექტი. მდინარე მტკვარზე ციხესიმაგრე უნდა აგებულიყო. საგარეო პოლიტიკის ხაზით კი ფიქრობდნენ ხელშეკრულებები დაედოთ აგსტრიასთან, ირანსა და პოლონეთთან. შაჰთან ურთიერთობის მოსაგვარებლად ეკატერინეს კარმა გადაწყვიტა თვით ვახტანგ VI გაეგზავნათ¹⁴.

თავედაპირველიად ფიქრობდნენ, რომ ვახტანგისა და მისი თანმხლები რუსი სამხედრო პირისათვის მოქმედების სრული თავისუფლება მიეცათ და წმინდა ჯვრის სიმაგრეში დაბანაკებული კორპუსი მათ განკარგულებაში გადაეცათ.

1726 წლის 13 თებერვალს უმაღლესმა საიდუმლო საბჭომ განიხილა გენერალ მატიუშკინის მოხსენება შაჰ თამაზისაგან კორესპონდენციის მიღებისა და გილანში რუსეთის ჯარების მეთაურთან გენერალ ლევაშოვთან შაჰის მოციქულის ჩასვლის შესახებ. საბჭომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გაეგზავნა ვახტანგ შეექვსე და მასთან ერთად გენერალ-მაიორი თავადი ვასილ დოლგორუკოვი, რომელსაც მატიუშკინი უნდა შეეცვალა კასპიისპირეთის მრავალსარდლის პოსტზე.

ბუნებრივია, რომ ვახტანგ მეექვსე შეეცადა გაერკვია თავისი რწმუნებები, თუ რამდენად შეეძლო მას რუსეთის ჯარის გამოყენება. ამის თაობაზე იგი წერილობით შეეკითხა კიდეც ეკატერინე პირველს. მაგრამ საიდუმლო საბჭომ გადაწყვიტა, რომ ჯერ თავი შეეკავებინათ ვახტანგისათვის რაიმე კონკრეტული ინსტრუქციის შიცემისაგან.

ამასთანავე უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრები გაეცნი სომხეთიდან ჩამოსული ქევხა ჩელების შუამდგომლობას. მან 1725 წელს ჩამოიტანა სომხეთის პატრიარქებისა და უზბაშების წერილი. წერილში ნათქვამი იყო, რომ როცა რუსეთის ჯარმა კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო, სომხებმა დამარება ითხოვეს. უკვის ამი წელია ისინი მტერს ებრძვიან და დღემდე რუსეთის ერთკულნი დარჩნენ. სომხები რუსეთისაგან ელოდნენ ხსნას. ისინი ითხოვდნენ — თუ რუსეთიდან დამატებითი ჯარის გაგზავნა შეუძლე-

¹⁴ Сборник ИРИО, т. 55, с. 4—32.



ბელი იქნებოდა, მაშინ ბაქოდან გაეგზავნათ ჯარი შემახაში, საკუთრივ გზა თავისუფალი იყო. აქ სომხებისა და რუსების ჯარები აღვიღოდ შეერთდებოდნენ. თუ ვერ მოხერხდებოდა რუსის სარდლის გამოგზავნა, მაშინ სომხები ითხოვდნენ, რომ ჯარი ვახტანგ მემევსის ან მისი შეილის სარდლობით გამოეგზავნათ¹⁵.

ქვეხა ჩელებიმ, რომელიც 1725 წლიდან პეტერბურგში იმყოფებოდა, ვერ მიიღო მტკიცე დადებითი პასუხი. როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა პეტერბურგში დალოდებოდა ხელსაყრელ დროს. ჩელებიმ რუსეთის მთავრობას თხოვა სომხეთში პასუხით სხვა გაეგზავნათ. ამას იმით ასაბუთებდა, რომ თურქები და ირანელები დიდი ხანია მას უთვალთვალებდნენ და მის ხელში ჩაგდებას შეეცდებოდნენ. ჩელების თხოვნა დააკმაყოფილეს და გადაწყვიტეს სომხეთში სხვა ორი სომეხი გაეგზავნათ. მათ გაატანეს წერილობითი დასტური იმისა, რომ სომხეთიდან გამოგზავნილი წერილები პეტერბურგში მიიღეს, ხოლო სიტყვიერად წარგზავნილებს უნდა გადაეცათ, რომ ვახტანგ მეექვსე და დოლგორუქოვი მალე დიდი ჯარით ჩავლენ კასპიისპირეთში და დაეხმარებიან მათ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოს აზრით, ვახტანგსაც უნდა გაეგზავნა სომხებისათვის პატარა წერილი და დაეიმედებინა ისინი. ამავე დროს ლევაშოვის სახელზეც მზადებოდა სომხებისათვის გამახნევებელი ბრძანებულება. ლევაშოვს სიტყვიერად უნდა ეცნობებინა სომხებისათვის, რომ მალე ვახტანგ მეექვსე და დოლგორუქოვი დიდი ჯარით ჩავიდოდნენ. როცა ქვეხა ჩელებიმ შეატყო, საქმეს კარგი პირი უჩანსო, გადაწყვეტილება შეიცვალა და დარუბანდში გამგზავრების თადარიგს შეუდგა. იგი შეპირდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ თავისი კაცების მეშვეობით ყოველივეს შეატყობინებდა სომხებს და ვახტანგს დარუბანდში დახვდებოდა. საბჭოს წევრები დათანხმდნენ და ჩელების მიერ წასაღები სიგელის ტექსტი განიხილეს. საბჭომ გადაწყვიტა მისთვის გაეტანებინათ ვახტანგის მიერ სომხეთსა და საქართველოში გასაგზავნი წერილები, რომლებითაც იგი კასპიისპირეთში თავის ჩამოსვლას იუწყებოდა.

საიდუმლო საბჭომ გადაწყვიტა ვახტანგისათვის მიეცა წინადადება, რომ პეტერბურგიდან მოსკოვს გადაეყვანა თავისი ამალა ბაქარისა და სვიმონის მეთაურობით, თვითონ კი მგზავრობის სამზადისს შედგომოდა. ეს გადაწყვეტილება და გილანში ირანის

¹⁵ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სომხეთთან, 1725—1726 წწ., საქმე № 5, ფურც. 12.



მოციქულის ჩასვლა ვახტანგისათვის დოლგორუკოვსა და „შემოქმედების უნდა სტატსი სოვეტნი“ სტეპანოვს უნდა ეცნობებინა. ამასთანავე დოლგორუკოვს დაევალა ვახტანგს ირანის საქმეებზე მოთათბირებოდა.

ვახტანგ მეექვსეს ძალზე აფიქრებდა, რომ გამგზავრების წინ საქართველოს დახმარებაზე არაფერს ეუბნებოდნენ. პეტერბურგში კი ეკატერინე პირველის კარზე საქმის საწარმოებლად მისი ახლობელი არავინ რჩებოდა. ამიტომ ვახტანგმა მოითხოვა პეტერბურგში ერთ-ერთი მისი შვილი დაეტოვებინათ, ხოლო ძალა სკიმონი ასტრახანს გამგზავრებულიყო. თუ კი ეკატერინე პირველი საქართველოში ჭარის გაგზავნას გადაწყვეტდა, ჭარს ბაქარი უნდა გაპყოლოდა. ამასთან ერთად ვახტანგი ითხოვდა, რომ რუსეთს ჭამავირი მიეცა ყაბარდოელი თავადებისათვის — „ჩერქეზი მფლობელების ყაზისა და ყანჩასათვის“ და განსაკუთრებით კი თავისი ცოლის ძმის აღილ-გირეისათვის, რომელიც „მის უდიდებულესობის სამსახურში მან აიყვანა“. ვახტანგ მეექვსე იღნიშნავდა, რომ ყაბარდოელი თავადების გადმობირება საჭირო იყო, რადგან საქართველოში მიმავალი გზა ყაბარდოზე გადიოდა.

1726 წლის 2-3 მარტს უმაღლესმა საიდუმლო საბჭომ ვახტანგ მეექვსისა და დოლგორუკოვის გამგზავრების ორგანიზაციული საკითხები განიხილა. კასპიისპირეთის ჭარების გასაძლიერებლად ხუთი ქვეითი პოლკის გამოყოფას ფიქრობდნენ, მაგრამ ა. მენშიკოვმა წინადადება შეიტანა თავი შეეკავებინათ დამატებითი ჭარების გაგზავნაზე. მან საბჭოს გააცნო მატიუშეინისაგან მიღებული ცნობები, რომ კასპიის ზღვაზე ჭარიშხალმა დააზიანა გემების დიდი რაოდენობა, რაც აძნელებდა სურსათის გადაზიდვას. საბჭომ გადაწყვიტა პოლკები სარატოვში შეეჩერებინათ. ამის შემდეგ საბჭოს სხდომაზე პ. ტოლსტოი გამოვიდა. რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე იგი მოითხოვდა კასპიისპირეთში ვახტანგისა და დოლგორუკოვის აუცილებლად გაგზავნას იმისდა მიუხედავად, გაგზავნიდნენ თუ არა იქ დამატებით ჭარს. ეს სომხებსა და ჭართველებს რუსეთისადმი რწმენას განუმტკიცებსო. საბჭო დაეთანხმა ტოლსტოის წინადადებას.

ამრიგად, ეკატერინეს მთავრობა ვახტანგ მეექვსესა და დოლგორუკოვს კასპიისპირეთში ირანის საკითხის მოსავარებლად და ამიერკავკასიის ხალხების გასამხნევებლად აგზავნიდა.

1726 წლის 11 მარტს საბჭო გაეცნო რუმიანცევისა და ნეპ-



ლუევის¹⁶ მიერ კონსტანტინოპოლიდან 7 თებერვალს გამოგზავნებულია მონსენებას. თურქები ცდილობდნენ რუსეთის ჭარი გამოეყვანას ავღანელთა ბელადის აშრაფის წინააღმდეგ, რათა დაეშინებინათ იგი და იძულებული გაეხადათ სულთნის მფარველობა მიეღო. ამის გამო ეკატერინეს მთავრობამ გადაწყვიტა ვახტანგისა და დოლგო-რუკოვისათვის დაეგალებინა:

1. დაიწყებდნენ თუ არა მოლაპარაკებას შაპთან, დაუყოვნებ-ძლივ ეცნობებინათ ეს ირანში მყოფი თურქების ჭარების წინამ-ძლოლისათვის, რათა შეეჩერებინათ მათი შეტევა.

2. დაწვრილებით გაეგოთ აშრაფის პოლიტიკა, ძალა და სა-ჭიროების შემთხვევაში იგი რუსეთის მხარეზე გადაებირებინათ.

18 მარტს საბჭო გაეცნო ვიცე-კანცლერ ოსტერმანის სპეცი-ალურ ბარათს თურქეთის და ირანის საქმეების თაობაზე¹⁷. ოს-ტერმანის აზრით, თურქები დროებით ან სრულიად იღებდნენ ხელს მთელი ტერიტორიის დაპყრობაზე, რადგან, ჯერ ერთი, აშ-რაფი ან შედიოდა თურქების პროტექტორატში და, მეორეც, ისა-ხებოდა ავსტრია-რუსეთის კავშირი, რისიც თურქებს ეშინდათ. კონსტანტინოპოლიდან მიღებული ცნობების ანალიზის საფუძ-ველზე ვიცე-კანცლერი ასკვნიდა: თურქეთს სურდა რუსეთის ჩათ-რევა ირანის საქმეებში ისე, რომ ჩაშლილიყო რუსეთისა და ავს-ტრიის კავშირი, რაც ევროპაში ოსმალეთის პოზიციებს განა-მტკიცებდა.

ოსტერმანის აზრით, თურქები პირველსავე შესაძლებლობის-თანავე სეპარატულ ზავს დადებდნენ აშრაფთან ან შაპ-თამაზთან. იმის გამო, რომ რუსეთის ჭარს არ შეეძლო შეტევა (მას კასპიის-პირა პროვინციების შენარჩუნებაც კი უჭირდა), ოსტერმანი წი-ნადადებას იძლეოდა — სწრაფად შეთანხმებოდნენ თამაზს. ამი-სათვის კი, აღნიშნავდა ოსტერმანი, საჭირო იყო დაეჩარებინათ გილანში ვახტანგის გაგზავნა.

ოსტერმანის წინადადებით ვახტანგს შაპისათვის უნდა ეცნო-ბებინა, რომ ეკატერინე პირველი დაინტერესებული იყო ირანის ტახტზე მისი განმტკიცებით, აგრეთვე საიდუმლოდ შეეტყობინე-ბინა რუსეთსა და ავსტრიას შორის კავშირის დადება. შაპს უნდა ეცნო რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულება. ამ მიზნით ოსტერმანი წინადადებას იძლეოდა შთავეგონებინათ შაპისათვის, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა თურქების შეჩერება, დროის

¹⁶ რუმანცვა რუსეთის საგანგეო ელჩი იყო, ნებლუვი—რეზიდენტი.

¹⁷ Сборник ИРИО, т. 55, с. 109—117.

შოგება და აშრაფის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალების მიზანა
კრება. ეს ხელის სიტყვას მეტი ფასი რომ ჰქონდა, მას უნდა ეც-
ნობებინა შაპისათვის, რომ რუსეთი დაუთმობდა ირანს კასპიისპი-
რეთის ზოგიერთ პროვინციას და, პირველ რიგში, მაზანდარანს, ას-
ტრაბადს, შემდეგ კი გილანსაც. ოსტერმანი მოითხოვდა ყოველგვა-
რი ლონისძიებით აეძულებინათ შაპი ეცნო რუსეთ-თურქეთის 1724
წლის ხელშეკრულება. წინადადებას იძლეოდა — ვახტანგ მეექვე
საჭიროების; შემთხვევაში ირანთან ახალი ხელშეკრულების დადე-
ბის უფლებითაც აღჭურვათ.

დასასრულს, ოსტერმანი წერდა, რომ ვახტანგის მოგზაურობის
შედეგებზე იყო დამოკიდებული რუსეთის მთავრობის შემდგომი
საქმიანობა. მანამდე კი რუსეთს კასპიისპირეთში თავისი ჯარები
უნდა გაეძლიერებინა. ეს გამხნევებდა შაპს და ამიერკავკასიის
ხალხებს და ზემოქმედებას მოახდენდა თურქებზე.

საბჭომ ძირითადად მოიწონა ვიცე-კანცულერის წინადადება.
მაგრამ ვახტანგისათვის ირანთან ხელშეკრულების დადების რწმუ-
ნების მიცემისაგან თავი შეიკავა, რადგან იგი, უპირველეს ყოვლი-
სა, საქართველოს დაბრუნებას მოისურვებდა. ამ საკითხზე საბო-
ლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. საჭიროდ ჩათვალეს კვლავ
ვმსჯელათ. და მართლაც, ვახტანგის გამგზავრების საკითხი შემდე-
გაც არაერთხელ განიხილეს.

1726 წლის 21 მარტს, დილით, ვახტანგი უმაღლეს საიდუმლო
საბჭოში მიიწვიეს. ვახტანგს აცნობეს, რომ წმინდა ჯვრის სიმაგ-
რესა და იქიდან ბაქოში გამგზავრების ნაცვლად, მას გილანს გამ-
გზავრება მოუწევდა, რადგან მიღებული ცნობებით შაპ-თამაზი
შზად იყო მოლაპარაკება დაეწყო. ვახტანგ VI უნდა მოლაპარაკე-
ბოდა შაპს და ამასთან ერთად რუსეთისათვის ქართველები და სომ-
ხები შემოემტკიცებინა¹⁸.

ვახტანგ მეექვსე დათანხმდა შეესრულებინა რუსეთის მთავ-
რობის დავალება, მაგრამ მოითხოვა ბაქოსა და შემახაში გამგზავ-
რება. ამას იგი იმით ხსნიდა, რომ სომხებმა მისი და დოლგორუ-
კვოის გამგზავრების ამბავი უკვე იცოდნენ. მათი მგზავრობის მარ-
შრუტის შეცვლა კი სასოწარევეთილებამდე მიიყვანდა სომხებს.
ხოლო თურქები, გაიგებდნენ რა სომხების კავშირს რუსებთან,
კვლავ დააწიოკებდნენ სომხებსა და ქართველებს. ვახტანგი აღნიშ-
ნავდა, რომ შემახაში მისი ჩასული სომებს ხალხს იმედებს გაულვი-
ძებდა. ხოლო მას თამაზთან დაკავშირება შემახადანაც შეეძლო-

¹⁸ Сборник ИРИО, т. 55, с. 66—125.


ვახტანგ მეექვსე ურჩევდა ეკატერინეს მთავრობას, რომ შემოქმედა პის იმედი მაინც დამაინც არ ჰქონდათ, იგი დაუძლურჯებულებას იყო, მას არც ფული ჰქონდა და არც ჭარი ჰყავდა. თამაზის თურქების მხარეზე გადასვლაც ადვილი შესაძლებელი იყო. თურქებს არ სურდათ რუსეთის პოზიციის გაძლიერება ჭავკასიაში და არ სიამოვნებდათ დარუბანდში რუსეთის ჭარის ყოფნაც.

ვახტანგი კვლავ მოითხოვდა, რომ რუსეთს აქტიურად ემოქმედა ამიერკავკასიაში თურქების წინააღმდეგ. თუ იდრე ვახტანგი ეკატერინეს ურჩევდა, რომ რუსეთის ჭარი საქართველოში ჩასულიყო ჩრდილო კავკასიის მხრიდან, ამჯერად იგი წინადაღებას იძლეოდა ეს ჭარი კასპიისპირეთიდან შემაბაში გაეგზავნათ. ეს გზა მან სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად შეარჩია.

გეგმის ეს დეტალურად დამუშავებული ვარიანტი ვახტანგმა ეკატერინეს ჯერ კიდევ 1726 წლის თებერვალში წარუდგინა. მისი აზრით, რუსეთის ჭარს უნდა დაესწრო თურქებისათვის და პირველ რიგში შემახა უნდა იელო; ამის შემდეგ ადვალად დაიკავებდნენ შირვანს, ხოლო აქედან ახლოს იყო კახეთი, ქართლი, სომხეთი და ყარაბაღი, საიდანაც რუსეთის ჭარი დახმარებას მიიღებდა, ცხენებითა და სურსათით უზრუნველყოფილი იქნებოდა და ადვილად შეძლებდა ყველა მიმართულებით მოქმედებას.

ვახტანგ მეექვსე წინადაღებას იძლეოდა, რომ ჩრდილო კავკასიიდან ქართლში გაეგზავნათ ბაქარი და სვიმონი ერთი პოლკი რეგულარული ჭარით, ათასი კაზაკითა და ყალმუხით. მათ მიერჩობოდნენ ქართველები და დაიწყებდნენ ბრძოლას საქართველოსა და განჯაში გაბატონებულ თურქებთან. ასეთ ვითარებაში მტერი კასპიისპირეთში მყოფი რუსეთის ჭარებს ვერ შეებრძოლებოდა. ხოლო თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ბაქარი აღვილად შეძლებდა იმერლების მიმხრობას. ამასთან დაკავშირებით ვახტანგი მოითხოვდა, რომ წყალობის სიგელი მიეცათ რაჭის ერისთავის, სამეგრელოს მთავარ დადიანისა და იმერელ თავად აბაშიძისათვის. ვახტანგის აზრით, ასეთი მოქმედება გათიშვება და დაასუსტებდა თურქებს და მათზე გამარჯვებას გააადვილებდა¹⁹.

ამრიგად, ვახტანგ VI ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ეკატერინეს მთავრობას უარი ეთქვა 1724 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებაზე და საქართველოსათვის ქმედითი დახმარება გაეწია, ხოლო თავის მხრივ რუსეთის მხარეზე მთელი საქართველოსა და სომხეთის გამოსვლის გარანტიას იძლეოდა.

¹⁹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საარსეთთან, 1726 წ., საქმე № 7, ფურც. 8—10.

საბჭომ ითათბირა და გადაწყვიტა ვახტანგისათვის ეცნებაში მარტინ ბათ შემდეგი: ვახტანგი უნდა გამგზავრებულიყო გილანში და ეზ-რუნა: ა) რუსეთის მხარეზე დამდგარიყვნენ არა მარტო ქრისტი-ანები — ქართველები და სომხები, არამედ სპარსელებიც. ამიტომ მას მათვის რუსეთის დახმარების იმედი უნდა მიეცა; ბ) ჰერ-ნოდა მიმოწერა შაპთან და ეცადა მისი რუსეთის მხარეზე გად-მობირება. ხოლო თურქებისათვის რუსეთს არ უნდა ეგრძნობინე-ბინა ხელშეკრულების დარღვევა, ვიდრე ამის საბაბს თვით თურ-ქები არ მისცემდნენ, ვინაიდან რუსეთს ჯერ კიდევ არ შეეძლო სპარსეთში აქტიური მოქმედების დაწყება.

დღის მეორე ნახევარში საბჭომ კვლავ იმსჯელა თავისი პა-სუხის შინაარსზე. ამის შემდეგ პოლშტინიის ჰერცოგი²⁰ ეკატერინეს ეახლა. ამასობაში ვახტანგიც მივიდა საბჭოს სხდომაზე. ჰერ-ცოგის დაბრუნებამდე საბჭოს წევრები ვახტანგს იჩანისა და თურ-ქეთის საკითხებზე ესაუბრნენ. მოუყვნენ ასტრახანში გეშების და-ლუპვის ამბავს და ოღნიშვის, რომ ჯირისა და სურსათის გადაზიდვა გაძნელდა. მალე ჰერცოგიც დაბრუნდა და ვახტანგს გამოუცხა-დეს ეკატერინეს ბრძანებულება გილანში გამგზავრების თაობაზე.

ეკატერინეს გადაწყვეტილებას ვახტანგი ძირითადად დაეთან-ხმა და დავალების შესრულება აღუთქვა²¹, მაგრამ თავის მხრით რამდენიმე კარდინალური საკითხიც დასვა:

1. ვახტანგმა იკითხა, თუ როგორ უნდა გადაებირებინა მას რუსეთის მხარეზე სომხები და ქართველები, როდესაც გილანიდან სომხეთამდე 20 დღის სავალი გზა იყო, ხოლო საქართველომდე უფრო მეტი. ამასთან, ეს გზები შგზავრობისათვის საშიში იყო.

საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ სომხეთან და საქართვე-ლოსთან მას უნდა ჰქონოდა წერილობითი კავშირი საზღვაო გზით, ბაქოზე გავლით;

²⁰ პოლშტინიის ჰერცოგი კარლ ფრიდრიხი — ეკატერინე პირველის სიძე, უმა-ლესი საიდუმლო საბჭოს წევრი იყო.

²¹ თარგმნობდა „ქართველი თავადი თევდორე დავიდოვი“. ეს იყო თევდორე ელიზაბედის ძე (ილია ძე) დავითშვილი (დავიდოვი) — არჩილ მეფის შვილის, რუსეთის პირველი გენერალ-ფელდუექმაისტერის აღექსანდრეს ცოლის ძმა.

ბ. ე ს ა ძ ე თავის სტატიაში არჩილის ძის შესახებ (იხ. ლეтопись Грузии, вып. I, Тифлис, 1913., с. 339) დაება, როდესაც მიმობს, რომ: Царевич Александр... был женат на русской, некой Гликерии Илиновне, Фамилия которой к сожалению, не сохранилась для потомства.» თევდორეს მძმა ელიზ-ბაზი (რუსეთში ილია წოდებული თავის უფროს მასთან ერთად რუსეთს გადა-ვიდა 1666 წ. ისინი კართა მცფის დღესანდრე I-ს (1476—1511) შვილმვილის დავითის ჩამომავალნი იყვნენ.

2. მაშინ ვახტანგმა საკითხი პირდაპირ დასვა: როგორ უძრავება
დაეიმღებინა მას სომხები და ქართველები, თუკი ეკატერინე³ პირ-
ველის მთავრობა გადამწყვეტ ზომებს არ მიიღებდა, თურქებს
კი შეეძლოთ დიდი შეტევის დაწყება. ასეთ შემთხვევაში რა უნდა
ეთქვა მას სომხებისათვის.

საბჭოს წევრებმა უპასუხეს: სულთანი თანახმაა დაიწყოს რუ-
სეთთან მოლაპარაკება და ირანის ტახტზე შაპ-თამაზი განმტკიცდე-
სო. რუსეთ-ავსტრიის კავშირის დამყარების შემდეგ თურქები იძუ-
ლებული იქნებიან ქარები გადაიყვანონ ევროპაში. ეს გაუადვი-
ლებს რუსეთს საქმეს. ვახტანგს შესთავაზეს, ყველაფერი ეს სომ-
ხებისა და ქართველებისათვის გადაეცა. მასთან ხაზს უსვამდნენ
იმ გარემოებას, რომ სომხები უკვე 4 წელია რაც იბრძვიან თურ-
ქების წინააღმდეგ და საჭიროა, რომ კიდევ ერთი წელიწადიც გა-
უძლონონ;

3. დავალება რთული იყო და ვახტანგ მეექვსემ ითხოვა გაე-
თავისუფლებინათ იგი სომხეთის მისისაგან. შან აღნიშნა, — თუ
თურქებმა დაიწყეს დიდი შეტევა, სომხები გაჭირვებაში ჩაცვი-
დებიან და იძულებული იქნებიან დამპყრობლებს დაემორჩილონ.

საბჭოს წევრები არწმუნებდნენ ვახტანგს, რომ თურქების
ახალი შეტევა შეუძლებელია, რადგან მათ გაიგეს, რუსეთისა და
ავსტრიის მოლაპარაკების ამბავი და ამიტომ უფრო დამყოლნი
გახდნენ. ხოლო რუსეთის წარმომადგენელს კონსტანტინოპოლში
დაევალა სულთნისათვის წინადადება მიეცა, რომ შაპ-თამაზთან
მოლაპარაკების დამთავრებამდე თურქებს შეტევა შეეწყვიტათ.
თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მაშინ რუსები თურქების წინააღმდეგ
დივერსიებს მოაწყობდნენ.

ვახტანგ მეექვსე მოითხოვდა წერილობით ინსტრუქციას. ქარ-
თლის მეფე შუამდგომლობდა, რომ რუსეთის მთავრობას დაუბრ-
კოლებლივ გამოეშვა სამშიობლოში დაბრუნების მოსურნე ქართ-
ველები და გადაეხადა თავად თევდორე დავიდოვის ვალები, რად-
გან თევდორე მას გილანში თან უნდა წაეყვანა. ვახტანგ მეექვსის
ჯველა ეს თხოვნა ეკატერინეს მთავრობამ დააგმაყოფილა.

ყაბარდოელი თავადებისათვის ხელფასის დანიშნას ვახტან-
გი უკვე აღარ მოითხოვდა, ვინაიდან რუსეთის ქარის გაგზავნა სა-
ქართველოში ამჯერადაც არ ხერხდებოდა. მაგრამ რუსეთის მთავ-
რობა თვითონ იყო დაინტერესებული ამ თავადების მხარდაჭერით
და ეს საკითხები დადებითად გადაწყვიტა²².

²² Сборник ИРИО, т. 55, с. 126—130.



21 მარტს ეკატერინე პირველმა ხელი მოაწერა ვახტანგ გვარდიანის სახელზე გაცემულ სიგელს და დოლგორუკოვისადმი მიცემულ ინსტრუქციას. 23 მარტს კი ვახტანგს აუდიენცია დაუნიშნა.

რადგან ეკატერინე I თურქებთან ბრძოლას არ აპირებდა და არ ცდილობდა აქტიურად დახმარებოდა საქართველოსა და სომხეთს, ვახტანგ მეექვსემ გადაწყვიტა ეკატერინესათვის ეთხოვა წერილობითი ვალდებულება მისი ქართლის ტახტზე ოღვენისა და სამეფოს საზღვრების აღნიშვნის თაობაზე.

1726 წლის მარტში ეკატერინეს სახელზე მან თხოვნა დაწერა. პირველ პუნქტში ნათქვამი იყო: «„... Блаженные и вечно достойные памяти его императорское величество соизволил милостивым своим словом меня обнадежить и призывал через посланных от его величества, нежели де к вашим странам прибуду, то которые прежде у ваших отцов и дедов владение грузинская земля была, будет де от тебя и впредь неотъемлема. А ныне от сродников моих я в укоризне тем, что за тысячу лет отечество наше де разорил. Того ради прошу, дабы сие вышеозначенное его императорского величества обещанное слово мне исполнилось и на сие мое прошение ея императорское величество пожаловала б мне милостивую свою грамоту, ежели бог поможет взять от салтана через войну или через мирной трактат даже до ниже показанных мест, которые в нашем владении были, а именно до реки Шамкоры, до Ереванской горы, до Гуржи Богази, до Чани, до Черного моря, до Жики, до черкесского и лезгинского рубежа, от Варташена до Ширванского рубежа и до Куры реки. А ея императорского величества жалованная грамота нам будет в знак великой милости и в надеяние»²³.

ვახტანგის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, რათა ეკატერინე პირველს ოფიციალურად წერილობით ეცნო თავისი ვალდებულებანი ქართლის სამეფოსა და ბაგრატიონების დინასტიის ქართლის შტოს მიმართ, გარევეულ ინტერესს იწვევს დიპლომატიის ისტორიის თვალსაზრისით.

დანარჩენი პუნქტებით ვახტანგი ითხოვდა თავისი ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას, ითხოვდა მისთვის დაებრუნებინათ საგვარეულო რელიკვია — „უფლის სამსჭვალი“, რომელიც მოკვეში მისმა ბიძამ — არჩილ მეფემ ჩაიტანა. ვახტანგი ითხოვდა, რომ იგი ეცნოთ არჩილისათვის რუსეთში მიცემული მამულების

²³ რუსეთის საგვარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1726, წ., საქმე № 1, ფურ. 98.

მექანიზმების და რუსეთის იმპერატორის კარზე აღზრდილიყო მისი მუშაობის ვაჟი თოთხმეტი წლის გიორგი.

ვახტანგის ყველა თხოვნა ეკატერინემ დააქმაყოფილა, მავრამ იმ პირობით, რომ სიგელი და „უფლის სამსჭვალი“ მოსკოვში შეენახათ და რუსეთიდან აშ გაეტანათ.

ამასთან ერთად ვახტანგმა კასპიისპირეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი წამოაყენა.

1726 წლის მაისში, როცა ვახტანგ მეექვსე უკვე მოსკოვში იმყოფებოდა, მისმა სახლთუხუცესმა ელიზბარ ორბელიანმა საგარეო საქმეთა კოლეგიის კანტორის წინაშე იშუამდგომლა გაეთავისუფლებინათ დაკავებული სამი სომხი, რომლებსაც ვახტანგი თან წაიყვანდა კასპიისპირეთში.

18 მაისს ვახტანგ მეექვსემ ეკატერინე პირველს მისწერა, რომ მისი მისიის წარმატებისათვის საჭირო იყო ირანის მოსახლეობისა და პირადად თამაზის ნდობის მოპოვება. იგი წინადადებას იძლეოდა გაეთავისუფლებინათ პეტერბურგში, ასტრახანსა და სხვა ქალაქებში მყოფი პატიმარი გილანელები და ბაქოელები და მცითვის თან გაეყოლებინათ. არ უნდა გაეთავისუფლებინათ მხოლოდ ის პირები, რომლებმაც სერიოზული დანაშაული ჩაიდინეს, ან რაიმე ვნების მოტანა შეეძლოთ. რუსეთში უნდა დარჩენილიყვნენ ისინი, რომლებმაც მიიღეს ქრისტიანობა და რუსეთის ქვეშევრდომობა. ეკატერინე პირველს ვახტანგი ურჩევდა, რომ გილანელებისათვის ნება დაერთოთ ეცხოვრათ თავიანთ წესზე, დაებრუნებინათ ქონება და მიწა, ხოლო გადასახადი ეხადათ იგივე, რასაც შაპს უხდიდნენ. ვახტანგის აზრით, ასე უნდა გაგრძელებულიყო მანამდის, ვიდრე ყველა საკითხი არ მოწესრიგდებოდა. ხოლო როდესაც ეს ხალხები რუსეთს შეეგუებოდნენ, შეიძლებოდა გადასახადის აკრეფის საკითხი ისე გადაეჭრათ, როგორც ამას ეკატერინე პირველი მოისურვებდა. ვახტანგ მეექვსე ითხოვდა, რომ მისთვის მიეცათ სრული უფლებები და მკერდზე სატარებელი ნიშანი, რათა ირანში გაეგოთ, რომ იგი რუსეთის იმპერატორის სამსახურსა და მფარველობაშია²⁴.

ეკატერინემ ძირითადად მიიღო ვახტანგის წინადადებები და 10 ივნისს სათანადო ბრძანებულება გამოსცა. რუსეთის იმპერატორმა ვახტანგ მეექვსე ანდრია პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვა. ვახტანგისათვის მოქმედების სრული თავისუფლების მიცემაზე კი არაფერი თქმულა.

²⁴ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1726 წ., საქმე № 1, ფურც. 166—177.

1726 წლის 18 ივლისს კანცლერმა გოლოვკინმა უოველრუსული და ქახტანგ მეექვსეს წერილობით აცნობა. ქართლის მეფე უკვე კას-ზიისპირეთისაკენ მიემგზავრებოდა.

ვახტანგ მეექვსეს გილანში გამგზავრების გამო სპეციალური ინსტრუქცია მისცეს²⁵. ის ძირითადად შეიცავდა იმ პოლიტიკურ მოტივებს, რომლითაც რუსეთის მთავრობა ირანისადმი თავის და-მოკიდებულებას ასაბუთებდა. ბუნებრივია, რომ ინსტრუქციაში ლა-პარაკი იყო ეკატერინე პირველის მისწრაფებაზეც — გაეთავისუფ-ლებინა ამიერკავკასიის ხალხები. მაგრამ დასაწყისშივე აღნიშნული იყო, რომ ვიდრე არ მოწესრიგდებოდა ურთიერთობა ირანთან და იქ შაპის ხელისუფლება არ განმტკიცდებოდა, რუსეთი ვახტანგს ქართლის ტახტის დაბრუნებაში ვერ დაეხმარებოდა.

ეკატერინე პირველი აცხადებდა, რუსეთი დაინტერესებულია ირანის ძლიერებითა და შაპის ტახტზე თამაზის დამკვიდრებითო. ამითვე ხსნიდა იგი პეტრე პირველის ლაშქრობას კასპიისპირეთში და აღნიშნავდა, რომ ქართლის მეფემ კარგად იცოდა, თუ ვინ იყო ამ ლაშქრობის დროს მტერი და ვინ მოყვარე, როგორ ჩაერია საქ-მეებში თურქეთი და როგორ დაიპყრო საქართველო. თურქეთის მტრულმა საქმიანობამ, — აღნიშნული იყო ინსტრუქციაში, — რუ-სეთის ჯარის წინსვლა შეაჩერა და ქრისტიანი ხალხების განთავი-სუფლების საქმეც გაართულა. ხოლო ავლანელებმა ამასობაში ის-ფარანი აიღეს და შაპი ჰუსეინი დამხეს. ჰუსეინის შვილმა — თა-მაზმა, რომელმაც ისფაპანიდან გაქცევით უშველა თავს, რუსეთს ელჩი გაუგზავნა. პეტრემ კი ირანის სახელმწიფოს შენარჩუნების მიზნით 1723 წ. ამ ელჩთან ხელშეკრულება დადო. რუსეთს კას-პიისპირა პროვინციები შემოუერთა, რაც საქართველოსთან და სხვა ქრისტიან ხალხებთან უკეთ დაყავშირების მიზნითაც აუცი-ლებელი იყო.

შემდეგ ინსტრუქციაში აღნიშნავდნენ, რომ ხელშეკრულება თამაზისათვის სასარგებლო იყო და ამიტომ მას იგი დაუყოვნებ-ლივ უნდა მიეღო. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თამაზმა ზოგიერთი თავისი „უსაქმური მინისტრის“ რჩევით ხელშეკრულე-ბის რატიფიკაციაზე უარი თქვა, გაუგონარი ლანძღვა-გინებით გა-მოისტუმრა რუსეთის რეზიდენტი და რუსეთის ჯარების წინააღმ-დეგ მტრულ საქმიანობას ეწეოდა. ასეთ ვითარებაში პეტრეს არ

²⁵ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარ-სეთთან, 1726 წ., საქმე № 7, ფურ. 49—67.

შეეძლო დახმარებოდა თამაზის და ამიერკავკასიაში ქრისტიანობის გასათავისუფლებლად რაიმე ელონა.

თურქეთი კი ისარგებლა შემთხვევით, დაიწყო ტერიტორიების დაპყრობა და მთელი ირანის დაპატრონებას ლამობდა. ხოლო რადგან პეტრეს შეეძლო თურქეთისათვის წინააღმდეგობა გაეწია, სულთანმა მას ირანის დანაწილება შესთავაზა, რაზედაც პეტრემ კატეგორიული უარი განაცხადა. იმის გამო, რომ თამაზი რუსეთს ეწინააღმდეგებოდა, თურქეთის შემოტევის შეჩერება შესაძლებელი იყო მხოლოდ სულთანთან სათანადო ხელშეკრულების დადგებით, რაც მოხერხდა კიდეც 1724 წელს.

პეტრეს ისეთი მოქმედება, — ხაზგასმული იყო ინსტრუქციაში, — ნაკარნახვი იყო ირანის სახელმწიფოს შენარჩუნების სურვილით. პეტრე თამაზისთვისაც ზრუნავდა და თურქეთთან დადგებული ხელშეკრულების ტექსტში სათანადო მუხლი შეატანინა, თუ თამაზი სცნობდა რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულების პირობებს, ორივე სახელმწიფოს დახმარებით იყი შაპის ტახტზე ავიდოდა. და ბოლოს, რუსეთის მთავრობა აცხადებდა: თამაზის სიჯიუტე ხელს უწყობდა სულთანს, რომ მან ირანის ტერიტორიების დაპყრობა განაგრძოს. ეკატერინე კი თურქებს წინააღმდეგობას ვერ უწევდა, რადგან თამაზი შერიგების სურვილს არ ამჟღავნებდა; ხოლო ირანში არ მოიპოვებოდა ისეთი ძალა, რომელსაც რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენებდა. მიუხედავად ამისა, ეკატერინე თამაზის წინააღმდეგ მაინც არ მოქმედებდა და იმედოვნებდა, რომ ის რუსეთის წინადადებებში თავის სარგებლობას დაინახვდა და რაც უფრო ადრე დათანხმდებოდა, მით უფრო სწრაფად გადაწყვდებოდა ირანისა და საქართველოს საკითხები.

ეკატერინე იმედს გამოთქვამდა, რომ ქართლის მეფე თამაზის დაიყოლიებდა და იმ დავალების შესრულებას ვახტანგზე უკეთ ვერავინ შეძლებდა, რადგან ის იყო მეტად გავლენიანი, ავტორიტეტული და საქმის დიდი მცირებელი. ამასთან ერთად, ეკატერინე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რუსეთ-ირანის ურთიერთობის მოწესრიგებით პირადად ვახტანგიც უნდა დაინტერესებულიყო.

ვახტანგს ავალებდნენ დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო გილანში და მოლაპარაკება დაეწყო თამაზთან; ემოქმედა დოლგორუკოვთან შეთანხმებით და შეეგროვებინა ზუსტი ცნობები ირანისა და ამიერკავკასიის მდგომარეობის, თურქეთისა და ავლანელთა ბელადის — აშრაფის საქმიანობის შესახებ და სხვ.

ვახტანგს ურჩევდნენ, თუ თამაზი გაჯიუტდებოდა, მაშინ მის-თვის ეთქვა, რომ ეკატერინეს გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფ-
10. გ. პაიჭაძე



ნა ოლარ შეუძლია და იგი თამაზის წინააღმდეგ მოქმედებას კუთხით უკავშირდებოდა. მას შაპისათვის უნდა ჩაეგონებინა, რომ ირანში შექმნილი ვითარების გამო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება შაპისათვის საუკეთესო გამოსავალი იყო და რომ მსგავს ვითარებაში სხვა დიდი სახელმწიფოებიც ანალოგიურად იქცეოდნენ. კერძოდ, უნდა დაესახელებინა თვით რუსეთის მაგალითი, როდესაც მან შინაარეულობის გამო შვედეთს ვერ გაუშია სათანადო წინააღმდეგობა და თავისი უძველესი პროვინციები დაუთმო, ხოლო შემდეგ კი, როცა მოაწესრიგა შინაური საქმეები, ის პროვინციებიც უკან დაიბრუნა და შვედეთზე შეური იძია.

ეკატერინე ცუხადებდა, რომ საკუთარი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხებისადმი თავისი კეთილი სურვილების გამო იგი ნებას არ მისცემდა, რომ თურქეთს დაეპყრო როგორც საერთოდ ირანი, ისე საბოლოოდ დაპატრიონებოდა 1724 წლის ხელშეკრულებით დაკავებულ ირანისა და ამიერკავკასიის ტერიტორიებს. მაგრამ ვინაიდან ამის მიღწევა შესაძლებელი იყო ზეოლოდ თურქეთთან ომით, ამიტომ რუსეთი საომრად ემზადებოდა და უკავშირდებოდა სხვა სახელმწიფოებს, კერძოდ, რუსეთმა კავშირი შეერა აცტრიისთან. სამხედრო მოქმედებას კი რუსეთი ვერ დაიწყებდა, ვიდრე ირანში არ დამყარდებოდა შაპის ძლიერი ხელისუფლება, რომელიც თურქეთის წინაოღმდეგ ეჭრიურ მოქმედებას შეძლებდა.

ვახტანგს უნდა აეხსნა შაპ-თამაზისათვის, რომ არც პეტრე პირველი და არც ეკატერინე ირანის დაპყრობას მიზნად არ ისახავდნენ. ამის დასადასტურებლად მას უნდა ეთქვა, რომ რუსეთი მზიდ იყო ირანისათვის კაბიისპირეთის ზოგიერთი პროვინცია დაებრუნებინა. ქართლის მეფეს კონკრეტულად შეეძლო მაზანდარანისა და ასტრაბალის დათმობაზე ელაპარაკა (ფულადი ანაზღაურების პირობის გარეშეც), საჭიროების შემთხვევაში გილანის დაბრუნება-საც დაპირებოდა. მაგრამ რუსეთის მთავრობისაგან განსაკუთრებული ნებართვის მიუღებლად გილანიდან ჯარი არ უნდა გაეყვანათ. თამაზისათვის კი აეხსნათ, რომ ვიდრე ირანში წესრიგი არ დამყარდებოდა და შაპის ხელისუფლება არ აღდგებოდა, რუსეთის ჯარების ამ პროვინციებიდან გაყვანა სახითათო იყო. ხოლო თუ თამაზი რუსეთის წინადადებებს მაინც არ მიიღებდა, მაშინ მისთვის უნდა ეთქვათ, რომ ეკატერინე იძულებული გახდება იგი თავის მტრად სცნოს და 1724 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ძალით ირანის ტახტზე ახალი შაპი აიყვანოსო.



ინსტრუქციაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ დიდი სიფრთხისათვალით, თურქებისაგან ფარულად, რუსეთის მხარეზე გადმოებიშე²⁶ ბინათ ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხები და თვით ირანელებიც კი.

დასასრულს, რუსეთის მთავრობა რწმენას გამოთქვამდა, რომ ვახტანგ VI გულწრფელად შეასრულებდა დაკისრებულ მისიას. ქართლის მეფეს და მის საგვარეულოს ეკატერინე I განსაკუთრებულ პატივისცემასა და მფარველობას ჰპირდებოდა.

ამ ინსტრუქციის გარდა ვახტანგი აღჭურვეს ზოგიერთი სხვა დიპლომატიური დოკუმენტის ასლით, სახელდობრ, რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ტექსტით, ეკატერინე I და კანცლერ გოლოვკინის მიერ შეპ-თამაზის კარზე გაგზავნილი წერილების ასლებითა და ავრამოვისათვის მიცემული ინსტრუქციით.

უფრო გულახდილად თავის მოსაზრებებსა და სურვილებს ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე ეკატერინე პირველის მთავრობა დოლგორუქოვისათვის მიცემულ ინსტრუქციაში გამოთქვამდა²⁶. გენერალს აუხსნეს, რომ მას უნდა ემოქმედა უმაღლესი საიდუმლო საბჭოს გენერალური გეგმის მიხედვით, რომელიც მხოლოდ პირადად მას უნდა სცოდნოდა. ამ გეგმის ძირითადი მიზანი კი ის იყო, რომ რუსეთი თანდათანობით ირანის საქმეებისაგან განთავისუფლებულიყო („по малу искать из персидских дел выйти“), ხოლო ირანში თურქეთის საჭინააღმდეგოდ ძლიერი ხელისუფლება დაემყარებინათ და თურქებისათვის კასპიისპირეთში ან საერთოდ რუსეთის საზღვრების მახლობლად გამაგრების საშუალება არ მიეცათ. რადგან ვახტანგისათვის მიცემული დავალება ამ გეგმის შესრულებას ემსახურებოდა, ამიტომ დოლგორუქოვს ქართლის მეფესათვის დახმარება უნდა აღმოვჩინა.

გარდა ვახტანგისათვის მიცემული დოკუმენტებისა, დოლგორუქოვს ეძლეოდა სომხეთიდან მიღებული წერილების ასლები, ლევაშოვის²⁷ მოხსენებების პირები და, აღბათ, ვახტანგთან ურთიერთობის გამწვავების შემთხვევისათვის, ეკატერინე პირველის 1725 წლის ცნობილი მემორანდუმი, რომელიც თავის დროზე ქართლის მეფეს არ გადასცეს.

დოლგორუქოვი გააფრთხილეს, რომ ფხიზლად ყოფილიყო თურქებთან დამკიდებულებაში, არ მიეცა მათთვის 1724 წლის

²⁶ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთთან, 1726 წ., საქმე № 7, ფურც. 69—81.

²⁷ ვ. ლევაშოვი გილაში მდგარი რუსეთის ქარის მეთაური იყო.



ხელშეკრულების დარღვევის საბაბი, გაემაგრებინა კასპიის ტრატორია
პროვინციები და სხვ., ხოლო თუ თურქები მტრულ მოქმედებას
დაიწყებდნენ და აუცილებელი გახდებოდა მათთან შებრძოლება,
მაშინ ვახტანგის დახმარებით დოლგორუქოვს ბრძოლაში აქარად
უნდა ჩაება არა მარტო ქართველები და სომხები, არამედ ირანე-
ლებიც და თამაზთან თურქეთის წინააღმდეგ კავშირი უნდა შეეკრა.

თუ მოვლენების განვითარება საჭიროდ გახდიდა ისეთი სას-
ტრაფო ზომების მიღებას, რომლებსაც ინსტრუქცია არ ითვალის-
წინებდა, დოლგორუქოვს უფლება ეძლეოდა ვახტანგისა და მთე-
ლი გენერალიტეტის თანხმობით სათანადოდ ემოქმედა. მაგრამ მა-
ინც საჭიროდ ჩათვალეს ინსტრუქციის საიდუმლო პუნქტებში
აღენიშნათ, რომ ვახტანგის რჩევა დოლგორუქოვს უნდა მიეღო
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «... когда оной... во всем с интересами
сами ея императорского величества сходно поступать станет,
а ежели б он иногда что учинить предвосприять похотел
еже б с теми интересами не сходно было, то надлежит ему...
генералу, оного пристойным образом от того удержать и для
того на все его, царя, поступки искусно смотреть и приличными
представлениями его к тому привесть, дабы он один
без совету и согласия с ним, генералом, ничего не учинил и
не предвосприял, а в противном надлежит с ним, царем Вах-
тангом, поступить со всякою учтивостию и повелевать отда-
вать ему везде пристойное почтение, дабы он причин какому
озлоблению не имел»²⁸.

ამრიგად, ეკატერინე პირველის მთავრობის ვარაუდით ვახ-
ტანგ მეექვისის დიპლომატიური მისიის ძირითადი მიზანი ის იყო,
რომ თამაზთან ურთიერთობა მოევვარებინათ და თურქების წი-
ნააღმდეგ მებრძოლ ამიერქავეკასიის ხალხებისათვის მორალური
შხარდაჭერა გაეწიათ.

ხოლო ვახტანგი, თავის მხრით, რუსეთის მთავრობის დავალე-
ბის შესრულებით საქართველოს საკითხის მოვარებას ფიქრობ-
და. ჯერ ერთი, ეკატერინე პირველისა და შავ-თამაზის პოლიტიკურ
ურთიერთობაში შეამავლად გამოსვლით იგი რუსეთის მთავრობის
საგარეო პოლიტიკაში საქართველოს საკითხის მნიშვნელობას ზრდი-
და. მეორე, რადგან საქართველოს საკითხი ირან-თურქეთის ურთი-
ერთობის პრობლემასთანაც იყო დაკავშირებული, შავთან მოლა-
პარაკებაში უშუალო მონაწილეობით ვახტანგს საქმეებზე გავლენის

²⁸ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთ-
თან, 1726 წ., საქმე № 7, ფურც. 81.

შოთავენა შეეძლო და მდგომარეობა თავის სასარგებლოდ — კულტურული
თლის ტახტის დაბრუნებისათვის გამოყენებინა.

1726 წლის აგვისტოს ვახტანგ მეექესე დარუბანდში ჩავიდა.
აქ 28 აგვისტოს ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიაში მას საზეიმო
ვითარებაში ანდრია პირველწოდებულის ორდენი გადასცეს. 10
სექტემბერს ვახტანგი რეშტში ჩავიდა²⁹.

ამ დროისათვის თამაზთან დამოკიდებულება თითქოს გაუმ-
ჯობესდა. გილანში ირანის მოციქული მირზა მოჰამედ ქაფი ჩავიდა.
იგი 1725 წ. 3 ნოემბერს ეხლა ლევაშოვს, ოფიციალურად არა
შაპის, არამედ ყორჩიბაშის მოჰამედ რეზას სახელით³⁰. ფაქტოპრი-
ვად იგი ნიადაგის მოსასინჯად გამოგზავნეს, რომ საჭირო შემთხ-
ვევაში თამაზს რუსეთის სარდლობასთან მოლაპარაკების დაწყება
შეძლებოდა. მოჰამედ ქაფიმ ლევაშოვსა და ირანის ყოფილ ელჩს
ისმაილ-ბეგს ყორჩიბაშის წერილები ჩამოუტანა. მოჰამედ ქაფიმ
აგრეთვე ქართული წერილებიც ჩამოიტანა, რაც შემთხვევითი რო-
დი იყო. წერილებში მოჰამედ ქაფის დადებითად ახასიათებდნენ.
ერთის ავტორი იყო თამაზის კარზე მყოფი კონსტანტინე კახთა
მეფის ძმისწული, რომელიც თავის წერილს კახთა მეფის მიერ რუ-
სეთის სარდლებთან წარგზავნილ იქსესა და როსებს სწერდა. მე-
ორე წერილი კი შაპის კარზე მყოფ ქართველ თავადებს სარიდანს
და რევაზს ეკუთვნოდა. ისინი წერდნენ რუსეთის ჯარში მომსა-
ხურე ვინგე ელიშბარს³¹.

ლევაშოვი და მოჰამედ ქაფი ერთმანეთს რამდენჯერმე თოი-
ციალურად შეხვდნენ. ამ შეხვედრებს ისმაილ-ბეგიც დაესწრო.

ირანის წარმოგზავნილი საუბარში ხშირად უსვამდა ხაზს ორი-
ვე სახელმწიფოს შორის წარსულში მშვიდობიანი ურთიერთობის
არსებობას და აღნიშნავდა: თამაზი არ იცნობს 1723 წლის ხელ-
შეკრულების პირობებს, რადგანაც ისმაილ-ბეგი მასთან არ დაბ-
რუნდა. ლევაშოვი რუსეთის ჯარის მიერ კასპიისპირეთის და-
კავების მიზეზს ირანში მომხდარი არეულობით ხსნიდა. გენერალი
აღნიშნავდა: რუსეთს რომ არ დაკავებინა კასპიისპირა პროეკტი-
ები, თურქები მათ ხელში ადვილად ჩაიგდებდნენ, ვინაიდან

²⁹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა საქარ-
თველოსთან, 1726, წ., საქმე № 1, ფურც. 202, 226—227; ვა ხ უ შ ტ ი ბ ა გ-
რ ა ტ ი თ ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 509.

³⁰ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთ-
თან, 1726 წ., საქმე № 4, ფურც. 25.

³¹ იქვე, ფურც. 32—36.

ირანის შაპს მათთვის წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდა ამიტომ თამაზისათვის უკეთესი იყო, რომ კასპიისპირეთი მოკეთის ხელში ყოფილიყო და არა მტრისათ.

ლევაშოვმა უარყო მოპამედ ქაფის აღგუმენტები, რომ თით-ჭოსდა თამაზი არ იცნობდა 1723 წ. ხელშეკრულების პირობებს. ირანის მოციქულს მან მოაგონა თამაზის კარზე გაგზავნილი გო-ლოვეენის წერილები, რუსეთის რეზიდენტად მეშჩერსკის დანიშვნა, რომელიც შაპმა უკან გამოისტუმრა და სხვ.³²

ერთი სიტყვით, მოპამედ ქაფი ფრთხილად ეძებდა იმის შესაძლებლობას, რომ ირანს კასპიისპირეთი უკან დაებრუნებინა. ლევაშოვი კი ამ პროვინციების რუსეთთან შეერთების აუცილებლობას ამტკიცებდა.

30 ნოემბერს მოპამედ ქაფი რეშტიდან გაისტუმრეს. მას თან გააყოლეს თარჯიმანი ყაზანელი თათარი აბდულა შიგავი, რომელსაც შაპის, ყორჩიბაშისა და სხვა ირანელი დიდებულების სახელზე წერილები გაატანეს.³³

1726 წლის გაზაფხულზე მოპამედ ქაფი კვლავ ჩამოვიდა რეშტზი და გოლოვკინის, ლევაშოვისა და ისმაილ-ბეგის სახელზე ყორჩიბაშის წერილები ჩამოიტანა. შაპ-თამაზი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ირანის ელჩი კვლავ რეშტში იმყოფებოდა და თანაც შაპს გილანში, რუსეთის ჯართან ჩასვლას ურჩევდა. თამაზი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ისმაილ-ბეგი მასთან დაბრუნებულიყო. მაგარმ უკანასკნელმა კარგად იცოდა შაპის კარის მუხანათობა და არ შეასრულა თამაზის მოთხოვნა. იგი თვალკრემლიანი შესჩიოდა მოპამედ ქაფის: მთელი ჩემი საქმიანობა ირანის სახელმწიფოსა და სეფიანთა დინასტიის ინტერესებს მოვახმარეო. რეშტში დარჩენას კი იმით ხსნიდა, რომ შაპის კარისკაცთა შორის ბევრი მტერი ჰყავდა და მათი შურისძიებისა ეშინოდა.

ლევაშოვმა განაცხადა: რუსეთის სარდლობა ისმაილ-ბეგის გამგზავრების წინააღმდეგი არ არის, ხოლო თავის მხრით შაპს ამ საქმეში დახმარებას ვერ გაუწევს, რადგან უცხოეთის ელჩის იძულებითი გასახლება შეუძლებელიაონ.³⁴

1726 წ. 23 აპრილს მირზა მოპამედ ქაფი გილანიდან გაბრუნ-

³² რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთის, 1726 წ., საქმე № 4, ფურც. 40—42.

³³ იქვე, ფურც. 44—45.

³⁴ იქვე, ფურც. 388—395.



და, ამჯერად მას თან გააყოლეს ავტომოვი და ამილახვარი. გამოცემული სიტყვით, მოპამედ ქაფის ჩამოსვლას არსებითად არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მატიუშვინი და ლევაშოვი კვატერინეს შემთხვევით როდი მოახსენებდნენ, რომ ირანიდან მიღებული წერილები უშინაარსო იყო, ხოლო მოპამედ ქაფის მისის მიზანი ისმაილ-ბეგის გატყუება და ხელში ჩაგდება არისო. ლევაშოვმა ეჭვი გამოთქვა იმის გამოც, რომ შაპი უახლოეს ხანში ელჩს გამოგზავნიდა ხელშეკრულების დასადებად. გენერალი რჩევას იძლეოდა — თამაზს საერთოდ ნუ შეპირდებით კასპიისპირეთში რომელიმე ტერიტორიის დაბრუნებასო. მისი აზრით, ყოველგვარი დათმობა რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ადგილობრივ მთლობელებს შეეძლოთ რუსეთის სისუსტით აეხსნათ. ამას კი მათი შეიარაღებული გამოსვლები მოჰყვებოდა.

ამრიგად, გილანში ვახტანგ შეექვსის ჩასვლამდე თამაზთან დამკიდებულების საკითხში რუსეთის მთავრობის სასარგებლოდ რაიმე სერიოზული ცვლილება არ მომხდარა.

თვით ვახტანგ მეექვსის გამოჩენამ რუსეთ-ირანის დიპლომატიურ მოლაპარაკებაში შაპ-თამაზზე გარკვეული გავლენა მოახდინა.

ჭერ კიდევ გზაში შეიოთმა ვახტანგ შეექვსემ ირანიდან წერილები მიიღო. სარიდანმა და სხვა ორმა კარისკაცმა ვახტანგს აცნობეს, რომ თამაზი მისდამი კეთილად არის განწყობილი და აშრაფისა და თურქების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საკითხზე მოლაპარაკება სურსო. მალე ვახტანგს წერილი თვით შაპმაც გამოუგზავნა. თმაზი ხაზს უსვამდა ვახტანგისადმი, როგორც ქართლის მეფისადმი თვის დამკიდებულებას და ურჩევდა გოლანში ჩასულიყო მოსალაპარაკებლად³⁵.

რეშტში ჩასვლისთანავე ვახტანგმა შაპს და მის კარისკაცებს წერილები გაუგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ ყორჩიბაშისაგან, რომელიც ლაპიგანში იმყოფებოდა, შიკრიყი მოვიდა. 8 ნოემბერს ვახტანგი და ყორჩიბაში მოპამედ რეზა ერთმანეთს რეშტის მასლობლად შეხვდნენ. დაიწყო მოლაპარაკება.

ვახტანგმა განაცხადა, რომ რუსეთი ირანის ტახტზე თამაზის დამკვიდრებით არის დაინტერესებულიონ, თამაზს რუსეთ-ირანის 1723 წლის ხელშეკრულებაზე უარის თქმას უსაყველურებდა. თამაზს ამ გზით შეეძლო მოეპოვებინა რუსეთის მხარდაჭერა და თურქეთისა და აშრაფის წინააღმდეგ ძალის შემოკრება. ყორჩიბაში

³⁵ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთის, 1726 წ., საქმე № 4, ფურც. 204—209, 344.

ვახტანგს დაეთანხმა და აღუთქვა, რომ მიუხედავად ზოგოვრისათვის კარისკაცის წინააღმდეგობისა, შეეცდებოდა შაპის დაყოლიებას. ამიტომ ყორჩიბაშვილი უოველი შემთხვევისათვის ვახტანგს მაინც სთხოვა, თუ ამის გაეცებას ვერ მოვახერხებ, მაშინ ეკატერინეს-თან მიშუამდგომლე, რომ რუსეთში დავსახლდეო.

ყორჩიბაშვან მოლაპარაკების შედეგები ვახტანგმა კანცლერ გოლოვკინს აცნობა. თამაზთან მოსალაპარაკებლად ვახტანგმა თუ-რქისტანიშვილი და დავით ნაზარაშვილი გააგზავნა. ქართლის მეფე შაპის ურჩევდა ან თვითონ ჩასულიყო გილანში, ან ოფიციალურად ხელშეკრულების დასადებად ელჩი დაენიშნა.

ყორჩიბაშვან შეხვედრის შედეგები ვახტანგმა დოლგორუკოვსაც აცნობა და რწმენა გამოოქვა, რომ თამაზს რუსეთის მთავრობის წინადადებებზე დაითანხმებდა. დოლგორუკოვი კი საქმეს მაინც ეჭვის თვალით უყურებდა. მაგრამ ვახტანგმა შეძლო მიეღწია მიზნისათვის. თამაზმა დანიშნა ოფიციალური წარმომადგენელი—ყოფილი ყორჩიბაში მოჰამედ რეზა, რომელიც უკვე სპასალარი იყო³⁶.

1727 წ. მარტში ირანის წარმომადგენელი, ლევაშოვი და ვახტანგ მეფე რეზტის მახლობლად, ქუჩუქ-ისფაპანში ოფიციალურად შეხვდნენ ერთმანეთს. ლევაშოვის განცხადებას, რომ ეკატერინე პირველს 1723 წ. რუსეთ-ირანის ხელშეკრულების დამტკიცება სურდა, სპასალარმა უპასუხა: საჭიროა ურთიერთსარგებლობის და ურთიერთდახმარების პრინციპის დაცვა და თამაზის მხარდაჭერა. შაპის წარმომადგენელი მოითხოვდა, რომ რუსეთის დაებრუნებინა ირანისათვის კასპიისპირეთის პროვინციები, რადგან თამაზი „მიწები და ადგილები თავისთვის აღარ რჩებათ“. მასთან ერთად სპასალარი მოითხოვდა, რუსეთი თამაზს მტრებთან ბრძოლაში დაეხმაროს. სპასალარმა სცადა თამაზის გამართლება და რუსეთის რეზიდენტთან მომხდარი ინციდენტი იმით ახსნა, რომ მეშჩერსკიმ მოითხოვა მისთვის გაეცნოთ შაპის მიერ ეკატერინესათვის გაგზავნილი სიგელის შინაარსი, რაც თითქოს დაპლომატიური ეტიკეტის ნორმების დარღვევას ნიშნავდა.

ლევაშოვმა თავის მხრით აღნიშნა, რომ რუსეთი ყოველთვის უსწრაფოდა ირანთან მევობრობას და საერთო მტრების დამარცხებას. მაგრამ ამჯერად საქმეს თვით ირანელები უშლიან ხელსო.

³⁶ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთან, 1726 წ., საქმე № 9, ფურც. 194—195, 201—206, 237—248, 304—309.



როცა დაიწყეს ახალი ხელშეკრულების პირობების შემთხვევაზე კანონით გვება, სპასალარმა განაცხადა, რომ თამაზი რუსეთისა და თურქეთის მიერ ტერიტორიების შემოერთებას იმ შემთხვევაში აღიარებდა, თუ ისინი აშრაფის წინააღმდეგ ბრძოლაში მას მხარს დაუჭირდნენ და ავლანელებისაგან ირანის ტერიტორიას გაათავისუფლებდნენ. ამ ცხარე პაექტობაში აქტიურად ჩატანებულია განვითარების სპასალარი დაიყოლია. სპასალარმა მიიღო რუსეთის მთავრობის წინადადებები და მზად იყო ეცნო რუსეთ-თურქეთის 1724 წლის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ თამაზს დაუბრუნებდნენ მაზანდარანსა და ასტრაბადს; ხოლო გილანში — ლაპიჯანს. თანაც გარანტიას იძლეოდა, რომ ირანის ტახტზე დამკვიდრების შემდეგ თამაზი ლაპიჯანიდან მიღებულ შემოსავალს რუსეთს გადაუხდიდა.

ვახტანგმა იმასაც მიაღწია, რომ სპასალარის მიერ შეთავაზებული პირობებით, გაერკვიათ საქართველოს საკითხიც, კერძოდ, თურქეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლება და ქართლის ტახტზე ვახტანგ მეექვსის აღდგენა აღენიშნათ.

ამრიგად, რუსეთის მთავრობის დავალება ვახტანგმა წარმატებით შეასრულა. ირანის წარმომადგენელი მზად იყო რუსეთთან ხელშეკრულება დაედო იმ პირობით, რომ ეკატერინე პირველი გილანს არ დათმობდა. მაგრამ საქმე ხელშეკრულების გაფორმებამდე არ მისულა. ამჯერად ლევაშოვი საქმის გაჭიანურებასა და დროის გაყვანას ცდილობდა. იგი სულ ახალ-ახალ საკითხებს აყენებდა, უსაყვედურებდა სპასალარს: გილანელებს რუსეთის წინააღმდეგ, ძერზებო. ასე რომ, მოლაპარაკება შეწყდა³⁷.

ვახტანგი საგონებელში ჩავიარდა. 1727 წ. 1 აპრილს მან ვაჟული წერილით ყოველივე აცნობა გ. გოლოვკინს. იდენტური წერილი პ. ტოლსტოისაც გაუგზავნა³⁸. ვახტანგი ბრალს სდებდა ლევაშოვს, რადგანაც გენერალი ინსტრუქციის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, ვახტანგმა მას მოლაპარაკების ჩაშლის მიზნების წერილობითი ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ლევაშოვი თავს იმარტლებდა და უველაფერს ვითარების შეცვლითა და რუსეთის მთავრობის ახალი მითითებებით ხსნიდა. უნდა ითქვას, რომ ვახტანგს ლევაშოვთან თავიდანვე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენერალი საერთოდ წინააღმდეგი იყო თამაზისათვის რაიმე ტერიტორიული დათმობისა და მოითხოვდა კასპიისპირეოში ძალის თუნდაც გარეგნულ გამოვლა-

³⁷ რუსეთის საგრაფო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპასალარი, 1727 წ., საქმე № 5, ფურც. 5—9, 79—112, 134—157.

³⁸ იქვე, ფურც. 5—9, 153—157.



ნებას. ხშირ შემთხვევაში, კასპიისპირეთში დაბანაკებული იყო გამოსახული თის ჭარის საერთო სისუსტის გამო, ეს მეთოდი გამართლებული იყო. ღოლგორუქოვი თავის მოხსენებაში არაერთხელ აღნიშნავდა ლევაშოვის პირად დამსახურებას „წესრიგის დაცვის საქმეში“. მაგრამ რთულ ვითარებაში მყოფი გენერალი ჰველაფერს დიდი ეჭვით ეყიდებოდა და ხშირად, იქ, სადაც სრულებით არ იყო საკირო, მომეტებულ სიფრთხილესა და უნდობლობას იჩენდა მაგლითად, ის ეჭვის თვალით უყურებდა ქართველების მოღვაწეობას და უნდობლობას იჩენდა ვახტანგ მეექვის მიმართ. მართალია, ასეთი დამოკიდებულება ქართლის მეფისადმი თვით ეკატერინესა და მისი მთავრობის მიერ იყო ნაკარნახევი,. მაგრამ პრაქტიკულ ცხოვრებაში ეს ღვივდებოდა, ერთი მხრით, ლევაშოვისა და მსგავსი პირების მომეტებული სიფრთხილით, მეორე მხრით კი აერავოსა და მისი მსგავსი მოხელეების კარიერისტული მისწრაფებებით და სხვ.

ჯერ კიდევ 1725 წ. ჩემტში მყოფი დავით ნაზარაშვილი ჩიოდა, რომ ირანიდან წერილებს დიდი დაგვიანებით იღებდა, რადგან რუსეთის სარდლობა მათ სინჯავდა, რის გამოც ნაზარაშვილს დიდად ეშლებოდა ხელი.

როგორც ვიცით, ლევაშოვს დავალებული ჰქონდა სომხებისათვის წინასწარ ეცნობებინა კასპიისპირეთში ვახტანგისა და ღოლგორუქოვის ჩამოსვლა. მაგრამ დავალება მან არ შეასრულა, რადგან არასწორი ცნობები ჰქონდა სომხებისა და ქართველების დამოკიდებულებაზე და ამ საკითხს მეტად ტენდენციურად მიუღა. თავის მოქმედებას იგი დაუსაბუთებელი მიზეზებით ხსნიდა: «.... о грузинском царе Вахтанге в предосторожность ея императорского величества интересов умолчал, для того что... усмотрел, что некоторые народы между собою так в ненависти не пребывают, как армяне з грузинцами, а напаче по законам и по состоянию армян не без опасения мнитца быть имеет. Ежели армянское собрание о присылке к нам грузинского царя Вахтанга уведают, а особливо их патриархи и командир их Аванас юзбаша..., от помянутого объявления за ненависть чтоб не вознегодовали и новогоб чего не восприяли, понеже в нынешние времена армяне сами своего ига отбить счаствия смотрят и случаев ищут»³⁹.

ცნობილია, რომ ვახტანგს მჟიდრი ურთიერთობა ჰქონდა სომებ პოლატიკურ მოღვაწეებთან. თავის დროზე მან ენერგიული

³⁹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტექნიკი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სამარსეთან, 1726 წ., საქმე № 4, ფურც. 394.

ზომებიც მიიღო სომხური ჯარის ჩამოსაყალიბებლად. საქართველო
მკელევარი ფ. არუთინიანი წერს: სომხური ჯარები არსებობდნენ
აღრეც, განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამდე... მაგრამ
სომხური რაზმების გაერთიანება და დამოუკიდებელი სომხური
ჯარის შექმნა მოხდა XVIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში, როცა
შეიქმნა სომხური სგნახები. სომხური ჯარის ორგანიზაციის საქმე-
ში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველმა მეფემ ვახტანგ
მეექვსემ, რომელიც დამყრობთა წინააღმდეგ სომები ხალხის შე-
იარაღებული ბრძოლისა და მისი სამზადისის პერიოდში სომხებ-
თან ეჭავნიდა მხედართმთავრებს.⁴⁰

ჩვენ მიერ აღნიშნული სომები პატრიარქის ესაია და სხვა სომები მოღვაწების მრავალი წერილი, ომლებსაც ისინი რუსეთში ვახტანგ მეექვსესა და ეკატერინე პირველს უვზავნიდნენ, ნათლად მოშობენ ლიკაშვილის ე. წ. „მიზეზების“ უსაფუძვლობას.

თვითონ ვახტანგი შესჩიოდა უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრებს, რომ დარუბანდში მასთან ერთ ხანს არ უშვებდნენ სომხეთიდან ჩამოსულ უზბაშებს, ხოლო გილანში მას უზღუდავდნენ მოქმედების თავისუფლებას.

ლევაშოვი დაინიებით ცდილობდა ჩაეკონებინა თავისი მთავრობისათვის ის აზრი, რომ ვახტანგი თითქოსდა ადვილად იჯერებდა სპასალარის ცრუ დაპირებებს და საშიში იყო, რომ სპასალარი რუსეთს ხელიდან გამოგლეჭდა ვახტანგს. ამის გამო გენერალი ცდილობდა ვახტანგისათვის „მეურვეობა“ გაეწია.

1727 წ. აგვისტოში დოლგორუკოვის სახელზე გაგზავნილ წე-
რილში ლევაშოვი აღნიშნავდა ვახტანგ მეექვსის აქტიურ საქმია-
ნობას და დამსახურებას თამაზთან ურთიერთობის მოგვარებაში.
ამავე დროს იგი შიშობდა, რომ ვახტანგი მას დაბრალებდა მო-
ლაპარაკების ჩაშლას და ქართლის მეფეს კვლავ ბრალდებად უყე-
ნებდა ირანის დაპირებებისადმი მომეტებულ ნდობას⁴¹.

1727 წლის დეკემბერში ლვანებვით წერდა დოლგორუკოვს:
«...а что царь грузинской просил у вашей высококняжеской
светлости, чтоб случающихся к нему писем не разпечатывать,
и я всякие письма вскрываю по прежнему его императорско-
го величества указу..., и уповаю оным вскрытиям и впредь
быть надобно»⁴².

⁴⁰ об. П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., 1954, с. 155—156.

41 რუსთანის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. რუსთანის ურთიერთობა სპარსეთთან, 1727 წ., საქმე № 9, ფურც. 342—345.

42 ପଦା, 1728 ଫ୍ରେ, ଶାଖା ନଂ 5, ଫୁଲପ. 45.

რაც შეეხება ავრამოვს, ის ეჭვის თვალით უყურებდა თურქეთის ტანიშვილსა და ნაზარაშვილს — ვახტანგ მეექვსის წარგზავნილებს თამაზის კარზე. ხოლო ამილახვარს, რომელთანაც ერთად ირანში ჩავიდა. მან ღალატი — გამაპმადიანება და ოფიციალურად შაპის სამსახურში. შესვლა დასწამა. 1727 წ. ივლისში, როცა ამილახვარი რეშტში დაბრუნდა, ავრამოვის დასმენის შედეგად რუსეთის მთავრობა პეტრბურგში სასწრაფოდ მის გაგზავნასა და საქმის გამოიხებას აპირებდა. მაგრამ ამჯერად თვით ლევაშოვიც კი და-ეჭვდა ბრალდების სისწორეში, ხოლო დოლგორუკოვმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა მისი პეტრბურგში გაგზავნა. ამილახვარი დატოვეს ვახტანგ მეექვსის ამალაში, რომელიც ასტრახანში ბრუნდებოდა⁴³. ერთი სიტყვით, ვახტანგ მეექვსეს როული დიპლომატიური მისის შესრულება მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა.

ადვილად გასაგებია, რომ თავმოყვარე მეფე იმის გამო, რომ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და მის წერილებს უნდებართვოდ კითხულობდნენ, ერიდებოდა წერილებში მნიშვნელოვან საკითხზე წერას და შაპთან ძირითადად სიტყვიერ მოლაპარაკებას სჯერდებოდა, როგორც შაპის, ისე თავისი კაცების მეშვეობით. ამიტომ დღეს ჩვენთვის ძნელია ყველა საკითხისა და იმ დიპლომატიური ხერხების დადგენა, რომლებსაც ქართლის მეფე შაპთან მოლაპარაკების დროს მიმართავდა. ყოველ შემთხვევაში, ის კი ცხადია, რომ ვახტანგ მეექვსეს შაპის კარზე არსებული ანტირუსული დაჯგუფების წინააღმდეგობის დასაძლევად ცოტა არ უშრომია. თუ გავითვალისწინებთ შაპისა და მისი კარისკაცებისათვის განკუთვნილი საჩუქრების ხარჯებს, რომელთა დაფარვას ვახტანგი რუსეთის მთავრობას თხოვდა, დავრწმუნდებით, რომ ქართლის მეფემ შაპთან მოლაპარაკებისას თავისი ნაცნობობის საკმაოდ ფართო წრე გამოიყენა. მაგრამ რუსეთის მთავრობის დიპლომატიური დავალება, რაც კარგად შესარულა ვახტანგ მეექვსემ, წარმატებით არ დავიტვევინდა, რადგან შეიცვალა უმაღლესი საიდუმლო საბჭოს პოლიტიკა თამაზის მიმართ.

ამ დროისათვის თურქეთმა დაიწყო მოლაპარაკება აშრაფთან. სულთანს სეპარატული ხელშეკრულების დადება სურდა. ამის გამო რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა თავი შეეკავებინა თამაზთან ოფი-

⁴³ რუსეთის საგარეო პოლიტიკის აჩქივი, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთთან, 1727 წ., საქმე № 6, ფურც. 82—83; საქმე № 9, ფურც. 79—80; ფ. რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1725 წ., საქმე № 8, ფურც. 1, 13—17, 1727 წ., საქმე № 8, ფურც. 1—4.



ციალური კავშირის დამყარებისაგან. როგორც ჩანს, უმაღლესი მართვა
დუმლო საბჭოს წევრები შეშინდნენ, რომ შეიქმნებოდა საჭინაალ-
მდეგო კავშირი თურქეთსა და აშრაფს შორის, რომელიც თამაზზე
ძლიერი იყო. უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრებმა ლოდინის პო-
ლიტიკა აირჩიეს. მათ სურდათ, ერთი მხრით, გაეჭიანურებინათ მო-
ლაპარაკება თამაზთან, ხოლო, მეორე მხრით, მოესინჯათ ნიადაგი
ისფაპანში—დაწყოთ მოლაპარაკება აშრაფთან. საჭირო შემთხვევა-
ში მასთან ხელშეკრულებაც დაედოთ, რომ ამით აშრაფთან თურქე-
თის კავშირის მნიშვნელობა გაეჭარწყლებინათ.

ამასთან ერთად თვით რუსეთის მთავრობაში შექმნილი მდგო-
მარება სულ უფრო განაპირობებდა უმაღლესი. საიდუმლო საბ-
ჭოს გაუბედავ საგარეო პოლიტიკას. 12 წლის ასაჟში პეტრე მეო-
რის ტახტზე ასვლის შემდეგ (1727 წ. მაისი) უმაღლესი საიდუმ-
ლო საბჭოს წევრებს შორის უფრო გამძლავრდა ბრძოლა ხელის-
უფლებისათვის და არავის ცხელოდა ამიერქავებისის საქმეებისა-
თვის, მით უმეტეს, თურქეთთან შებრძოლებისათვის. ამაռ იყო
ქართველი პოლიტიკური მოლვაშების ცდა, რომ რუსეთს აქტიუ-
რი მონაწილეობა მიეღო თურქეთის ბატონობისაგან ამიერქავები-
სის განთავისუფლებაში. ვახტანგ მეექვისის ბიძაშვილი დარეჯან
არჩილის ასული, რომელიც ულოცავდა პეტრე მეორეს ტახტზე
ასვლას, ამავდა გამოთქვამდა სურვილს, რომ პეტრე პირველის და-
წყებული საქმე პეტრე მეორეს დაემთავრებინა. უმაღლესი საიდუმ-
ლო საბჭო სწორედ პეტრე მეორის დროს უფრო მეტად დასკილდა
პეტრე პირველის პოლიტიკურ კურსს.

1727 წლის 1 აპრილს გ. გოლოვკინისა და პ. ტოლსტოის სა-
ხელზე გაგზავნილ იდენტური ხასიათის წერილებში ვახტანგი დე-
ტალურად ოწერდა შაპ თამაზთან მოლაპარაკების მსვლელობას და
შედეგებს. ვახტანგის ეს წერილები მრავალმხრივაა საინტერესო
და ამიტომ მოლიანად მოვიტანთ ტექსტს გ. გოლოვკინისადმი
მიწერილი წერილის მიხედვით.

„ქ. ბრწყინვალევ ლრაფ, ჩემო ბატონო გავრიელ ივანოვიჩ.
ეს მოგახსენო:

ათს სეკდენბერს რაშტს მოველ. მეორესვე დღეს იარანალ მა-
იორს, საცა მუნასიბი იყო, იქ გასაგზავნი კაცი ვთხოვ, ორი შათირი
მომცა. ერთი ყევნთან გავგზავნე და ერთი მაშინ რომ ყორჩიბაში
იყო, ახლა რომ სპასალარია, ამასთან გავგზავნე.

ყევნს მივსწერე: თქვენ დაეგბარებინეთ, აქ გამოველ. სხუა
სიტყვებიც მაქვს. ამისას როგორ მიბანებთ, როგორ ვქნა? ერთი

ამგვარი წიგნი ამ სპასალარს მივსწერე, რომ ეს წიგნები ყერის უგზავნები შეატყობინე.

შათირის ხელით რომ წიგნები გავგზავნე ყერთან, ის გზაზედ დაეჭირათ. ვერ გაევლო. სპასალართან რომ წიგნი გავგზავნე, იმას მწვე თავს შეედვა და მაშინვე გაეგზავნა ყერთან. თვითან მაშინ-შე ერთი ყერის ყმა გამოეგზავნა, რომ ყერის ვახმების ვეზირია, შირზა ნასირა ჰქვიან. მშვიდობით გამოსულა მოელოცა და ცხენი შეკაზმული ოქროს რახტითა და უნავირითა, ყალიონი ოქროსი მინაქარი და სხუა გილანის ხელთნაქნარი. კიდევ ისე ცხენები შეუ-კაზმავი გამოეგზავნა მოსაყითხვად. მეც, რომელიც მართებული იყო, იმ კაცს ისე დავხუდი.

მე ეს შეუთვალე: ვიცი რომ თქვენ და რუსები შეურიგებელი ხართ მეთქი და ამათში არ მოხვალ მეთქი. თუ აქ სიახლოეს სადმე მოხვალ. მეც ვამოვალ და ერთმანერთს ვნახავთ და კარგი იქნება, ამ საქმისა ეგება, ერთი რიგი, ერთი გზა და საქმე მოხდეს.

იმას მწვე ამებოდა და შემოეთვალა — რაშტაბათი ჰქვიან, ერ-თი სოფელია. მეც იქ გიახლები, თუ გაირჩებითო, თქვენც მობძან-დითო. კნიაზ ბასილი აქ არ იყო. მაიორ იარანალს ვკითხე. ამანაც არჩია და თქვა: თუ ყერთან კაცს გაგზავნითო, სანამდი ანბავი მოვიდოდეს, მტრობა უნდა დასწყინარდესო. ის მოვიდა იქ. მეც წაველ-

ნოენბერს ცხრას შევიყარენით. რაშტიდამ ოცი ვერსი იქნება. მე რომელიც მმართებდა, იმგვარი სიტყვები უთხარ. იმანაც ბევრი თავი იმართლა. ღ [მერ] თ [მა] ნ იცისო, ჩვენ ერთი კაცი არავინ გუფგანდა შუაში, რომ კელმწიფისათვის გაემინებინათ და მო-ეხსენებინათ, თვარამ ჩვენ კელმწიფის შერიგება და სამსახური დი-დალ გვინდათ. მაგრამ ზოგიერთს საქმეს შუაში მყოფთ კაცთ აბ-რალებდა, რომ ამათ არ მოინდომესო და ამათ არა ქნეს ჩვენი შე-რიგება, თვარამ ჩვენ არასღროს უარი არ გვითქამს, თვარამ ახლა ყერენს მოვახსენოთ და რისაც შემძლებელი არის, თუ ყერი ყველა-ზედ არ დაგყვესთ, ჩემი ბრალი იყოსო. მაგრამ მე კიდევ მაგათან ეგ იმედი არა მაქვს, რომ შერიგება მოახდინონ. მე აქათი საქმე თავს დავიდევ რომ აქათმან კაცმან არცარა ურიგო თქვან და რომელიც შერიგების წიგნში სწერია, არცარას იმას გარდავიდენ და არც ურიგო რამ ქნან.

ყერეს მე ამას წინათ როგორც მოგახსენე, ისე მივსწერე წიგ-ნი და სპასალარმაც ცალკე მისწერა, რომელიც იცოდა თავისი ბა-ტონის რიგი და საქმე. ეს პირობაც დავდევით, რომ ერთმანერთში-გარის გასევა და მტრობა არა იყოს რა, სანამდის ანბავი მოვიდო-



დეს. ყევნთან ორი ჩემი კაცი გავგზავნე. იმანაც თავისი კაცი ქართულება ტანა. მე გამოვბრუნდი. რაშტა მოველ და ის თავის ალაგს შეკუთხედებული და. მაგრამ ორი კვირა რომ გამოვიდა, ამათ ჯარი გაუსიერს ჩემს შეუტყობრად. მე არ შემიტყვია, შავთხე ბევრი ალაგი დაწვეს და წახალინეს. სპასალარს კაცი გამოეგზავნა და შემოეთვალა, რომ პირობა ხომ ასე იყო, შაშ გავს რომ ჩვენგან შეურიგებლობის ნდომა არ არის. მაგრამ მაგათგან გამოჩნდა, რომ მაგათგან უფრო აზარის. ამათ უთხარ და ამათ მითხრეს—ასე სჯობსო. მე ვეღარა უთხარ რა. ამისთვის, რომ ეგება ამათთვინ კელმწიფეს ცალკე რამ ებძანებინოს მეთქი და მე არ ვიცოდი და ვეღარა უთხარ რა. მას-უკან კიდევ სადაც სპასალარი იდგა, იქ წიგნი მისწერეს, რომ თუ მოხვალთ ის არისო, თვარამ ჩვენ მოვალთ, სულ აგათხრებთო. იმ წიგნის მუსავადი გამოეგზავნა სპასალარს და წიგნი მოეწერა, რომ ეს საქმე და წიგნი ჩვენის პირობიდამ დიაღ შორ არისო. მიველ ის წიგნიც ვაჩვენე ამათ. ესეც უთხარ, რომ მე თქვენის პირობით და სიტყვით მიველ და დაუდვე ეს პირობა. თქვენ რატომ იქთამას მეთქი. იმათ ასე მითხრეს: შენ რომ მაშინ იქ იყაო, პეტრებრუს, ის საქმე გამოიცვალაო. ახლა სხუა საქმე არისო. ჩვენ სხუა ბრძანება მოვვივიდაო. მე ეს სიტყვა მწვე გამიკვირდა ამისთვის, რომ თუ ავრე იყო, უნდა ჩემთვინაც ერთი სიტყვა გებძანებინათ, რომ მე ამ ქვეყნებში ერთი პირისწყალი მქონდა და მიცნობდენ, რომ მე ამათში სიტყვა არ წამხდენოდა და არ გავმტყუნებულიყავ, ან ჩემი ამდენი სარჯელი ცუდად არ ყოფილიყო. არც ამდენი დამეხარგა. მე ამაში რალას ვეტყოდი. მე ამათ უთხარ, როგორც გებრიანებოდესთ, ისე ქენით.

ამათ ჯარის გასევა მოინდომეს სპასალარზე და უნდოდათ, რომ კიდეც გაესიათ. უწინ რომ სპასალარს წიგნები გაეგზავნა ყევნთან ჩემი, ის რომ მოსლოდა ყევნს, მაშინვე თავისი სუფრაჯ ბაში გამოეგზავნა ჩემთვინ და ერთი ჩვენი ქართველი ქნიაზიშვილი იქ ყევნს ახლდა, ისიც თან გამოეტანებინა. დავებარებინე და რაყმები მოეწერა. სუფრაჯ ბაშმა ჩემთან მოსულა მოინდომა. მე შეძლება არა მქონდა ხარჯისა. იარანალ მაიორიც დალონდა ხარჯისათვის. ამ გზით დაგვიანდა. ამაში ჩვენი კაცებიც მოვიდნენ და სპასალარი რომ ვნახეთ, ისიც იქ ვნახეთ. მოვიდა იანვარს (ლ). იმისი სავალები მიახლებია. იმაში ნახავთ და შეიტყობთ, რაც მოუწერია. კნიაზ ბასილი იმ წინადღეს გასკრისაკენ წავიდა და ფირიბაზარს იყო. შევატყობინე ეს ამბავი. ორ დღეს ამას უკან კიდევ სპასარლის კაცი მომივიდა. შემოეთვალა, რომ ამ ცოტა



ჩანმი ჩვენი ჩატრები მოვლენო. კაცი მოშივიდა, ესეც კნიგზე დამატებული იქნებათ და ლევაშოვს გაახლებო, და რომელიც ამან გითხრას, ისე ქენო. იარანალ მაიორიც მოვიდა. ჩვენი კაცებიც მოვიდნენ. თორმეტს თებერვალს კელმწიფესთან ნამა მოეწერათ. იმისი სევადი ჩვენთან გამოეგზავნათ, სპასალართანა და ჩემთანა, რომ რაც კელმწიფისათვის მიმიწერია, ეს არისო. გაშინჯეთ და შეიტყვევითო. ამისი ნესხა მანდ მიახლებია. თქვენც გაშინჯავთ, რაც მოუწერია. ერთი წიგნი ჩემთან და ყორჩიბაშთან მოეწერა, რომ შერიგდით რიგიანისა და მართებულის საქმითა, რომელიც ჩვენგნით შეიძლებოდეს, სპასალარს რომ ესეები მოსლოდა, შემოეთვალა, ერთს ალაგას შევიყაროთო. ამისი ერთი რიგი დავდეთო. რაშტს მოყვანას საკელმწიფოს ხარჯს დავერიდენით, რომ ხარჯი მოხდებოდა. ქუჩუქ ისპაანი ჰქვიან, თხუთმეტი ვერსია რაშტიდამ. იქ მიღვწერეთ, იქ მოდი და ჩვენც იქ მოვალთო. ისინი მოვიდნენ. ჩვენც ხუთს მარტს რაშტიდამ წავედით. ჩვენც მივედით. სპასალარი წინ მოგვეგება ორს ვერსზე სოფელს გარეთ. შივედით. იმ დღეს ხომ ალარა იქნებოდა რა. მეორეს დღეს ერთმანერთი ვნახეთ. თქვენმა კაცებმა ისინი ნახეს. ჩვენ იმათ ვნახეს. რა ერთმანერთის ნახვას მოვრჩით, მეოთხე დღეს აუდენციაში შევიყარენით. რაც ერთმანერთს ველაპარაკენით, თავის მართლებასა თუ, ან სპასალარმა რაც უთხრა, ან ამათ, ის ყველა თათრულად დაწერილი მიახლებია. სპასალარმან კიდევ ეს უთხრა, რომ ეს გამოჩენილი არისო, რომ რომელსაც შერიგების საქმეს ვვეტყვით, ჩვენ ყველაზედ მზანი ვირთო. მაგრამ რახან კი შერიგება მოხდება და მეგობრობა, ეს ხომ სათქმელი არ არის, რომ ან მტერთან მიდითო და მტერმან ამოგწყვიტოსთო, და ან არა და შიმშილით დაიხოცენითო. ახლა ჩვენ თუ ერთს ალაგს მოგვცემთ, რომ ჩვენი სარჩო იყოს და ან გამოვიზდებოდეთ სადმე, ამ ქვეყნებს ახლავ დაესცლით და მოგართმევთო, და თუ არა და გეგულებოდესთ ჩვენში მაგისთანა ალაგი, რომ იქ გამოვიზრდებოდეთ, გვითხარით, მაინც დაგიცლით ამას და იქ წავალთო. თუ არა და ამთენი წყალობა გვიყავით, რომ ერთი სხუა ადგილი გვიშოვნეთ, რომ ჩვენ იქ წავალთო, რომ ჩვენ გაგვეძლებოდეს და ამას თქვენ დაგიცლით ამ პირობით, რაც პირობას გვთხოვთ იმ ტრაქტრავში. აქ მე ჩაგირთავ ხელსა, ურუმის ტრაკტრავშიაც და იქ ყევენი ჩართავსო.

იარანალ მაიორმა ეს უთხრა: ეგ როგორ იქნებაო, რომ ერთი ფექის ადგილი არ მოგცეთო. რომელიც თქვენი სიტყვა იყოს, დას-

წერეთ, გვიბოძეთო. პასუხს მოგახსენებთო. იმათ წიგნი მოსტიქაშებთავა და სპარსულად რაც მოსწერეს, მანდ მიახლებია. ეს რომ იარანალს მოუტანეთ, იარანალმა შორს დაიჭირა. ერთი სხუა წიგნი დასწერა. ტრაკტრავის შესმატებლად, რომ თუ ამაში ხელს ჩართავთ, ის არისო, თვარემ არ იქნებისო. ის წიგნიც თათრული დაწერილი მანდ მიახლებია.

იმათ რომ ეს მიუტანე, შორს დაიჭირეს. ამითი ჩვენი გა-მოზრდა როგორ იქნებაო და ან ის რომ გითქვამთ, რომ ჩვენის ჯარის აზულა თქვენ მოვიტანეთო, ან ეს როგორ უნდა შევიძლოთ (იმან ერთი წიგნი დასწერა. იმის ნუსხაც მიახლებია. იარალარს, რომ მიუტანეთ, არ ქნა. ამან ოთხი პუნქტი დასწერა, ისიც თათრულად დაწერილი მიახლებია. მერმე იარალარმა თავისი ნუსხები აღარ მისცა სპასალარს და იმათც წიგნათ აღარ მოსწერეს. ზეპირად მითხრეს და უთხარ)⁴⁴. ამაში იმათაც ბევრი მითხრეს, ამათაც ბევრი თქვეს. ლაპარაკში ხანი ბევრი გამოვიდა და ბოლოს სპასალარი მე ამაზედ დავიყოლიყ: ლაიგანი, მაზანდარა და ასტარაბათი იმათ ჰქონდათ: საზრდოთ მისდრომდინ. იმათ, რაც ამას გარდა გილანის მიწა და ადგილი ეჭირათ, ის დაეცალათ და თქვენთვინ მოერთმევინათ. რაც ლაიგნის მოსავალი დღეის იქით ყიზილბაშთ დაეხარჯა, ის, როდესაც ამათვინ სხუა ალაგი გეშონათ, ის თეთრი და რაც დაეხარჯათ, ისევ თქვენთვინ შემოებრუნებინათ. მაზანდარასა და ასტარაბათს გარდაისად. არცა ეს ამჭობინა იარანალ მაიორმა და არა ქნა.

მერმე იმათ ეს უპასუხეს: რადგან არც ეს ქენითო, კელმწიფეს კელმწიფისათვის ნამა გამოუგზავნიაო. მაშ ერთი კაცი თქვენ გაატანეთ და ეს ნამა გავგზავნოთ და კაციო. თქვენც თქვენს კელმწიფეს მოახსენეთ და ჩვენც ჩვენს კელმწიფეს მოვახსენებთო. თუ დასჯერდნენ ხომ კარგია, თუ არა და რაც ამბავი იქიდამ მოგიყიდესთ, ისი ვქნათო. იარანალ მაიორმა ასე თქვა: თუ ამას არა იქ, მე სხუას არ დავგერდებიო და არც ნამასა და კაცს გავგზავნიო. ამაში საქმე მოიშალა. ის თავისითვის აპირებდა წასვლასა და ეს თავისითვისა. შერიგების საქმე გარდასწყდა. ველარ შერიგდნენ. მოშლას აპირებდნენ მე რადგან თქვენი ბრძანება, მანდ რომ ვნახე, მწვებე ბეჭითად მქონდა დაბარებული ამათი შემორიგება, მე იარანალ მაიორი მოვიყვანე და უთხარ: ეს საქმე რომ ასრე ცუდათ იშლება და შეურიგებლობა ხდება, ბოლოს მტერობა ხდება ამათში, მე

⁴⁴ ჩვენ მიერ ფრჩხილებში ჩამული სიტყვები დედანში არშაზე წერს სხვა ხელით.



რომ იმ კაზისეკაცთ სიტყვა ვნახე, ვეჭობ ეს არ ვარგიყოს შემდეგით
თუ გიჯობინებიათ, მე ეს ბრძანება მაქვს, რომ სრული შემძლე-
ბელობის ბრძანება მაქვს. შენ ხომ უმბობ მაშინდელი საქმე სხუ-
ა არისო და ახლა წიგნი მოგვივიდა, გამოიცვალაო, მე ხომ ამისთანა
წიგნი ვერა ვნახე. მაშ მე რომ კელმწიფებ მითხრას, შენ რომ სრუ-
ლი შემძლებლობა გქონდა ჩემგან, ესეც რომ იცოდი, იმისი შერი-
გება ჩვენ გვინდოდა, მაშ ასე ცოტა საქმით რატომ მოშალეო, მე
რაღა უნდა მოვახსენო. მაშ მე თქვენ ერთი წიგნი მომეცით, რომ
ეს თქვენ გექნასთ. ამ საქმეს არ დასჭერებულიყოთ, რომ მე კელ-
მწიფებსთან ერთი სიტყვა მეთქმოდეს. მითხრა მოგცემო. მასუკან
ეფიქრებინა, ეს ოთხი სიტყვა დაუწერა და მომიტანა. თუ დამჭერ-
დებიან, ამას უზამო. ეს ოთხი სიტყვა მე სპასალარს უთხარ.
სპასალარმა დიალ შორს დაიჭირა ეს. ბევრის დანახვებითა და
ბევრის ცდით. ბოლოს ეს დავაჭერე, რომ რაც ამ იარანალმან თქვენს
ტრაკტრავზედ მოუმატა, ყევნმა ამაში ხელი ჩართოს. ორი თვე ვადა
მისცეს, ჩართოს. თუ არ ჩართოს, იმისი ანბავი მოიტანონ. თუ ჩარ-
თო, ხომ შერიგება მოხდება, თუ არ ჩართო, ის მოგეხსენებათ.

მე რახან ეს მითხრეს, შენს უკან საქმე გამოიცვალაო, მე
აღარც ამ საქმეს დავამტკიცებდი, ამ შერიგებას. ჩართალს მოგახ-
სენებ და არც ამ იარანალს წინ აღუდგებოდი. მაგრამ მანდ თქვენ
ამათი შერიგება დიალ მონდომებით მიბრანეთ და თუ ეს არ მექნა,
ყევნთან კაცის გაგზავნა და შემოცდა ამათში მტერობა შეიქნებო-
და. მერმე, ეგება თქვენ კიდევ შერიგება გებანათ და გდომოდათ
და მტერობას უკანის სამსახური აღარ წნილიყო. ახლა თქვენთვის
მომიხსენებია. კნიაზ ზურაბ და კნიაზ ფრანგისტან მიახლებია. ეს
სიტყვები მომიხსენებია. თუ ყევნმან, როგორც იარანალ მაიორმან
მისწერა იმაში კელი ჩართო, ხომ კარგია და თუ ვინ იცის იმაში კე-
ლი არ ჩართო, მაშ რასაც ესენი თხოულობენ, ეს ყიზილბაში, ხომ
უკელა მომიხსენებია. თუ შერიგება გეპრიანებათ, რომელსაც ამაში
სჯერხართ გვიბრანეთ და იმას ვიქთ. თუ არა და რომელსაც კიდევ
გვიბრანებთ, იმისი მქნელი ვართ. მაგრამ ამისი ამბავი მალე უნდა
გვიბრანოთ და მოვიდეს აქ. ამისთვის რომ ეს იარანალი უბნობს, რომ
ამ ორ თვეს უკან მე კელმწიფის ბრძანება მაქვს და არც ბრძანება
მინდაო, რომ მტერობასაც ვეცდებით და კიდეც უმტერებო. რახანც
ერთხელვე მტერობა ჩამოვარდება, მას უკან შერიგების საქმე
ვეჭობ უფრო გაგვიძნელდეს. ნება თქვენია, რომელსაც ბრძანებთ.
კიდევ ეს მომიხსენებია, თუ ამ ორს თვეში ამისი ამბავი არ მოგ-
ვივიდა, ეს მტერობას არ იშლის და ნება თქვენია.

მაშინ რომ მანდ გახლდით, თქვენ ხომ არა მიბძანეთ რა, ჰასტიშვილია
ამ საქმასა, რომ ასე ქნა, ასე გაარიგეო. მე ხომ არა მოგახსენე რა,
რომ ამისი შემძლებელი ვარ, ამისი არა. ეს მიბძანეთ: ისტრუქციას
გამოგიგზავნითო, რაც იმაში ეწეროს ისი ქნო. ისტრუქციას
გომივიდა თქვენგან. ოთხი სამსახური ეწერა. ერთი ეს ეწერა, ყვენის
შერიგება, რისაც გზით იყოს ეცადეო. თუ არა სხუარიგად არ იქნას,
მაზანდარა და ასტარაბათიც დაუდევითო. თუ არც ამითი იქნას, გი-
ლანისათვის, თუ ერთს რამდენსაც მუნასიბს თეორს მოგვაროთმევს,
გილანის დადებაც შეგიძლიათ. მაგრამ ჩვენს მოუხსენებლად კი არ
იქნებათ და რომელიც ტრაკტრავში სწერიაო ისე კიდეც მოვეხ-
მარებითო. მე ხომ თქვენის ბეღნიერობით ამდენს ვეცადე, რომ
გილანიც დაცადებინე. მაზანდარაც და ასტარაბალიც, რომელიც
ზეით მომისხენებია, იმ გზით. გვანდა, ამათ თქვენი ბრძანება სხუა-
რიგად მოსვლიათ და ესეები ყველა მოიშალა. თქვენც მოგეხსენე-
ბათ, ამისი გარიგება არც უცდელიათ და ულაპარაკოთ იქნებოდა
და არც უსარჯოთ. თუ ასე იყო, მართებული იყო, რომ ერთი წიგ-
ნი ჩემთვისაც გებოძებინათ, რომ არც ამდენი ხარჯი დამმართე-
ბოდა, არც ერთი ეს დამრჩმოდა, რომ ჩემი სიტყვა ამათში გვი-
დოდა და დაიჯერებდნენ, რომ ის არ წამხდენოდა და არც ეხტიბა-
რი გამტეხოდა.

მრავალი თქვენი ყმანი გახლავან აქ, ამათ ჰყითხეთ, თუ რა
სარჯელი მიმილია ამ საქმეზე, ან რა ხარჯები დამმართებია, ან
სიკულალს არ დავრიდებივარ, ან როგორ გავრჩილვარ ზღვასა თუ
ქმელზე. ახლა ჩემი სამსახური თქვენთანაც მოიშალა და ამ ქვე-
ყანაშიაც სიტყვა გატეხილი, გამტყუნებული და გაწილებული
შეიქნა. მე ამისთვის თავი არ დავზოგე, რომ რაღაც კელმწიფე
მიბრძანა, პირველი სამსახური იყო, რომ ეს გამერიგებინა. ბრძა-
ნება გამესრულებინა, თვარამ თქვენც მოგეხსენება ამაში ჩემი სარ-
ებელი არა იყო რა. ღ [მერ] თ [მა] ნ მაგათ სამჯობინაროდ წარ-
მართოს, თვარამ ჩემი თავი მაგათის ჭირის სანაცლო იყოს. მაგრამ
მე ზოგიერთი სიტყვით გავიგონე, მართლა არ ვიცი, იქნება თუ
არა, რომ ყიზილბაშებს თავისთვის ელაპარაკნათ, ჩვენ ეს თრნი
კელმწიფენი გველაბარაებოდნენ შერიგებასა. ჩვენ ასე ვთქვით:
რაღაც ხონთქარმან ესე ქნა ჩვენზედა, მაშ ჩეენ რუსეთის კელ-
მწიფეს შევურიგდეთო, რომ ურუმს ეს უთხათ, რომ ჩვენ სხუას
რჯულს შევრიგდითო, თქვენ კი არაო, იმათთვინ ერთი სირც-
ხეილი იქნებათ. მეორეს ამას გვეუბნებოდნენ, რუსის შერიგება
ამისთვის გვინდოდათ, რომ ამას გვეუბნებოდენო, რომ რაც ჩვენ

ქვეყნებს დაგვიდებოთ, ამას გარდა რაც ქვეყნები დარჩებათ, ამას დაგიჭერთო, გაგიწმენდოთ და მოგცემთო. ახლა ხომ აღარც ის გავითავეს აღარც ის და მტერობაზედაც დგებიან. ჩეენთვის ისი სჯობსო, რომ ხონთქართან მივიდეთო, რჯულიც ერთი გვაქუსო და პირიცაო, რაც ამათის პირით მამულს ვანებებთ, ის დავანებოთო და ჩვენი საქმე გავარიგოთო. მეორე კიდევ ესეც გავიგონე ჭორად, რომ ურუმის ჯარი დიდი იყრება და ავლანზედ მოდიან, თუ ხელი მოემართათ ავლანებზე, შასულთან უსეინ, ძველი ყევენი, ისევ ცოცხალია, ის გამოიყვანონ და ტახტზე დასვან, შერიგდენ. ვეჭობ, რომ თქვენზედაც ასტარილამ რომ ურუმები გაპყარეს, იმის-თვინ თუ ხელი მოემართათ, მტრობას აპირებდნენ. მე ესეები ამაზედ მოგახსენე, რომ მე მართლა არ ვიცი. მაგრამ ვინ იცის, რომ იქნას. მერმე ეს არ გებდანებინათ, რომ შენ რომ ეს საქმე იცოდი, რატომ არ მოგვახსენეო. ამაზე მოგახსენე, რომ საყვედლური ბოლოს არ დამედვის. ნება თქვენია.

სხუა მიბაძანეთ, რომ აქაური ამბები და საქმე შემეტყო და მომეხსენებინა. მესამე ის შიბაძანეთ, რომ ურუმსა და თქვენში თუ აშლა მომხდარიყო, ყიზილბაშის კაცი თქვენთვის მომეყოლიებინა და ყოფილიყვნენ. მეოთხე ეს მიბაძანეთ, რომ თქვენი შესამატებელი მეძებნა. მეხუთე სომხის საქმე მიბაძანეთ, რომ შემომეცდევინა შესამატებელისა ეს მომიხსენებია, ისიც მოიკითხეთ, სანამდი მე გამოვიდოდი ქვეყანა და ქალაქი როგორ იყო. მე რომ გამოველ, ან ქალაქი როგორ აშენდა და გაკეთდა, ან სოფლები და ან მოსაგალს როგორ მოემატა. სომხებისა დარუბანდიდამაც მოგახსენე. კნიაზ ბასილმან დამიშალა, მაგრამ მე რომ მანდ თქვენი იმისთანა ბრძანება მქონდა და სხუა წიგნი ამისი დამშლელი ვერა ვნახე, მე მაინც ასეთის გზებით მივსწერე და შევატყობინე, რომ დღეს აქამდინ დგანან და არიან თვითან. ერთი კაცი დღესაც იმათში არის დაფარგით და ამ ცოტასხანში იმის ანბავს მოველი, მაგრამ ამათ მე ასრე მითხრეს, შენ სხუს საქმეში კელი არა გაქვსო თუ არ ყევნის საქმეშიათ. არცარა უკითხავთ ჩემთვინ და არც მე გავერივე. თვითონ სომხების უზბაშები იყვნენ აქა, პირეველად კიდეც მოვიდნენ ჩემთან, მასუკან ჩემთან აღარ მოუშვეს, წასვლის დროს მეტათ, წასვლის დროს მოვიდნენ. მნახეს და წავიდნენ. ახლა მე ამას გევეწება, რომ თუ ჩემის ქვეყნის რეგბა რამ მოხდება და იქნება ამ გზით და საქმით, მე ხომ, თქვენც შოგეხსენებათ, მე სამსახურს ვერ შევიძლებ აშვარიად, სხვის კელქვეითად რომ ვიყოთ. ამ ქვეყანაში ან თქვენი რა სახელი იქნება ეს, ან ჩვენს სიტყვას ვინ გაი-



გონიერს. ამდენი ხანია აქათ გახლავართ, ერთი ჩემი კაცი ვერ გამოვიდა ახლე. მე ხომ ბრძანება არა მაქვს, რომ ჩემით გამოვგზავნო. სხულის სხულს ვეხვეწო, ესეც არ შემიძლია. მე ამას უკადრისობით არ მოგახსენებ, ჩემმა კელმწიფემ რომ უფრო დაბალი სამსახური მიბანოს, იმასაც ვეცდები, მაგრამ თუ საქმეს ვერ გავიგებ, უფრო სირცხვილში და წყრომაში ჩავიარდები.

ჩემის საქმისა ერთი ფიქრი ჰქენით, დამიბარეთ, ან ერთი რამ გამირიგეთ. სხუა ეს მოგახსენოთ: ყენის წიგნებსაც ნახავთ, რომ ჩემი მამული არც ყენის მამულია და არც იღრიბეფანია. არც ყენის ყმა ვყოფილვარ. მინდობილობის მეტად არც არა ხონთქარზე ჩემი დანაშაული ჩანს, რომ დამეშავებინოს რამე და იმიტომ ხონთქარს ჩემი მამული წაერთმევინოს და ოხრებდეს. მე რა მოგახსენო, ყველა მოგეხსენებათ, რისათვინც შიყო ეს და რისათვინაც ირჯება. თუ ამ წყალობას მიზამთ, რომ ჩემის შვეუნისა კიდევ ამის უფრო წახდენსა და გაურჯულებას არ მაჩვენებთ და ამას საფლავში არ ჩამატანთ, რომ ის ჩემს შვილსა და შვილიშვილს დაეკარგოს, ხომ კაი წყალობა იქნება. თუ არა და ნება თქვენია. მე ამას არ მოგახსენებ, რომ თქვენის დასაკლისის საქმით ჩვენი რამ გაკეთდეს. შუამავლობით იყოს. ძალით იყოს. ნებით იყოს, თქვენის დაუკლისის საქმით. თუ არ დაგვაგდებთ და არ დაგვივიწყებთ, კარგია. თვარამ ნება თქვენია.

სხუა ზოგიერთი სიტყვა იყო, რომ წიგნით მოსახსენებლად ჩემგან გაუბედავი საქმე იყო. მაგრამ ხვალ ეგება ამათ თქვენთვინ მოეხსენებინა და თქვენ გებძანათ, ამათ რომ გითხრეს, შენ რატომ არ მოგახსენე ჩვენო. არამც გწყენოდესთ, ამისთვის ჩემის შვილის ბაქარისათვის მომიწერია. თუ მანდ გახლავსთ ის არის. თვარა მიაყვანინეთ და ის მოგახსენებსთ.

კიდევ ყენებს ჩემთვის მოყურობის საქმე რამ შემოეთვალა, ისიც იმისთვის მომიწერია. ის მოგახსენებსთ.

გაბრიელა ფოდიაჩი მოკვდა, რუსი მწერალი არა მყვანდა, ქართულად იმისთვის გაახელ წიგნი.

ერთი ეს მოგახსენათ სპასალარმა, თუ ხელმწიფეებში შერიგება მოხდებაო, ჩემი ელჩი უნდა გვიბოძონო, ამისთვის რომ სხუას კელმწიფეებში არ ითქვას, ელჩი წაართვესო. არც მაგათი საკადრისია და არც ჩვენთვის სჭობსო. თუ ჩვენგან ამისი ფიქრი აქვსთ რამე, რომ ჩვენ მაგას ვაწყინოთ რამე, პირობას მივართმევოთ, რომ არა უსაყვედუროთ რა. თუ არა და არას გვემართლებიან. მაგვარი კაცი არის რა. ან ჩვენ დაგვაკლდებოდეს, იმისთვის მოგახსენებდეთ, ან მაგათ შეემატებოდეს და იმის დასაკლისათაო. მაგრამ ქვეუნის სირცხვილისათვის მოგახსენებთო.

კიდევ ყაზმინედ ლაშქრობის თხოულობენ, რასაც დღიული გადასახადის ნუზლი დამზადონ.

ზეით რომ ჩვენის ქვეყნისა მოგახსენე, შუამივლობით უკის,
თუ რითაც იყოს, ეგება გვიშოვოთ მეტქი. მე ასე არ მომისხენებია,
რომ ხეანთქრის ჰელდებულად ვიყო. თუ ასე მოხდება, რომ თქვენს
ჰელდებულად გამირიგებთ, წყალობა და მადლი იქნება. თუ არა
იმის ჰელდებულად არც მინდა და არც მივალ.

თქვენის ბრწყინვალის სამსახურის მოწადე საქართველოს მე-
ფი ვახტანგ.

ქრისტეს აქათ 1727, აპრილს 1[“]⁴⁵.

როდესაც უმაღლესი საბჭოს წევრებმა განიხილეს ვახტანგის უს წერილი, გადაწყვიტეს ეცნობებინათ მისთვის, რომ იმპერატორი ვახტანგის საქმიანობით კმაყოფილი იყო და გამოთქვამდა იმედს, რომ ის შემდგომშიც ასე ერთგულად ემსახურება რუსეთის იმპერატორს⁴⁶. ვახტანგს წინადადება მისცეს იმავე წლის ზაფხულში დაბრუნებულიყო მოსკოვში. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ იგი დროებით ასტრახანში გაჩერებულიყო, რადგანაც საქმის მსვლელობას კვლავ ვახტანგის მონაწილეობის მიღება შეეძლო გამოეწია. მაგრამ გილანში ჭირის-ეპიდემია დაიწყო, ვახტანგის იმალაში რამდენიმე კაცი გარდაიცვალა. ამიტომ მას უქვესი კვირა კარანტინში ყოფნა მოუწია. 1727 წ. სექტემბერში ვახტანგ მეექვსე რეშტიდან ასტრახანს გაემგზავრა⁴⁷. გილანიდან გემით წამოსულს, გზაში ახალი სიძნელეები გამოუჩნდა. ჯერ იყო და კასპიის ზღვაზე დიდი ლელეხის გამო უკან დაბრუნება და ასტრახაში გაჩერება მოუხდა, შემდეგ კი ბაქოში რუსეთის მთავრობის ახალი ბრძანებებისა და სათანადო ნებართვების ლოდინი მოუწია. ცარიცინში იგი კვლავ კარანტინში დაიყენეს. 1728 წლის 26 მაისს ვახტანგი შესჩიოდა გ. გოლოვკინს, ა. ოსტერმანსა და კ. სტეპანოვს, რომ მას გზაში ტყუილუბრალოდ აჩერებდნენ. იგი მოსკოვში ჩასვლის ნებართვას თხოულობდა⁴⁸.

უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრები ამ დროისათვის უკვე

⁴⁵ რუსეთის საგარეო პოლიტიკის აღწევა, ფ. რუსეთის ურთიერთობა სპარსეთიან, 1727 წ., საქმე № 5, ფურც. 5—9, 153—157.

⁴⁶ იქვე, ფ. რუსთან ურთიერთობა სპარსეთთან, 1727 წ., საქმე № 6, ფურც.

⁴⁷ օյջո, զւրկ. 77—79; Տայբե № 8, զւրկ. 55—57, 90—91; Տայբե № 9, զւրկ. 37—45, 64, 420.

⁴⁸ сб. Переписка..., с. 181—182.

ფიქრობდნენ, რომ თამაზის ნაცვლად ხელშეკრულება ავღანელების ახალ ბელადთან აშრაფთან დაედოთ. მაგრამ რადგანაც ამავე გაურკვეველი იყო, თუ ვინ შეძლებდა საბოლოოდ ირანის დაპატრიონებას, აშრაფი თუ თამაზი, ამიტომ მოლაპარაკებას ჯერ ორივესთან აწარმოებდნენ. შემდეგ კი თანდათან სულ უფრო აშრაფისაკენ იხრებოდნენ. 1729 წელს მასთან კიდევაც დაიდო ხელშეკრულება. რუსეთის მთავრობის ეს ნაბიჭი დააჩქარა აშრაფთან ოსმალების შეთანხმებამ⁴⁹. შემდგომ კი მოვლენათა მსვლელობა აშრაფის საწინააღმდეგოდ წარიმართა. ირანში დაწინაურდა აფშართა ტოშის წარმომადგენელი მხედართმთავარი ნადირი (შემდგომ ნადირ-შაპი), რომელმაც მხარი დაუჭირა თამაზს (თავმასბს), მის „სამსახურში“ ჩიდგა და სახელად თავმასბ-ული ხანი დაირწვა. ნადირმა შეძლო მოეხდინა ძალების მობილიზაცია. მან დაამარცხა აშრაფი და შემდეგ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით გამალა. ამავე დროს თვით ოსმალთა იმპერიის მდგომარეობა შეირყა. 1730 წლის სექტემბერში კონსტანტინოპოლიში იფეთქა აჯანყებამ პატრონ-პალილის მეთაურობით. დიდი ვეზირი მოკლეს. ხოლო სულთანი ახმედი იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო. ტახტზე ძმისწული მაჰმუდი იყვანეს. 1731 წლის მარტსა და აგვისტოში კონსტანტინოპოლიში ახალი ძალით კვლავ დაიწყო ქალაქის მოსახლეობისა და იანიჩართა გამოსვლები.

ერთი სიტყვით, ოსმალთა იმპერია კრიზისს განიცდიდა. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ რუსეთს შეეძლო საქართველოსათვის სამხედრო დახმარება გაეწია ისე, რომ არც ოსმალეთისა და არც ირანის მხრივ სერიოზულ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა. მაგრამ უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრებმა ამ მხრივ არაფერი იღონეს. ისინი მთლიანად დაკავებული იყვნენ თავიანთი „შინაგანი საქმე-ებით“ — ხელისუფლებისათვის ბრძოლით. ამიერკავკასიისა და საქართველოსათვის არავის ეცალა.

1730 წლის 18 იანვარს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი თოთხმეტი წლის პეტრე II და 25 იანვარს ტახტზე ანა ივანეს ასული იყვანეს. ანას მეფობის დროს (1730 — 1740) იმპერიაში „ბირონოვშჩინას“ რეკიმი დამყარდა და მთავრობა სარსებითად ანტიეროვნულ პოლიტიკას ახორციელებდა.

ვახტანგი ბევრს ცდილობდა, რომ საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის საკითხთ დაეინტერესებინა რუსეთის მთავრობა.

⁴⁹ იხ. Г. Г. Пайчадзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII в., Тб., 1970, с. 140—150.



იგი ამტკიცებდა, რომ ამ მხარეში რუსეთს ქართველების, სომხეთისა
ბისა და სხვა კავკასიელი ხალხების მხარდაჭერის ამედი პუნდუ
პერნილა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი და რუსეთის პო-
ლიტიკა ირანისა და თურქეთის მიმართ ისე შეეხმებინა, რომ
საქართველოს აქედან რამე სარგებელი ენახა.

ვახტანგ VI ამავე დროს გარევეულ როლს ასრულებდა რო-
გორც ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის
ორგანიზატორი. მას მჭიდრო კავშირი არ შეუწყვეტია სომხეთის
პოლიტიკურ მოღვაწეებთან და ყაბარდოელ თავადებთანაც. მათ
არაერთხელ მიუმართავთ ვახტანგისათვის თხოვნით, რომ მას
რუსეთის მთავრობასთან ეშუამდგომლა ამა თუ იმ საკითხზე. ვახ-
ტანგი აქტიურად მოქმედებდა იმ მხრივაც, რომ რუსეთის მთავ-
რობის საშუალებით ზემოქმედება მოეხდინა იმ დალესტნელ მფლო-
ბელებზე, რომელნიც რუსეთის მფარგელობის ქვეშ ითვლებოდნენ,
მაგრამ მაინც განაგრძობდნენ საქართველოში თარეშს.

ბუნებრივია, რომ რუსეთში დიდი ამალით ვახტანგ VI-ს გა-
დასახლების შემდეგ მოსკოვის ქართული კოლონია, რომელიც ჯერ
კიდევ XVII საუკუნეში ნიკოლოზ დავითის ძის (შემდგომ ერეკლე I),
და არჩილ II-ის მიერ იყო დაფუძნებული, მნიშვნელვონად გაი-
ზარდა50.

ქართველ ემიგრანტებს რუსეთის მთავრობამ დაუნიშნა სარ-
ჩო, ხოლო 1729 წ. ვახტანგსა და მისი ამალის წევრებს მოსკოვის
მახლობლად მდინარე პრესნიაზე მდებარე სოფელი ვოსკრესენსკოე
უბოძეს. სახლების მშენებლობისათვის მათ საჭირო თანხები და
სამშენებლო მასალებიც გამოუყვეს. ასე წარმოიშვა ამ უბანში
ქართველთა ხალშენი („გრუზინსკაია სლობოდა“). ამჟამად ეს დღე-
ვანდელი მოსკოვის ის უბანია, სადაც „ბოლშაია გრუზინსკაიას“
ქუჩა და მოედანი მდებარეობენ. ამ უბნის მახლობლად დღეს
დიდი ქართველი მგონის შოთა რუსთაველის ძეგლია აღმართუ-
ლი, ხოლო „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე მემორიალური სახლ-
მუზეუმი — „მოსკოვის ქართული კოლონია“ გაიხსნა.

XVIII საუკუნის 30 — 40-იან წლებში რუსეთში ქართველი
ემიგრანტებისაგან ჩამოყალიბდა ჯერ ქართულ პუსართა ასეული,
მერე კი ქართული პუსართა პოლკიც. რუსეთის სამხედრო სამ-
სახურში ჩარიცხულ ქართველებს საცხოვრებლად მიწები უკრა-

⁵⁰ იხ. Г. Г. Пайчадзе, К истории грузинской колонии в России, журн. «Литературная Грузия», 1967, № 8, с. 87—92.

ინის ტერიტორიაზე გამოეყოთ. მათ რიცხვში იყო გამოჩეული ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი.

მოსკოვში ქართული კოლონიის დარსებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსი და ქართველი ხალხების შემდგომ კულტურულ და პოლიტიკურ დაახლოებაში.

რუსეთში ქართველებმა განაგრძეს სამშობლოში დაწყებული დიდი მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა, ხელი მოჰკიდეს აგრეთვე მთარგმნელობით მოღვაწეობასაც.

გასაგებია, რომ დროთა განმავლობაში ქართული კოლონიის შემადგენლობაში გარევაული ცვლილებები ხდებოდა, რაც განსაკუთრებით XVIII საუკუნის 30 — 40-იანი წლებისთვისაა შესამჩნევი. ზოგი ქართველი სამშობლოში დაბრუნდა, ზოგი კი უკრაინასა და ჩრდილო კავკასიაში საბოლოოდ დასახლდა. 1724 წელს რუსეთში დასახლებულ ქართველთა რიცხვს ახლებიც მიემატნენ. აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ როდესაც ქართლ-კახეთში ოსმალების ბატონობის დამყარების შედეგად (1723 — 1735) განსაკუთრებით გახშირდა ქართველების დატყვევებისა და უცხოეთში გასაყიდად მათი წაყვანის ფაქტები, ტყვეობიდან გამოქცეული ქართველებისათვის რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორია საიმედო თავშესაფარი გახდა. ამ მხრივ დავით გურამიშვილის თავგადასავალი იმ ეპოქისათვის ტიპიურ მოვლენას წარმოადგენდა.

რუსეთის არქივებში დაცულია მრავალი საინტერესო დოკუმენტი ასმალეთის ტყვეობიდან ქართველების გაქცევის შესახებ. ამ მასალებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ ტყვედ ჩავარდნილნი განთავსუფლებას პირველი შესაძლებლობისთანავე. ტყვეობიდან გამოქცეულნი ჩადიოდნენ ან კასპიისპირა პროვინციებში, რომელიც რუსეთს ეკავა, ანდა ასტრახანსა და აზოვის მიდამოებში, ზოგიერთი დნეპრის, დონისა და თერგის კაზაკებს შორის სახლდებოდა, ნაწილს კი ევროპის ქვეყნების შემოვლაც უხდებოდა, რათა რუსეთის ტერიტორიის გავლით სამშობლოში დაბრუნებულიყო.

რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა დახმარება აღმოჩენა ტყვეობიდან გამოსული ქართველებისათვის. რუსეთის ცენტრალურ ტერიტორიაზე მოხვედრილი ქართველები, როგორც წესი, მიჰყავდათ ვახტანგ VI-თან, რომელიც არჩევდა ტყვეობიდან გამოქცეულთა საქმეებს და მათი სურვილის მიხედვით შუამდგომლობდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის წინაშე მათი რუსეთში დატოვების ან საქართველოში დაბრუნების თაობაზე. მაგალი-

თად, 1729 წ. 31 მაისს საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაგზავნილ წერილში ვახტანგ VI წერდა: „ქ. ჩვენ საქართველოს მეფეს ვახტანგს: ქართლიდამ დაკარგულმა ტყვეებმა: ზურაბა ბერის შეიღმან: თამაზა ბასილის შეიღმა: დათუნა გიორგის შეიღმა: გიორგი გავითიშვილმან: და გიორგი გრიგოლის შეიღმა: არზა მოგვართვა: ურუშიძამან გამოპარულიყვნენ და ზოგი ფერთმაშალ კნიაზ მიხაელისა⁵¹ და ზოგი ლეომანისა⁵² ფაშპორტით მოსკოვს ჩვენთან მოვიდნენ: და ჩვენ ნება გვთხოვთ ქართლში წასულისა: ახლა ჩვენც მოსკოდამ ასე ნება მიგვიცია, რომ საცა უნდა წავიდნენ“⁵³.

თავის მხრივ ვახტანგი ყოველთვის ცდილობდა შეძლებისდა-გვარად დახმარებოდა ქართველებს, რომლებიც ტყვედ იყვნენ რუსეთის საზღვრებთან ახლოს, ცდილობდა მათს განთავისუფლებას. მაგალითად, 1731 წელს, როდესაც ვახტანგმა შეიტყო აზოვში თურქებთან ქართველი ტყვეების ყოფნა, თხოვნით მიმართა რუსეთის მთავრობას, რომ იქ წარმომადგენლები გაეგზავნათ ტყვეთა გამოსასყიდად, რაზედაც თანხმობა მიიღოს⁵⁴.

1731 წლის მარტში ვახტანგმა თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივ ხელმძღვანელს ა. ოსტრემანს, რომ თურქეთის სულთნის წინაშე ოფიციალურად დაეს-ვათ საკითხი დომენტი კათალიკოსის ოსმალთა ტყვეობიდან გან-თავისუფლებისა და საქართველოში დაბრუნების შესახებ⁵⁵.

ვახტანგ VI-ის წინადაღებებსა და კონკრეტულ გეგმებში, რო-ჟელთაც იგი რუსეთის მთავრობას სთავაზობდა საქართველოს განთავისუფლებასთან დაკავშირებით, დაუჭერებელი და არარეალური არაფერი იყო. იჩანში, თურქეთსა და ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება უდავოდ ქმნიდა ხელსაყრელ საფუძველს იმისათვის, რომ რუსეთს უფრო გადამჭრელად ემოქმედა როგორც საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, ისე ამიერკავკასიის ხალხების დასახ-მარებლად. მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს იმდროინდელი მესვე-

⁵¹ ე. ი. ოსმალების ტყვეობიდან.

⁵² ლაპარაკია ფელიმარშალ მიხეილ მიხეილის ძე გოლიცინზე, რომელიც უკანიაში რუსეთის ქარების მხედართმთავარი იყო.

⁵³ ლაპარაკია უქრანის გეტმანზე.

⁵⁴ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფარუსეთის ურთიერთობა სა-ქართველოსთან, 1729 წ., საქმე № 1, ფურც. 37.

⁵⁵ იქვე, 1731 წ., საქმე № 2, ფურც. 82—84; 1732 წ., საქმე № 29, ფურც. 1—3, 10—13.

⁵⁶ იქვე, 1731 წ., საქმე № 1, ფურც. 5—6.

ურნი თავს არიდებდნენ რაიმე რისკის გაშევას და პასიური პოლიტიკის გატარებით კმაყოფილდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის საქშეებში კარგად ჩატელული საგარეო კოლეგიის თანამშრომლები, მაგალითად, ცნობილი დიპლომატი ვ. შავიროვი, ოფიციალურად სკამდნენ სკაიოხს ამიერკავკასიაში აქტიური მოქმედებისა და ვახტანგის მხარდაჭერის შესახებ⁵⁷, ა. ოსტერმანი თავის პოლიტიკურ კურსს მაინც არ ცვლიდა.

1732 წლის 21 იანვარს რეშტიში რუსეთ-ირანის ხელშეკრულება დაიდო⁵⁸. რუსეთმა ირანს გილანი, მაზანდარანი და ასტრაზადი დაუბრუნა იმ პირობით, რომ ირანს ეს პროვინციები არავისთვის არ უნდა დაეთმო. გარდა ამისა, რუსეთი შაპს პირდებოდა ბაქოსა და დარუბანდის დაბრუნებასაც იმის შემდეგ, როცა ის შეძლებდა „თავისი მტრების განდევნას“ და ირანის სახელმწიფოს მდგომარეობის განმტკიცებას, რეშტის ხელშეკრულების მერვე მუხლი საქართველოს ენებოდა. იქ ნათქვამი იყო, რომ რადგანაც ორივე მხარის — რუსეთის იმპერატორისა და ირანის შაპის ერთგულმა ქართველთა მეფე ვახტანგმა დაპკარვა თავისი სამფლობელო, ირანის შაპი პირობას დებდა საქართველოს ირანის მფარველობის ქვეშ წინანდებურად შევყანის შემდეგ ვახტანგი კვლავ საქართველოს მეფედ ეღიარებინა.

ამასობაში ირანში ახალი გადატრიალება მოხდა. თამაზი ტახტიდან მისმა „ყულიმ“ გადააყენა. ნადირმა შაპად თამაზის ახალშობილი ვაჟი აბასი გამოაცხადა, ხოლო თავისი თავი — რეგენტად⁵⁹. ნადირ-ხანმა შეძლო თავისი მდგომარეობის კიდევ უფრო გაძლიერება და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალი წარმატებების მოპოვება.

რაც შეხება ვახტანგს, ის ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ანა ივანეს ასულის მთავრობას ქმედითი ზომები მიეღო და რეალური დახმარება აღმოეჩინა მისთვის. საგარეო საქმეთა კოლეგიას ვახტანგი აწვდიდა ინფორმაციას საქართველოსა და ამიერკავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის შესახებ. ვახტანგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შექმნილ კონკრეტულ ვითარებაში

⁵⁷ ი. გ. გ. პაი ჩა ძ. ე. რусско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, с. 164—165.

⁵⁸ ПСЗ, т. VIII № 5935, с. 617—618.

⁵⁹ J. Hapway. An Historical Account..., p. 384—397.

აუცილებელი იყო საქართველოში მისი დაბრუნება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბაქარის გაგზავნა⁶⁰.

ერთხანს ბედმა თითქოს კიდევაც გაულიმა ვახტანგს. 1734 წლის 1 მაისს ანა ივანეს ასულმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, კასპის სამართლების ვახტანგისა და ბაქარის გაგზავნის შესახებ. იმავე წლის 26 სექტემბერს მამა-შვილი ასტრახანს ჩავიდნენ და სამი დღის შემდეგ დარუბანდისაკენ გემით გაემგზავრნენ. ვახტანგს თარჯიმნებად ბ. თურქისტანიშვილი, ლ. ზაალიშვილი და გ. დადიანი მიყავდა. 10 ოქტომბერს მამა-შვილი დარუბანდში ჩავიდნენ.

29 ოქტომბერს შედგა რუსი გენერლების ოფიციალური თათბირი, რომელსაც ვახტანგი და ბაქარი დაასწრეს. თათბირზე გადაწყდა, რომ ირანში მომხდარი ცვლილებების გამო ვახტანგი დარუბანდში უნდა გაჩერებულიყო და შეეწყვიტა მიწერ-მოწერა სომეხ-შოლვაწეებთან, რადგანაც ნადირს უკვე შემახა ჰქონდა დაკავებული და მისი ჯარი სომხეთის საზღვრებთან იდგა.

ერთი სიტყვით, ირანის მდგომარეობა უკვე კარდინალურად შეცვლილი იყო. ნადირმა შეძლო ირანის სახელმწიფოს ძლიერების აღდგენა და ოსმალეთთან ეფექტური ბრძოლის წარმოება. 1734 წლს თურქებთან ბრძოლა მან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადაიტანა და რუსეთთან ახალი ხელშეკრულების დადების სურვილიც გამოთქვა. მაგრამ როდესაც პეტერბურგში ჩასულ ირანის ელჩის ახალი ტრაქტატის დადება შესთავაზეს იმ პირობით, რომ მასში აღნიშნულიყო ირანის მზადყოფნა რუსეთის მხარეზე გამოსასვლელად ოსმალეთთან ომის დაწყების შემთხვევაში, ელჩმათავი შეიკავა. შან განაცხადა, რომ ნადირს პირადად სურდა ტრაქტატის თაობაზე მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ იმის შემდეგ, როცა საბოლოოდ გადაწყდებოდა საკითხი რუსეთის მიერ ირანისათვის ყველა კასპიისპირა პროვინციების დაბრუნების შესახებ.

განჯის მახლობლად ირანის ჯარის ბანაქში მოლაპარაკება და-იწყო ნადირის უშუალო მონაწილეობით. რუსეთს წარმოადგენდა-თავადი ს. გოლიცინი, ხოლო ირანს ხოლეფა-მირზა ქაფი, ვახტან-გისათვის კარგად ცნობილი ხოლოფა. 1735 წლის 10 მარტს კი-დევაც დაიდო განჯის ტრაქტატი⁶¹. იგი ადასტურებდა რეზტის-

⁶⁰ ი. გ. გ. მაიაძე, რუსко-გрузинские политические отношения в первой половине XVIII в., с. 160—165.

⁶¹ ПСЗ, т. IX, № 6707.

ხელშეკრულების პირობებს, რომელთა ძალითაც რუსეთმა იტანი
გილანი, მაზანდარანი და ასტრაბადი დაუბრუნა. ამჯერად კი ვარუ
სეთი ირანს ბაქვსა და დარუბანდს უთმობდა. ორივე მხარე პირო-
ბას დებდა არ გაემართა ცალმხრივი მოლაპარაკება ოსმალეთთან და
მასთან ახალი ხელშეკრულება მხოლოდ ერთობლივად დაედო.

მეხუთე მუხლი ამტკიცებდა რეშტის ხელშეკრულების პირო-
ბას იმის თაობაზე, რომ ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლე-
ბის შემდეგ ირანი ქართლის სამეფოს კვლავ ვატრიანგ VI-ს გადას-
ცემდა.

ნაღირი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ვატრიანგი მასთან გა-
მოცხადებულიყო. ხოლევა ირწმუნებოდა, რომ ამ მისვლით ვახ-
ტანგს არავითარი საფრთხე არ შეეჭმნებოდა. მაგრამ ირანის შა-
ჰის ქარის საქმეებში ჩახედულ ქართველ მეფეს ქარგად ესმოდა
ნაღირის მოთხოვნის მიზანი და მნიშვნელობა. პირადი სიცოცხლის
საფრთხეში ჩაგდების გარდა ვახტანგი მტრებთან თავისი პოლი-
ტიკის მარცხის დამამცირებელ აღიარებასაც გაურბოდა. ამასთანავე
ივი ითვალისწინებდა თავისი მემკეოდრე-შთამომავლების მომავალს,
რომელიც მთლიანად რუსეთის სახელმწიფოს ხელში იყო მოქუ-
ული, და ამდენად ანგარიშს უწევდა რუსეთის პრესტიგსაც. ირანის
გამგებლის წინაშე ვახტანგმა ხანდაზმულობა და ავადმყოფობა
შოიმიზეზა, ხოლო ბაქარის გამოუცხადებლობა რუსეთის სამსახუ-
რში ჩადგომით ახსნა. ბაქარი რუსეთის არმიაში არტილერიის გე-
ნერალ-ლეიიტენანტად მსახურობსო და იმპერატორის ბრძანების
გარეშე არაად წასვლა არ შეუძლია.

ამრიგად, ა. ოსტრერმანი დაუშვებლად გაუბედავ და დათმობით
პოლიტიკას ახორციელებდა იმ იმედით, რომ ირანი რუსეთის მხა-
რეზე გამოსულიყო თურქეთთან ომის შემთხვევაში. ამიტომაც იყო,
რომ ამიერკავკასიაში რუსეთმა დაპკარგა რამდენიმე ხელსაყრელი
მომენტი და შესაძლებლობა როგორც საუთარი პოზიციების გა-
მაგრების, ისე თავისი საიმედო მოკავშირეების — ქართველებისა
და სომხების მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ოსტრერმანის
დიპლომატიის სერიოზული შეცდომები დაუშვა და პეტრე I მიერ
წარმატებით დაწყებული და დიდი სინელეებით ამიერკავკასიაში
წარმოებული კამპანია უსახელოდ დაამთავრა.

კონსტანტინოპოლიდან რუსი დიპლომატები ი. ნეპლიუევი და
ა. ვეშნიაკოვი თავის მთავრობას ატყობინებდნენ, რომ სულთნის
კარზე გაოცებულები იყვნენ რუსეთის დათმობებით. დაიწყო საი-
დუმლო თათბირები. ფრანგი დიპლომატის ვილნევის რჩევით ოს-

შალეთი შეუდგა რუსეთთან ომის დასაწყისს, რასაც უკვე პრინციპით მაღვადა. კავკასიაში რუსეთის პოზიციების სისუსტის გათვალისწინებით დივანში გადაწყვიტეს, რომ კასპიისპირა პროვინციების დასაქავებლად ყირიმის ხანი ჩრდილო კავკასიის გავლით გაეგზავნათ. ერთი სიტყვით, კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა და რუსეთი იძულებული გახდა ყირიმის ხანის წინააღმდეგ. სამხედრო მოქმედება დაეწყო, რასაც 1735 — 1739 წლების რუსეთ-თურქეთის ომი მოჰყავა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ნადირ-ხანი რუსეთს მოკავშირედ არ გამოადგა. აღებული ვალდებულების საწინააღმდეგოდ 1736 წ. მან სეპარატული ხელშეკრულება დადო თურქეთთან.

რაც შეეხება ვახტანგს, 1735 წლის 27 მაისს მან კელავ შეატყობინა რუსეთის იმპერატორს ანა ივანეს ასულს, რომ მტკიცედ გადაწყვიტა ნადირთან არ წასულიყო და არც ბაქარი გაეგზავნა. 1735 წლის 26 აპრილს ვახტანგმა დარუბანდი დატოვა და 14 მაისს ჩავიდა ასტრახანს, სადაც გაჩერება მოინდომა, ხოლო სექტემბერში პეტერბურგს რუსეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ბაქარი გააგზავნა. საც იმედგაცრუებული ვახტანგი იძულებული ვახდა საბოლოოდ ასტრახანს დასახლებულიყო, სადაც 1737 წლის 26 მარტს გარდაიცვალა. 30 მარტს ქართლის მეფე ასტრახანის კრემლში მიძინების ტაძრის პირველ სართულზე დასაფლავეს.⁶²

საესებით გასაგებია, რომ ვახტანგის გარდაცვალება ქართველმა მოლვაწეებმა მძიმედ განიცადეს. დავით გურამიშვილმა მგზებარე სიტყვებით გამოიტირა იგი:

„ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!“⁶³

ასე განიცდიდა ვახტანგის გარდაცვალებას ყველა პროგრესული მოლვაწე.

⁶² იხ. გ. პაიჭიძე, ვ. ჯოფირიძე, ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში, თბ., 1974.

⁶³ დავით გურამიშვილი, დაეითიანი, ვვ. 106.



ვახტანგის პორტრეტი

ვახტანგი დიდი შესაძლებლობის მოღვაწე იყო. ბუნებისა-გან უხვად დაჭილდობულს, ამ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს სხვა პირობებში გაცილებით მეტის გაქეთება შეეძლო. მან ყოველივე იღონა, აღვივეთა უცხო დამპყრობთა ბატონობა, მაგრამ ის ურთულესი და უკულმართი ისტორიული პირობები, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა, გამარჯვების საშუალებას არ იძლეოდა. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია თვით ვახტანგისავე სიტყვები:

„ჩემი ჩემთა ბედმა არ მომცა უაში ჩემისა ნებისა“¹

ხოლო იმ უდიდესი სიძნელეებისა და გაჭირვების შესახებ, რომელიც მან პირად ცხოვრებაში გადაიტანა, ვახტანგი სიტყვაკაზ-მულად აღნიშნავდა:

„ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დაღნებდა. ჩემი ფიქრი და ნაღვიდი ზღვის ალავს ააქცებდა“².

ცხადით, ბედუკულმართობა, რომელიც ვახტანგს წილად ხვდა, გარკვეულ სევდასა და ნაღველს იწვევდა მასში, ზემოქმედებდა მის განწყობალებაზე, ფისქოლოგიაზე და, ბუნებრივია, გლინდებოდა მის მხატვრულ შემოქმედებაშიც.

მაგრამ წალმა-უკულმა მოტრიალე ბედის ბორბალს არ გაუტეხია. ვახტანგის სულიერი ძალა. ცხოვრებისეულ ყველა სიძნელეს იგი მტკიცედ იტანდა და ბოლომდის იბრძოდა. ვახტანგის შეუდრეველობა, სიმტკიცე და მხნეობა, კარგად შენიშნა პეტრე პირველმა. ა. ვოლინსკისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში იგი სა-

¹ ვახტანგ VI, ლექსიბი და პოემები, თბ., 1975, გვ. 58.

² იქვე.

განვებოდ ალბიშვილი: „хотя царь (г. о. Георгий VI—д. პ. სამებავის
бедстве, но гордости не оставляет.“³

იმისათვის, რომ უფრო სრულად წარმოვიდგინოთ ვახტანგ VI-ის მორალური პორტრეტი, მოვიყვანთ ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ სიტყვებს: „ესე ვახტანგ იყო... ფრიად მოღვაწე... ქურივ-ობოლთა და გლახაყთა მიმცემელი, უღონოთა შემბრალე... მოწყალე, ცოდნისმოყვარე, ბრძენი, მჯნე და ახოვანი, შუენიერი-პაე--როჭანი, მუშაკი, უხვ და მშედი“⁴.

ცხადია, ეს არ არის მამისაღმი ბრძა სიყვარულით ნაკარნახევი სიტყვები, არამედ ბრძენი აღამიანის, გამოჩენილი მეცნიერის თვა- ლით დანახული და ორმად გაზრდებული დაბასითება.

რაც შეხება ვახტანგის გარეგნულ სახეს, მის შესახებ ჩვენ
წარმოდგენა გვექმნება იძრითინდელი მხატვრების მიერ შესრუ-
ლებული რამდენიმე პორტრეტის მიხედვით, ჩვენამდის რომ მო-
აღწიეს. ესაა ვახტანგის სტამბილან გამოსულ წიგნებში დაბეჭდი-
ლი პორტრეტები. გარდა ამისა, ფერადი მინიატურა ვახტანგისა
და სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტული გამოსახულებით „ქი-
ლილა და დამანას“ ხელნაწერს რომ ამკობს. დაბოლოს, ზეთის
სალებავით შესრულებული ვახტანგის პორტრეტი გორკის ოლქში
მკვლევარ თორჩიე ჰყონისა მიერ აღმოჩენილი 1940-იან წლებში. სამწუხაროდ, ამ პორტრეტების მხატვრების სახელები ჩვენთვის
უკინობია.

辛未仲春

ამჩინებად, ვახტანგ მეუქვესეს, როგორც გამოჩენილ ისტორიულ
მოღვაწეს, კარგად ესმოლა საქართველოს შინაშე მდგარი ამოცანე-
ბი. ის უდილესი და მრავალმხრივი საქმიანობა, რამელმაც ნა-
თელყო ვახტანგის დიდი ტალანტი და მას გამოჩენილი სახელმწი-
ფო მოღვაწის, მეცნიერისა და პოეტის საყოველთაო აღიარება
მოუტანა, მთლიანად ემსახურებოდა საქართველოს პროგრესული
განვითარების საქმეს.

სახელმწიფო მუნიციპალური კულტურის განვითარების საქმეში ვახტანგის უშუალო პრაქტიკული მონაწილეობისა და დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად საქართველომ მნიშვნელოვანი შილტვები მოიპოვა. ქართლის სამეთო ეკო-

³ П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, часть I, СПб., 1869, с. 63.

„ 5 ის. თ. ჭერიანია, გორევის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი,
„ლიტერატურული ძეგლანი“, IV, თბ., 1948.

ნომიკურად და პოლიტიკურად საგრძნობლად დაწინაურდა, ვა მათ შემდეგ
ქართული კულტურა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე ავი-
და. ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში ესოდენ მნიშ-
ვნლოვანი ნაბიჯის წინ გადადგმა ვახატნგ VI-ისა და მისი ხელმძ-
ღვანელობით მომუშავე ქართველ მოღვაწეთა ძლიერი დასის დი-
დი, ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება იყო.

ბუნებრივია, რომ ვახტანგ VI-მ, როგორც სახელმწიფო მოღ-
ვაწემ, საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი ისტორიული ამო-
ცანის გადაწყვეტაც დააპირა. ეს იყო უცხო დამპყრობთა ბატო-
ნობისაგან საქართველოს განთავისუფლება, ირანელი და თურქი ასი-
მილატორების ულლის თავიდან მოცილება და სამშობლოსათვის
შემდგომში პროგრესული განვითარების ყოველმხრივი, სრული უზ-
რუნველყოფა.

ამ უდიდესი ამოცანის მისაღწევად ვახტანგმა ყველაფერი იღო-
ნა. მან სწორად შეაფასა სეფიანთა სახელმწიფოს მდგომარეობა,
გაითვალისწინა ირანის დაცემა და საქართველოს განთავისუფლე-
ბის საქმე ამიერკავკასიაში რუსეთის სახელმწიფოს რეალურ ინ-
ტერესებს დაუკავშირა. ვახტანგს შესანიშნავად ესმოდა, რომ შექ-
მნილ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში მხოლოდ საყუთარი ძა-
ლებით, ძლიერი მოკავშირის გარეშე საქართველო თავის ძირითად
ამოცანას ვერ მიაღწევდა. ამიტომ ვახტანგ VI-მ მტკიცედ აირჩია
რუსეთის ორიენტაცია. რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული
დაახლოება ვახტანგის არსებითი პოლიტიკური პროგრამა იყო.
მას საფუძვლად ედო საქართველოს, ქართველი ერის გადარჩენა-
გართიანებაზე ფიქრი და ზრუნვა.

მაგრამ თავის ძირითად მიზანს — ქვეყნის განთავისუფლებას
უცხო დამპყრობთაგან ვახტანგ მეექვსემ ვერ მიაღწია. ურცხვ
გარეშე და შინაურ მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში ქართლის
მეფე დამარცხდა, რომ მისმა მოკავშირემ — პეტრე პირველმა
საკირო დახმარება მას ვერ აღმოუჩინა.

ვახტანგის მთელმა ისტორიამ კიდევ ერთხელ ცხადყო საქარ-
თველოს ტრაგიკული მდგომარეობა, ის ვითარება, რომ იმდროინ-
დელი საქართველოს სისუსტე ქვეყნის შიგნით წარმოებული ძლი-
ერი შინაფეოდალური ომებით იყო განპირობებული; ხოლო რაც
შეეხება ვახტანგ მეექვსეს, როგორც ისტორიულ პირვენებას, იგი
გვევლინება გამოჩენილ მოღვაწედ, რომლის ცხოვრება სამშობ-
ლოს კეთილდღეობისათვის თავდადებული ბრძოლის შეაფიო მა-
გალითს წარმოადგენს.)

ВАХТАНГ VI

Резюме

В книге критически рассматривается и всесторонне освещается многогранная деятельность Вахтанга VI (1675—1737 гг.), сыгравшего значительную роль в истории феодальной Грузии.

В условиях, когда страна подвергалась постоянным разрушительным вражеским нашествиям и стонала под илом шахского Ирана и султанской Турции, испытывая в то же время все тяготы внутренней межфеодальной борьбы, программа деятельности Вахтанга VI, ставящая себе целью укрепление центральной власти, мобилизацию сил на борьбу за освобождение от гнета иноземных завоевателей, а также преодоление внутрифеодальной реакции, предусматривала все меры, которые были необходимы для обеспечения дальнейшего развития феодального общества Грузии. В этом плане вся государственная деятельность Вахтанга VI, хотя она и была всецело продиктована интересами господствующего класса феодалов, объективно способствовала развитию производительных сил страны и, тем самым, служила делу прогресса.

Наряду с большой организаторской работой, Вахтанг VI, будучи видным ученым-энциклопедистом и поэтом, внес большой вклад в развитие грузинской науки и культуры, сыграл определенную роль в зарождении и распространении в Грузии идей просветительства.

В книге освещается история первой тбилисской типографии и роль Вахтанга VI в ее создании; показана его личная заслуга в первом научно-критическом издании поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре», которое явилось основой руствелологии как науки; освещается деятельность Вахтанга VI как ученого, астронома, литературоведа, переводчика; подчеркивается его роль в дальнейшем развитии грузинской исторической науки, а также химии, физики, математики; анализируется поэтическое наследие Вахтанга VI.

В книге анализируется борьба грузинского народа за освобождение от власти шахского Ирана и на основе новых архивных материалов освещается деятельность Вахтанга VI в области укрепления военно-политического союза с Россией. Будучи руководителем освободительной борьбы грузинского народа и являясь поборником русско-грузинского содружества, Вахтанг VI выступил союзником Петра I во время похода русских войск на побережье Каспийского моря в 1722—1723 гг., а также во многом содействовал и организации освободительной борьбы армянского народа. Вахтанг VI по праву был признан общим руководителем борьбы народов Кавказа за освобождение от власти турецко-иранских завоевателей.

Однако по целому ряду причин, обусловленных неблагоприятной внешнеполитической и внутренней обстановкой, его планы освобождения Грузии не осуществились. Потерпев поражение в борьбе с многочисленными внешними и внутренними врагами, Вахтанг VI был вынужден покинуть родину, и в июле 1724 г. в сопровождении наиболее приближенных лиц в количестве 1200 человек он выехал в Россию.

В книге освещается деятельность Вахтанга VI после его переселения в Россию, повествуется о дипломатической миссии, с которой он ездил в Иран по поручению правительства России.

Выехавшие вместе с Вахтангом VI грузины в основном поселились в Москве в районе Пресни, там, где сейчас начинается Большая Грузинская улица и находится Грузинская площадь, которая называлась раньше Георгиевской. Другая часть грузин, из числа которых был сформирован Грузинский гусарский полк, получила земли на Украине; некоторые поселились на Северном Кавказе, а остальные — в Астрахани.

Таким образом, в результате переселения в Россию вместе с Вахтангом VI большой группы лиц грузинская колония в Москве, созданная во второй половине XVII века, значительно разрослась и сыграла определенную роль в дальнейшем развитии русско-грузинских взаимоотношений.

გ ი ნ ა რ ს ი ტ ყ ვ ა

ჭინასიტყვა	3
ვახტანგის აღზრდა და სახელმწიფო მოღვაწეობა ჩამოყალიბება	6
პრიოლა ქართლის სამეცნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადი მარეობის განვიტყობისათვის	18
ვახტანგის როლი ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში	52
პირველი ქართული სტატია დარჩენილი ქართული სტატია დაარჩება	52
ვახტანგის აღგილი რუსთველოლოგიში	70
საქართველოს ისტორიის შესწავლა-გაშუქრების საქმის აღორძინება	81
ვახტანგი და ქართული მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარება	86
ვახტანგის მთარგმნელობითი საქმიანობა	92
ვახტანგის პოეტური მემკვიდრეობა	98
ვახტანგ მევეტესის ბრძოლა უცხო დამპურობთა ბატონობისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად	105
ვახტანგის მოღვაწეობა რუსეთში 1725—1737 წლებში	125
ვახტანგის პორტრეტი	175
Vahтанგ VI. Резюме	178

Георгий Георгиевич Пайчадзе
ВАХТАНГ VI
(на грузинском языке)

დაბეჭდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზერები: ისტორიის მეცნ. დოქტორი ნ. ნაკაშიძე,
ისტორიის მეცნ. კანდიდატი თ. ტივაძე

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაგათ
ტექნიკური ც. ქამუშაძე
მხატვარი ა. დუმბაძე
კორექტორი ლ. ჭავაძე

გადაუცა წარმოებას 23.9.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.2.1981;
ქაღალდის ზომა $60 \times 90\frac{1}{16}$; ჭაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბაზი 11,5;
საალბოცვო-საგამომცემლო თაბაზი 9,7;
ფ. 01035; ტირაჟი 15000; შეკვეთა № 3155;
ფ. ას. 1 მან. 15 კპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტეზოვის ქ., 19
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტეზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР. Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

